

საქართველოს გაფონუმის
აღმუნების
აღმუნების

(1)

საქართველოს გაფონუმის
აღმუნების აღმუნების



გადამალული ყმა ქალი „სულიერ მამას“, ზიარების დროს ანდობს თავის საი-
ლუმლოებას. „სულიერი მამა“-კი მათ ასმენს ბატონთან, ორმელიც იპყრობს
შვილებითურთ.

1.00



საქართველოს გამოცემის ფართის გასაღები

3990

1. მეცნიერებების საუკუნის მეორე ნახევარში სამაზრო და საგუბერნიო არხივებიდან ამოღებული,
2. მომსწრე და თვით შნახველ პირთა ნაამბობი,
3. ხალხში ნაპოვნი საბუაებით აღნუსხული.

ზაქარია ჭიჭინაძი ს-მიერ.

საქართველოს საგამომცემლო საზოგ. „მწიგნობარი“-ს გამოცემა
მირ. ხუსუნაიშვილის რედაქტორობით

ტფილისი—1924

რედ. ქციუსაგან

„საქართველოს ბატონიუმობის ფაქტიური მასალები“ გამოიცე-
მა 6. ტომა.

ტომი შეიცავს 250 გვერდამდე. თვითონეული ტომში მოთავსე-
ბული იქნება ათამდე ისტორიული სურათები.

ტომი ხელის მომწერთათვის ელირება 1 მან.

რედაქტია, რამადენიმე ათეულ ტომებს, უფასოთ დაუგზავნის
პროეინციის უღარიბეს მუშათა და გლეხთა სამკითხველოებს, რო-
მელთა შესახებ ადგილობრივი პარტორგანიზაციები აღძრავენ შუა-
მდგომლობას.

„საქართველოს ბატონიუმობის ფაქტიური მასალების“ რედაქტია
მოთავსებულია კოლონის ქუჩა, № 7, მეორე სართული.

„საქართველოს ბატონიუმობის ფაქტიური
მასალები“, ზაქარია ჭიჭინაძის, ყველაზედ უფ-
რო ნაყოფიერი შრომა.

ბატონიუმობის ისტორია. არ გვაქვს ისე
ცოცხლათ გაშუქებული, როგორც ეს არის
ამ წიგნში მოყვანილ საბუთებით, ან დარჩე-
ნილ ცოცხალ აღამიანებისაგან (გლეხთა თუ
მათ მომხრე გულშემატკივართ) ნაამბობებით.

ამიტომ, ეს მასალები იმდენათ საგულის-
ხმიერო და საინტერესოა, რომ მისი შეთვისე-
ბა და გაცნობა, ფრიად სასარგებლოა თვი-
თეულ მოქალაქისათვის.

მე ურჩევ ყველა ამხანაგებს და მოქალა-
ქეებს, გულდასმით გაეცნონ ამ მასალებს.

მიხა ცხაკაია.



„საქართველოს ბატონიშვილის ფაზტიური მასა- ლები“-ს გამოცემის გამო.

ამ გამოცემით, ჩვენ ვფურცლავთ ბატონიშვირ წესწყობილების ისტორიას... თანამედროვე საზოგადოება, სათანადო სიღინჯით და ორმა გრძნობიერებით გადაათვალიერებს მას.

ამ შრომით, ჩვენ ვიძლევით ახალს, თანამედროვე თაობისთვის უჩვეულო სანახაობას, რომელიც მას გზას გაუწალდავს, ისტორიულ მართლშემცნების სფეროში და შეავსებს მის მსოფლმხედველობას ცოცხალის სურათებით.

წითელმა პროფესურამ და ისტორიის მკვლევარებმა, უნდა გაი-
სარჯონ და მისცენ ახალთაობას ის ჭეშმარიტი და საღი ისტო-
რიული სწორმხედველობა, რომელსაც აქნამდე კლასიური კილტუ-
რი ედო...

წითელმა ისტორიამ, ფართეთ უნდა გააღოს წარსულის კარები
და დაანახოს საზოგადოებას უტყუარი ისტორიული სახე, რომელ-
საც დღემდე ტირანიული სუდარა ეხვია.

ჩვენ გვწადიან და გვაქვს უფლება მოვსთხოვოთ მეცნიერულ
ძალებს, დასდონ. ეს ამაგი კაცობრიობას...

— ** —

უველამ უნდა ვიცოდეთ, რანი ვიყავით გუშინ, რომ შევაფა-
სოთ თუ რა ვართ დღეს.

მუშათა კლასს, ამ ვითარების გამოსაცნობათ, დიდს დახმარე-
ბას გაუწევს, „საქართველოს ბატონიშვილის ფაქტიური მასალები“...
ეს მდიდარი გალერეიაა, რომელსაც საქმაო ნათლად შეუძლიან დაუ-
სურათხატოს: მუშას, გლეხს და მათს შვილებს, თუ რა მძიმე, აუტა-
ნელ ჭაპანს ეწეოდნენ მათი წინაპრები.

ამის შემეცნება არც სისხლის ღვრას გამოიწვევს და არც მტრო-
ბას პიროვნებებზე... ცხადია, ერთი რამ აუკილებლად მოხდება: ეს —
განამტკიცებს — მუშათა და გლეხთა რიგებს, შეასისხლხორცებს.
მათ გულებს და მჭიდროთ დარაზმაეს იმ კლასის საწინააღმდე-
გოთ, რომლის ჰეგემონია, ნაცვლათ თავისუფლება თანასწორობისა

სისხლითა და მახვილით ხუთავდა მთელ ქვეყანას, რომ რამოდენიმე ასეულ მუწუკებს სული ეხადათ მრავალმილიონიან მუშათა და გლეხებისათვის... რაც უფრო აღრე შეითვისებენ ამ ჭეშმარიტებას მუშები და გლეხები, იმდენათ წინ წავა მათი საქმე, იმდენათ განმტკიცდება და გაუმჯობესდება მათი მდგომარეობა, და გასალკლდევდება მუშურ-გლეხური ხელის უგლება.

მირ. ხუსუნაიშვილი.




ჩვენი მიმართვა გეითხველისადმი.

ფრიად დაგვავალებს პატივცემული მკითხველი, თუ კეთილ ინებებს და გამოსთვევამს თავის შეხედულებას:

1. მიზან შეწონილია თუ არა, „თვითმნახველ და მომსწრე პირთა“ ნაამბობის: შინაარსის, მართლგამოთქმის და კილოს გადაუხალისებლად ბეჭდვა?!
2. სასურველია თუ არა, ამ უამაღ ხმარებულ სიტყვიერებაზე იქმნას გადატანილი, რამოდენიმე ათეულ წლების წინედ, (1874—1890 წლ.) ჩამოწერილი ცნობები?!.
3. მასალების დაწყობის მხრივ, რა ცვლილებებია მიზანშეწონილი შევიტანოთ შემდეგ ტომებში??
4. ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ ამ წიგნის, განსაკუთრებით, რა ნაკლულოვნებაზე მიგვითითებს პატივცემული მკითხველი?!

რედაქცია.



რედაქციის პან.

აქედან ჩვენ ვტეჭდავთ შესავალს: „წერილები ქართულს მწერ-
ლობაზე“, რომელიც დაიბეჭდა სანდალასი ფსევდონომით 1888-
წელს და გამოვიდა ცალკე წიგნათ. ეს წიგნაკი შეიცავს 79 გვერდს
და ეკუთვნის ზაქარია ჭიჭინაძის კალამს:

ამ წიგნაკმა თავის ღროს, დიდი ალიაქოთი ასტეხა, რამაც გა-
მოიწვია ცენზორ ლუკა ისარლოვის სამსახურიდან დათხოვნა, ხოლო
ავტორის გააფთრებული კიცხვა.

რედ.

ԹԱՐԱԾՈՅՑ

ՎԱՐՉՈՎԱ ՁՅԱՀԱՆՈՒՑԱԳԵ.

Ե Ե Թ Ա Ֆ Ա Տ Օ .

Тифлисъ.
Արթօմյ Ելքածոն ԿԸԱԺԸ.
1888.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Июня 1888 года.

306 მიაჩვია პირველად საჩართველოში ბატონ- შეობას უზრადლება*).

I

ჩვენ, ქართველებს, მაინცა და მაინც არა გვაქვს მდიდარი წარ-
სული, ჩვენი წარსული არის ყოველივე ჩვენი უბედურების მიზეზნი
და შეცდომანი. ეს შეცოთმები ჩვენმა მამებმა, ჩვენ არ აგვაცილეს
გზისამ. იგინი ამაების თავიდამ ასაცილებლათ სულ არ ზრუნავ-
დნენ, იგინი არ გრძნობდნენ თავიანთ მამების შეცდომებს, არ
გრძნობდნენ თვით თავიანთ შეცდომებსაც. რომ ყოველივე ჩვენის
უბედურების მიზეზნი თვით ჩვენი წინაპრები არიან, ამას ფიქრი არ
უნდა, მაგრამ ამ უბედურებაზე უარესი უბედურება ის არის, თუ
ასეთ შეცდომებს არც შთამომავლობა აკვირდება და იგი არ სცდი
ლობს, რომ ეს თავის მამაპაპური შეცდომები თავიდან აიცილოს.
მე ჩვენს ძეველს მამებს მაინცა და მაინც დიდის საყვედურებით არ
მივმართავ, მე მინდა აქ შევეხო მხოლოდ იმ ძველ ქართველ მამებს
და მწერლებს, რომლებიც ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან
ვიღრე ამ საუკუნის ნახევრამდის სცხოვრობდნენ.

ჩვენდა საუბედუროთ, როცა მე ამ საუკუნის ქართველ მწერ-
ლების უმეტეს ნაწილზე მიხდება ლაპარაკი, მაშინ მე მზათა ვარ,
რომ ყველა ჩვენი ძეველი მამები და მწერლები სრულიად უარი ვყო
და არსად არამც თუ მწერალთ, არამედ კაცათ ვახსენო. ამათი კა-
ცათ ხსენება მე მიტომ მიმაჩნია მეტათ, რადგანაც მათ ცხოვრებასა
და მოქმედებაში კაცური. არაფერი გაკეთებულა, მათ კაცობის მოსა-
გონებლად, ჩვენთვის არაფერი გადმოუკიათ ხელში ძეგლათ. რაიც
შეეხება მწერლობის მხრითაც უარის ყოფას, ამაზედაც სრული თა-
ვისუფლება გვაქვს ჩვენ, რადგანაც იგინი არც ისეთი მწერლები
იყვნენ, როგორნიც მათი დროის კვალათ უნდა ყოფილიყვნენ. ესენი
განვითარებული იყვნენ, თვის მამებისაგან გავრცელებულის უხეირო
იდიალებისაგან. ამის მეოხებით ესენი მეტის მეტი უკიდურესის ხა-
სიათებით იყვნენ გარე მოცულნი. ესენი დიდათ პატივისმცემელნი
იყვნენ, ქართველ ერის ძველის შემძლებლობის მხარეებისა და ნაციო-

*) ვძეჭდავთ სრულიად უცვლელად და დედნის მართლ წერის დაცვით.

ნალურის სამხედრო გრძნობებისაგან, ძველთა მოქეიფართ საზანდართა, მესიმლერეთა და მეჭიანურეთ პატივისცემისაგან.

ამას გარდა, ლამაზთა კავ-კაწაწებე დაკონებისა და ყირმიზ ლოყებზე დასუნებისაგან. ამაებით ჩვენი მამები ისე გატაცებულნი იყვნენ, რომ მათ ამაების საქებრათ ლექსების წერაც დაიწყეს, რომელ ლექსებშიაც ყველა ე ენი ქება, დიდებით არის ჩამოთვლილი. ეს უვარებისი ლექსები პირველ ხანში იქვე ჩეხებოდა ხოლმე, საცა იგი იწერებოდა, მაგრამ გავიდა ხანი, მათ გაფუჭებულ შინაარსის ლექსებმა ფრთხები შეისხა და გაუჩნდნენ მას თაყვანის მცემელნი, ეს თაყვანის მცემელნი იყვნენ ჩვენ ძველ მწერლებთაგანვე შექმნილი შვილები, მარტოთ მათი მოგვმის, მათი შთამავლობის და მათი ლაზლანდარობის გავლენის ქვეშ მყოფნი. ამ ახალგაზღებმა ცოტა არ იყოს, თავიანთ მამებს გადააჭარბეს ენის თითლიბაზობაში. ესენი უფრო მწარეთ ჰერცებლენენ ქართულს ძველს ლენინებს და ქეიფებზე. ამათ უყვარდათ ქართული ქეიფები; ქართული ენა, ქართული ზღაპრები, ქართული სიმღერები და სხვანი, მაგრამ ყველა ესენი მხოლოდ თავერანთხეის. ესენი დიდათ ქმაყოფილნი იყვნენ ქართველების ძველს წესწყობილებაზე და მისი დიდის პატივის მცემელნიც იყვნენ, ეს რასაკვირველია ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ვინ აამაღლა იგინი და დააწინაურა გვარიშვილობის მედიდურობით, თუ არ ქართველების ძველმა ცხოვრებამ.

უნდა ვსთქვათ, რომ არც ეს შვილები იყვნენ დიდი ცოდნის პატრონნი, ამათთვის ერთი ისიც კმაროდა, რომ საღმე ვოქვათ, ჩვენი ქართველობა გვიყვარსო. ეს აზრებიც ყოველთვის არ ჰქონდათ მათ თავში, ამ ჰაზრების მგმობლათაც ხშირად გამოდიოდნენ ეს პირები. როგორათაც ამათი მამები იყვნენ ათას ნაირის შეცდომებით სავსენი და თავიანთ ცოდვების მორევში ცურავდნენ, ისევე ამ შვილებს დაემართათ და ესენიც მალე ჩაცურდნენ ამ ცოდვის ზვირთებში. ეს ცოდვის შვილები და საძაგლობის ზვირთებში ჩაყრილი პირები ბრძანდებიან ის გმირები, რომელთაც ერთ დროს ჩვენში „თერგდალეულებს“ ეძახდნენ. ამათი რიცხვი შესდგებოდა მარტოთ-მდიდარ თავად-აზნაურთ შვილებთაგან, ამათ თავიანთ მამებზე ცოტა ოდნათ განათლებაც მეტი ჰქონდათ და მის მეოხებით ესენი უფრო კარგათ იცავდნენ თავიანთ ავაზაკურს ინტერესებს.

ამ გვარ ინტერესების დაცვას გარეშე, ესენი მეტის მეტი ალტაცებაში მოდიოდნენ თვისის მამებისაგან დატოვებულ ლექსების ხელოვნებისაგან. ყოველთვის და ყოველგან მხოლოდ ასეთ რამებზედ ჰქონდათ საუბარი. ესენიც გატაცებულნი იყვნენ ქართულის.

ყანწების და უზარფეშებით ქეითუებისაგან, იქ ჩვენთ გამოჩენილთ ძველთ მესიმლერეთ სიმღერებისაგან და ათას ნაირის ქართულის რამებით მოიქაიფეთ ქვეყნის მყვლეფავ და მლლეტავ პირთ მოქმედებისაგან, ეს უვიც პირები, როგორც სხვის ტანჯვაში გამოუცდელნი, სხვათა ტანჯის გაუკებარნი და სხვის ოულით და შრომით განაძლარნი, მოუმზადებელნი იყვნენ ყოველ ნაირს ხეირიან საქმეთ წინ წამყვანს მოაზრეობაშივე; ამათ დაიწყეს თავიანთ მამებისაგან დატოვებულთ გარყვნილთ ლექსების ბეჭვდის ნატერა და ბოლოს იქამდის მივიღნენ, რომ ამ ლექსების ბეჭვდასაც მიჰყვეს ხელი და ხალხში დაუწყეს გავრცელება.

ამათ თავიანთის შემძლებლობის და სახელის ძალით დიდათ იმმართველებს ხალხშე და ეს გარყვნილი შინაარსის ლექსები ერთობ ვანავრცელეს ხალხში. მათის საშუალებით გაჩაღდა ლექსების წერა და ბეჭვდა! აქ ყველა ორბელიანებს, ჭავჭავაძეებს, ერისთავებს და სხვებს ჰბაძავდნენ და ყველა ამათობას ნატრობდნენ! ამ პირთა მეოხებით ჩვენი მწერლობის საქმე ისეთი დაქაქსული იყო და ისეთ მკვდარ მწერლების ხელში იყო შთავარდნილი. რომელთა საშუალებითაც ქართულს მწერლობას მხოლოდ შინაურული მკვდარი, დაბაზული კერძოებითი ხასიათი და დანიშნულება უნდა ჰქონდა. ამ უამპაპა პირებმა ისე გაატარეს თავიანთი ყვავილოვანი დრო, რომ მათ არც ერთ თავიანთ ნაწერს, თუ ნაჯლაბმ ლექსებში თუ პროზაში ერთხელაც არ შეეხებიან თავიანთ თანამედროვე ქართველ დაბალ ხალხის ცხოვრებას.

ავილოთ მაგალითად თუნდ ბატონყმობა და ვიკითხოთ ის, თუ ჩვენი 1850 მწერლები ამ დროის დაბალ ჩაგრულ ერის შესახებ რას გადმოგვცემენ. თავიანთ უნამუსოს მწერლობით, ბეკრს არაფერს. იმ დროს, როცა მთელ საქართველოში ყმათ გასყიდვა და დაწიოკება ჩვენთა გამოჩენილთა მამათა ხელობას შეადგენდა, როცა საქართველოს დაჩაგრულ პირთა გოდება ყოველს კუთხეს მრისხანებით განისმოდა, ამ დროის ქართველ გამოჩენილ უდიდეს სამხედრო პატრიოტ მწერლები კი უზრუნველად განზე დაბრძანდებოდნენ და ნეტარების სიამოვნებით ატარებდნენ დროს. ასეთ უბედურთამდი ყურადღების მიჰყრობა თითქოს ამ ყლაპია პატრიოტ მწერალთ მოვალეობას არ შეადგენდა, არ შეადგენდა მით უფრო, რადგანაც ყველა ამ უბედურებათა მომხდენი პირების ზოგნი მათი მამანი იყენენ, ზოგნი მათი ბიძანი და ხან თვითონ ეს „მამულო დაღუპულო“-ს მომღერალიც ბრძანდებოდნენ. აქეთ გლეხ-კაცობა საქართველოს ძველის ტირანულის ბატონყმურის მონებისაგან იღუპებოდა და იქით კი

ჩვენი სათავად-აზნაურო უნამუსო მწერლები კი ლალის ფერს ლო-
ყებისთვის ღნებოდნენ. ასე რომ ამ ქვეყნის მტვირთველთ და მღლე-
ტავთ პირთ, თავიანთ დროის კვალად თავიანთ თანამედროვე ქარ-
თველ მამულთ მოყვარე პატრიოტებთაგან, უბედურად დამონებულ
და დაჩაგრულთ ქართველ გლეხ-კაცობის შესახებ სიტყვაც არა აქვსთ
ნათქვამი თვის ნაწერებში, არსად ერთი ცნობა, მცირე შეხედულე-
ბა ამათი და კაცად ალიარება.

ამიტომაც ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ აქ, რომ ამ მწერ-
ლებს მწერლების სახელებიც არ უწოდოთ, არ უწოდოთ, მიტომ,
რადგანაც ესენი საქვეყნო და საერო მწერლები არა ყოფილან და
თუ რამ უჯღაბნიათ, ისიც თავიანთის პატარა შავთვალა საყვარლე-
ბისათვის. მართალია ამ მწერლებთ ნაჯღაბნებს დღეს ჩვენში კიდევ
აქვს გავლენა და მნიშვნელობა, მაგრამ ამასაც ვიტყვით, რომ ესეც
კიდევ დროებითაა, რადგანაც ჩვენს საზოგადო ცხოვრების აგებუ-
ლებაში დღესაც კიდევ მათ შვილებს აქვსთ გავლენა და ჯერეთ კი-
დევ მათ აქვსთ ფეხი გამაგრებული. ეს არამც თუ მარტოთ მწერ-
ლობაზე ითქმის, არამედ სხვა ყველა ჩვენს დაწესებულებებზედაც,
ეს ერთის მხრით, ჩვენ ქართველ მუშათა და გლეხებისთვის არც
უნდა იყოს საწყენი, რადგანაც ჩვენ არც გაზეთი გვაქვს, არც უურ-
ნალი, არც თიატრი, არც წერა-კითხვის სამართველო, არც დრამა-
ტიული საზოგადოება და არცარა კიდევ სხვა ასეთი კუჭმაძლრიანთ
დროს გასატარებელი სამართველონი, მაგრამ, აგერ მოახლოედა დრო
და ეს დრო ერთობაც მაღლე იქმნება, როცა სუყველა ასეთ პირთ ნა-
წერები ტახტიდან გადმოიყრებიან და იგინიც ისეთსავე დავიწყებას
მიეცემიან, როგორათაც მიეცნენ დავიწყებას მრავალი ისეთი გამო-
ჩენილი სამხედრო გმირები, რომელთა სიამოვნებისა და სახელის გუ-
ლისთვის აუარებელი სისხლიც იღვროდა. ესენიც ისევ განირინებიან
ჩვენგან, როგორათაც რუსის ძველი მწერალი ბატუშკოვი, ბულგა-
რინი, მარლინსკი, ტრედიაკოვსკი და სხვა ამ გვარები. ამათებური
დრო ჩვენშიაც ერთობ მაღლე დადგება.

ასეთი მიმართვის შემდეგ, მე იმედი მაქვს, რომ მრავალი პა-
ტარ-პატარა თბილ-თბილი პატრიოტები დამიწყებენ საყვედურებს,
რომ დახე როგორ ემტერება ქართულს მწერლობასაო, დახე როგორ
უარსა ჰყოფს სრულიად მასაო. ამის შესახებ უეჭველია კიცხვასაც
დამიწყებენ, მაგრამ ვიდრე ეს იქმნება, მინამდის მე დავაკალებ ჩემს
თანა მემამულე ქართველებს, რომ მათ ჩვენი წარსული და აწმყო მწერ-
ლობის და საზოგადოების არსებობის მსვლელობა შეისწავლონ და მე
იმედი მაქვს, რომ მაშინ ყველა ჩემი უარის ყოფა ჭეშმარიტათ დარ-

ჩება. მტერობასა და კიცხვაში ამას მე ნურავინ ჩამომართმევს, ვირტყვი ჭეშმარიტათ, რომ თუკი ჩვენს მწერლებს და პოეტებს უყვართ საქართველო, მეც ჩემის შეძლების დაგვარათ ასევე ვსცემ საქართველოს პატივს და მიყვარს იგი. მიყვარს არამც თუ მარტოთ ცრუპატრიოტობით და მელიათბით, არამედ ისე, როგორც მოვალეა ყოველი კაცი. მე მაინც ჩემი თავის ქებაში არ შევალ, ეს აქ მხოლოდ სიტყვამ მოიტანა, რაღანაც მე არა ერთხელ მკიცხს იმის და მისაზვეურეს იმას შესახებ, რომ შენ ქართული მწერლების მოკამა-თე ხარ და მწერლობასაც უარს ჰყოფო.

ამაზე უნდა ვსთქმა, რომ, ეს სწორეთაც ასეა და მე ვგმობ ქართულს მწერლობას და მწერლობასაც მიტომ, რადგანაც მე მათს მოქმედებასა და მწერლობაში საერთს და თანასწოროს არას ვხედავ. ჩვენი მწერლობის და ისიც ძველი მწერლობის უარყობა ჩვენგან ერთობ სამართლიერიც უნდა იყოს, რაღანაც ხშირად ამათ მსჯელობას ის უნამუსო რამებიც შეადგენდა, რომ „საქართველოში ბატონიშვილის მამაშვილობა იყოვო“ ვერ ხედავთ, თურმე ჩვენებური ბატონიშვილის მამაშვილობა ყოფილა! გაუმარჯოს ჩვენ ძველ მწერლების მსჯელობას და მათ ჰუმანიურს ჰაზრებს და კაი კაცობას. ასეთს უნამუსო მიმართულებას ადგნენ ჩვენი მამები და ამაებსვეუ ქადაგებდნენ ყოველთვის.

ამ გვარ გამაძლართ და ქვეყნის შეუძლო ერის მჩავრელ ორმა მწერლმაც ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოში ყმას პატრონი ჰყვანდა და არა ბატონიო. მეორე გამოჩენილი და ქართველ ციხე, კოშკთ დიდათ მომტირალი პოეტი ვ. არბელიანის ასევე ჰერომს, ურომ ყმას ჰყავს პატრონი და არა ბატონი, ორნივ ერთნი არიან ყმა და ბატონიო! უჟ! უჟ! ქება და დიდება ჩვენს ბატონიშვილის, ჩვენს წარსულს და სხვა. გარემოებამ ქმნას, რომ ეს მამაშვილური ბატონიშვილი საქართველოს ერს ისევ დაუბრუნდეს, ასე იქმნეს, რომ ამას თვით ეს უკულმართი მაქებარნიც მოესწრან. უჟ! რა სიხარულით მიეგებებიან და!

მაგრამ ვეღარ მიიგართვით. თუ კი მართლა ბატონიშვილი საქართველოში მამაშვილობა იყო და ყმა თვით ბატონის შვილი იყო, ყმასაც ბატონი მამათ მიაჩნდა და ბატონსაც თავისი ყმა მონა თავის ღვიძლ შვილათა, მაშინ ნეტა ვიღა ელტვოდა ამ ძველი მამაშვილური წესების დარღვევას კაი მამაშვილობა ჰქონიათ, კარგი, ამათ მამაშვილობას ის შეადგენდა, რომ ვიდრე მთავრობამ არ აკრძალა მათ, მინამდის ეს საქვეყნო პატრიოტები თავიანთ ყმებს საზოგადოთ ჰყიდდნენ. ჰყიდდნენ გოგოებს, ბიჭებს, ყმაშვილებს, დედა-

კაცებს და კაცებს. ამათ ყიდულობდნენ და მიჰყავდათ იქით საითაც კი წაიყვანდნენ, ისინიც უნდა ვსთქვათ, რომ ყოფილან ისეთი მებატონე პირებიც. რომელიც თავიანთ მონებს ისე არ აწუბებდნენ და სტანჯავლნენ, როგორც სხვა და სხვა სასტიკი ტირანები.

მაგრამ ასეთი გულკეთილი ბატონების რიცხვი ერთობ ცოტა ყოფილა, ასე, რომ მის შენიშვნა არც კი ღირს გარდა ასეთის გაყიდვისა ხშირად ყომარში და კარტშიაც ავებდნენ, ამისთანა შემთხვევების დროს წაგებულ ყმებთაგან აივსნენ ყმებით მთელი თბილისის ბურეუაზიული მოდგმის წურბელა ჩარჩომადგენ მოქალაქეები, რომელთაც ბატონყმობაბდის აუარებელი ყმებიც ჰყანდათ, თეთრი დუქანიც ხომ ამ გაყიდულ პირთა საროსკიპოდ იყო დანიშნული, ჰავლაბრის მიკიტნები და სხვანიც ხომ ასეთ უბედურთა ქალებით იყვნენ სავსეები. ეს დრო და ხანი ისე შორსაც არ არის, რომ ამის ცოდნა ბევრს არ ჰქონდეს.


ესენი დღესაც ბევრს ახსოვს და ხშირადაც ლაპარაკობენ იმ საქველმოქმედებათა მხარეების გამო, რომელსაც ჩვენი ზოგიერთი თავ-პოსლიკა და კისერ-გასუქებული მამები მამაშვილობას უწოდებდნენ. სამარცხეინო არ უნდა იყოს ის, რომ კაცი, რომელიც ეროვნების ძლიერებათა წარმომადგენ ციხე-კოშკი, მონასტრებს სტირის და ქართველის ტომ. ს მომავალში ალორძინებასაც ამათ მართლმადიდებელ სისხლს და საჩრდინების ძლიერებას. მიაწერს, რომ ასეთი პირი ბატონყმურ წესებს კი აქებდეს? აბა რაღა ფიქრი უნდა იშას, რომ ესენი ამ მამაშვილობის შესახებ მხოლოდ იშას დასწერდნენ, რაც მათ სიამოვნებით გამაძლარს და ქეშელა მუცელს და გულს ენატრებოდა. ცხადი საქმეა, რომ ესენი არც ყმათა გასყიდვას მიაქცევდნენ ყურადღებას და არც სხვა ასეთ რამეებს. მწერლობით თუ არ აქცევდნენ ყურადღებას ეს არაფერი, ნეტა საქმით მაინც მიექციათ ყურადღება.

მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ ესენი არც კალშით და არც საქმით დამატებს სულ არ შეჰქებიან, არ დაუწერიათ და არ უთქვაშით რა იმიტომ, რადგანაც მასში, მათის ფიქრით ცუდი, გასაკიცხი არა ყოფილი რა. ამის გამო ალ. ორბელიანმა 1859 წ. „ცისკარში“ წერილიც დაბეჭდა და რაღუცა თავისებურს, ძველებურს ბრმათ თაყვანის საცემ მოსაზრებებს ამტკიცებდა, ამ უკულმართმა მოსაზრებამ უბრალოდ არ ჩიარა და დღესაც არიან ჩვენში მრავალი ისეთი კუჭ-მაძლარ ჭყუის გლახა პირები, რომელნიც თავ-დადადებით იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ არავინ დაამტკიცოს ის, რომ ბატონ-ყმობა საქართველოში მონების მგზავს რასმე გვანდაო. ასეთ

მწერალთ გუნდთ ეკუთვნიან სხვათა შორის მართმაღიდებელის სარწმუნოების დაცვისაგან მოტრფიალე ვ. ორბელიანი, პოდაგოგობით ცნობილი იაკობ გოგებაშვილი, ილ, ჭავჭავაძე და მრავალიც სხვანა მაგრამ რა საჭიროა ამათ წინააღმდეგ მოქმედება და მოღვაწეობა, როცა ჩვენ ამის წინააღმთევ ერთობ ბევრი მასალები და ცნობები გვაქვს და ყველაფერი ეს მართალი და ჭეშმარიტი არის, ამას თავ თავის დროს ფაქტებით დავამტკიცებთ. ხანდისხან ზოგიერთი ვაჟაბატონები ბრძანებენ, რომ რაც იყო იყოვო, ყველაფერი ესენი ჩვენ უნდა დავივიწყოთო. ჩვენ დასავიწყელი მათთან საერთო არაფერი გვაქვს, ეს იქიდამაც აიხსნება და მტკიცდება, რადგანაც მათი ნაწარმოები საერთოდ მთელს ქართველობაში არ ვრცელდება, არც გავრცელდება, და თუ გავრცელდება ესეც მხოლოდ მათებურსავე მოდგმის შეიღებში და ანუ იმ წუწე გლეხის შვილებში, რომელნიც მათ გავლენის ქვეშ არიან და რომელნიც მხადარიან, რომ ერთი სადილის ფასად მათ თავიანთ ზნეობითი მხარეებსაც კი უღალატონ, რა უყოთ! ესენიც თავიანთის კუჭის მრწამისის შიმშილისაგან არიან გაწუწებულნი და გაფუჭებულნი.

უნდა ვსთქვათ, რომ არიან ისეთის ბრმა პატრიოტულის მიმართულების გაფუჭებული წუწე გლეხის შვილებიც, რომელნიც სხვათა გავლენის და ბრმათ თაყვანის ცემის გამო ამასვე ჰქალაგებენ, რომ საქართველოში ბატონიშვილის ბატონიშვილი ისე არა სდევნიდა და სჩაგრავდა ხალხსაო, როგორც ზოგიერთები ჰაფიქრობენ. მაგრამ რა სთქვას კაცმა ასეთ მოტყუებულს ბრმა პატრიოტ პირებზე. ესენი თავიანთის ცრუპატრიოტობის მეოხებ-თ ისე არეულ დარეულან, რომ ალარიციან რა ჰქმნან, საით წავიდნენ, ვის ეცენ, ვინ აღმერთონ და ვინ აღდიდონ. ესენი გულამოსკვნით სტირიან იმაზე, რაც კი წარსულს და ძველს ეკუთვნის. თუმცა მათ ჩვენი ძველის არც კარგი იყიან და არც ავი. ეს ძველის მოყვარე მამულის შვილნი იქამდის გაცნობილნი არიან ჩვენის ძველის ცხოვრებისა, რომ ამბროს ნეკრესელის ქადაგებაზედაც კი ხშირათ საუბრობენ და ამბობენ, რომ ასეთი ქადაგება XVIII საუკუნეში არც ერთ ხალხს არა აქვს. მე კი ამას ვიტყვი, რომ ეს ქადაგება მართლაცა და ისეთი რამ არის, რომლის მსგავსი სულელობა მართლაცა და ბევრს ენაზე არ იქნება. სხვათა შორის აქ არის ნათქვამი: ვინც არ ეზიაროს და ის რომ მოკვდეს, ფეხზე თოვი უნდა მოაბან ძალლებს, უნდა გაათრევინონ. ასევე სხვა ათასი ამისთანები მოიპოვება მაში რომლის ჩამოთვლას მე აქ არ ვსაჭიროებ.

სწორედ იმ წელიწადს, რა წელიწადსაც ერთმა ჩვენმა-
ძველმა მწერალთაგანმა „ცისკარში“ წერილი დაბეჭდა (1859 წ.)
შესახებ საქართველოს ბაზონებობისა და ამტკიცებდა, რომ ჩვენე-
ბური ბატონიყმობა მამაშვილობა იყოვო, სწორედ ამ წელიწადს სა-
ქართველოში გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა სემინარიელი, სემინარიის
კედლებ-შუა ძველს საგნებზე ნატანჯი, სისხლ-გამშრალ პირთა ის-
ტორიის კითხვებისაგან გაბეზრებული და ჩვენთა მამათა იოსელიანე-
ბთა და მისთანა ბოლასლოვებისაგან არა კეთილ და საიმედო პირათ
ცნობილი, დანიელ ჭონქაძე, რომელმაც თავის დროის კვალათ დას-
წერა გვარიანი მოთხრობა „სურამის ციხე“ და რომელიც დაიბეჭდა.
1859 წ. „ცისკარში“ ეს მოთხრობა, როგორც თავის დროის შესა-
ფერი განძი და ლირსეული მასალა ჩვენ ისე საყურადღებოდ მიგვაჩ-
ნია, რომ აქ გვინდა რამდენიმე სიტყვით ამ მოთხრობის დამწერის
ცხოვრებას შევეხოთ და იმასაც, თუ როცა „სურამის ციხე“ დაიბე-
ჭდა „ცისკარში“. მაშინ საქართველოს მაღალმა არისტოკრატიულმა
თავად აზნაურობამ როგორ შეხედა მას, ამის დასაწერ ცნობებისთ-
ვის მე ვისარგებლე „ცისკრი“-ს რედაქტორისაგან, რომელსაც ბევრი
რამ მოსაგონებელი ამბები ახსოვს ჩენის ძველის მწერლობის ის-
ტორიისაგან.



ရုပ်စီမံချက်မှုဆေး၊ ပုလောင်မှုဆေး



...ရီလဲလီလီတဲ့ တာအာလေး!.. ပါမီအိုးပါ ဒါလ်နာတေလာတ ဒေမီလူနာရွေ့ပေလွှဲ... ဖြော နှေးပါ နေ့ရှိ ဂာမီဝါ-
နာရီလဲလီလီတဲ့ တာအာလေး!.. ပါမီအိုးပါ ဒါလ်နာတေလာတ ဒေမီလူနာရွေ့ပေလွှဲ... ဖြော နှေးပါ နေ့ရှိ ဂာမီဝါ-



აზრები

ქართველ გნერლების და გოლვანების ბათონიუმის შესახებ.

პროფესორი ალ. ხახანაშვილი.

ყველაზედ უფრო ფხიზლათ, ალ. ხახანაშვილი მისდევდა ამ კი-თხვებს, ამიტომაც იყო, რომ პატივცემულმა პროფესორმა, ამის შესახებ წერილიც დასწერა და 1896 წ. თფილისში იგი ცალკე წიგნათ გამოსცა, სახელდობრ. „ბატონ-ყმობა საქართველოში“. ეს იყო მაშინ ერთად ერთი წყარო ბატონყმობის შესახებ.

ამ წიგნის გამოსვლით, მე შევიტყვა, რომ პატივცემულ პროფესორს ბატონყმობაზედ ჰქონდა შესაფერისი შეხედულება... ამიტომ, მე ვაკნობე მას ჩემი მასალების ამბავი; პროფესორს დიდათ ესია-მოვნა... თფილისში რომ ჩამოვიდა, მე მნახა, ჩემი მასალები გაიცნა და მადლობის გარდა დახმარებაც დამპირდა. სამწუხაროთ, სწორედ ამ ხანებში, მას ავადმყოფობამ მოუსწრო და გარდაიცვალა...

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე.

ცნობილი მწერალი და მოღვაწე. ის იყო ღარიბი აზნაურიშვილი და ამასთანვე დიდათ მოძულე ბატონყმობის. ან. ფურცელაძემ გაარჩია დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომელიც დაიბეჭდა უურნალ „ცისქარში“ 1863 წ. მს პირველი მაგალითი იყო ქართულ ენაზედ, რომელშიაც დაიგმო ბატონყმობის წესები... თვით ანტ. ფურცელაძესაც მოჰყავს თავის მოთხრობა „მართა“-ში ნიმუში, სადაც ქართლელი აზნაური, თავის ყიდის გოგოს მექებარ ძალში სცვლის. როცა ანტ. ფურცელაძემ შეიტყო ჩემი მასალების კრების ცნობები, მას დიდათ ესიამოვნა, ერთ დღეს საღილათ დამპატიუა, თავის სახლში და დიდი მადლობაც მითხრა.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი:

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ბატონყმობის წე-სები სასტიკათ სძულდა. ეს სენი მას გასაგონათაც კი არ უნდოდა,

ეზიზლებოდა. 1885 წ. გამოვიდა საბარშო უურნალი „ნობათი“, რომლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი: „პაატა თემური-შვილი“.

„ნობათი“-ს გამო, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა დასწერა იაკ. გოგებაშვილმა, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „ივერია“-ში. ამ წერილით დაჰმო მან ბატონიშვილი, რედაქტირა უსაყვედურა „პაატა თემური-შვილი“-ს დაბეჭდვის გამო, მეც სასტიკათ გამკიცხა; მერე მე ვნახე იგი და მან მომმართა ასეთი სიტყვებით:

„საქართველოში ბატონიშვილი იყო ბოროტ კაცთა ხელობა, იგი არ იყო სამეფოსაგან დამყარებული წესები, არამედ ავკაცთა ბოროტის მოქმედების ნაყოფი. ბატონიშვილის გამო, საქართველოში, ბაზონსა და უმებს შეა გამუდმივებით მტრობა არსებობდა“. საბარშვო უურნალში კი ასეთი ცნობების დაბეჭდით მას დიდს დანაშაულათ მიაჩნდა.*)

ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

ცნობილი მწერალი და მოღვაწე ბატონიშვილის შესახებ, მან დასწერა მოთხოვობა: „გლუხის ნაამბობი“, რომლის დასაწყისიც მანვე დაბეჭდა 1863 წ. თავის უურნალ „საქართველოს მოამბე“-ში. იგი მთლათ დაიბეჭდა 1873 წ. უურ. „კრებულ“-ში.

ილია ჭავჭავაძემ, ამ სენის შესახებ, დასწერა მეორე ნაწარმოებიც, სახელდობრ: „რამდენიმე სურაო ყაჩალის ცხოვრებიდან“. ამ პოემაში გამოყვანილია გლეხი კაკო, რომლის ყაჩალად გავარღნაში ბატონს უძევს წილი... ბატონს კაკოს მოხუცებულ მამას სცემა, ეს ველარ მოითმინა კაკომ, ბატონი მოჰკლა და ზაქათალაში ყაჩალ ბლავიაშვილს შეუერთდა. ეს პოება დაიბეჭდა 1863 წ. უურ. „საქართველოს მოამბე“-ში.

ამ ამბვის მეორე ვარიანტიც არსებობს, ამაში მოყვანილია ცნობა, რომ კაკო ყაჩალის ბატონი, პირველ ლამეს იყო ჩვეული; კაკო თურმე ცოლს ირთავდა, მაგრამ ბატონი ნებას არ აძლევდა, ეუბნებოდა, რომ შენი ცოლი პირველ ლამე ჩემიაო. კაკო ამას არ შერებოდა, ბატონის მოკვლაც ამან გამოიწვია. ამ ამბის შესახებ მე ერთხელ ილ. ჭავჭავაძეს ცნობა ვკიოხე, მან სთქვა:

* 1 მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალებში იყვნენ ერთგვარი პირნი, რომელთაც, „პედაგოგიური“ თვალთსასრისით მიუღებლათ მიაჩნდათ, განსაკუთრებით სამოსწავლო ასაკთა უურნალებში, იმ სიმუხტლე-სივერაგეობის აღნუსვა, რასაც სჩადიოდნენ თავად-აზნაურები... ამ დროს კი: „მამაო ჩვენო“-ს და „ბოვე ცარია ხრანი“-ს სასურველათ სთვლიდნენ...

„ეს პმბაში მეც ვიცოდი, მაგრამ ვერ დავსწერ, რადგან ცენ-ზორი დაბეჭდვის ნებას არ მომცემდა“ - ა... ეს პოემა ცალკე წიგნათ გამოიცა 1879 წ. თფილისში.

დანიელ ჭონქაძე.

დანიელ ჭონქაძემ დასწერა „სურამის ციხე“ ამ მოთხრობის დასაწყისით დაიბეჭდა უურნალ „ცისკარ“ -ში 1859 წ. და იგი დამ-თავრდა 1860 წ. „ცისკარი“ -ს პირველ ნომერში. „სურამის ციხის“ შესახებ აღრინდელ უურნალ „ცისკრი“ -ს რედაქტორმა, ივანე კერე-სელიძემ, შემდეგი მიამბო, რაც მომყავს უცვლელათ: „სურამის ცი-ხემ“ იმ დროის ქართველს საზოგადოებაში საკმარისი ბჟობა და უსიამოვნობა ასტება; მე ბევრნი დამემდურენ, რომ „ცისკარ“ -ში დავბეჭდე იგი. დანიელ ჭონქაძე ისეთი თვისების ახალგაზრდა კარ-გი მწიგნობარი იყო, რომ იგი ბევრს კარგ რაზეს დასწერდა, მაგრამ ბედმა ულალატა.

„სურამის ციხე“ დამთავრდა 1860 წ. „ცისკარ“ -ში პირველ № -ში, ხოლო იმავ ზაფხულში, დანიელ ჭონქაძე გარდაიცვალა ქ. თფილისში. ამის გარდაცვალება ჩემთვის თავზარ-დამცემი მეხი იყო... მაგრამ შეწუხებულმა მაინც შევძელ მის დასაფლავებაზედ და-სწრება და მისი სიკედილი ლექსითაც შევამკი.

1869 წ. პეტერბურგის ქართველ სტუდენტებმა ცალკე წიგნათ გამოსცეს ილია ჭავჭავაძის მოთხრობა. „კაცია ადამიანი“ და წიგნის კანის ბოლოზედ გამოცხადებული რყო, რომ „იბეჭდება და მალე გამოვა დანიელ ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ დამწერის სურათითო“.

შემდგომ პეტერბურგში, ეს მოთხრობა არ გამოიცა... იგი გა-მოვიდა თფილისში, მისი გამომცემილი იყენებ პოეტი იოსებ ბაქრა-ძე და გ. ჩარგიანი. დანიელ ჭონქაძის შესახებ, საფუძვლიანი გარ-ევა დასწერა ფილიპე მახარაძემ, რომელიც ცალკე წიგნათ გამოსცა 1906 წ.

პოეტი რაფიელ დავითის-ძე ერისავი.

1860 წლებში ერისთავმა დასწერა ურთი ლექსი, რომელიც „ცისკარ“ -ში „ცისკარის“ დაიბეჭდა. ეს ლექსი არის კარგი განძი თავის დრო-ის კვალათ, მას ეწოდება „მთხოვნელი მსაჯულისაღმი“. ამ ლექსში გამოყვანილია ამბავი: საღაც მშობლები, მოსამართლე მსაჯულს ეხვე-წებიან, რომ ჩვენი შვილი ბატონყმობისაგან გაათავისუფლეთო“.*)

*) თვითონ ამ ლექსის ავტორი საკმაო ყმებისა და მამულის პატრონი ოყო მიუხედავათ ამისა, მას ერთი თავის ყმაც კი არ გაუნთავისუფლებია.

პოეტი აკაკი წერეთელი.

აკაკის მამის, როსტომ წერეთლის ნაყმევი, მოხუცი კაცი, მე ვნახე აჭარაში, 1890 წელს. ის გახლლდათ ალექსი ლაბაძე, მან მიამბო, აკაკის მამის, როსტომ წერეთლის შესახებ, შემდეგი:

„მე ყიყავ როსტომ წერეთლის ყმა, იგი მტანჯველი იყო ყმების და დამტანჯა შეც. მე მას გამოვექეცი და აქ მოვედი 1864 წ. შემდეგ აქ ვსცხოვრობ, აკაკის დედაც არ იყო კარგი თვისების ქალიო“. ამ კაცმა როსტომ წერეთლის და მის მეუღლის ბევრი ავიამბები მიამბო. ერთ დროს ეს ამბავი მე აკაკის უაშე და მან განმიცხადა:

„მამა ჩემი, ბოროტი თავადი იყო და მისი მადლობელი არც მე ვარ; აბა ერთი შენა სთქვი, ზურაბ წერეთლის მეგობარი განა შეიძლება, რომ კარგი ყოფილიყო?! ხოლო—დედაჩემზე კი ცოდვა არის ავობა ითქვას, მან ექიმობა იცოდა, სოფლის ხალხს უფასოთ ექიმობდა და ამიტომ დროც აღარ ჰქონდა, რომ თავისი ყმები ეტანჯა“. აკაკიმ შეიტყო ჩემი მასალების ცნობა და იგი ამისათვის კმაყოფილიც დარჩა. მეც შემაქო და სთქვა: უამ სენის შესახებ, ჩვენში. არაფერია დარჩენილი და კარგი იქნება მისი შეგროვებაო“.

გიორგი წერეთელი.

ა. 3. 18

ცნობილი მწერალი და მოღვაწე. იყო დიდად უკმაყოფილო, რომ საქართველოს ერის ბატონიყობის შესახებ, არაფერი ცნობები გვქონდა შეკრებილი და დაცული ქართულ მწერლობაში. ჩემი წერილი „პაატა თემურიშვილი“ დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“, ამ წერილში დაგმობილი იყო ბატონიყობის წესები და ყმების მტანჯველი. მუხრან-ბატონიც. გიორგი წერეთელმა ეს წერილი რუსულათ სთარგმნა და თარგმანი მოადაგა თფილისის რუსულ გაზეთ „აჭარაში“: გ. წერეთელმა როცა შეიტყო ჩემი მასალების ცნობა, იგი დიდი მადლობელი გახთა.

სერგეი სვიმონისძე მესხი.

სერგეი მესხი, დიდი მუშაკი გახლავთ ქართულ მწერლობაში, მისმა გაზეთ „დროება“-მ გაავრცელა ქართველ მუშებსა და ხელო-სნებში წიგნების კითხვა, მან ბევრს მუშას და გლეხს ააღებინა ხელში კალამი და წერა დააწყებინა. მეც მან წამაქეზა.... სხვათა შორის, მან დაბეჭდა ჩემი. წერილი ბატონიყობის ისტორიის შესახებ: „დაზნელების ამოწყვეტა ქართლში“, რისთვისაც საყვედურიც მიიღო ზოგიერთ ქართველ მწერალთაგან..“

ვაჟა ფშაველა

ვაჟა ფშაველა, ჩემთან სკოლობდა 10 წლის განმავლობაში. მან კარგათ იცოდა, რომ მე ვაგროვებდი ბატონყმობის ამბებს. 1884 წ. მითხრა: „კაცო, მე ამ ბატონყმობის არასფერი ვიცი, მამაჩემმა კი ამის შესახებ რაღაც ზეპირი ამბები იცის!“ ამიტომ იმავ წლის სექტემბრის ნახევარს, მე გავყევი ვაჟა-ფშაველას მათს სოფელ ჩარგალში და იქ ვიცხოვო თრი კვირა. ლუკა რაზიკალაშვილის მამას, მღვდელს, სკოლნიყო მხოლოდ ერთი ამბავი.

ბეჭედების თი ალექსანდრე ყაზბეგი

ალ. ყაზბეგი ძრიელ დაინტერესებული იქო ჩემი მასალების შეკრებით; როცა ეს ამბავი შეიტყო, მითხრა: „მე რომ მცოდნიყო შენ ეს ცნობები გქონდა, ჩემს პირსა, „ყაჩალი არსენა“-ს შენის ცნობებით დავწერავდი“. მე კი ვმაღლავდი, რადგან ზოგნი წინაღმდეგნი იყვნენ ასეთის მასალების შეკრების და ამიტომაც არავის ვატყობინებდი. ამის შემდეგ, როცა კი საღმე მნახავდა ალ. ყაზბეგი, ყოველთვის იმას მკითხავდა: მასალები ხომ არ დაკარგეო. საგიშეში იგი სამჯერ ვნახე, სამჯერვე ეს მასალები გაიხსენა და დამავალა, არ დაკარგოვო.

ეგნატე ინგოროვა.

დიდათ მოხარული იყო და ყოველთვის დიდის თავაზით ეპყრობოდა ჩემგან შეგროვილ ძასალებს, ნამეტურ გურიის შესახებ. მას დიდათ ენატრებოდა ამ მასალების დაბეჭდა, მაგრამ ეს იმ დროს მოუხერხებელი იყო. ცენზურა ნებას არ რთავდა. ეგნატეს ხშირად მთელი ღამეები გადაუთენებია ბატონყმობის მასალების კითხვაში, მემუდარებოდა, როგორმე მოახერხე დაბეჭდვა და არ დაკარგოვო.

ფილიპე შახარაძე,

ერთ დროს, ამ მასალების პირველი წიგნი, ფილიპე მაზარაძეს ვათხოვე, ეს მასალები მასთან მთელი წელიწადი დარჩა, მაშინ ფ. მახარაძე ქუთაისში სცხოვრობდა. ერთი წლის შემდეგ დამიბრუნა დიდის მადლობით და მითხრა, რომ ამ მასალებით მე ვისარგებლეო. 1906 წ. მან დაბეჭდა: „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, ცალკე წიგნათ და იქ ეს მასალები პატივის ცემით მოიხსენია.

1921 აპრილის ოვის შუა რიცხვებში ვნახე იგი, ლაპარაკი გვქონდა, მან ეს მასალები მოიგონა და მისი დაბეჭდვაც ინატრა.

მიხეილ ცხაკაიძე.

მიხა ცხაკაიძა ჩემი ძველი მეგობარია, ჩვენ ერთმანეთში კარგა ხნის განმავლობაში გქვინდა მისვლა-მოსვლა. ჩემს ცხოვრებას იგი კარგათ იცნობს, ახალგაზრდობიდანვე. ხშირათ გვქონია ბატონყმობის შესახებ ლაპარაკი; ამის შესახებ მას ხშირათაც ულაპარაკინია ხოლმე. თფილისში რომ სწავლა დაამთავრა, მის შემდეგ იგი თფილის მოსკილდა და თითქმის 25 წლის განმავლობაში აღარ მინახავს. 1923 წელს პირველად ვნახე, და ამ წელს კი, ანუ 1924 წ. აპრილის თვეში, კიდევ მიველი მასთან, გადავეცი ჩემი მასალების პირველი წიგნი და ვსთხოვ. ამ წიგნის გაცნობა. მიხა ცხაკაიძა ეს წიგნი სიამოვნებით მიიღო. წიგნი დარჩა მასთან რამოდენიმე დღეს, შემდევ ვნახევი, მან დაიდის თანაგრძნობით დამიბრუნა ხელთხაწერი და თან მირჩია ამ წიგნის დაბეჭდვა, რომ ხელნაწერები არ დაიკარგოს.

მისი სიტყვით მეც წავქეზდი და მოვკიდე ხელი, გამოცემას.

ნოე უორდანია.

ნოე უორდანია ჩემს სახლში კარგა ხანს სკვერობდა, ნ. უორდანია კარგათ იცნობდა ჩემს მუშაობას ბატონყმობის დარგზედ, იგი ჩემს ასეთს შრომას ყოველთვის სიმპატიური თვალით უმშერდა და ბატონყმობის არსებობას, საქართველოს ერის საზარალო საქმეთ სთვლიდა.

გიორგი ფელიქსისძე ზდანოვიჩი.

(გ. მაიაშვილი) 20 წლის პატიმრობის შემდეგ, გ ზდანოვიჩი განთავისუფლებული იქნა ციხიდან. რუსეთიდან თფილისში ჩამოვიდა, მე ვნახე იგი, მიულოცე განთავისუფლება და საქართველოში დაბრუნება. გიორგიმ მკითხა: „შენი მასალების საქმე როგორ არის, აგროვებ კიდევ თუ თავი დაანებებ“?

— ეხლა დრო არა შაქეს, რადგანაც უურნალ „კოლოსისთვის“, ვსწერ კარ. მარკესის „კაპიტალი“-ს პირველი და მეორე ტომების პო-ჟულიარულ ახსნა განმარტებას, მათი გათავების შემდეგ, მე უნდა ვნახო ყველა შენი მასალები!.. გიორგი როცა ავათ იყო, მე ვნახე (ქუთაისში, თავის სახლში) და თუმც ლაპარაკი აღარ შეეძლო, მე მაინც სიამოვნებით მელაპარაკა, მოიგონა ჩემი მასალების საქმე და სინაული გამოაცხდა, რომ ეს მასალები ვერ ვნაუ უზროვობის გამოვო. როცა კარგა გავხდები მაშინ ვნახამო. დამავალა გაუფრთხილდი და არ დაკარგოვო. ამის შემდეგ, იგი ჭალე გარ დაიცვალა.

ივანე ივანეს ძე კერქელიძე.

აღრინდელი ძველი ქართული უურნალისტი. ივანე კერქელიძე ჩემი ქარგი მეგობარი იყო. ერთხელ მასთან ლაპარაკი ჩამომივარდა. ყაჩალი არსენა ოძელაშვილის ცხოვრების შესახებ, და მე დავგმე არ-სენას ბატონის ბოროტება. მაშინ ივ. კერქელიძემ მიამბო, რომ არ-სენა ჩენ სოფელ, ბოგვში, სცხოვრობდა. ერთხელ მე გავყევი ივანე კერქელიძეს სოფელს ბოგვში, ეს იყო 1885 წ. ბოგვში ქარგა ხანს დავრჩი, იქ ვნახე სოფ. ბოგვის მღვდელი ქველივიძე, რომელმაც ბევ-რი ამბავი მიამბო არსენას შესახებ.

არსენას ამბებზე ივ. კერქელიძესთან ლაპარაკი მომიხდა. მან მითხრა: „შენი სიტყვა მართალია, რასაკვირველია, არსენას დაღუპ-ვაში მის ბატონს უქევს წილი, მაგრამ მაშინ დრო ისეთი იყო და ამ გვარათ ყმების დევნაც წესათ იყო მიღებული. ალექსანდრე ორბე-ლიანი შესანიშნავი ქართველი მამულის შეილი იყო, შაგრამ ერთხელ მან ქართლში, ერისთავისაგან ერთი ოჯახი გლეხისა 100 მანეთში იყი-და, მერე ეს ოჯახი მან თეთილისში ჩამოიყანა და 150 მ. გაყიდა. აბა რა მოსაწონი საქმე იყო, მაგრამ დრო იყო ისეთი და ასეთი საქ-მეებიც მიტომ ხდებოდა“...*)

პოეტი გრიგოლ ორბელიანი.

ერთხელ, პოეტმა ლაპარაკი დამიწყო, ჩემგან ახლათ გამოცემულ წიგნების შესახებ. სხვათა შორის, მან განმიცხადა: „საქართველოში ბატონებისა კი არ იყო, არამედ პატრონ-ყმობა იყო**). ბატონების მონება საქართველოში 1800 წლის შემდეგ შემოვიდა, რუსის მთავ-რობის წყალობით. რუსეთის მთავრობამ დაუმონა გლეხები მებატო-ნეებს და მასთან დაუდგინა სასტიკი წესიც და მაშინ პატრონ-ყმობაზე შეიცვალა“.

პოეტი ვახტანგ ორბელიანი.

ეს იყო ძმა ალექსანდრე ორბელიანის, ამათი დედა ვახტანგი მეფე ერეკლეს ქალი, თეკლე. ორბელიანთან ქართული მწერლობის შესახებ ლაპარაკი დავიწყე. მერე მე უთხარი პოეტს: ალექსანდრეს

*) ასეთ „მამულიშვილებს“, დდეს, ლირსეული პასუხი გასცა მუშამ და გლეხმა... მათი ხსენება ზიზლსა და საუკუნო გაკიცხვას იწვევს გამოფხიზლებულ აზროვნობაში... რედ.

**) ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პატივებული მკითხველი ვადაათვა-ლიერებს ამ წიგნში მოყვანილ მასალებს და დარწმუნდება თავადების „პატრონ-ყმობის“ ლირებულებაზე. რედ.

წერილი, „ბატონყმობა საქართველოში“, ბევრს სწყინს, მყვედრიან, რათ დაგბეჭდე, რადგანაც იქ ნათქვამია, რომ საქართველოში ბატონყმობა „მამაშვილობა იყო, ანუ პატრონ-ყმობაო“... პოეტმა მოისმინა ჩემი სიტყვა და განაცხადა:

„დიახ, მართალია ჩემი ძმა აღექსანდრეს წერილი, სწორეთ ხსნის, საქართველოში ბატონყმობა მამაშვილობა იყო და პატრონ-ყმობა. ბატონყმობის მონება საქართველოში რუსებმა შემოიტანეს*) და გააზიადეს. ეს ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენში ბატონყმობა არ იყო, იყო პატრონ-ყმობა. მაშინ თვით გლეხი ეძებდა ბატონს, რადგანაც მაშინდელი გლეხის ბატონი, იყო მისი პატრონიც“ ...*)

ამისთანა ლაპარაკი ჩემგან პირველი გაგონება იყო და მის მასალებს კი, ჩვენ მწერლობასა და ისტორიაში ვერსად ვშოულობდა კარგა ხნის შემდეგ, პოეტ ვახტანგ ორბელიანმა დასწერა ერთი პოემა, რომელიც მჯშინდელ უურნალ „ივერია“-ში დაიბეჭდა. იქ ერთ ალაგას ასეთ სიტყვებს ამბობს იგი ბატონყმობის შესახებ:

„ყმას ჰყავს პატრონი
და არ ბატონი,
ორნივ ერთნი არიან
ყმა და პატრონი“.

მირიან ხუხუნაიშვილი.

მიმღინარე წელში მან გაიცნო ჩემი ხელთნაწერები და მასთან ბატონყმობის ცნობებიც. მცირე ხანს შემდეგ ამ ბატონყმობის მასალების გამოცემაზედ ლაპარაკი დამიწყო. ამ საქმისათვის მან მიხა ცხაკაიასთან გამგზავნა; მიხა ცხაკაიასთან მისვლის შემდეგ, მირიანმა ამ მასალების გადათვალიერებას ხელი მოჰკიდა. ეხლა მასალები იბეჭდება მირიან ხუხუნაიშვილის თავოსნობით. თუ არა მიხა ცხაკაია და მირიან ხუხუნაიშვილი, უამათოთ ჩემი მასალები სინათლეს ვერანახავდნენ.

ამით ვათავებ ცნობების მოყვანას. მყითხველი თითონ გადააფისებს თითოეულ პირის აზრს და საონადო დასკვნას გაუკეთებს.

¶. 3.

*) ნუ დაგივიწყებთ, რომ ეს სიტყვები თავად ორბელიანს ეკუთვნის!..

ბატონიშვილის მასალების ქრეფა მე დავიწყე 1873 წელს და და
ვამთავრე 1890 წელს. იმის შემდეგ ამა თუ იმ დეტალიზაციას თუ
უკეთებდი, ეს იყო და ეს. მიუხედავათ ლრმა სურვილისა, ამ მასა-
ლების გამოცემა დღემდე ვერ მოვახერხე. მიზეზი მარტო ფულის
უქონლობით არ ამოიწურებოდა, არამედ იმ ატმოსტერით, რომე-
ლიც გარს ეხვია ბეჭდვითი სიტყვას.

მკითხველს უეჭველათ დააინტერესებს, თუ როგორ ვახერხებდი
ამ მასალების დაგროვებას და რა აზრმა მიმიყვანა ამ სურვილამდე,
ვეცდები ამის შესახებ შემდეგ ტომებში მოუთხრო, რადგან ესეც არ
არის მნიშვნელობას მოკლებული.

¶. ვიგინაძე.



კატივცხალ მკითხველთა საჭურადლებო თ.

„საქართველოს ბატონიუმობის ფაქტიური მასალები“ — დანაწილებული გვაქვს ექვს ტომათ.

თვითეულ ტომში გამოყოფილია ცალკე განყოფილებებათ: ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი და აჭარა.

სპეციალური განყოფილებები აქვს მიკუთვნილი: ა) ყმებით ვაჭრობას და ბ) საერთო მნიშვნელოვნების ამბებს.

ამ ტომში სხვათა შორის შედის „ბატონიუმობის დროის ქართველი რევოლუციონერები“.

რედაქცია ცდილობს ისტორიული ცნობები არ გადააშანინჯოს და შეუნარჩუნოს მას დედანის მართლწერა და კილო...

... თუ ვინიცობაა, ამ მხრივ იმედები, საფხებით, არ გაგვიმართლდეს, რედაქცია სთხოვს პატივცემულ მკითხველთ ნუ დაგვემდურებიან.

რედაქცია.

I.

ଶବ୍ଦଗଠନ ଧାରଣାକ୍ଷମ.

ବାସାଳ୍ଲାପି.

გლეხ უასთა რჯახოგით დაცულდვის მასალები.

„საქართველოს გაზეთი“.*)

1819 წ. № 38.

1.

ტ რ რ ლ ი **)

გორის მაზრის, სოფელ დავრის მცხოვრებნი, ბარძიშ მა-
ჩაბეჭლოვის ყმა დათუა კვალანაძე, გაისყიდება თავის ცო-
ლით, ვაჟით, ქალიშვილებით, ძმის წული ნონიათი და ვე-
ნახით იმ ას ოკლასამ რუბლში,***) რომელიც მართებს მას
აზნაური გაბაშვილის ქალის, ელისაბედის. ამათის გას-
ყიდვის ვადა დანიშნულია ამა წლის ნოემბრის 20 და დე-
კემბრის 6/20 რიცხვებში.

2.

ტ რ რ ლ ი

თელავის უეზდის, სოფელ ფიჩხვის მცხოვრები, რვა კომ-
ლი ყმა, ლუბერსკის სექრეტრის ნათიოვისა, გაისყიდება
იმ ათას ას ოცს რუბლის ვერცხლის ვალში, რომელიც მას
მართებს ლუბერსკი სექრეტრის თავადის მელიქ-ზადე ბე-
ბუთოვისა. ამათის გასყიდვის ვადა დანიშნული არს ამა
წლის ნოემბრის 20 და დეკემბრის 6/20 რიცხვებში.

*) „საქართველოს გაზეთი“ დაარსდა 1818 წელს. მისი ზომა ერთი თაბაზი
იყო. ზემოხსენებული ცნობები იბეჭდებოდა როგორც განტადება. მისი გამოცემა
შეწყდა 1820 წელს.

**) როგორც განვაცხადეთ, ისტორიულ საბუთების და საერთოდ არჩივე-
ბით თუ მომსწრე თვით მნახველთა ნაამბობების კილოს და მაროგამოთქმას, ანუ
აწერას ვსტოვებთ უცვლელათ.

***) რუბლი—მანეთი:

ეს ორი ცნობა-ლა არის მოყვანილი იმ ერთად ერთს № 38 გაზეთში, რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში, ჯერ კიდევ 1873 წელს. ამ გაზეთის ნომრები მაშინაც ძლიერ იშვიათი იყო. ამის მიზეზი გახლდათ შემდეგი: 1829 წელს თფილისში იწყო გამოსულა სოლ. დოდაშვილის რედაქტორობით გაზეთ „თბილისის უწყება“-შ. 1832 წელს, საქართველოში, რუსის მთავრობამ აღმოაჩინა ევრეთ წოდებული „ფარული საზოგადოება“,*) რომლის მოთავეთ სოლომონ დოდაშვილი ითვლებოდა. ამიტომ ის იქმნა დაპატიმრებული, „თფილისის უწყება“-ს სტამბა აღმდევდილი, დოდაშვილი კი ციმბირში გადასახლებული. რადგან მთავრობამ ეჭვი შეიტანა აღრინდელ გამოსულ ქართულ გაზეთებშიც, გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით ყველა მოქალაქენი მოვალენი იყვნენ წარედგინათ მთავრობისთვის ხელზედ ქონებული ქართული გაზეთები. ამ რიგათ მოისცო ყველა 1832 წლ. გამოცემული ქართული გაზეთები.

3.

ქართლ-იმერეთის გუბერსკი სამართველო აცხადებს, რომ 1846 წ. თებერვლის 25-სა, გაისყიდება ორი კომლი გლეხ-კაცებისა, რომლებიც დარჩენიან, სიკვდილის შემდეგ თავად სოლომონ ამირა-ჯიბს: სოსია ცივცივაძე და ივანე სამხარაძე, იმათის უძრავის და მოძრავის ქონებით, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფელ ტიღვში. დაფასებულია ათის წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით 592 მან. რომელიც მართებს მას, ქართლ-იმერეთის საზოგადო პრი-კაზისა 581 მ. 66 კაპ. მსურველთ და მყიდველთ შეუძლიათ გამოცხა-დნენ დანიშნულ დროს გუბერსკი სამმართველოში.

4.

1846 წ. 18 თებერვალს, გაყიდულ იქნება ყარამან არლუთაშვი-ლის ვალში, მისივე ყარათა ერთი კომლი: კიკოლა ტურუჭაშვილი, თავისი უძრავი და მოძრავის ქონებით, რომელსაც წლიური შემოსავა-ლი 44 მ. 30 კ. აქვს; 10 წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფა-სებულია 443 მანეთად.

5.

1846 წ. მარტის 18, შარვაშიძის ვალში, გაყიდული იქნება მისივე გლეხი გაბრიელ ცალაშვილი, მისის უძრავი და მოძრავის ქო-

*) აფარული საზოგადოება – შეთქმულება ქართველ თავად-აზნაურთა და მოწინავე ინტელიგენციისა რუსის მთავრობის წინააღმდეგ.

ნებით, ომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფელ სასირეთში, შესდგება ვენახით, სახნავი მიწით და სახლკარით. წელიწადში შე-შოდის 17 მან. 10 კაპ. ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით და-ფასებულია 711 მან.

ამავე დროს, იქნება გაყიდული თავადი ხერხეულიძის ვალში, მისივე ყმანი: გიგო სამხარაძე და ალექსი სამხარაძე, თავი-ანთის უძრავის და მოძრავის ქონებით, ომელთაც წელიწადში რ6 მან. 60 კაპ. მოაქვს; ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით და-ფასებულია 666 მ. მდებარეობს გორის მაზრის სოფლის ნაბაკევში.

6.

1846 წ. მარტის 28-ს თავად ციციანოვის ვალში გაყიდულ იქმნება მისივე ყმანი: გორის მაზრის სოფელს ხიდისთავის ნაწი-ლის მცხოვრები დათიქა იაკაშვილი და სოფელს ხველურეთის გლა-ხა ახალკაცი, მათის ოჯახით, უძრავის და მოძრავის ქონებით, ომ-ელსაც წელიწადში 32 მან. 30 კაპ. მოაქვს, 10 წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 323 მ.

7.

1846 წელს, 15 მარტს, ქუთაისის სუდში, აზნაურ მიქელაძის ვალში გაიყიდებიან, მისივე ყმანი სოფელ კულაშში მცხოვრებნი: ვაბრიელ ხოჯალია, გლახა ხოჯალია და სავა ხოჯალია, თავიან-თის უძრავის და მოძრავის ქონებით, ომელთაც წელიწადში 51 მან. 31 კ. მოაქვს; 10 წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 513 მან. 10 კაპ.

8.

1846 წ. მარტის 26-ს ჩიჯარაძეთა ვალში გაიყიდება მისი ყმა, სოფ. ოპაშვეთში მცხოვრები, გიორგი ველიაშვილი თავის მამულით, ომელსაც წელიწადში 15 მან. მოაქვთ; 10 წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 150 მან.

9:

1846 წ. აპრილის 18-ს, დანიშნულია ტორგი, სადაც სოლომონ გურგენიძეს ვალში გაისყიდება მისივე ყმის ოჯახი, ომელიც შესა-დგება სამი ვაჟის და ოთხი ქალისაგან, თავიანთის მამულით, ვენახით და სახლ-კარით, ომელიც მდებარეობს თფილისის უეზდის სართი-ჭა-ლის უჩასტეკის სოფელ მარტყოფში. მამულს წელიწადში 47 მან. შე-მოაქვს, ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 472 მან.

10.

1846 წ. 22-ს აპრილს, ხერხეულიძეს ვალში გაისყიდება მათი—
ვე ყმათა, ორი ოჯახი, თავიანთის უძრავ და მოძრავის ქონებით.

11.

1846 წ. მაისის 13-ს აზ. ლორთქიფანიძეს ვალში გაიყიდება მი—
სივე ყმის ოჯახი, რომელსც სახელად გოგლა იორიშვილი ჰქვიან—
და სცხოვრობს სოფელს ჯიხაისში. ამათს ბალს და სახნავს მიწას,
წელიწადში 27 მან. 60 კაპ., მოაქვს, დაფასებულია 276 მან.

12.

1846 წ. მაისის 6-ს აზ. ხოჯაევის ვალში, გაისყიდებიან მისი—
ვე ყმანი, რომელნც სცხოვრობენ რაჭის მაზრის სოფ. ჩაგანში, სულ—
თერთმეტი კომლია, მათში 40 კაცი, 32 დედაკაცი. ყველა ამათ აქვთ
64 $\frac{1}{2}$, დღიური სახნავი მიწა 12 ვაზის ვენახი, ამათი წლიური შემო—
სავალი 198 მან. 96 $\frac{1}{2}$ კ. დაფასებულია 1986 მან. 65 კ.

13.

1846 წ. აპრილის 22-სა, შინეილ ხერხეულიძის ვალში, გაისყი—
დებიან მისივე ყმის ორი კომლი, რომელნც სცხოვრობენ სურამის—
ნაწილის სოფელ კელენწელში,* მთლათ ორი ოჯახი, შეიღებით
ვენახებით და სახნავ საოცის მიწებით დაფასებულია 1172 მანეთში.

14.

1846 წ. მაისის 30-სა აზ. ქარუმიძეს ვალში გაისყიდება, გო—
რის მაზრის სოფელ თორტიზაში მცხოვრები ყმის ერთი კომლი: პეტ—
რე რამიშვილი თავის ძმებით, სახლით, ვენახით და სახნავი მი—
წით, წლიური შემოსავალი 15 მან. დაფასებულია 150 მან.

15.

1846 წ. ივნისის 13-სა მ. ცოციანოვის ვალში, გაისყიდე—
ბიან მისივე ყმანი სოფელ კეხიჯვარში და ქარელში მცხოვრებინი.
ყმათა რიცხვი სამი კომლია, სახელდობრ: კიქო მეტრეველი, გრიგო—
რი მეტრეველი და სიმონ ჯავახიშვილი, თავიანთის სახლობით, სახ—
ლით, ვენახით და სახნავი მიწით, რომლიდგანაც წელიწადში 85
მან. 50 კაპ. შემოდის; დაფასებულია, ათი წლის შესავლის ზედ შე—
ქვეცით, 855 მ.

*) ვინაიდან ეს მასალები ამოღებულია რამოდენიმე ათეული წლების წინეთ,
არჩივებიდან, რედაქცია აფრთხილებს პატივცემულ მკითხველთ, რომ დროთა გან—
მავლობაში—შესაძლებელია სოფლის სახელწოდება დღეს დამახინჯებულიც იყოს.

କାର୍ତ୍ତିକେୟମାର୍ଗ ଉପରୁଷାଲ୍ୟରୀନ.



ଶାରୀରିକ ଶୂନ୍ୟ ଜୀବନ କାର୍ତ୍ତିକେୟମାର୍ଗ ଉପରୁଷାଲ୍ୟରୀନଙ୍କ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକଳ୍ପିତ ଏକ ପରିଚାରକ ପାଠ୍ୟ ପାଠକାର୍ଯ୍ୟ ହେଲା.

16.

1846 წ. ივნისის 17-ს ან. აბაშიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი, რომელიც ცხოვრობს გორის მაზრის სოფელ ჩაპოხში, გლეხს ეწოდება ანდრია ანიშვილი, თავის უძრავი და მოძრავის ქონებით, რომელსაც წელიწადში 65 მან. 75 კაპ. შემოაქვს; ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 657 მან.

17.

1846 წ. მაისის 31-სა, თავ. ფავლენიშვილის ვალში გაისყიდებიან ფავლენიშვილისავე ყმის ორი ოჯახი: ნონრა გვიზნიაშვილი და დავით მოგდულიშვილი, თავიანთის ცოლშვილით, სახლით, ვენახით და სახნავი მიწით, რომელიც მდებარეობს გორის უზდის სოფელ ერედვისში წლიური შემოსავალი 91 მ. 40 კ. დაფასებულია 914 მან.

18.

1846 წ. 24 ივნისის თავ. ამილახვარის ვალში გაყიდული იქნება, მისივე ყმის ერთი კომლი: ქიტესა გართალიშვილი, თავის უძრავის და მოძრავის ქონებით, რომელსაც წელიწადში 48 მან. 50 კ. შემოაქვს, დაფასებულია 485 მან. მდებარეობს გორის მაზრის სოფ. ძევერაში.

19.

1846 წ. 27 ივნისის თავ. გ. ურისთავის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმის ექვსი კომლი, რომელთა ერთი კომლი სოფ. გორაში სკხოვრობს და ხუთი კომლი სოფ. უხტშია თავიანთის უძრავის და მოძრავის ქონებით. წელიწადში 147 მან. 80 კ. არის შემოსავალი, დაფასებულია 1478 მან.

20.

1846 წ. აგვისტოს 12-ს დ. ერისთავის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა თერთმეტი ოჯახი, რომელნიც სკხოვრობენ ავლევში და კალოტში; ამ ყმათა მამულიდან წლიური შემოსავალი 225 მან.; ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 2551 მან.

21.

1846 წ. 19 აგვისტოს, აზნაური მესხის ვალში გაყიდულ იქნება მისივე ყმის კომლი, ქუთაისის უეზდის სოფ. რიონში მცხოვ-

რები კაცია ტურბელაძე, თავის უძრავი და მოძრავის ქონებით, საიდანაც წელიწადში 16 მ. აქვს შესავალი; ათი წლის შემოსავლის შეკვეცით დაფასებულია 160 მანეთად.

22.

1846 წ. აგვისტოს 23-ს კნ. სოლომონ ციციანოვის ვალში გაიყიდებიან, შვიდი მოსახლე გლეხნი, მისივე, ციციანოვის, ყმათა, რომელთა ოცხევი 38 მამა კაცია და 27 დედა კაცი, რომელნიც სცხოვრობენ გორის უეზდის ხიდის თავის ნაწილს, სოფელს ქარელში, ყმათ თავიანთ სახლ-კარის და მოძრავ ქონების გარღა აქვს $71\frac{1}{2}$, დღიური მიწა, სამი ბაღი და ერთიც საბოსტნე, აქედან წლიური შემოსავალი 231 მან. 70 კ. ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 2286 მან. $\frac{3}{4}$ კაპ.

23.

1846 წ. სექტემბრის 27-სა რომან ყორჩიბაშევის ვალში გაისყიდება, ერთი ოჯახი მისივე ყმისა, რომელიც შესდგება ხუთი კაცი და ქალისაგან. ესენი სცხოვრებენ სოფ. ხოდაშენში, აქვთ თრი ვენახი, რომელიც დაფასებულია 4100 მან. (პრიკაზის ვალში პყიდიან).

24.

1846 წ. აგვისტოს 26-ს თავ. რუსიევ-ყორჩიბაშიევის ვალში გაიყიდებიან მისივე ყმათა ათი კომლი, რომელნიც სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფელს კურდლელაურში. დაფასებულია სულ 3550 გ.

25.

1846 12 აგვისტოს კნიაზ ლორთქიფანიძის ვალში გაისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი, დავით ბეკეია, ქუთაისის უეზდი სოფელს ჯიხაიში მცხოვრები, რომელსაც 8 ქცევა სახნავი მიწა აქვს, საიდანც წლიურათ 16 მან. 10 კაპ. შესავალი, დაუასებულია 161 მან.

26.

1846 წ. 16 აგვისტოს, ივანე მაყაშვილის ვალში გაისყიდება შისივე ყმათა ერთი კომლი, საღაც 7 მამა კაცი და 7 დედაკაცია. სცხოვრობენ თელავის უეზდის სოფ. იყალთოში. აქვთ სახლი, თორმეტი დლის სახნავი მიწა და ვაზის ვენახი. წელიწადში 56 მან. შემოაქვთ. ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 560 მანეთად.

27.

1846 წ. 16 სეკტემბერს, ორბელიანთ ვალში გაისყიდებიან ჰოსაბლე მათივე ყმათა. დაფასებულია 10 წლის ზედ შეკვეცით 560 მან.

28.

30-ს სეკტემბერს, მაღალაშვილის ვალში გაისყიდება მისივე უძათა ერთი კომლი, იოსიე შიოლიშვილი, თავის ცოლშვილით და უძრავ მოძრავი ქონებით, რომელსაც წელიწადში 18 მან. 40 კ. მოაქვს, ათის წლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 184 მან., მდებარეობს გორის მაზრის სოფელს ჩოჩეთში.

29.

1846 წ. 21 ოქტომბერს, აზნაურის არუთინ ველიევის ვალში, გაისყიდება მისივე ყმის ერთი კომლი.—ქუთაისის უეზდის მცხოვრები ხილონ და მიქელ ტურბელაძენი, თავიანთის მამულებით, რომელთაც წელიწადში 20 მან. შემოაქვს და ათის წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით დაფასებულია 200 მან.

30.

1846 წ. 23 ოქტომბერს, ქაიხოსრო მუხრან-ბატონის ვალში გაისყიდებიან მისივე ყმათა ერთი კომლი, რომელნიც სცხოვრობს ჭოვ. მუხრანში, თავის ვენახებით, სახნავი მიწით, უძრავი და მოძრავის ქონებით რომელსაც წელიწადში 190 მ. 50 კ. შემოაქვს, ათი წლის შემოსავლის ზედ შეკვეცით, დაფასებულაა 1905 მან.



II.

ପାତମ୍ବରମଣୀ ଏକଟମ୍ଭା.

ଗୁରୁତ୍ବିକୁଳ.

რევაზ ერისთავი და მისი უმის ცოლის ამბავი.

ა. ერისთავის შინა ყმა, ნიკურაძემ, ერთ სოფელში, ცოლი შეირთო. ქორწილის შემდეგ, ცოლი დედეულთ სახლში დასტოვა, თავის სოფელში არ მოჰყვანდა, რადვანაც ბატონის ეშინოდა, ჯერ იშიტომ, რომ ამ ბატონს „პირველი ლამე“-ს ჩვეულება პქნნდა, მეორე იმიტომ, რომ ბატონის ნება-დაურთველათ ცოლის შერთვიზა დაისჯებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ რევაზ ერისთავს, თავის ყმა მოურავებმა შეატყობინეს. რომ თქვენი ესა და ეს მოსამახურე დანიშნულა და ეხლა დაქორწინებულა კიდეცო.

ბატონმა ეს მოხსენება, მაშინვე თავისს დავთარში ჩაიწერა, მეორე დღეს კაცები გაგზავნა და დაიბარა ორგორც გლეხი, ისე მისი ცოლიც. პირველ დღეებში გლეხი უარზე დადგა და არ მიჰყვანდა ბატონთან ცოლი. მესამე-მეოთხე დღეს ბატონმა ძ. ლით მიაყვანინდა მოსამსახურებს; თავის სახლში, ყმის ცოლი და გააუპატიურა. გაუპატიურების შემდეგ, შეიდიშის* პერანგის ამხანაგი გახადა და ბალკონის მოაჯირზე გადაჭკიდა, ორმ გამვლელ-გამომვლელს ენახა. ბატონის ასეთმა საქციელმა, გლეხი ერთობ აალელვა, მაგრამ ოსიზამდა, ასეთი საქმე მარტო მისს თავზე არ მომხდარიყო, სხვა გლეხებს მისეან უფრო მეტი ვაჭრა გადახდოდათ. გლეხმა ნიკურაძემ საშინელი ჯავრი ჩაიყოლა გულში, დაიწყო მეცადინეობა, რომ ოდესმე ბატონისოვის სამავიერო გადაეხადა.

მან სოფელ კვარ-ხიდის გლეხებს პირობა ჩამოართო, ბატონის მოსაკვლელათ. დაიქირავეს ერთი ოსი, რომელსაც სასყიდელი მისცეს და დაავალეს, ბატონის მოკვლა.

ოსი დაბინავდა ზემოხსენებულ სოფელში და ბატონს დასდევდა უკან, მაგრამ მან ვერსად იხელთა დრო, ბატონი მოეკლა. ბოლოს საქმე იქნამდე მივიდა, რომ ოსი ბატონის სახლის მსახურს დაუახლოედა და შეუთანხმდა. სალამოს მსახურს, ბატონის ტახტაზე კედელზე ჩამოკიდებული იარალი, უნდა ჩამოეხსნა.

მსახურმა პირობა შეასრულა. ბატონის დაძინების დროს, ოსიც მივიდა. ბატონის სახლის კარიც ლია დახვდა, თვით ბატონს ახლუხი გაეხადნა, შეიდიშის პერანგით ტახტზე იწვა და ხვრინავდა. ოსი შეიპარა, ესროლა. თოფი ბატონს და ტყვია. შიგ გულ-

*) შეიდიში—წითელი. შეიდიშის ფერი—წითელი ფერი.

ში მოარტყა. ბატონი ზეზე წამოვარდა, სტაცა ოსს ხელი და ლაჯებს შუა ამოადო. ამ დროს ოსს მიეშველნენ სოფლის გლეხები, ბატონს ევონა, რომ ჩემს საშველათ მოდიანო. დაუწყო მათ ყვირილი:

— ჩემს მამულებს თქვენ დაგილოცავთ, ოლონდ იმის ნება მომეცით, რომ ოსს უყო რამეო.

გლეხებს ნება არ მიუციათ. ნიკარაძეს დაუყვირნია:

— „შენ რომ ცოლი გამიუპატიურე, გეგონა რომ შეგრჩებოდაო?!”

და ცული, ბატონისთვის, კისერში დაუკრავს. ამის შემდეგ სხვებიც მოხმარებიან და დაუწყვიათ ბატონის კაფვა, მალე დაუკუჭავთ ნაკერ-ნაჭერათ, ბატონი გლეხებს ხეზე ჩამოუკიდნიათ, სასირცხო მოუკრიათ და პირში ჩაუდვიათ. ბატონის გვამი სამ დღეს კიდებულა ხეზე. ეს ამბები მომხდარა 1830 წლებში. მომკვლელი ოსი-კი იმავ დღეს გაქცეულა და ვერსად უპოვნიათ. თვითონ მებატონეც შესანიშნავი ჯანიანი ყოფილა.

აზნაური ეგაძლები

სოფელ ტირძნისში, ცხოვრობდნენ აზნაური მებატონე ეგაძები. ამათ ჰყვანდათ საკუთარი ყმები: ერთ დღეს აზნაურ ეგაძემ გამოაცხადა თავისს სოფლის საყმოში:

— „აბა ურმები მოამზადეთ, ტყეში წალით და შეშა მოშიტანეთ!...

გლეხებს მოუშენადებიათ ურმები, გამოსულან და ბატონის სახლის წინ დამდგარან. ბატონს უნახავს ესენი და შეუმჩნევია, რომ ერთი გლეხი ჰქონდებია. საჩქაროზ გაუგზავნია კაცი იმ გლეხის სახლში და მოუკითხვინებია. გლეხი შინ არ დახვედრია, კაცი წამოსულა და ბატონისთვის მოუხსეხებია. გაგზავნილებს უძებნიანთ მაგრამ პოვნით კი ვერ უპოვნიათ. გლეხები წასულან ტყეში და ჩამოუტანიათ შეშა. ბატონს ჯავრი ჩაუყოლებია გულში, რომ გლეხმა ჩემი სიტყვა რათ არ აღასრულაო. ეს გლეხი ყოფილა ნინია გოძელაშვილი. მეორე, მესამე, დღეს ეს გლეხ-კაცი ბატონს დაუნახავს სახლის სართულიდამ და თითო დაუქნევია, აქ მოდიო.

გლეხი მისულა და ბატონს მუქარით უკითხავს:

„რატომ გუშინ არ მოხვედი, რატომ ჩემი ბრძანება არ შლასრულები!“

გლეხს დაუჩოქნია და მიუგია მოკრძალვით:

„რა ვქნა შენი ჭირიძე! თქვენც იცით, რომ მე ორი ხარი მყავს, ეს ორივ ხარები ავათ მყავდნენ იმ დღესა და ვერ შევაბი. ურემი,

რომ არ დახოცვილიყვენ. მე ხომ შენი ვარ, შენი ჭირიმე და რა დღესაც მიმსახურებ ეს ხომ თქვენთვის ორივ ერთია“.

ამ სიტყვების შემდეგ, ბატონი მივარდა გლეხს, გაიგდო წიხლ-ჭვეშ და იძენი კემა, მინამ ჯავრს იყრიდა. ეს გლეხი ქვრივი ყოფილა, წვერიანი და ხანში შესული. ბატონს სულ თმა და წვერიც უგლეჯია, ამ უბედურობის დროს გლეხს ხელი გაუქნევია, ბატონს თავში ჰოჭველრია, რამდენიმე თმაც ჩამოვარდნია, ეს თმები შეუკრებია ბატონს, მეორე დღეს წასულა ცხინვალში, უჩივლია, ცხინვალის უფროსთან, რომ ჩემმა ყმამ მცემა და აი ეს თმებიც დამაგლიჯაო.

ბოქაულს საჩქაროთ ჩაფრები გაუგზავნია გლეხის სახლში, ჩაფრებს გლეხისათვის არაფერი უკითხავთ, გამოუყვანიათ, კარზე გაუწვენიათ და 100 მათრახი დაუკრავთ. ეს გლეხი ბატონიშვილის⁵⁾ ცემისაგანაც გალახული იყო და ზედ რომ ეს მეორეც მიმატებია, ამას უფრო უვნია. ცემის შემდეგ ჩაფრებს აუკლიათ გლეხის სახლკარი. რაც რამ ყოფილა სახლში, ყოველივე მათ მიუსაკუთრებიათ არისთვის მათ მებატონისაგან მადლობაც მიიღეს, ნაცემ გლეხს მთავრობამ ციმბირში, გადასახლება მიუსაჯა და გადაასახლეს კი-დჟც. გამოძიება სულ ყალბათ იყო მოხდენილი.

* * *

ყმა მრეცხავი ქალი და მისი მებატონეები.

ერთ თავადისშვილს, ერთი ყმის ქვრივი დედა-კაცი მოახლეობით მისთვის ჰყვანდა, რომ, ამ მოახლემ რეცხა და დაუთოვება კარგად იცოდა. ერთ დღეს, ეს დედა-კაცი სარეცხს აუთოებდა, ამ დროს. ვახლობლივ ბატონის პატარა ყმაწვილი იდგა და უთოს უცქეროდა. ორჯერ-სამჯერ ბატონიშვილმა უთოს ხელი მიატანა, მაგრამ დედა-კაცი ყოველთვის სთხოვდა.

— მომშორდი, ხელი არ დაიწვაო...

ბავშვმა თავისი არ დაიშალა, უთოს ხელი მიატანა და ოდნავ დაიწვა: მან ტირილი მორთო და დედა-მამას შესჩივლა, დედა-კაცმა ჰელი დამწოვო.

ბატონმა და კნეინამ დედა-კაცს არაფერი ჰქითხეს.

დაუბარებიათ კაცები, დედა-კაცი გაუყვანიათ კარში, ისე უცემნიათ და თმებით უთრევიათ, რომ ვერ გადარჩენილი. და მეორე დღეს მომკედარა. ამ დედა-კაცს ერთი გაუზვილი ჰყოლია და ეს ვაჟიც ბატონს გაუყიდნია. ეს ამბავი მომხდარა 1840 წ. ქ. თფილის მახლობლივ. მომთხრობს ბატონის გვარი აღარ ახსოვდა. დასჯილი დედა-კაცის ცნობები კი კარგათ იცოდა.

შალვა ერისთავი

შალვა ერისთავმა, თავისი ყმა სარწყავში გაგზავნა, ყმამ მორწყა სარწყავი. ამ დროს ბატონიც ჩავიდა. სარწყავი ყმას, ისე მოერწყო, როგორც რიგი იყო, მაგრამ ბატონს მაინც არ მოეწონა და ყმა დასტუქსა. მუშაობის შემდეგ, ბატონმა მოსამსახურეებს უთხრა სადილი მოამზადეთო; სადილი მოამზადეს. სადილზე ბიჭებს უბრძანა-რომ ზემო ხსენებულის ყმისთვის პური არ ეჭმევინათ; მოსამსახურეებმა ბატონებს ბრძანება აღასრულეს, ყმამ ერთ მოსამსახურეთაგანს ჰკითხა.

— რატომ პურს არ მაძლევთ?! დავილალე მუშავობით, თან ძალის მშიანო.

ეს ბატონმა გაიგონა და მას ეწყინა, ყმას სასტიკათ გაუჯავრდა, ამ გაჯავრების დროს ველარც ყმამ შეიკავა თავი და ბატონს, ასეთი პასუხი მისცა:

— ბატონო, ჩვენ თქვენი ერთგული მუშები გახლავირთ და თქვენთვის თავს ვიკლავთ. ეს პური და ლვინოც ხომ ჩვენი ნაშრომია, რათა გშურთ ჩვენთვის, მოგვეცით თითო ლუქმა პური და თითო ჯამი ლვიხო, ამ მუშაობის დროს.

ბატონი ძრიელ გაგულისდა, ბიჭებს დაუყვირა:

— არიქათ, საჩქაროთ, ხეზე მიაკარით ეგ მამაძალლი!..

ბიჭებმა მიაკრეს ხეზე.

— ტანიდამ ჩოხა შემოახიერა!

ბიჭებმა საჩქაროთ შემოახიერა. ბატონმა დაუწყო ყვირილი:

— პირში ჩოხის ნაჭრები ჩაშჩარეთ, რომ გაძლეს ევ მამაძალლი...

ყმებმა ჩასჩარეს ხახაში, ბიჭმა დაიწყო ტირილი და წვალება, ემუდარებოდა ბატონს, რომ ეპატიებინა, მაგრამ ბატონი მისს მუდა-რებისაგან უფრო გაგულისდა და უარესიც დამართა; ტაბაკი აილო, მიიტანა ხეზე მიბმულ გლეხთან და პირში ჩადებულ ჩოხის ნაჭრებს ტაბაკით დაუწყო ჩატენა. ამ ჩატენით ისე შეწუხდა გლეხი, რომ ნა-ხევარ საათს შემდეგ დაიხრჩო და მოკვდა. ეს ამბები მომხდარა 1841 წელს; ამ საქმის მომქმედ ბატონს ბევრი სხვა ამისთანა ბოროტება ჩაუდენია, მაგრამ ყველას სად შეკრებს კაცი.

თავ. ორბელიანი

თავ. ორბელიანის ერთი ყმა გლეხი-კაცი სულ განთავისუფლებას ემუდარებოდა, სულ ამას ეხვეწებოდა, მაგრამ ბატონი მაინც არ შვრებოდა და არ ანთავისუფლებდა. ბოლოს ბატონმა უთხრა ყდა ბიჭს:

— „შენ, თუ ერთ ზამთრის ყინვიან ლამეში, მთაწმინდის მთაზე, ტიტველა გაათენებ, მხოლოთ მაშინ იქნება შენი განთავისუფლება“...

ყმამ პირობა მისცა, რადგანაც იფიქრა მან: ამ ერთ ლამეს ჯანდაბას ჩემი თავი, ან დაერჩები და გავთავისუფლებიო, ან მოვკედები და მით მოვრჩები ბატონის ტანჯვა-ვაებასაო. შეორე: საკოლეიკო, ქალის მოყვანას აპირებდა და ამის ფიქრიც აწუხებდა, რომ ცოლს მოვიყვან და ამით ბატონის „საჩექმედანაც“ გავთავისუფლებიო. ერთის სიტყვით ყმა კმაყოფილი იყო, რომ იმ დროის ცივს, ყინვიან ლამეს, მთაზედ გაეთიებინა. ამბობდენ მრავალნი, რომ ასეთი ამბები აღრე სხვა გლეხებსაც გადავლიათ მებატონეთაგან და მით განთავისუფლებულანო და ეს ყმა გლეხიც მიტომ იყო დაიმედებულიო.

მოვიდა ზამთარი. ყმა ეაბლა ბატონს და მოაგონა პირობის ალ-სრულების ვალდებულება. ბატონმაც დასტური დართა. ცივს, სუს-ხიანს ღიმეს უნდა. შეესრულებინათ ყმის პირობა. ერთ მსუსხარა ამინდში, ყმა მოემზადა წასასვლელათ. ბატონმა თავის მოურავი გაა-ყოლა თან, მხოლოდ მოურავს ლოგინი გაატანა, მოურავმა ცეცხლიც დაინთო, ყმა ბიჭუ-კი არა ქონდა-რა. დედიშობილა დადიოდა მინ-დორზე. თან ჰქონიყო, ჩუმად წალებული, ერთი ხელადა არაყი. როგორც იყო გლეხმა გაათენა ლამე, დილით. ბატონთან ჩამოვიდა, მოურავმაც დაამოწმა, რომ მთელი ლამე ტიტველამ გაატარაო; ბატონმა მაინც არ გაანთავისუფლა საბრალო გლეხი და ისევ თავისს მონათ დასტოვა. ეს მომხდარა 1825 წელში. გლეხს ამაზედ დრტვინვა დაუწყვია, ბატონს უთქვამს:

— დადექი შე შამაძალლო, იორებ სულ ძალის ლეკვებზედ დაგცვლი. ერთი უყურე ამ საძაგელს, რაებს მაკაღრებს, ჩემს მონობაზე კმაყოფილი არ არის!...

გლეხი შეშინდა და შემდეგ ბატონის წინააღმდეგ სიტყვაც აღარ დაუძრავს.

თავადი პშილახვარი

(ნაამბობი იორდანე მარიამიძისაგან).

ეს მარიამიძე სოფ. ბელოუელია,* ეს ამბავი მას გაუგონია მომსაწრე კაცთაგან.

სოჭ. კვახითის მებატონენი იყვნენ თავ. ამილახვარები. ესენტ იყვნენ ხუთნი ძმანი, ორნი სცხოვრობდენ ოთარაშენში, ერთი კაპში, ერთი ქალაქში, ერთიც კვახითში. კვახითში მცხოვრები მებატონე იყო პირველი ღამის მატრფიალე, უამისოთ ამის საყმოში ვერავინ გათხოვდებოდა, ამ ბოროტებისაგან სოფლის ყმანი შეწუხებულნი იყვნენ.

ამ დროს მოხდა ასეთი ამბავი: ერთ ოჯახში მოიყვანეს პატარ-ძალი; ოჯახში გაიმართა დიდი ქორწილი: ამ ქორწილში, სხვათა შორის, მოწვეული იყო ერთი ყოჩალი ღსიც—ზოსე, თავის ამხანაგი ისებით. ქორწილის გათავების შემდეგ, ბოროტის ბატონის ბრძანებით, პატარძალი ბატონს გაუგზავნეს სახლში.

ამ გარემოებამ დიდათ აღაშფოთა მექორწინენი და ამათ ზარწყეს ბატონს. საყვედურები. ამ ლაპარაკში ყაჩალი ჩაერია, და გლეხებს უთხრა:

— „რას სწუხართ და დარღობთ, თითო კომლზედ ოც-ოცნ მანეთი მომეცით და იმ ძალლს მე მოგაშორებთ თავიდამ!“. გლეხებს გაუხარდათ და პირობა მისცეს. მეორე დღეს ფული მოაგროვეს და ყაჩალს მიართვეს. ამ დღიდან ზოსე შეუდგა სიტყვის ასრულებას.

ერთ ღამეს დაეცა ამილახვარს, თავის ამხანაგ ისებით და ამილახვარი გამოასალმეს თავის სიბინძურეს. ბატონი შუაზედ გასჭრეს, მერე ასო მოსჭრეს და პირში ჩაუდეს, შემდეგ ამისა გაცარცვეს. და კველაფერი წაიღეს.

ამ ბოროტის მოკვლის გამო, რუსეთის მთავრობამ, მთელი სოფ-ჭის გლეხებს დაუწყო დევნა, ბევრი დააპატიმრა, 15 კაცი ციმბირში გაგზავნა; გადაასახლა ცოლშვილებით. მკვლელი კი მაინც ცეკვი იპოვეს.



*) შესაძლებელია, ეს სოფლის ოდებაც დამარინჯებულია.

III.

გატონებობა კასითში.

გასალები.

ჩოლოպაშვილი.

(სხვა და სხვა მომსწრე გლეხთა ნაამბობნი).

თადია, ჩოლოპაშვილი კანეთში იყო ის, რაც გურიაში გურიელი, ყარამან თავდგირიძე და ოლექსანდრე მაჭუტაძე; ქართლში ამილახვრები, ერისთავები და სხვები... ყველას ბოროტ მოქმედებებს ჩვენ არ ვასახელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ თადია ჩოლოპაშვილი, ყველა ამათგან ძლიერ განირჩეოდა. ის მათ ბოროტებით ძლიერ აჭარბებდა. ჩოლოპაშვილს, როგორც პირველ ხარისხოვან თავადი შვილს, მთავრობისაგან უსაზღვრო უფლება ჰქონდა მინიჭებული. ეს იყო თავის დროის სასტიკი დესპოტი და მას დიდალი ყმებიც ჰყავდა. მე აქ არ შეუდგები თითეული კაცის გვარის ცალცალკე განხილვს, თუ ვინ როგორ და როდის იქმნა დასჯილ-წამებული ამ ტირანისაგან, მოვიყვან მხოლოდ იმ სასჯელთა ცნობებს და ზომებს. რაც ამ ტირანს, ყმების დასჯის დროს, ხელში ეკავა. მარტო სასჯელთა ჩამოთვლა გაუწყებთ ცნობებს, თუ ეს პირი რა ტირანი უნდა ყოფილიყო, თავის დროის, და რა შეუბრალებელი სისხლის მსმელი. იმის სულიერ სიმხეცეს, ეს ცნობებიც კარგათ დახატავს. თადია ჩოლოპაშვილი სტანჯავდა. თავის გლეხ-ყმებს ასე:

1.

გლეხ-კაცს დაიჭირდა: სცემდა მათრახით, ჯონით, კეტით და წიბლით. ზოგ გლეხ ყმას თავს, პირს, ტანს ისე დაუმტვრევდა რომ იგი აღარ გამოლდგებოდა, ლოგინიდან ვერ აღგებოდა; უმეტესობა კვდინდოდა. მან აგრეთვე ყძა დედაკაცების ცემაც იცოდა, არ დაინდობდა არც ბავშვს და არც მოხუცებულს, ხშირად ავადმყოფსაც კი სტანჯავდა. მთავრობა დახოცილ ყმების შესახებ ხმას არ სცემდა.

2.

როგორც კაცს, ისე დედაკაცს შეკრავდა თოკით და დააგდებდა მჩენე. მათ ახლო არავის არ შეეძლო მასვლა, როგორც კაცს, ისე ქალს. ასე შექრულს სტოვებდა რამოლენიმე დღე უბურ-წყლოთ. მათ აბდავლებდა და ატირებდა. შველა არავის არ შეეძლო.

3.

ხშირათ მამაკაცს, დედაკაცს, სნეულებს, ორსულ ქალებს დოკით ხეზე მიაბამდა და სცემდა. ხეზე მიკრულნი ჩამოდენიმე ხანს წვალობდნენ, ახსნა არავის არ შეეძლო. ვინც ახსნიდა, იმასაც იგი ვი სასჯელი მოელოდა.

4.

ხანდისხან კაცსა და ქალს ტანთსაცმელს გახდიდა, ტიტველს მიაკრავდა ხეზე და სტანჯავდა.

ზოგს დედაკაცს, მოზუცს და ახალგაზდასაც, თმებით ჩამოჭკირდებდა ხეზედ. ზოგს გაატიტვლებდა, ფეხის გულს დაუსერავდა, თაფლს დაასხამდა, გააკრავდა ფიცარზე, რომ დაჭრილ ფეხის გულზედ ბუზები დახვეოდენ და ეტანჯად ის; ასეთი ტანჯულებისავან ბლავილი ხშირი იყო.

5.

კაცს, დედაკაცს და ყმაწვილებსაც კი აღწყვდევდა თონეში, პოსელში, ორმოებში და სოროებში.

6.

ზამთარში აბანავებდა ცივს წყალში და ათამაშებდა გაყინულებს, თითონ კი უმშერდა შორიდან და სიამოვნებდა.

7.

ბრძანებას აძლევდა და გლეხის ყმა ცოლებს, ძალის ლეკვებისთვის, ძუძუ უნდა ეწოვებინათ, ვიღრე ლეკვები დაიზდებოდენ, თუ მათი ძუკნა მოკვდებოდა. ეს წესები მიღებული ჰქონდათ: ორბელიანებს, ციციშვილებს, ამილახვრებს და ბევრს სხვა თავიდის შვილებსაც.

8.

თადიამ, ერთ მექებარ ძალლში, ასი თავის ყმის შვილები: გოგოდა ბიჭები მისცა. ერისთავებიც ხომ მრავლად სცვლიდენ და ჰყილდენ გლეხთა შვილებს ძალლებზედ, ეს დღესაც კი მთელმა ქართლის მოხუცებულ გლეხებმა კარგად იციან. XIX საუკუნის შედეგიდამ, ქართველ თავადის წინაშე, მექებარი ძალლები უფრო ძვირად ჭასობადნენ, ვიდრე ყმის შვილები.

9.

ზოგს კაცს და დედაკაცს უდალვნა ხელებს, ფეხებს, სჭრიდა ენის წვერს, სთხრიდა თვალებს და უხოცავდა თვით ყმაწვილებსაც კი. ყმათა წვალებას მთავრობა არ უმზერდა კარგად, აურთხილებდა თაღიას: ისე სტანჯე, რომ იგინი არ დასახიჩრდნენ, თორემ ცუდია, ეს თქვენთვის, რაღვან თქვენ გლეხობაში უხელო და უთვალო ყმათა რიცხვი ღილათ გამრავლდებაო.

თავ. თაღია ჩოლოყაშვილი იქამდე ბოროტი იყო, იქამდე დეპოტი, რომ მის სახრის ქვეშ, მრავალ უსუსურ ბავშვებსაც კი ამოსვლიათ სული.

ეს სასტიკი მეტი ყმებისა, ეს მდიდარი სვავი — ხშირად შეაბამდა კევრში თავის გლეხთა კაცებს, თუ ქალებს და ამუშავებდა; ხანდისხან მოხდებოდა, რომ კევრზედ თვით დაუჯდებოდა და არბენინებდა. ბევრჯერ მომხდარა, რომ ამ რბენის დროს ისეთ-ისეთი სახრები. და მათრახები მიუყოლებია, რასაც შებმული ყმა ძირს დაუცია. ასობით მომხდარა, — როცა კალოზედ დაცემულან, მერე წიხლებით შემდგარა და უსრესია: „სტყუის ეს მამაძალლი, განგებ დავარდა“. და თუ დარწმუნდებოდა, რომ ყმა უსულოთ ეგდო, დაუყვირებდა ყმებს:

— ბიჭებო! გაათრიეთ ეს ძალი და იქით დააგდეთ, წყალი დაასხით ზედა... ესა და ეს ბიჭი მოიყანეთ ჩქარა და კევრში შეაბით. ყმები კი, ასრულებდენ ბატონის ბრძანებას...

საგარეჯოელი გლეხის, აბრამა ჭიჭინაძის, ნაამბობი.

თაღიასთან შევიზარდე, მინახავს მისი ბოროტება, მისი უდიერება; არ შეიძლება, ენით ითქვას რასაც ის ჩადიოდა. მეტის მეტი ულმერთო ბატონი იყო. რამდენი კაცი და დედაკაცი ჩემს თვალთ წინ დაუხოცია ამას რიცხვი არა აქვს. სომხებზედ და თათრებზედ ჰყიდდა გლეხის გოგოებს, ბიჭებს, გლეხკაცებს და დედაკაცებს. მისი მამულები სულ გლეხებისგან წანატაცია. მისი წყალობით, ბევრს კაცს და დედაკაცს ამოსვლია კუვრ ქვეშ სული. სამნე ურმებში შებმული ყმათა კაცები და დედაკაცები ბევრჯერ მინახავს და დამწვარვარ მათი ცოდვით. ხმას კი ვერავინ გასცემდა, სიბრალულს ვერავინ გამოიჩენდა, თორემ მასვე ჩააბამდა იმავ ჭირში. ხანდისხან ისე დაუტანჯავს გლეხ კაცის შვილი, რომ მათ ტანჯას საზღვარი არა ჰქონია. ყოველ ამ უბედურობის დროს, თაღია, მხიარული და კმაყოფილი იყო. მისი ასეთი ბოროტების წყალობით, ბევრი ყმის ოჯახი აღიგავა უწყალოდ,

ბევრი ამოწყდა უძეოდ, ბევრი აქეთ იქით გარდაიხვეწნენ; მისი ყმები მირბოდნენ განჯისკენ, ერევნისკენ და დალესტანშიაც. დალესტანში ბევრია გადავარდნილი და იქ გალეკებული. ამ აბეზარ მებატონის ბოროტებაზედ ლაპარაკს, ვერც ერთს. წელიწადს მოვრჩები, რომელი ერთი გითრათ, რომელი ყმის გვარი და სახელი გაუწყოთ, რომლებიც მისი მტრობით დამწვარან და დადაგულან. მისი ყმის ქალებს იქამდე ჰქონდათ საქმე გამჭარებული, პირველი ლაპის წყალობით, რომ მისი ყმათა ქალები, ერთობ ხშირად ვარდებოდენ ავლაბრის საკახოებში, მიკიტნის დუქნებში და სხვაგან. მიკიტნებს, ეს ბატონი თავის ყმის გოგოებს ხშირად მიჰყიდდა და ესენიც ამ ქალებს აბოზებდენ. ავლაბარში, ოცდა ათამდის ჩვენებური გოგოები ბოზობდენ, რომლებიც თადიას ჰყავდა დასყიდული მიკიტნებზედ. თაფია აღრე მოკვდა და ერთად ერთი ვაჟი შვილი, კიქოც მისებ გიური, გადარეული გამოვიდა. თადიამ წყენა და ჯავრის მოსვლა გლეხებზედ, იცოდა სულ უბრალოდ: ყმას რომ შეხედავდა და არ მოეწონებოდა, იმას მაშინათვე გადაეკიდებოდა. მეტის მეტი ლვთის რისხვა კაცი იყო... წამრომევი, მტაცებელი და ყმათა დამრბევი. შისმა ყმებმა ბევრჯელ განიძრახეს მისი მოკვლა, მაგრამ ვერავინ ბედავდა, რაღანაც თადია დიდი ყმა და მამულის კაცი-იყო, მთავრობასთან დიდი ხმა ჰქონდა, თადიას გულისთვის ბევრი ყმა გალაზულა თვით მთავრობისაგან, ბევრი დასჯილა უწყალოდ, ბევრი „წასულა“ ციმბირში და აბა მას ვინ რას გაუბედავდა, მისი ყმები შიშით ცახცახებდენ, ეს ამბები მთელმა კახეთის და ივრის ხეობის ხალხმა, დღესაც კარგად იციან... მათ ბევრი რამ ახსოვთ თადიას ცხოვრებიდან..

თადიას შეილება იყო დიდი, 1830 წლების კვალად დაფასდე-შოდა ერთ მილიონამდე და დღეს 5—6 მილიონად, სულ წანართმევ-წანაგლეჯი. თადია იყო დიდი დავის მოყვარე, სწორედ ივანე მუხ-რანსკის ჰყავდა. იგი მამულებს ედავებოდა თავადებს, აზნაურებს, საყდრებს, გლეხებს, ქართველებს და თათრებსაც. დავა—დარაბისაგან არეული იყო, მეტის ბოროტებისაგან გაბრაზებული, ყველაზედ მეტად გლეხებს სტანჯავდა; თავად-აზნაურებს დავაში რომ ვერ მოერევოდა, მათს ჯავრს გლეხ-ყმებზედ იყრიდა. მათ აკვნესებდა და სტანჯავდა. მან უსამართლოდ მამულები წაართვა ბევრს თავადებს და აზნაურებს; იგი იმათაც ჭირივით სძულდათ... თადიას „გიუს“ ეძახდნენ, „დამთხვეულს მგელს“, „ცოფიან ძალლს“, მას გადაკიდებული ჰყავდა თავად-აზნაურები კახეთში, იკრის ხეობაში, ბორჩალოს მაზრაში, და ქართლში... ყველასთან მამულების შესახებ

დავობდა მოტაცებას და წართმევას. ამ დავაშივე ამოუკიდა შის სული; მისი სიკვდილი მცირე ხნით შვება იყო მისი ყმების-თვის, მერე კი გამწარება, რაღანაც შვილი რომ მოიზარდა, იგიც მამას დაემსგავსა.—კიკო ნამდვილი თაღია დადგა.

უნდა ითქვას, რომ თადიას მსგავსად კახეთში სხვა მებატონე-ნიც იყვნენ, სხვანიც მოქმედებდენ ასევე, თითქმის ყველა.

იყვნენ ამათში ისეთი შეუბრალებელი მებატონენი, რომლებიც თავისინთ ყმებს ყირამალა ჰყიდებდნენ და მთელ დღეს სტოვებდენ ასე. ჭოგა ჩამოკიდებულს თვალებიდან სისხლი რომ წამოუკიდოდა, მერე შამოხსნიდენ და დააგდებდენ. ზოგი ტანჯვის შემდეგ მოსულიერდებოდა. ასე ყირამალა ჩამოუკიდნიათ 1840 წლებში ყმა ედიშერ ედიშერა-შვილი, რომელიც ხელობით დურგალი იყო... მეც მოვესწარ ამ კაცს.

თადიას, ხშირად ქალებიც კი ჩამოუკიდნია ყირამალა. თადია ჩოლაყაშვილი ცოდვილი კაცი იყო და მას თავის ცოლუების სამაგიერო ჭიკოცხლეშივე ეკითხა,* სახლის საქმეები აერ-ლაერია და ისე გარდა-ცვალა (1838 წ.) რომ 28 ათასი თუმანი ვალი დარჩა, ვალი რასა-კვირველია ქალაქის ვაჭარ სომეხებისა იყო. მამულების დავა ისე აეხვეწ-დაეხვეწა, რომ როცა ცოლი მოკვდა (1845 წ.) დასამარხი ფუ-ლიც არ აღმოაჩნდა, და ვორონცოვს მიუკია 3000 მანათი.

კიკო ჩოლოუაშვილი.

ამ კაცის შესახებ, ვრცლად ლაპარაკი; არ არის საჭირო. მისი ცხოვრება არის გიურ-ბრიყული, მთელი სიცოცხლე ცოლთან დაუც-ში გაატარა, საუკეთესო ოჯახის ქალი დატანჯა, კოლის ძმამ შ. ვარ—შა ხანჯლითაც დასჭრა საძ. ერთ დროს, ცოლის ცემის გუ-ლისთვის ციხეშიაც გახლდათ გაგზავნილი. ყველათვე აკაბას ის ჩა-ზიოდა ახტის მოსასვლელად.

ეს რომ ასე იყო და კიკო თავის ყმებს სასტიკათ აკენესებდა, ას მთელმა ქვეყანამ იცის. დღესაც ბევრს ახსოებს მრისხანე სახე, ზოროვე მოქმედება და გლეხთა ტანჯვა. კიკო. ისეთი ახირებული კაცი იყო, რომ რასაც იტყოდა, ის მისი ბრძანება, უნდა აღსრუ-ლებულიყო. როგორც მამა, შეილიც ისევე არბევდა ყმებს. მისი ჭმით და სახელით შეშინებულნი იკვნენ, ყმების ბალლებიც კი. კიკო სას ყმა გლეხების ცემა-ტყება, და ლანძლვა-გინება მუდამ დღე იყო-ჭმათა დარბევა და დაჩაგვრა რაღაც ღიმს ჰვერიდა სახეზედ და ყმა. თა ცემა-ტყებისაგან ხომ უფრო ფრთოვანდებოდა.

*.) როგორც ზევით განვაცხადეთ. რედაქცია როგორც საბუთების, ისე ნაამ-ჭოშების კილოს და მართლწერას უცვლელად სტოვებს.

შეწუხდა დიდათ გლეხკაცობა. ყველა კიკოს გაჩენას სწყევლი-და. ყმებმა ოლარ იცოდენ რა ექნათ, როგორ ეხსნათ თავი ბოროტ, ბატონის მახვილისაგან.

ყმათა გოდებამ იქამდის მიაღწია, რომ მათ საშინელ ტანჯვას. ერთმა სომებმაც კი მიაქცია ყურადღება, და კიკოლასაგან რამდენი-მე ყმა გლეხნი დაიხსნა ფულით, რაც 1850 წლებში, დიდი სამაგა-ლითო საქმე იყო. ქალაქ თფილის და სოფლებშიც, ხშირად ნა-ხავდა კაცი კიკოს ყმა დედაკაცთა ტირილს, კვნესას, ბატონის წყევლას, დღესაც უურში აქვს დედაჩემს ამ ბოროტი კაცის ჩანადე-ნი საქმეები. ქვრივ ოხერს ერთ თხასაც კი წაართმევდა... ქათმებს. და ინდაურს... ხანდისხან, დიამბეგის კაცებით და ოსებით დაეცემო-ლა ზოგიერთ ყმათა ოჯახებს და აიკლებდა ძირიან-ფესვიანათ. კა-ნონიც ხომ ხელს უწყობდა ბატონის ბოროტს მოქმედებას, რომ ყმე-ბი ეტანჯა და ეწვალებინა. მთელს ივრის ხეობაზედ და თფილის-შიაც ყოველთვის და ყოველ დღე თადიას შესახებ იყო ლაპარაკო-და შემდეგ დროს კი კიკოზე, თუ ეს პირი როგორ აწვალებდენ თავიანთ ყმებს. ამათგან ყმების ტანჯვის ცნობები, ხალხში სახლაპ-როთ იყო გადაქცეული.

ყმები მობეზრდენ ბატონის თავგასულ ბოროტებას, 1850 წლებ-ში, კიკოს ყმებმა ბატონს გაძალიანება დაუწყეს, უსამართლობას ალარ უთმენდენ, ეუბნებოდენ, რომ მათრასს თავი დაანებე, თორები ერთი წვერი შენ მოგიბრუნდებაო. ის ტანჯვას უფრო აორკეცებდა— ამის წყალობით, ყმებშიაც ჩნდებოდენ „კირკითი“ ყმათა შვილები— და ყმათა წამეჭებელნი; რომ ამათ ბატონის წინაშე ბოროტება— ალარ დაეთმინათ და მისი ბოროტებისთვის ხელიც შეებრუნებინათ— წამხალისებელნი, გლეხებს საჩივრებსაც კი უშერდნენ— მცოდნე კაცე-ბი და მთავარ მართებელს აძლევდნენ საჩივარს. ბატონის უდიერთ მოქმედების შესახებ. მთავრობასთან თითქმის მუდამ დღე შედიოდ— ყმათა საჩივარი კიკოზედ, მაგრამ ყოველთვის უყურადღებოდ რჩე-ბოდა. კიკოს წინააღმდეგი იყო მთელი ივრის ხეობის გლეხები, რო-გორც მის ყმებთავანნი, ისე სხვებიც, სხვა საბატონოსი, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხებიც, რაღანაც მათაც დიდი მცრობა ჰქონდათ კიკოსი, ყმების ტანჯვის გამო.

როგორც თვით კიკოს ავტობიოგრაფია გვაუწყებს: მისი დაუ-ძინებელი მტერნი და ყმათა წამეჭებელნი ყოფილან იმ დროის შეძ-დეგ გლეხნი: ნინიკა თედუას ძე მესტვირეშვილი, ივანე პაატას ძე ლრუბლაშვილი, ვოსტენა ლაზარეს ძე მესტვირეშვილი და ლაზა-რე გულიას ძე ბულშეიშვილი. ბატონის სიტყვით, ეს ოთხი გლეხი

უოფილან მისი დაუძინებელი მტერნი, ყმების წამქეზებელნი, საჩივ-
რის მიმცემნი და ერთის სიტყვით ყოველნაირი „ბოროტების“ მთეს-
თელნი. დიახ, ბატონს მარტოდ ამ ოთხი გლეხის ცნობა ჰქონდა
ურჩობის მხრივ და ამიტომ მარტოდ ესენი ეგონა თავის მოწინააღმ-
დეგენი, ეს კი არა 1850 წლების შემდეგიღამ მის წინააღმდეგ იყო 、
მთელი ივრის გლეხთა ყმანი: კაცი, დედაკაცი, ყმაწვილი, ახალგაზრდა
და მოხუცი. სამართლის ეშინოდათ, თორემ კიკოს, თავისი ყმები,
ჭბილებით დაგლეჯდენ, ცოცხალს დამარხავდენ. ხალხის აზრი ბა-
ტონმაც იკოდა და ამიტომ იგიც მათ ჯიბრში უდგებოდა. დღე და
ღამე მის საყმოში სულ ყმათა დაწიოკების ხმები-ლა ისმოდა. 1861 წ.
მოვიდა კავკასიის „ნამესტნიკად“ „მიხეილ მთავარი“. ყმებმა განაგრ-
ძეს ამასთანაც საჩივრის ძლევა. საჩივარი მათ მოახერხეს, თითქმის
პირგელ დღიდან, როცა მთავარ მართებელი მოვიდა. ტყუილი რომ
არავის ეგონოს ეს ამბავი, ამიტომ აქ მოვიყვან ერთ აღვილს კი-
ტოს ავტომატიკაფულიდან,*) რომელიც კარგად ხატავს მას.

აი თვით ეს ადგილიც სიტყვით სიტყვა:

„...1861 წ. რუსეთში ბატონ ყმობა გადავარდა. კავკასიის ნა-
შესტრიკად იმ ხანებში თავ. ბარიათინსკი იყო. ჩვენშიაც დაიწყეს
პატონყმობაზეც უგულოთ სჯა და მითქმა-მოთქმა. 1863 წ. ნამესტ-
ნიკად დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოსისძე. ამ ხანებში
შებატონეთა წინააღმდეგ დიდი ურჩობა ჩამოვარდა გლეხებში, რად-
გან მაცდურნი, დამრიგებელნი, საკმაოდ გამოუჩნდნენ ამათ. საჩივა-
რი საჩივარჩედ მისდიოდა ახალ ნამესტნიკს, რიცხვი აღარ იყო; მო-
ნელები ვეღარ აუდიოდნენ გლეხების ბატონებზეც საჩივარის გარ-
ჩევას, ჩემზედაც თვრამეტი საჩივარ შევიდა ნამესტნიკთან ერთ კვი-
რაში. ყმები ერთ-პირად შეგროვდნენ, ქალაქში ჩავიდნენ და სიონის
ტაძართან გაჩერდნენ, გარე-კარებთან. როცა ნამესტნიკი თავის მე-
უღლით ეტლით მოვიდა, გლეხებმა დაიჩოქეს, იქ დედაკაცებიც იყვნენ.
დაჩივებილ დედაკაცებისგან ეტლის განაპირო ცხენი დაფთხა და ცო-
ტას იყო უბელურება არ მოხდა, ერთი დედაკაცი ცხენის ფეხქვში-
დან ძლივს გამოათრიეს. გლეხები შეწუხებას, მძიმე სამსახურსა
და ანჩხლობას მიჩიოდნენ. რა თქმა უნდა, პასუხი მომთხოვეს, მეც
კომისიის დანიშვნა ესთხოვეს. გამოპგზავნეს ნამესტნიკის აღიუტანტი
ნიკოლაევი და ბატონი აქიმოვი. — გლეხების საჩივარი აბდა უბდა-
შავით გამოიძიეს და ნამესტნიკს მოახსენეს. ნამესტნიკმა საქმე სა-
მართლო დეპარტამენტის დირექტორს თავ. გიორგი კონსტანტი-

*) კიკო ჩოლაყაშვილის ცხოვრების აღწერა გამოსცა ნაპრისტავალ ნაც-
ჭლიშვილმა დაახლოვებით 1900 წელს.

ნეს ძე მუხრან-ბატონს გარდასცა. ამან მოკლედ მოახსენა ნამესტა ნიკს: ყოველი ყმა შეწუხებულია თავის მდგომარეობით, თავ. ჩოლა ყაშვილისაგან არავითარი უკანონობა არა აქვსთ რა, მხოლოდ ვან-თავისუფლების მოლოდინში არიან და თავადს ურჩობას უწევენო-ნოშესტნიკის განკარგულებით, გლეხების წამქეზებელნი ოთხი მეთაუ-რი დაიჭირეს და ციხეში ჩაპყარეს. ესენი იყვნენ ნინიკა თედუას-ძე მესტგირეშვილი, გოსტენ ლაზარეს ძე მესტგირეშვილი, ივანე პაატას ძე ლრუბლაშვილი და ლაზარე გულიას ძე ბულშევიშვი-შვილი”.

ეს მარგალიტი სტრიქონები თვით კიკო ჩოლოყაშვილს ეკუთ-ვნის. აქედან კარგათ სჩანს, რომ თვით სამარტალიც კი მკვდარო-ყოფილა ყმათაოვის. ყმებს რომ დიდი გაჭირება არა ჰქონიყოთ, უა-მისოთ იგინი მრისხანე ბიტონის წინაშე ვერ გაბედავდენ და მთავრის-ეტლის ცხენების ქვეშ კაცი და დედაკაცებიც არ ჩავარდებოდენ „შეუწუხებულნი ამას არ იზამდნენ“.

ქართლისა და კახეთის მებატონენი, რომ ბოროტები იყვნენ, ეს კიკოს სიტყვებიდანაც სჩანს. 1871 წ. თავად კიკოს, მისმა მეუ-ლლემ, მთავრობასთან უჩივლა, რომ ჩემი ქმარი მტანჯავს და მიშვე-ლეთო. ცოლის ტანჯვის გამო, კიკო ციმბირშიც კი გიახლათ: მერე ისევ მობრუნდა. დასასრულს კიკო ამბობს ერთ ალაგს: „ასე მოვჭამუ-70 წელი და არა მგონია, რომ მაღლიერი მყავდეს ვინმე“-ო. ცხადი საქმეა, რომ კიკოს მაღლიერი არავინ ეყოლებოდა, ეს თვითონგვა-უნდა სცოდნოდა კარგად. ამიტომაც ბრძანებს ასე თამამად თავის თავის მდგომარეობას. თავ. კიკო ჩოლაყაშვილის ყმათა სამდურავში საყურადლებოა ის სიტყვები, სადაც ამბობს, რომ ყმები თავიანთ ბატონებს მრავლად უჩივოდნენ მთავარ მართებელთანაო. ეს არის ჩვენთვის საყურადლებო მასალა იმ მდიდარ ისტორიულ პირობების, რომელიც ბატონ-ყმობის ღროს, ყმათა და ბატონთ შორის არ-სებობდა და რომლის ცნობები ჩვენ, თითქმის სულ არაფერი გვაქვს. დაკარგულია ყოველივე. აქ ერთი უბედურება ის არის, რომ ამ უბედურ სენს და მებატონთა თავ-აშვებულებას. ყურადლებას არ აქცევდენ თვით იმ ყმათა შვილებიც, რომელთაც განათლებაც ჰქონდათ, წერკითხვაც იცოდნენ და თანამედროვე ყმათა გარე-მოებასაც ზიზლით უმჩერდენ. სამწუხაროდ მათ ამის შესახებ, სიტყ-ვაც არ დაგვიტოვეს. ამის დანაშაულობა თვით სამლელოებასაც მიუძვის და ნამეტურ კურს გამთავრებულ სემინარისტებს, გა-თაც არაფერი აქვსთ ამაზედ დაწერილი და საღმე დაბეჭდილი-მათგან ჩვენამ დე ნაწერების ერთმა ფურცელმაც ვერ მოაღწია.

მათ ადვილად შეეძლოთ ამაებზედ ეწერათ, რადგან იგინი თავიანთ თვალებით უმჩერდენ, თანამედროვე ყმათა ტანჯვას. გარდა ამისა სათქმელია ისიც, რომ ქადაგებაშიაც ერთხელ არ შეხებიან ამ უბე-დურ სენს სიბრალულით და ერთი სიტყვაც არ უთქვამთ. ქართველ სამღვდელოებათა ქადაგება ამის წინაშე მკვდარია და უვარგი-სი, ერთი ქადაგება მხოლოდ გაბრიელ ეპისკოპოს აქეს თქმული, ისიც ბატონ-ყმობის მოსპობის დროს წარმოთქმული, სხვა ყოვე-ლივე გამქრალია და მივიწყებული ამ დიადი ჭირის არსებობის შესახებ.

ქართველი სამღვდლეობა მკვდარია, ტანჯულ ყმათა წინაშე მა-მაშვილურ მფარველობით.*) იგი მონა იყო და მისყიდული ბატონებზე. სამღვდლოება არსებობდა მათვის და არა ყმა გლეხთათვის. ზოგი მღვდელი ამათ მორჩილებას და მონებასაც კი უქადაგებდა ბატო-ნის წინაშე. მაშ, მოვიყვანთ ისევ კახელ ყმათა ცნობებს, რომელიც დიდი ცდით გვაქვს შეკრებილი და დაწერილი.

საგარეჯოს მცხოვრებ ყმა გლეხი ზურაბა მაკანტალაშვილი სას-ტიკად სძულდა კიკოს. მებატონემ, ყმის ჯავრი, ბატონყმობის გა-დაგარდნის შემდეგაც არ დაივიწყა და გლეხს ემტერებოდა იმის-თვის, თუ რატომ ბატონს არ უძახდა და ყოველთვის კიკოს ეტყოდა ხოლმე. ამაზედ გლეხს დავა აუტეხა და დაამხო მისი ოჯახი. გლეხი ეტყოდა ხოლმე: „არ გეტყვი ბატონს, რადგანაც შენ ბატონი არ იყავი, არამედ მტანჯველიო... გადამეკიდები-გადაგეკიდები, და-ხარჯავ-დავხარჯავ. მე ხელსახოც ში ერთ შავ პურს გამოვიკრაშ და იმითი დივირჩენს თავსა, შენ კი ამას ვერ იზამ და ჩემს უკან დევნასა და ხარჯვაში გაწყალდები“-ო.

კიქი ასე ექცეოდა, თვით ყმობის შემდეგაც თავის ნაყმევთა და აბა ყმობაში თუ რა შეილიც უნდა ყოფილიყო, მე მგონია აქე-დან კარგად დაისკვნება. სამწუხაროდ ამ გლეხს მე ვერ მოვეს-წარ, თორემ მისგან მეტად ბევრს ამბებს დავსწერდი, არა მარტო კიკოზედ, არამედ სხვა კახელ მებატონებზედაც.

თუმცა არა ხშირად, მაგრამ კახელ მებატონეებმაც იცოდენ ყმათა შეიღლების მოტაცება და თათრებზედ გასყიდვა. უმეტესად, კა-

*) სამღვდელოება, ძმობა, ერთობა, თანასწორობა და მამაშვილობა—ძლიერ შორი-შორს არიან ერთმანეთისაგან... საყურადღებო ის არის, რომ ამას მუშები და გლეხები რამოდენიმე აოეულ წლების წინათაც კარგათ გრძნობდნენ. ეს წერილი დაწერილია 1874 წ. ამ ხანებს ეკუთვნის სიტყვა-მოსწრებული ხალხური თქმულე-ბა: „დეითხოვე ეს ხუცესი ჩვენსა ნუ დაიარება! აღარ გვინდა მისი წირვა არცა მი-სი ზიარება! ჩვენ რომ სახტარში გვეგონოს, ქალებში დაიგრება.“ რედ.

ხელ მებატონენი, თავიანთი ყმათა შვილებს, სპარსელებზედ ყიღნენ, განჯის თათრებზედ და სომხებზედაც. სომხებზედ დიდი ძალი რიცხვია დასყიდული ძველთადგანვე.

თავ. რევაზ ანდრონიქაშვილი

ერთი დედაკაცი, ხანში შესული, სჯულით სომეხი, ტომით ქართველი, სახელად ჰორომსიმე, რომლის გვარი ვერ გავიგე, ბატონისაგან შვილების წართმევის (ეს დედაკაცი კახელი იყო, დედაჩემი იცნობდა ამ დედაკაცს) შესახებ, ყოველთვის სწყევლიდა მებატონეს. ეს დედაკაცი კახეთიდან თფილისში იმიტომ ჩამოსულიყო, რაღაც მას გაეგო, რომ ბატონმა შვილები, (ორი ქალი), თფილისში გამისუიდაო. თფილისში ჩამოსულა, ქალების ძებნის დროს, ავლაბარში ბატონი შეხვედრია. დედაკაცი ბატონს თავისთან მიუხმია და უკითხავს, თფილისში რათ ჩამოხველიო...

დედაკაცს უთქვამს:

— ჩემს ქალებს ვეძებ, სადაც ისინი იქმნებიან, ბარემ მეც იმათთან ვიქნები.

ბატონს მიუგია:

— შენ შენს ქალებს ვერ იპოვნი, ისინი კაი ალაგას არიან, თუ გინდა მე გაგზავნი მათთან.

დედაკაცს თანხმობა უთქვამს, ამ „კეთილ“ ბატონს გოგოები ვიღაც მიკიტინისთვის მიეყიდა, რასაკვირველია, მიკიტინის დუქანში საკახპოთ. მაშინ საკახპოები სამიკიტინოს გვერდით იყო. თითო მიკიტანი ორს ან სამ ქალს ინახავდა. ამის ცნობა დედაკაცს ბატონისაგან აუღია და ამიტომ ბატონისთვის საყველურიც უთქვამს, რად მიყავი ესა და რად დამღუპეო. ბატონს ამაზე ჯავრი მოსვლია. დედაკაცი გაულახვეს და გალახვის შემდეგ, ერთ ოთახში დაუმწყვდევია, თითონ კი სადღაც წასულია. დედაკაცი სამ ლოეს დამწყვდეული დარჩენილა სახლში. შიმშილს ისე არ შეუწუხებია, როგორც ბუნებრივ მოთხვნილების საჭიროებას და ამიტომ დიდი მორიდება, დიდი მოთმინება გამოუვლია. ბატონის შიშით ვერავის კარი გაეღო. ყველას ჰშინებია, რაღაც ბატონმა ბრძანა, მინამ მე მოვალ, ეს დედაკაცი არავინ გაუშვასო, ესეც თავის ქალებთან უნდა გავგზავნოვო. ამ გაჭირების დროს, სირცხვილეული დედაკაცი ჰქუაზე შემცდარა. ბატონი მოსულა დედაკაცი გაუნთავისუფლებია და ალარაფერი სასჯელი მიუყენებია, რაღაც უნახავს, რომ დედაკაცი ჰქუა შემცდარი ყოფილა. მას შემდეგ ქალი თფილისში დარჩა და მათხოვრობით

სცხოვრობდა. ჩევაზ ანდრონიკაშვილი შეტის-მეტი მრისხანე კაცი იყო და ყმათა დამრბევი. პირველი ლამეც იცოდა. ეს ამბები მომხდარა 1840 წლებს. ბატონი კი 1850 წლებში მომკვდარა.

კახელ მებატონება საქართველოს და ბატონის განვითარება.

კახელ მებატონებს გლეხებზე ფასი ზომიერად ჰქონდათ დადგენილი: ბიჭის ჰყიდვები 70 მანეთად და ქალს—30 მან. თვითისში მათ თავისუფლად შეეძლოთ ყმების შვილების დასყიდვა. ამათგან დაყიდულები თფილისის მოქალაქეთა ხელში, სხვა და სხვა ხელოსნობას სწავლობდნენ. თადიას შესახებ ივანე კერძესელიძემაც მიამბო, რომ თადიას მე კი ვერ მოვესწარ, მაგრამ სხვებისაგან. კი გამიგონია: მეტად უდიერი კაცი იყოვო. იმისთვის ყმას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია; ყმებს სტანჯავლა, სცემდა თვით დედაკაცებსაც; ამის გამო მისი ყმათა შვილები ძრიელ ხშირად გარბოდენ ბატონისაგან. ზოგი განჯას მირბოდა, ზოგი ერევნისკენ და იქ სამუდამოთ იკარგებოდენ. ზოგი გათათრებულან კიდეც. ერთი მისი ნაყმევთაგანი, გათათრებული, სპარსეთიდან შაპის სახელმწიფო კაცს მოჰყეა თფილისში მზარეულათ. ეს კაცი თფილისში იცნეს, მაგრამ ვერაფერი უყვეს თურმე. საქმე აი როგორ ყოვილა: თადიას ყმები და მათი შვილები ხშირად გარბოდენ აქეთ-იქით.* ერთი ყმა ძრიელ დაუტანჯავს თადიას, ყმის შვილს შეშინებია, ვაი თუ მეც მამიჩემისავებ დამტანჯოსო, ამიტომ, გაქცეულა პატარა ბავშვი სახლიდან. მცირე ხანს თფილისში ყოფილა, ჩუმად, აქ მზარეულობა შეუსწავლია. ეს ამბავი თადიას ჯაშუშებს გაუგიათ და ბატონისთვის ცნობა მიუციათ. ბატონის ცნობის გადაცემის ამბავი, ყმის შვილსაც შეუტყვია, თფილისიდან გაქცეულა და რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთში ჩასულა, იქ მალე უშოვნია კაი ალაგი და ბოლოს შაპის უფროს ვეზირის მზარეულად დამდგარა. გრიბოედოვი რომ მოკლეს სპარსეთში, მაშინ სპარსეთის მთავრობამ რუსეთში დეპუტაცია გამოიწავნა, რომელიც თფილისში მოვიდა და მერე აქედან პეტერბურგს უნდა წასულიყო. თფილისში ყოფნის დროს, ერთი უმაღლეს პირის მზარეული, უცნიათ თფილისის ყასბებს. ეს მზარეული ყოფილა ის ყმის შვილი, რომელიც თფილისიდან გაიქცა და ბატონმა ვერ დაიჭირა. ეს ბიჭი გათათრებულა, იყო თათრულად ჩაცმულ-დახურული, კარგად მცირდნე სპარ-

*) მკითხველი ხშირად შეხვდება ერთსა და იმავე ამბავის სხვა და სხვა პირებისაგან, სხვა და სხვა კილოთი გამოთქმას. ვსტოვებთ უცვლელათ, რადგან ეს ყველაზედ მჭერმეტყველათ აზასიათებს, ბატონშობის. დროის მოშხამულ ატმოსფერას.

სული ენის და წერა-კითხვის, რომელიც იქ შეუსწავლია. თფილისში ყოფნის დროს, სპარსთა უფროსებს, ეს უხარშავდა საჭმელებს, ხო-ლაგსაც ეს ყიდულობდა ბაზარში, მაგრამ ვაჭრობის დროს სულ სპარ-სულად ლაპარაჟობდა, ქართულს არ აჩენდა. რასაც ვაჭრები ლაპა-რაჟობდენ ქართულად, მას ყოველივე კარგად ესმოდა. ორმა-სამშე-ყასაბმა, ერთ დღეს, ვაჭრობის დროს ერთშენეთს შეხედეს და უთხ-რეს: ეს თათარი ამა და ამ ბიჭს გაფსო, თფილისიდამ რომ გაიქცა-და დაიკარგაო თადიას ნაყმევი შვილიო! მეორემაც უთხრა: სწორეთ იმასა ჰგავსო!... ყველა ეს ცნობები გათათრებულმა ქართველმა გაიგო-ნა, მაგრამ კრინტიც არ დასძრა. ვერავინ რა შეატყო...

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა უმაღლესი პირები წავიდენ სპარსეთში, მხოლოდ წასვლის დროს, გამოუტყდა ის გლეხის ბიჭი ყასბებს. ეს ამბავი ყასბებმა საიდუმლოდ დასტოვეს, არავის უთხრეს და მხოლოდ მაშინ გამოაქვეყნეს, როცა სპარსთა დესპანი თფილი-სიდან პეტერბურგს წავიდენ. ეს ამბავი თადიასაც შეუტყვია, ჰაგ-რამ ვეღარა უქმია-რა.

რამდენი სხვა ასეთი ქმის შვილები, დაჲკარგია ოჯახს თადიას წყალობით, ამას კაცი ვერ აღვნისხავთ, ვერ მოვთვლით... ერთი ასეთივე ავბავი მიამბო ქართული კალენდრის მბეჭდავემა სერგეი სტეფანეს ძე მდივანოვმა, რომელიც მომყავს აქვე: „ამ უმაღლეს თათრის პირებთან „სვიტაში“*) ყოფილა ერთი სხვა ქართველი კაცა, რომელიც 1795 წ. მაჲმაღანს ტყვედ წაეყვანა... სპარსეთში გაზრდილა, ენები უსწავლია; გათათრებულა, ესეც მსახური ყოფილ ამათი. ამას თფილისში ნათე-სავები უცვნია, გახსენებია მამა-პაპათა სახლ-კარი და 35 წლის უნა-ხავნი უნახავს... თფილისში დარჩენილა, თან არ გაჲყოლია მათ, გა-ქრისტიანებულა და ხელოსნობით უცხოვრია. ამ პირს უამბნია თურ-მე, რომ მთელი სპარსეთი სავსე არის ახლად გამოქცეულ ქართველ ყმათა შვილებითათ. სპარსეთში იგინი თათრის სჯულს იღებენ და ამიტომ მალე შოულობენ საქმეებსო. თუ რა ოსტატობით მირბო-დენ საქართველოდან სპარსეთს, და მათ საზღვრებზე ვერავინ რას უგებდა, ეს ერთობ ადვილი იყო მაშინ, რადგან საზღვრებზე, რუსებს სასტიკი დარაჯები არ ჰყავდათ. მეორე თვით თათრებიც აპარებდენ. ასეთ ყმათა რიცხი ბაჭოს, ერევნის და განჯის გუბერნიის თათრებ-შიაც მრავლად არიან დარჩენილნი და გათათრებულნი.



*.) „სვიტა“ წარჩინებულ პირის თანხმლებლები, რომლებიც მასთან არა თუ იმ მოვალეობას ასრულებენ.

IV.

ପାତ୍ରନେତ୍ରମଣ୍ଡଳୀ ପଞ୍ଜିଆମଣି.

ଶାଶ୍ଵତଗାନ.

საბუთები ამოღებულია 1890 წ.

1

1835 წელს, ოზურგეთში, თავად როსტომ და დავით ერის-თავებმა, დაყიდეს რამდენიმე გურული გოგო-ბიჭები. სხვათა შორის ყმის შვილი, მამუკელა ბიბინეიშვილი, იყიდა გურიანთის მცხოვრებოქობირ ბოლქვაძემ. ეს მამუკელა, ბოლქვაძის ხელში დაცოლშვილდა და გამრავლდა. 1840 წელს, ბოლქვაძესაგან, ეს ნასყიდი გლეხნა უნდოდა დაესაკუთრებინა ძველ მებატონის შვილს, ყმანიც თვისკენ მოიზიდა და წართმევას უპირებდა. ამაზედ დავაც აუტყდათ 1845 წ.

2

1832 წელს, თ. მაქსიმე შალიკაშვილისაგან თავი გაითავისუფლეს 85 მან. მათვე საკუთარმა ყმამ იესიკა ბარამიძემ, რისთვისაც მათ, ამ ყმათ განთავისუფლების მოწმობაც მისცეს: აი პატარა ბარათიც:

„სოფელს უჩხუბის მცხოვრებს, ჩვენ გლეხ-ყმას იესიკა ბარამიძეს, ვათავისუფლებთ ჩვენის საბატონო მონებისაგან უმამულოდ, რისთვისაც შენგან მივიღეთ 85 მან. ვერცხლის ფული“. 1835 წ. მებატონები შარი უდო. ბარათი მოტყუებით გამომართვა, „ვნახამო“. ნახვის შემდეგ ბარათი დაუხია და ყმაბი ისევ დაიმონა. მერე უფრო დაუწყო დევნა. ეს გარემოება ორ ნაირად არის საყურადლებო: პირველი იმით, რომ 1832 წ. ყმა ახერხებს და მებატონისაგან თავს იხსნის, მაშინ, როდესაც ჯერ ბატონობა და ყმობა ძველის მცნების თანახმად ქებული იყო და გლეხნი ბატონს „მეპატრონედ“*). სთვლიდნენ და მეორე საყურადლებოა ისიც, რომ ბოლოს, ბატონს სიხარბე მოერია, ყმას შემთხვევით ნასყიდობის ქალალდი. დასტყუა, დაუხია და მერე ხელ-ახლა ყმობაზედ დავა აუტყდათ. უკველივე ეს, ანუ განთავისუფლებაც და შემდეგ დავის ატეხაც, ნათლად მოწმობს მებატონის სისასტიკეს, და იმ ღროის მთავრობის სივერაგესაც.

3.

1834 წელს, გურიის მებატონები, სახელმწიფო გლეხებს სასტიკათ მტრობდენ და ცხოვრების საქმეს უჭირებდნენ. მიზეზათ ის

*) „პატრონუმობა“—ზე—სათანადო კომენტარიები, ჩვენ. უკვე მოვიყვანეთ. რედ.

ჰქონდა, რომ რამდენსაც სახასო^{*}) გლეხებს საქმეებს გაუჭირვებთ, თმდენათ საბატონო გლეხთათვის ეს გამაფრთხილებელი იქმნება, საბატონო გლეხები ჩვენ უფრო გაგვიფრთხილდებიან და გარდა ამისა თატონყმობასაც ფასი ექნებაო.

...ჩვენ წინ, საბატონო გლეხნი ველარას გაბედვენ და ყოველთვის შორჩილებაში იქმნებიან, რადგანაც მათ თვალთწინ უქმნებათ სახასო გლეხთა გაჭირვებული ცხოვრებაო.

ამიტომაც, ესენი ხშირათ ეცემოლნენ, სახაზინო გლეხებს და შეილებსაც სტაციონენ, მოტაცებულნი ოსმალში^{**)} გადაჰყუდათ და იქ კარგს ფასებში ჰყიდნენ. აქ მოვიყვანთ ერთს მაგალითს, რომელიც შეეხება ისე გიორგის ძე გოგვაძის საქმეს...

1834 წელს, ოქტომბრის 19 ჩიქეს, ისე გოგვაძეს, სახელმწიფო საქმის მუშაობის დროს, შვილი მოსტაცეს, ქობულეთში წაიყვანეს, იქიდან ნავში ჩასვეს, ოსმალეთში გადიყვანეს და გაჰყიდეს. ეს ამბავი ქობულეთის ბეგსაც სცოდნია კარგათ, თვით მისი დახმარებით გაუგზავნიათ გოგვაძე ოსმალეთში და გაუყიდნიათ. ამ გოგვაძეს გარდა, იმავ 1834 წლებს, ძლიერ ბეგრი სხვა-და-სხვა გლეხებიც მოუტაცნიათ, ნამეტურ ახალგაზრდები, რომელნიც ასმალეთში გადურეკიათ და დაუყიდნიათ. ყველა ამ საქმეთა ჩამდენი გურიის „კეთილშობილ“ სახლის შეილეშთავანნი ყოფილან. რომელნიც რუსის მთავრობისაგანაც წაქეზებით მოქმედებდნენ, ისე ულვოოთ და ველურათ.

4

1836 წელს, გურიიდან ოსმალეთში გადიყვანეს და გაყიდეს შაუვარელა გოგვაძე და რამდენიმეც სხვა გურული გოგო-ბიჭები. დაყიდულებიდან მოახერხა, უფრო მხნე და რაინდ გოგვაძემ უკანვე დაბრუნდა, გურიაში მოვიდა და თან მოიტანა ყველა ის ცნობები, თუ იგინი გურიიდან რა ოსტატობით გააქციეს იქით და ან როგორ და რა ფასებში დაყიდეს მათმა მებატონეებმა. ამაზედ მათ დავაც ასტეხეს მთავრობის წინაშე, მებატონეთა წინააღმდეგ...

5

1837 წელს, გურიანთელ საბატონო გლეხს, ისე კუპრავას, შისმა ბატონმა, ალექსანდრე ჭყონიამ, ორი ასული მოსტაცა და გაუყიდა, სახელდობრ ჯაჯიყა და ნინუა. ამ ამბავმა ყმისა და ბატონს შორის დიდი უბედურება ასტეხა. დავამ 15 წ. გასტანა, ყმანი ამზობდენ, რომ ჩვენს ბატონს ქალების გაყიდვა არ შეეძლო, რადგან.

*) სახასო—ანუ სახელმწიფო. სახასო გლეხი—სახელმწიფო გლეხი.

**) ოსმალში—ოსმალეთში.

ჩვენ მას ხარჯს ყოველთვის ნათლად უხდიდითო. მას უულება არ ჰქონდაო... ბატონი — კი ამათ საჩივარს ყველგან ლაგმავდა, აქარ-წყლებდა. გაჯავრებულშა თვით კუპრავას ვაუსაც დაუწყო დევნა, დების დავას ამას აბრალებდა. კუპრავას ვაუის დარბევაში და საზო-გადოთ გლეხების დაწიოკებაში, დიდს „როლს“ თამაშობდა აზნაური ჯიბიტრი თავართქილაძე.

6

1840 წელს, საბატონო გლეხს ავთანდილ ჯორბინაძეს, სოფ-ჩიბათში მცხოვრებს, მათმა მებატონემ, გიორგი ნაკაშიძემ, ძალით ჭართვა ახალგაზრდა ვაუშვილი ნიკოლოზ ჯორბინაძე. რამდენიმე ანის შემდეგ, ეს ყმაწვილი ბატონმა თფილისში ისე გაგზავნა, რომ ეს ამბავი ყმაწვილის მშობლებს არც კი შეატყობინა. შემდგომ დედ-მამამ შეიტყვეს მათი შვილის სხვაგან გაგზავნა, ესენი ძრილ შეშინ-ლნენ, ბატონთან მივიღნენ და ცნობა ჰყითხეს. ბატონმა აუწყო:

— თქვენი შვილი თფილისში გავგზავნე სასწავლებლათ, იქ ჟყოლაში შევიყვანე.

აღმოჩნდა, რომ ეს ყმა გლეხის ბიჭი, მის მებატონეს თუილის-ში გაეყიდნა. იგი ეყიდა თფილისის ჩინოვნიკს სტეფანე ლამბაროვს. ეს ამბავი ნიკოს მშობლებმა რომ გაიგეს, მაშინათვე ბატონს მიმარ-თეს და სიხოვეს:

— ჩვენი შვილი გაგვინთავისუფლეთ, მისწერეთ ლამბაროვს, რომ ჩვენგან მოვებით ფული მიიღოს და ყმაწვილი-კი გაგვინთავი-სუფლოს.

ბატონმა უარი უთხრა და ამაზედ გლეხებმა დავა ასტეხეს: მე-ბატონეს შვილის განთავისუფლება მოსთხოვეს, თავიანთის ხარჯით. ზაგრამ ეს მათ არ შეუსრულდათ, ბატონმა ამის გამო უფრო დევნა დაუწყო და მუქარა, რომ უარეს დღეში ჩაგაგდებთ თქვენაო...

7

1840 წელს, თავ. ერისთავმა შემოქმედელს აზნაურს, იესე ჭარენიშვილს, მიაჟუდა ყმა დავით ანთაძე და ქე ამისი ივანიკა. შემდეგ, ივანიკა ანთაძე, მებატონემ თავის ქალს მზითევში გაა-ტანა. ქალი, აზნაურმა, მიათხოვა სახაზინო გლეხს ჭელიძეს. ივა-ნიკა იმყოფებოდა ახალ მებატონე ყმის ოჯახში და მსახურობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, აზნაურის ქალი გარდაიცვალა, ამიტომ ახალ-ში მებატონემ, თავისს ცოლის შინაყმა გაანთავისუფლა; ამაზედ ძველ მებატონემ საჩივარი ასტეხა და ითხოვდა მის სახლში, ყმის შვილის,

ივანიკას, მობრუნებას, რადგანაც ჩემი ქალი გარდაიცვალა... ის რთხოვდა: „რომ ჩემი ყმა მე დამემორჩილოს-“^o.

8

1840 წ. სოფელ გურიანთის მცხოვრებ, გლეხის ქვრივ რუსულესელიძეს, მისმა მეტატონე აზაურ დათა ჯაყელმა ჯერ ერთო შეიღი, იესიკა ლესელიძე, წართვა და თავისს სახლში გადიყვანა მონათ, შემდეგ ამისა, ამავე ქვრივის ოჯახს დაეცა იგივე მეტატონე, და ლამე მოსტაცა ახალგაზრდა ასული მზე-ქალა.*^o) არც ამას დასჯერდა, და სხვადასხვა სახლის ავეჯნიც დასტაცა.

შინ ყოფილი იესიკა ლესელიძე, ისე აღელდა ბატონის უსაკმართლო საქციელნაგან, რომ შორეულს ქვეყანაში გარდიხვეწა და მით ბატონისთვისაც სამუდამოთ დაიკარგა. მცირე ხნის შემდეგ, ამ ბატონმა გლეხის ასული გაჰყიდა. უკანასკნელათ ყმის ცოლიც სთხოვს მთავრობას, რომ ნეტავი ჩვენმა ბატონმა, ჩვენ სხვებზე გაგვყიდოს, და მით მოვრჩეთ ამდენ მისგან ტანჯვასათ. საქმე ბატონისკენ გადიხარა, მთავრობის თატატობით და ბოროტებით.

9

1840 წელს, ტრაპიზონში განაგებდა ცნობილი გოთაული**^o) ხალილ ფაშა. ამ ფაშას დიდი გემო ჰქონდა ქართველ ყმაწვილების ყიდვის და ამიტომ მისი მეოხებით გურულ ყმაწვილების ტაციობის ოსტატობა, გავრცელებული ჰქონდათ. გურულ ქრისტიან ქართველთა, ქართველ მაჰმადიანებსა და ქობულეთელებზე ხომ სიტყვა აღარ ითქმის, ამათგან მთელის ოსმალეთის ქალაქებში. ქართველთ შეიღოთა დასაყიდი ბაზრებიც-კი არსებობდა. უმთავრესათ, როგორც ვიცით, დიდი ბაზარი ტრაპიზონში არსებობდა. ამ ბაზარს იქ ჰყავდა მფარველი—ტრაპიზონის ფაშა, ანუ ვინც იქ იჯდა და განაგებდა ქალაქს.

ზალილ ფაშას, გვერდით ახლდნენ აჭარელი და ქობულეთელი ქართველი მაჰმადიანები. ესენი ვაჭრობდნენ საქართველოში, ყიდულობდენ გოგო-ბიჭებს და მერე ტრაპიზონში გადაჰყავდათ. ნებით ჟიდვის გარდა, ამათ ჩუმათ მოტაცებაც იცოდნენ, ნამეტურ მებატონეთაგან მოტყუებით წაყვანილი ყმების სყიდვა, რომელთაც ბათუმის ახლოსაც არ გაატარებდნენ, რომ იქ არავის ენახა და ეცნა ასეთ მტაცებელ და გამსყიდველთ შორის რეულან ქობულეთელი თამაზაშვილები, ქობულეთში თამაზოლლათ წოდებულნი. ეს თამაზოლლები ხალილ ფაშის პირველი პირნი ყოფილან და ყმაწვილებთა სყიდვა-გაყიდვის კარგათ მცოდნენი.

*^o) „მზე-ქალა“—ქალის სახელია.

**) გოთაული—ადამიანით მოვაჭრე.

ესნი აბრიყვებდენ ქობულეთელ და აჭარელ ქართველ მაკმალიანებს და ატაცებინებდნენ გურულ გოგო-ბიჭებს და ესრეთვე აბრიყვებდნენ თვით ქრისტიან მებატონე ქართველთაც.

ამის შესახებ 1845 წელს, რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ მიწერ-მოწერაც ასტეხა. უამისობაც-კი არ შეიძლებოდა, რადგანაც სხვა და სხვა საჩივრებით, გურიიდამ, ქუთაისის გუბერნატორი ერთობ დატვირთული იყო და ყოველი მომჩივანი, ტრაპიზონის ფაშას ასახელებდა ჟმაწვილების მტაცელად და გამსყიდავათ.

1846 წელს, მოიტაცეს გურული ახალგაზრდა ბიჭი, სოფელ ბახვის მცხოვრები, თ. მაქსიმეიშვილის ყმა რომ ბორჩხაძე ოსმალეთში წაიყვანეს და ტრაპიზონში გაყიდეს. ამ ბიჭის პოვნა ტრაპიზონის რუსის კონსულს დაევალა და ამან მართლაც ეს ბიჭი ხალილ ფაშასთან იპოვნა, რომელიც განათავისუფლა და საქართველოში დააბრუნა. ფაშა ამაზედ ძრიელ გაშეკრა, მაგრამ ველარა რა ქმნა, თუმცა ასეთ ხელობას თავი მან არც შემდეგ დაანება.

10

1840 წ. გლეხი სიკო ხანთაძე, თავის ბატონს დაუგირავებია ორი წლის ვალით ალ. მაჭუტაძესთან, დაგირავებული თუ საღმე გაიკუთხა, ან თუ მოკვდებოდა, მაშინ დამგირავებელს სამაგიერო უნდა მიეცა. დამგირავებელი ბატონი ნიკო მაქსიმლიშვილი 'ყოფილა.

11

1840 წ. თავ. როსტომ ნიუარაძე დიდი ბოროტი კაცი იყო, ყმების მტანჯველთ შორის უპირველესი ხარისხი ეკვა. ამისმა ბოროტებამ ამავე დღი ქვეყანა. ამიტომ განიძრახეს გლეხებმა ამის მოკვლა, გზაში ესროლეს თოფი, მაგრამ ვერ მოკლეს, ეს თავადი 1846 წ. მეორეთ იქმნა გურიაში გლეხთაგან თავ დასხმული და უნდა მოეკლათ, მაგრამ ვერც მაშინ მოკლეს. ეს მებატონე თავის ნათესავებშიაც დიდი ბოროტი ყოფილა და მას ნათესავებიც ემდურებოდნენ.

12

1840. წელს. სოფელ ჩიბათში, გალოგრე დიაკონმა თავისს ქალი გაათხოვა იობ ჯორბინაძეზედ. ამისაგან ქალს მიეცა ერთი შეილი. ქმარი მოუკვდა, ეს ქალი მალე გათხოვდა მეორე ქმარზედ. შეირთო სოფ. აცანის მცხოვრები ბუჭუა სამსონიამ, აზნაურ გუგუნავას ყმამ, ამ კაცის ხელში ხსენებულ დედა-კაცს სამი შეილი მიეცა, მეორე ქმარიც მალე მოუკვდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ, 26 წელში მისული ქალი ვილამაც შეაცდინა და ამ შეცდომით იგი დაორსულდა.

ქმრის სიკვდილის მუხუთე წელიწადს მიეცა ვაჟი შვილი. ეს ვაჟი დედამ გაზარდა, იგი ჩაწერა პირველ ქმრის გვარზედ, რომ ეგები ბატონი არ წამედავოსო, მაგრამ ბატონმა ეს არ ქმნა, დაინარა ეს დედა-კაცი. დედა-კაცი წავიდა ბატონთან; მისვლისათანავე, ეს ქალი, ბატონმა პატიმარ ჰყო, 6 წლის ბავშვს მოხვია ხელი და თავისს ოთახისაკენ წაიყვანა. დედა-კაცს კი დაუწყო ყვირილი:

— შენ რა კი ჩემი ყმის ნაცოლარი ხარ, კანონიერი შვილი იქმნება, თუ ნაბუშარი, ეს ორივე ერთია, ორივ ჩემათ ირიცხებიან. ეს ბიჭი ჩემი ყმა არის და მინდა ოსმალში გავყიდი.

დედა სასტიკი წინააღმდეგი გაუხდა, მებატონემ ძალა იხმარა, პატიმარს სცემა კიდევაც, მაგრამ მან მაინც თავი არ მოუხარა და ბატონის ვერაგობას და უსამართლობას ხმა მაღლა ღალადებდა. ამ აზნაურს, ოსმალში, ძრიელ ბეკრი გურული გოგო ბიჭები დაუყიდნია.

13

1842 წელს, მოკვდა ს. ჩიბათელი გლეხი დიმიტრი მშვიდობაძე. მას დარჩა ქვრივი მეუღლე და შვილები. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ ოჯახიდან ერთი ობოლი ქალი, მისმა მებატონემ გაყიდა და მისყიდა ერთს დედა-კაცს. ამ დედა-კაცმა, ეს ნასყიდი გოგო, ქუთაისს წაიყვანა და იქ მიჰყიდა ქუთასის მცხოვრებ, ივანე ორჯონიქიძეს. ეს ქალი აქ მოჩიტდა, შემდეგ ივანესა, ეს გოგო ქელბაქიანის ასულმა დარეჯანა-ორჯონიქიძისამ მიჰყიდა სოფ. სიმონეთის მღვდელს სიმონ ჭუმბურიძეს.

14

1843 წელს, ალექსანდრე დავითის ძე მაჟუტაძემ, განიძრახა ძალით მითვისება სოფელს ჯუმათის მცხოვრებ გლეხთა, საეკულესიო ყმების, რომელიც ძველადგანვე ჯუმათელს*). ექვემდებარებოდნენ. ძალით მოტაცებისათვის თავადმან სხვა და სხვა ოსტატური ხრიკებიც იხმარა, ეს ხრიკები მეტის მეტის ოსტატურის ლიქვნით იყო სავსე და ამ გლეხების საკრძონებლათ, ვინ იცის რას არ ხმარობდა. პირველათ ნამუშევარებს წარტაცვა დაუწყო, ამისთვის იგი გლეხების ახლოს მივიდა და დასხლდა, მერე დავა აუტეხა, საჩივარსა და ხარჯმი ჩააგდო, ქვეყანა შეაწუხა, გლეხთა რიცხვი 40° კომლზედ მეტი იყო. უცბათ ისურვა ამათი უმობა და ამისთვის ისეცი გაიძევრობა დაიჭირა ხელში და ისეთი მახვილიც იხმარა, რაის მეოხებით ამ 40 კომლის გლეხებიდან მოტაცებით წაიყვანა რამდენიმე გლეხთა შვილები და დაყიდა აქა-იქ. აი გაყიდულთა გვარები:

*) ჯუმათელს ეტყვიან—ჯუმათის სამონასტროს მღვდელ-მთავარს.

გოგია იმნაიშვილი, თავის ცოლ-შვილით, მთელი ოჯახის წევ-
რნი დაპნია და სულ სხვა და სხვა პირებს მიჰყიდა.

ოთარიკა იმნაიშვილი მამა და ამის ძე ხატზე დააფიცა ყმო-
ბის შესახებ, განიძრახა აგრეთვე სხვა და სხვა გლეხთა ყმობაც, რო-
მელთაც სასტიკათ არბევდა და სტაცავდა ძროხას, ღორს, ქათამს
ხარს, პურს, სიმინდს, ღომს, ქერს, თითქმის ყველაფერს, რაც-კი გლე-
ხებს მოუკიდოდათ. უკანასკნელ გლეხებმა ბატონს საჩივარი აუტე-
ხეს და სამართალიც გაიტანეს, სასულიერო წოდება დაეხმარა, ამა-
თის დახმარებით გლეხნი საეკლესიო ყმებათ იქმნენ ცნობილი და
დამტკიცებული. ეს მოხდა ჯუმათელის მეთაურობით.

15.

1843 წელს, თ. ერისთავმა თავის ქალი თ. თავდგირაძეს შია-
თხოვა, მზითევში ერთი ყმა გაატანა სახლობით. რამდენიმე წნის შემ-
დეგ, კნეინა თათია თავდგირიძისამ, იმდღავრა და თავისს ყმას ერთი
ასული წართვა მოახლეთ, რაზედაც შემდეგ დავაც ატყდა, რადგა-
ნაც, თვით გოგო მოსამსახურეც-კი ითხოვდა კნეინას ბოროტებისაგან
გათავისუფლებას. გოგომ მთავრობასონ იჩივლა და აღიარა, რომ
ჩემმა კნეინამ მე ძალით მომიტაცაო. კნეინას პასუხი მოსთხოვა მთავ-
რობამ, კნეინამ მოახსენა:

— მანამ ამ გოგოს სამაგიეროს მისი შამა სხვას არ მომიყვანს,
სასამსახუროდ, მე ამას ვერ გავათავისუფლებ..

16

1843 წ. სოფელ ჩიბათის მცხოვრებ სახელმწიფო აზნაურ სარა-
ჯელაძეებმა, თავიანთი საკუთარი ყმის შვილები გაათავისუფლეს:
1843 წ. მებატონეთაგან ქართველ მონა ყმათა გათავისუფლება იქამ-
დე ღირს შესანიშნავათ მიმაჩნია, რომ აქ ამ განთავისუფლების თხოვ-
ნა, რომელიც მებატონე აზნაურის. შვილებმა მთავრობას მიართვეს
და აუწყეს თავიანთ გლეხთა განთავისუფლება. პირდაპირ მოგვყავს
აქ ეს თხოვნა:

„შეამომავლობით ჩვენდა კუთვნილი ყმა, სოფელს ლანჩხუთის
მცხოვრები ღოვანე იესეს ძე ბერეუიანი, მისდა კუთვნილის უძრავ მო-
ძრავსი ქონებით განვათავისუფლეთ ჩვენის მფლობელობისაგან და მი-
ვიღეთ მისგან ას ოცი. მანათი ვერცხლის ფული და მივეცით მას
განთავისულების წერილი. რომლისათვისცაც უმდაბლესათ ვითხოვთ
თქვენისა ბრწყინვალებისაგან, რათა ჭეთილ ინებოთ მიცემათ მისდა
სჯულიერისა მოწმობისა, ჭეშმარიტებით ჩვენდა კუთვნილობას „ზედა“

1844 წელს რუსულან მისრანეიშვილს, ძალით შვილი წაართვა-
და გაუყიდა სათათრეთში, მისმა მებატონე დათა ჯაყელმა. შემდეგ
ეს მცირე წლოვანი ასული მოპოვებულ იქმნა, რომელიც გამოისყიდა-
ქვრივმა რუსულანმა.

1845 წელს, მებატონეთ შორის ყმების გამო დავა ხშირათ ატყ-
დებოდა ხოლმე. მაგალითებრ ერთი მებატონე თავისს ყმას ან მზი-
თევში გაატანდა, ან დააგირავებდა, ან გაჰყიდდა; გაივლიდა დრო-
და ყმის მებატონის ოჯახში რამე ცვლილება დატრიალდებოდა. ყმის-
ახალი მებატონე ან გარდაიცვლებოდა, ან სხვა რამ შემთხვევა მოხ-
დებოდა, ან გაყიდული ყმა დასახლკარდებოდა და მომავალში მას-
შვილებიც გაუჩნდებოდა. ძველი მებატონე მის ყმის ახალს ბატონს
საჩივარს აუტეხავდა:

— მე შენ ყმის მარტო ერთი სული მოგყიდე და არა მისი მო-
მავალი ძენიო. ესენი ჩემი საკუთრება არისო.

ასეთის დავისაგან ატყდებოდა საჩივარი და უკანასკნელ ყმაზედ-
ორივ აცხადებლნენ უფლებას, ბატონობას, მისგან საბატონო ხარჯის-
გადახდას.

ასეთი დავა ბევრ ნირად იხვეწავდა როგორც ყმის ცხოვრე-
ბის საქმეს, ისევე მოდავე მებატონეთა...

აი, ერთი სანიმუშო საბუთი:

„აკეთის უჩისტესი მცხოვრების პრაპორ-
შჩიკის თავაღის კოსტანტინე დავითის-
ძის შალიკაშვილისაგან

მოხსენება:

რაიცა უჩივლეს, ჩემის ყმის გარდაცვალებულის ივანე თავ-
დიშვილის მეულლეს, მქრივად მყოფს თამარ. გოგისეანაშვილის-
ქალს, ვითომცა მოაცილა ორი ასული, სახელწოდებული გულქანა და-
თამარა, შემდგომ, მისცა ორ წერილი სხვა შვილების თავისუფლე-
ბისა და გაჰყიდა იგი ალექსანდრე ქარიციფაძემ შკილითურთ, ამისათ-
ვის მაქეს პატივი მოხსენებად: „მას დედაკაცზედ და მისს შვილებზედ,
არა აქვს აზნაურს ქარცივაძეს, არავითარი უფლება გარდაცვალებუ-
ლი ყმა იგი ჩემია, ივანე თავდიშვილი მეულლის მე, ყმად უმეტესად-
სამასის წლის განმავლობითა და არას ოჯახისა ჩემისა მოჯალაბე,
რომელიცა დღესვე მყავს, მმა ივანისა, იესიკა და სხვანი სახლის კაც-
ნი იმა თავდიშვილისა ვალდებულები ამით, რომელ თავდიშვილი ვერ-

გათხოვებს ასულს, არამედ უნდა მყავდეს მოსამსახურეთ მამრისა და მდედრის სქესი, რომელიც ნამდვილათ იცნობების, არ ვინმე პირს არ ასწოვს რომ განქორწინებულ იყოს თავდიშვილის ქალი.

გარნა ზემორე ცხადი, ივანე თავდიშვილი, დროის ცვალებისა გამო მიაბარა, გარდაცვალებულმან მამამან ჩემმან, დავით შალიკა-შვილმან, დასა მისსა მარიკა შალიკაშვილის ქალს და შვილსა მისს მარიკასას აზნაურს ალექსანდრე ქარცივაძეს; ხოლო ასული ამათი გულ-ქანა, მისცა თავისს სიკუოცხლეში მამამან, აზნაურს ალექსანდრე ქარ-ცივაძეს არა უნაკლულევანეს თექვეშეტი წლისა განმავლობასა, გარნა შეორე ასული ივანე თავდიშვილისა, თამარა, ამა დედაქაცის შვილი, ამის შერთვამდე ჰყვანდა სხვა ცოლი იმა თავდიშვილს და ჰყვანდა უწინდელი ცოლის ხელშიდ შენაძენი, რომელიც მანვე თავდიშვილმან, მისყიდა თავისს ცუდს ნამოქმედებს საქმეშიდ. იქმნება მას აქეთ ოცდა-ათი წელი განვლილი. შემდგომ რაოდენიცა იყვნენ ყმანი ჩემი მიბარე-ბული ქარცივაძისადმი: საბაია და სალომე თავდიშვილი იმა ივანისა შვილები, მერე დავიბრუნე და მყავდა ოჯახშიდ, როგორცა წინეთ, ეგ-რეთვე შემდგომ, მათის დედით თამარ გოგისკანაშვილის ქალითურთ, რომელ მე ისინი განუცილებლათ ერთად მივსყიდე ქეწის მცხოვრებს აზნაურს ისლამ ავალიანის ასულს მარიამს, რომელიც გამოპარულა მუ-ნიდამ, მათგანი საბაია ივანეს ძე თავდიშვილი, მისის დედითურთ და იშუოფებაოზურგეთის უჩასტკის მცხოვრების მაქსიმე თიკანაძისას, ამი-სთვის მორჩილად ვსთხოვ თქვენს მაღალებრივ შობილებას, დამიბრუ-ნოთ ყმანი იგი ჩემნი დედისიურთ, რომელნიც ერთად იქმნებიან განუ-ცილებლათ და ანუ მისცეთ ვისდამიცა მხმივლნებს მე, ერთიანად.

ამასთანავე დაესძინებ, მიცემული წერილი თავისუჯლების ქარ-ცივაძისაგან არ აქვს, არამედ არის ფარშივად*) შედგენილი, მაგრამ რა სათანადო არს, ქარცივაძეშ. ჩემს ყმას თავისუფლების წერილი მის-ცეს. არძა ეს შეთხზე და დაცსწერე თვით მთხოვნელმან პრაპორჩიქ-მან თავადმა კოსტანტინე დავითის ძემ შალიკაშვილმან“.

19

1845 წ. ყმა გოგია ხეთერიშვილს, საბატონო გლეხს, მამული წართვა სახაზინო აზნაურმა გიორგი ქაიხოსროს ძემ სეხნეიშვილმა. წარმოიდგინეთ, რომ ამ გლეხის მტრად გარდიქცა მისი მებატონე. მე-ბატონე აზნაურმა წართმევ აზნაურის მხარე დაიჭირა, გლეხმა 1845 წ. ოზურგეთის სამაზრო სამართველოს მიმართა, მაგრამ აქ მან ვერა-ფერი კმაყოფილება მიიღო. სამაზრო „ზასედატელმა“**), აზნაურების

*) ფარშივად—ყალბათ.

**) „ზასედატელი“—სასამართლოს მეთაური.

შხარე დაიჭირა და ასე და ამ გვარით გამოასალმა ეს გლეხი თავისს
მამულს.

1845 წელს მალაქია გურიელმა, ოსმალეთში დაყიდა ძალიან
ბევრი გოგო-ბიჭები; ერთი ამ გაყიდულთაგანი, სახელდობრ მცირე
წლოვანი გლეხი ბირჩიძე, ყმა მ. გურიელისა, 1846 წ. ოსმლეთიდან
გურიაში დაბრუნდა და იგი მთავრობასთან იქმნა წარდგენილი.

ამავე წელს, ოსმალეთზე დაყიდულ იქმნა რამდენიმე გოგო
და ბიჭები გურულის გლეხის ყმის შეილებისათ. გიორგი მაქსიმეი-
შვილისაგან. ერთი ამ დაყიდულთაგანი საკუთარი ყმა, მცირე წლო-
ვანი, როსტომ იმედაიშვილი, ოსმალეთიდან გურიაში გადმოვიდა,
მერე ეს გარდმოსული მთავრობასთან იქმნა წარდგენილი.

1845 წ.-ს. ბასილეთის მცხოვრებ, გლეხმა დიმიტრი სულაქვე-
ლიძემ, ვახტანგ ერისთავისაგან იყიდა გოგო, ცაცია ბერძნიშვილის
ასული, სულაქველიძე გლეხი ყოფილა, მასთან შეძლებული. რამოდე-
ნიმე ხნის შემდეგ, როსტომ ერისთავს ხსენებულის მსყიდველისათვას
შარი მოუდვია და თავისს გოგო ბერძნიშვილის ასული წაურთმევიდა;
ეს გოგო გაყიდულა 77 მანეთად. ვახტანგ ერისთავს ამ გოგოს სხვა-
ზე გაყიდვა განუძრახავს, ამაზედ დავა ამტყდარა. წინეთ ერისთავს
ეს გოგო 77 მ. გაუსყიდნია და მერე კი ამ კოგოში თურმე 300 მან.
აძლევდენ.

1846 წელს, ჩიბათის მცხოვრებს ყმა გლეხს გოგინა და ნიკო-
ლა ზენაიშვილებს, მათმა მებატონე აზნაურმა ასალო და ოთარ ჭყა-
ნიებმა წაართვა ორი ყმაწევილი და ამ წართმევის გარდა სხვა უმარ-
თლობაც მიაყენა; რაზედაც ატყდა მათ შორის დავა. რუსის მოხე-
ლეთა ბოროტებით, ბატონმა გაიმარჯვა ყმებზედ.

1846 წელს, აქეთის მცხოვრებ გლეხს სესია ზაკელიძეს, მისმან ბა-
ტონმა წაართვა შეილები ძალით და ყველანი დაუყიდა. შეილებს
გარდა, თვით ცოლიც წაართვა, ერთი სიტყვით, მთელი ოჯახი აუ-
ოხრა და დაუღუპა. ეს გლეხის ოჯახი მუსიკო, უნდა ითქვას, რომ ეს
პირველი მაგალითი არ ყოფილა, ამ მებატონეს ბევრიც სხვა გლეხ-
თა ოჯახები გაუქრია და მოუსპია სოფელ აკეთში.

1846 წ. ნიმუში მის, თუ როცა საბატონო ყმა თავისს ბატონს დროზედ ხარჯს არ უხდიდა, მაშინ ბატონი მასს დასჯას როგორ სთხოვდა მთავრობას. აი ესეც თხოვნა კნეინა ელისაბედ ნაკაშისისა:

„სამკვიდრო ყმა ჩემი იოვანე მენაბდე, ოზურგეთის სოფლისა მცხოვრები, არის მზარეული ჩვენი და კიდევაც მართებს ბეგრათ ჩვენდამი მისაცემი წლით-წლად, ოთხი ქილა ღომი, ოთხი სარწყავი ღვინო, ექვსი ქათამი, და ერთი მანეთი ფული და არცა მემსახურა მზარეულობითა და არცა მომცა ეს მართებული გარდასახადი, სდგის ასე ურჩობაზედ, თავისი. მისდა მიმძრავლებით და ამისთვის მოვილტვი და უმორჩილესათ ვითხოვ, რათა დააჯდნოთ ერთის თვის ვადითა ნათბახშიდ და ამა საჯნისათვის*) წარმოვადგენ მანეთ ნახე-ვარს ვერცხლისფულსა, უფალი კნეინა ნაკაშიდისა ელისაბედ მიქაძის ასული.

**) ჩყმე-სა წელსა.

ივნისის ზ-სა.

მებატონეები, ყველგან ასე ევედრებოდნენ მთავრობას, უმათა დასჯას, ხოლო იმას კი არ აკვირდებდენ, რომ იქნება ყმებს ხარჯის გადუხდელობა შეუძლებლობით მოსდითო, ამასთან მათ საქმე არ ჰქონდათ და ამიტომ ხშირად საბრალო გლეხი ყმა, საპატიმროში ვარჯებოდა ბატონის მეოხებით, ანუ სილატაკის წყალობით.

1846 წელს, სკიმონ ნაკაშიძემ, აზნაურის ჯორბენაძისაგან ის-ყიდი ერთი გლეხის გოგო, სახელდობრ მარიკელა ხელყვავის ასული. ამ გოგოს ამ ახალ ბატონის ხელში, რამდენსამე ხანს მოუხდა დაშთენა და ბატონს ერთგულათ ემსახურებოდა. ბატონმა განგებ მრუშობა დასწამა და ამიტომ განიძრახა მისი გაყიდვა და ეს მალეც მოახერხა. გოგო ესე მიჰყიდა ხონის ნაწილის, კულაშის მცხოვრებს თ. გიორგი მიქელაძეს. ამავე მიქელაძის ცოლს ადრევე უყიდნია ხსენებულის გოგოს ძველის მებატონისაგან. ერთი ბიჭი, სახელდობრ რესიკა ხელყვავა. ამრიგათ და ძმანი ბატონს ერთად ემსახურებოდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ყმა გლეხმა ისურვა დის განთავისუფლება და ამის სამზადისაც შეუდგა. ძმამ, და მოიტაცა და ტამალა. ამაზედ დავა ატყდა, მყიდველ მიქელაძემ ძველ მებატონეს დავა დაუწყო, უკანასკნელ ნასყიდის ფულიც გარდაახლევინა. პირობა ასეთი ყოფილიყო.

*) საჯნისათვის—საჯნომისათვის.

რედ.

**) ჩყმე-სა წელსა, ივნისის ზ-სა. — 1845 წელსა, ივნისის 7-სა.

1846 წელს, გლეხი ლაზარე გუჯაიძე, თავისს მებატონე იქსე კანდელაქს სასტიკათ აეჭინაალმდევა, რაღვანაც ეს აზნაური თან პარაპორჩიკიც იყო და ამიტომ იგი გურიაში არამც თუ მარტოდ თავისს გლეხებს სდევნიდა, არამედ სხვებსაცა. ბუვრს ციხეებშიც ჩა-სვამდა და ვიდრე არ დაიმორჩილებდა, მინამდე ციხეში ამოალპობდა. ასე უყო ზემოხსენებულ გლეხსაც სამართლიან წინაალმდევობის დროს, ბატონმა იგი ციხეში ჩაასმევინა და ვიდრე არ დაიმორჩილა, მანამდე არ გამოაშვებინა. მხოლოდ 1846 წ. განუცხადა გლეხმა ბა-ტონს სრული მონობა და ამიტომ ბატონმაც იგი 26 იანვარს, 1846 წელს გამოაშვებინა კიდევ. გლეხი წელიწადს იჯდა ციხეში. ციხი-დან გამოშვების შემდეგ, გლეხს გადაახდევინა ის რაც-კი სურდა და მით იჯერა გული.

1846 წელს, თავალმან და კავალერმან ალექსანდრე დავითის-ძემ მაჭუტაძემ, თავისს ყმის ერთი გოგო, სახელდობრ გაბილილა ფირც-ხალავა, მიჰყიდა გორგობაძეს. მცირე ხნის შემდეგ, ამათ წაედავა გო- გოში, საჩივარი აუტიხა და გაყიდული გოგო უკანვე წაართო, იმ დროს პრისტავის, ანუ ბოქაულის მოწმობით ჩაიგარა, ბატონმა კა- ვალერმა, დიდი ხრიკები იხმარა ამ გოგოს გაყიდვა-გამოყიდვა-დაბრუ- ნებაში. მაინც ყველგან ასეთ საქმეებში კავალერი*) მართალი გამო- დიოდა.

1846 წელს, ლიხიურის მცხოვრებ საბატონო ყმის გლეხის შეი- ლი დათია გობრინიძე, თავიანთ ბატონს, აზაურს ბეჟან თაყიაშვილს ემსახურებოდა სახლში. ბატონი ყმას ისე სტანჯავდა და ისე აწვა- ლებდა, რაისა გამო ყმა ბატონისაგან გაიქცა. ამ გარემოებამ დათიას მშობლები ძლიერ დააფიქრა და ამათ მთავრობას თხოვნა მისცეს მას- ზედ, რომ გვიშუამდგომლეთ და ჩვენს ბატონს ძალა დაატანეთ, რომ ჩვენი შვილი დაგვიბრუნოს, ან ცნობა მოგვცეს, თუ იგი სად ვეძებო- თო. თხოვნაში დასძენებ:

„შევიტყეთ, რომ ჩვენი მცირე წლოვანი შვილი, მებატონე აზნაურს თაყიაშვილს სასტიკათ უცემნიათ და დაუტანჯავს, რაც გამ- ხდარა მისს გალტოლვის მიზეზათ. მოწყალეო ხელმწიფევ, გვიშვე- ლეთ, რათა იგი არ დაგვეკარგოს უსჯულოთა ქვეყანაშიდ.“

*) „კავალერი“—ცხადია გაიხსენებს თავის „წარსულს“... ჩედ.

1846 წელს, თავად დათა ნაკაშიძემ დააპატივრებინა თავისი ყმა, რაღანაც ეს ყმა მას არ ემორჩილებოდა. ამ ყმის დასაჭერად თავადმა ხარჯიც კი წარადგინა იქ სადაც რიგი იყო და ისურვა ამით, ყმის ჯავრის ამოყრა.

1846 წ. თავად გიორგი, ქაიხოსრო და ნიკო მაქსიმეიშვილებს, ჩვეულებათ ჰქონდათ ყმის მოტაცება და გასყიდვა ოსმალეთში და სხვა და სხვა ასეთ კუთხეებში. სხვათა შორის, ერთ დროს, ამ მებატონეებს შეკრებილი ჰყვანდათ 10-ზედ მეტი გოგო-ბიჭები, რომელთაც ოსმალეთში წაყვანას უპირებდნენ და დაყიდვას. ამ მებატონეთა მეტის მეტი წინააღმდეგი იყო მათივე ყმა ბეჟან მამუკას ძე ბორჩხაძე. ამ პირმა ბატონს მოსტაცა ათივე ყმა ტყვეები და საცალა გაიტაცა. ვითომცა და დაყიდა. ამას მარტოდ მისი მებატონე ამტკიცებდა, თორემ მას იქმნება ამგვარი საქმე არას დროს არც-კი ჩაედინა. ამას ჩვენ მით უფრო ვფიქრობთ, რაღანაც ერთ დროს, ამ ბორჩხაძემ ზემოხსენებულ მებატონებს საკუთარი გლეხებიც-კი აუჯანყა და უველა მათგანს. გულში ჩაუნერგა ბატონის უწესური მოქმედების ჰაზრები, ერთის სიტყვით, მთელი ამის მოქმედება პირდაპირ ბატონის უწესო საქციელის წინააღმდეგ ყოფილა. მიქცეული და ამიტომ გლეხებიც უჯანყდებოდა ყოველნაირად და ყოველგან. ამ გლეხის შესახებ მებატონეებმა სასტიკი საჩივარი ასტეხეს და მისი დაპატიმრება მთავრობას აუცილებლად მოსთხოვეს. მთავრობამაც შეისმინა მებატონეების თხოვნა და გლეხი ბორჩხაძეც დააპატიმრა.

1846 წელს. გურიანათას მცხოვრები აზნაური ალექსანდრე ქარცივაძე, ცნობილია როგორც თავისს ყმის შვილების გამსყიდავი ისე-ვი, როგორც. მალაქია გურიელი და მრავალიც სხვა ასეთი გვამნი. 1844 წ. თავისს ყმას ამ აზნაურმა, ივანე თავდისშვილის ქვრივს წართვა ორი ასული გულქანა და თამარი. პირველი ქალი მიჰყიდა ჩოხათის მცხოვრებს აზნაურს ახალიკა თავართქილაძეს და მეორე ლანჩხუთის მცხოვრებს საბატონო აზნაურს კვირკელიას.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბატონმა ამ ქალების დედას მესამე ქალიც წართო ხოლო იმ პირობით-კი, რომ გაყიდულს ორ ქალს ნება მოუპოვა, ახალ მებატონეთა ხელში, რომ იგინი ოდესმე გათხოვილიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, მებატონე მაინც არ დაწყნარდა და.

დედა ხსენებულ ქალებისა, მოხუცებული, ორის შეილით გასყიდა და მიჰყიდა ქუთაისის მცხოვრებ აზნაურს ზალიკა ბატრიძეს. ამ გასყიდვის შემდეგ, ხსენებულ მოხუც დედაკაცმა მთავრობას მიმართა და აუწყა ყოველივე ნაქნარი მათის ბატონისაგან და ითხოვა საქმის გასინჯვა—გარკვევა და მასთან მებატონის დევნა და ალკრძალვა, რომ მან ასეთი საქმეები აღარ ჩაიდინოსო, მაგრამ უშედეგოთ.

32

1846 წელს, მებატონეებს, როგორც სხვაგანაც გვითქვამს, ჩვეულება ჰქონდათ ყამათა შვილებთაგან მოახლეების გაყვანის, ხშირად ზოგი ერთი გლეხის ოჯახი იუკალრისებდა ამას და ბატონს არ მისცემდა გოგოს, ან მისცემდა და შემდეგ დავას დაუწყებდნენ, რომ ბატონს მათთვის ვოგო დაებრუნებინა; მაგრამ ამათი ლწვა უნაყოფოთ შთებოდა. ბატონი სამართალში ასეთ პასუხს აძლევდა:

— ჩემს სახლიდან გოგოს გაყვანა მიტომ უნდათ, რადგანაც მისი გაყიდვა სურთ თათარში...

ასეთ ბრალს მებატონე, თავისს ასტატურის კილოთი თვით გულმტირალ მშობლებს და ძმებსაც კი სწამებდა და უამთავითარების მეოხებით, საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ ხშირათ თვით მოახლე გოგოსაც ასე არწმუნებდნენ და მშობელთა და ძმათა ლალატს უნერგავდნენ გულში.

მაგალითებრ, გურიანთის მცხოვრებ აზნაურ დათა ჯაყელმა, თავისს ყმა ლესელიძეს, სახლიდამ ძალით ქალი მოსტაცა, თვით ეს აზნაური უცოლო იყო და ლამაზი გოგოების მოტაცეა ძრიელ უყვარდა. ყოველ მოტაცილ მოახლეს რამდენსამე ხანს შინ დაისომდა და მერე ოსმალოში უკრავდა თავს და იქ ჰყიდდა. ეს ხასიათი დათასი ლესელიძემა კარგათ იცოდნენ, ამიტომ იგინი ბატონს აუჯანდნენ და სამართლით ძიება დაიწყეს.

33

1846 წელს, დავა ატყდა შემდეგ გარემოებაზედ: ჩიბათის აზნაურ, ოტია სარჯველიძემ ცოლათ შეირთო აზნაურ ბეჭან თავართქილაძის ასული, მართა. ამ ქალს დედ-მამა დაპირდნენ მზითებულ ერთ გოგო და ბიჭის მიცემას, მაგრამ ქორწილის დროს ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც სასიძოსთვის იმ გოგოსა და ბიჭის პატრონებს, რომელიც მზითვათ უნდა წაეყვანათ, მათ 100 მანეთი მიეცათ. ეს ამბავი ახალ აზნაურის პატარძალს არ სცოდნოდა და არც შემდეგ შეეტყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ ქალმა თავის მამას დავა დაუწყო.

— დანაპირეები შეასრულეთო და ჩემი მზითვის გოგო და ბიჭი მომეცითო.

„მამამ უარი უთხრა:

— გოგო შენსას არ მოღის, შენ ქმარს, მისმა მამამ ფული გადაუხადაო.

ამ გოგოს შაქრისახისა ერქო. დავა გამწვავდა, ამიტომ ეს გოგო ბატონმა გადაიყვანა თავისს სახლში და რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილმა ოცლინა კიდეც და დააორსულა. დავა კი მაინც არ გათავდა. 1745 წ. მოკვდა ბეჟან თავართქილაძე და მისმა ასულმა, სამართლის ძალით, მაინც ჩაიბარა ეს გოგო და ბიჭი. გოგოს თან ნაბუშარიც მიჰყვა თურმე.

ეს გოგო, თავის ბავშით, დარჩა ამ ბატონის სახლში. ბავში გაიზარდა და იგი იმ ქალის ყმათ ირიცხებოდა. ეს არ იყაბულა ბატონიშვილმა და მთავრობას საჩივარი მისცა, რომ გოგო შაქრისახისა მე ჩემს დას მიებარე დროებით და არა მზითებში მივეციო.

გოგოცა და ბავშიც ჩემი საკუთარი არის, ჩემი ყმები და არა ჩემის დისაო, ჩემმა სიძეებ გოგოსა და ბიჭში ქორწილის დროს 100 მ. მიიღო, რაღვანაც მაშინ ესენი ასე იყვნენ დაფასებულიო.

34.*)

ყველა მებატონეებს, ჩვეულება ჰქონდათ ყმათა შეილებთაგან მოახლეების გაყვანა. ხშირად ზოგიერთი ოჯახი იუკალრისებდა ამას და ბატონს არ მისცემდა გოგოს, ან ძისცემდა და მერე დავას დაუწყებდა, რომ ბატონს მათთვის გოგო დაებრუნებინათ, მაგრამ ტყუილ-უბრალოთ ცდილობდენ. ბატონები ისეთ ხრიკებს უგონებდენ იმ პირთ, რომელთაც ყმის განთავისუფლება უნდოდათ, რომ თითქმის ბრალსა სდებდენ, ვითომც გასასყიდათ უნდათ და მისთვის იბრუნებდენო, ამნაირი ხრიკებით არ ზოგავდენ თვით მშობლებსაც და იმათაც კი ამნაირათ ეპყრობოდნენ რომ, ვითომც მშობლებსაც გასასყიდათ უნდათ თავიანთი ლვიძლი შვილები და მიტომ შეაქვთ საჩივარი და თხოულობდენ განთავისუფლებას. ამნაირი ხრიკებით კი დევაც გაჰყავდათ მათ თავისი ბოროტი განზრახვა:

35.

1846 წელს, ლანჩხუთის მცხოვრებ, აზნაურ მაქსიმე და გიორგი ჭყონიებმა, დაუგირავეს სოფელ ჩიბათის მცხოვრებ, აზრაურს ყარამან ჭყონიას მათი საკუთნებელი გლეხი ყმა ესელა შეწირული, თავის ბეგარით და სამსახურით 25 მანათში. ეს ესელა შეწირულ და-

*) ესევე ამბავი არის მოთხოვნილი № 32 — სხვა პირის მიერ რედ.

გირავებული სამ წელს დარჩა და მისი მებატონენი მას აღარ იხსნილნენ, ამიტომ ახალმა მებატონემ დაგირავებულ ყმის მებატონეებს 1849 წ. დავა აუტეხა და ვექსილის ძალით ფული მოსთხოვა. ყმების დაგირავება მაშინ ძლიერ გავრცელებული ვოფილა...

36.

1846 წელს, აზნაურებს და თავადებს ჩვეულებათ ჰქონდათ შემდეგი: ვინმე უპატრონო, ანუ უცნობ. სახასო გლეხის ცნობა რომ შეეტყოთ, მის წინააღმდეგ რამდენიმე აზნაური პირობას შეკრავდნენ, დაქარგულ ანუ უცნობ გლეხს, რომელიმე აზნაური დავას დაუწყებდა, „შენ ჩვენი ყმის შვილი ხარ, ჩვენი ყმაო“ უკანასკნელ ესენი შეერთებულს მოწმობასაც შეადგენდნენ, გლეხი, მოდავე აზნაურს ეკუთვნისო. სწორეთ ასევე უყვეს 1846 წ. ლანჩხუთის აზნაურის შვილებმა,*) დიონოსე და ნიკოლოზ გოგიჩაიშვილებს.

37.

1846 წ. სამეგრელოს აზნაურმა გიგო ანჯაფარიძემ, იყილა აზნაურ ბეჟუკ ბერიძისაგან, საკუთარი ყმა, ლევან მიქაბერიძე თერთმეტ თუმნათ, შემდეგ დავა ატყდა, ამ გაყიდულ მიქაბერიძის შესახებ.

38.

1847 წელს: აზნაურმა ქაიხოსრო ხუნდაძემ, თავისს ქალს, მზრებში გაატანა ერთი ყმის შვილი, რომელიც შემდგომ სადავო გახდა და საძიებელი.

39.

1847 წელს, გურიანთას სკოტორობდნენ აზნაური თოიძები. საზოგადოთ, როგორც ცნობილია საქართველოში, აზნაურობაში ზოგი მებატონე კეთილი იყო, ზოგი ბოროტი. ასეთ ბოროტთაგანი ყოფილა აზნაური მერაბ თოიძე. ამ აზნაურს ყმები ცოტა ჰყენდა, მაგრამ რაც ჰყენდა, მათაც ისე აწვალებდა, რაის გამო, მას ყმები დიდი „პროტესტს“ უცხადებდნენ და არ ემორჩილებოდნენ, სხვათა შორის, ამის სასტური წინააღმდეგი იყო, ყმა გლეხი როსტომ ვასაძე, რომელიც ბატონს არ ემორჩილებოდა. ამ ყმამ ბატონი ძრიელ გააგულისა, ამიტომ მან მთავრობას თხოვნა მისცა და ყმის, როსტომის, დამორჩილება, ასე სთხოვა:

უკუთვნილი მამა-პაპათაგან ყმა ჩემი, როსტომა ივანეს ძე ვასაძე, არ მემორჩილება. მე და არცა შემოდის აჩავითარჩა. სამსახურსა

*) აზნაურების გვარი ნახსენ ბრ არ ირთს.

ქვეშე ჩემსა, ამისთვის უმორჩილესად ვითხოვ მიიღოთ ყმა ესე ჩემი, და დასვათ ნაობჭხსა შინა, კიდრე დამორჩილებამდის, ხოლო ამას-თანავე წარმოვადგენ, სარჩოდ ყმისა ჩემისა, ერთს მანეთს შესანახისას და უკეთუ განგრძობილ იქმნება მჯდელობა მისი ნაობახშიდ, მაშინ ვითხოვ გამინახევროთ ფული მისაცემი სარჩოდ მისსა.“

აზნაური მერაბ თოიმე

40.

1847 წელს შემდეგ სამეგრელოში დიდი მოუსავლობა შეიქმნა, სიმინდი ისე გაძვირდა, რომ ხალხი ვეღარ შოულობდა, დიდი სიმ-შილი ჩამოვარდა, ხალხი აქა-იქ გარბოდა, ქალები უპატრონოთ შეიქმნენ. ერთის სიტყვით, მეგრელთათვის ცა დედა-მიწას შესტიროდა და დედა-მიწა ცას.

აი ამ დროს, ბახვის მცხოვრებ, საკათალიკოზო ყმამ სიმონ მეგრელიძემ საცალა გზით, ერთი მეგრელი ქალი იპოვნა, ეს ქალი მან თავისს სახლში მიიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ქალი ტეგრელი-ქესაგან დაორსულდა და მიეცა ვაჟი-შვილი, რომელიც მეგრელიძის გვარზედ იქმნა მონათლული და სახელად ივანე ეწოდა, ხოლო უკანონო შეილად იქმნა ჩაწერილი, ანუ ბუშად.

რამდენიმე ხნის შემდეგ, საბრალო მეგრელმა ქალმა, თავისს სოულად მიბრუნება ინდომა, ეს ამბავი მისმა მპოვნელ მეგრელიძემ შეიტყო. ეს პირქუში გახელდა და იდუმალ დაუწყო ამ ქალს დავა და უკანასკნელ*), იგი საცალა გაყიდა, ამის ნაშობი ვაჟი შინ დაიტოვა, გაზარდა და ბოლოს დააგვირგვინა კიდეც. დაგვირგვინების შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა.

იმის გარდაცვალებისას, ამ არა კანონიერად ცნობილს ივანე მეგრელიძეს, კანონიერი ძმები ასჯანებიან და უკანასკნელ ყმური ბრძანებაც გაუცხადებიათ და მასთან გაყიდვასაც-კი დაექადნენ, მაშოალებში მოდავობა არ გაგვიწიოს. ამიტომ დაჩაგრულმა ივანე მეგრელიძემ, მთავრობას მიმართა და თავი თვისი სასტიკ და ჩაგრულაო ალიარა და განაცხადა, რომ მე არც მათი მამული მინდა და არც სხვა რამ ნივთები, ოლონდ ჩემს ტანჯვას თავი გაანებონ. მე მათი ყმობა არ ძალმის, არც გავეყიდინები და მეორე კანონი გახლავს ნაბუშარი თავისუფალი უნდა იყოს, ამიტომ გთხოვთ, რომ მიშველოთ და დამიფაროთ, რათა ძმა ყმებმა არ მიყმონ.

*) ჩეკე ხორად შეგზუდებით სიტყვა აუკანასკნელ — რაც წიჭნავს: წემდეგ ბოლოს,

41.

1847 წელს, მევარეაცი კუონიამ გაანთავისუფლა სოფელ ჩიხათის მცხოვრებნი, სახელდობრ სარდიონ გოგიას ძე და ძენი ამ სარიდონისა დიონისე და ნიკოლოზ გოგიჩაიშვილები. ბატონს ამათი განთავისუფლება ნებით უსურვებია და საჭანადო სასყიდელი მიუღლია. ბატონი მთავრობას ავალებს, რომ ამ გლეხთა განთავისუფლება კანონიერათ მოხდეს, ეს მთავრობისთვისაც იქმნეს უწყებული, რათა დღეის შემდეგ, ეს გლეხნი კანონიერ თავისუფალ სახელმწიფო პირებათ იქმნენ ჩარიცხულნიო. მეორე წელიწადს, ამ გლეხებმა ბიტონს რაღაც აწყენინეს, ამიტომ ბატონი გადაეკიდა, მათი განთავისუფლება სიმთვრალის დროს მომივიდა, მომატყუესო. ამაზე დავაც აკტება, და გლეხების ჯაერი იყარა.

ეს მებატონე საოცარი ხასიათის მქონი ყოფილა. გლეხებს სულ ამის სიამოვნებაზე უნდა ევლოთ. დღეს რომ გემოვნებაზე იყო, ყმას ძმას ეჟახდა, ხვალ რომ გაწყრებოდა, ძმის მაგიერ ძალს უყვიროდა. გლეხი ყმის გათავისუფლება და მონება ამისთვის ორივე ერთი იყო, ორივე ადვილი. დღეს ეტყოდა გლეხს: გაგანთავისუფლებ, ამისათვის ძლვენსა და ფულს დასტუუბდა და ხვალ კი ისევ უარს ეტყოდა და დასჯიდა.

42.

1847 წელს, სოფელ ჭალის მცხოვრებ, აზნაურ სოსო გოგიტიძემ იჩივლა საღაც რიგი იყო, რომ მას დაეკარგა თავის ნამზითვი ყმა ზაქარია, უკანონო შობილი. ამ ბატონს უკანონოთ შობილ ყმის-თვის სასტიკათ გაუჭირებია საქმე და ამიტომ გაპეცევია იგი სოფელ კულაშში გიადასულა და იქ ერთი მღვდლის მფარველობის ქვეშ შესულა.

43.

1847 წელს, აზნაურმა დუმბაძემ, თავის ყმათაგანის ერთი მცირეწლოვანი ბავშვი მიაბარა მალაქია გურიელს. ეს ყმა მალაქია გურიელმა, შემდეგ დროს გაყიდა. ამ ყმის პატრონი როცა დაბრუნდა თავის მამულში, მალაქიას მოსთხოვა თავის ყმა, მაგრამ იგი აღარ აღმოჩნდა, მალაქიას უკვე ოსმალეთში გაეყიდნა.

44.

1847 წელს, პრაპორჩჩიკი როსტომ ერისთავი გურიის სამაზრო უფროსს ერეკლე მუხრანსკის აძლევს შემდეგ საჩივარს: „ჩიხატაურის

ნაწილის, სოფელ ნოლას მცხოვრები, ჩემი ყმის გოგო ზალიკა ბოლ-ქვაძის ქალის შვილი, ჩვენ ნება დაურთველათ, ცოლად შეურთავს იმავ ჩხატაურის ნაწილის მცხოვრებს, ივანიკა ულენტს, სოლომონ ერისთავის ყმამან, რომელმაც ამისთვის ჩემგან ნებართვა არ აიღო და მე არ დამაქმაყოფილა“... ამიტომ ეს ერისთავი მთავრობას სთხოვს, რათა მიხმობილ იქმნენ ეს ახალ ცოლ-ქმარნი და დასჯილნი, ვისარცა ბატონის მოწინააღმდეგენი; დასჯილ უნდა იქმნენ ესენი მით უფრო-ვო, რადგანაც ამ უკანასკნელ წლებს, გურიაში გურულ ყბა გლეხებ შორის ძრიელ გავრცელდა, ბატონის ნება დაურთველად შეუღლებაო დასჯას გარდა იგი ითხოვს თავისს ყმის გოგოს საფასურის გადახდას. წინააღმდეგ შემთხვევაში; „მე სხვაფერ მოვიქცევი“-ო.

1847 წელს, აზ. სიმ. თაყაიშვილმა ცოლათ შეირთო თ. ნაკაშიძის ყმის პაზნაურ კანდელაკის ქალი. მზითვებში, სხვათა შორის, ერთი მოახლეც გაიყოლეს, სახელდობ თითულა. ხუთი თვის შემდეგ თაყაიშვილს ცოლი მოუკვდა და ამიტომ ამ მოახლე გოგოს საქმეც სა-დივოთ გახდა: ქალის პატრონმა მთავრობას საჩივარი მისცა ასე: „რადგანაც ჩემი ქალი გარდაიცვალა და მას ავითარი ძე არ დარჩენია, ამიტომ ვითხოვ ჩემის ყმის მოახლე გოგოს დაბრუნებას, რომ ჩემმა ქვრივმა სიძემ დამიბრუნოს“. სიძემ ბევრი დავის შემდიგ დაუბრუნდა.

45.

1843 წელს მევარკაცი ჭყონიამ, დიდი უდიერება იხმართ თავისს ყმის გლეხ-კაცის, სესია ხოჭიძის ოჯახზედ. ბატონს ამ გლეხი-კაცის ჯავრი სჭირდა, ამიტომ მას ერთ ღამეს დაეცა, სახლკარი აუკლო, ახლო ნათესავები დაუწიოკა, ცოლშვილი წაართო და ცვე-ესენი ცალკ-ცალკე დაუყიდა. ეს გარემოება სესიამ ველაზ მოითმინდა და ბატონის შესახებ საჩივარით მიმართა მთავრობას, საჩივარში ერთ ალაგას მოყვანილია შემდევი ადგილი:

„მებატონება ჩემან მევარკაცი ჭყონიამ იხმარა უკანონო უოფა-ქცევა და მომითხარა ოჯახი. და ცოლშვილი ცალკ-ცალკე დამისუიდა ოდიშში“, ყმის საჩივრის შემდეგ, ბატონს განკარგულება: მოუვიდა მთავრობისაგან, რომ სესიას ცოლ-შვილი დაუბრუნება, მაგრამ ბატონმა უურიც არ შეიბერტყა. არივინ დაუბრუნა, ამ წინააღმდეგობის შემდეგ, გლეხმა კვალათ მისცა მთავრობას თხოვნა და დაავალა, რომ უბრძანეთ ჩემს ბატონს, ჩემი ცოლ-შვილი და-მიბრუნოს, თორემ იგი არ მიბრუნებსო, ერთი ასული ოჯახში ჰყავს და სხვების კი არა ვიცირაო...“

46.

1847 წელს, მაყვანეთელ საბატონო გლეხ, იესე ინგოროვეს, ჰყავდა ვაუი შვილი და რძალი. ვაუი 1841 წელს გარდაიცვალა, ამას დარჩა მეუღლე და ქრისტიანული. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ გლეხს, ინგოროვეს, მისმა ბატონმა გიტო და გიგო ნაკაშიძეებმა ჩამოართვეს ობოლი ასული. ეს არ იქმარეს და ამ ობოლის პაპასაც წაართვეს ყრველივე სარჩო საბატებელი, ვითომც და იმის ძალით, რომ ყოველივე ეს გარდაცვალებულს გაბრიელ ინგოროვეს ექუთნოდა და სიკედილის შემდეგ ყმის ყოველივე ქონება მისს მებატონისა არისო. თუ ყმას შვილები არ დარჩაო, ამიტომ, ამათ ყმის ცოლის ერთად ერთი ასულიც მოსტაცეს და მამულებიც წაართვეს, ქვრივი დარჩა უმწეოდ... აუწყეს მას, რომ საითაც გერჩიოს იქით წადიო, ქვრივი დარჩა უპატრონოდ... მიცვალებულის მამამ ამაზედ დავა ასტეხა, მაგრამ სამართლით არა ეშველა რა. ყოველივე ბატონს შერჩა. ამ ქალის განთავისუფლების გამო, მთავრობას მიმართეს თითქმის მისმა ყველა ნათესავებმა და ბატონისაგან ყმის, ფულით განთავისუფლებას ავალებდენ.

47.

1848 წ. ას. ალ. ბერიძის ყმას, ნიკოლოზ სიმონიშვილს; მოსტაცეს მცირე წლოვანი ყმა, მოტაცება საიდუმლოთ მოხდა. შემდეგ აღმოსჩნდა რომ იგი მოუტაცნიათ მალაქია გურიელის წახალისებით და გაუყიდნიათ თათარში. ეს უყიდნია ქობულეთელ ქართველ მაპამადიან ახმედ კვესეიშვილს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ამ მცირე წლოვანია ყმის გაყიდვის ყველა საჭირო ცნობები იქმნა შეკრებილი, მაგრამ ქობულეთიდან დაბრუნება კი მას აღარ ელირსა. თათრის საბრძანებელში დაშოა*) და მერე სხვაგან უკრეს თავი გასასყიდათ.

48.

თ. სიკო ერისთავის მამამ 1835 წლებში იყიდა ერთი საბატონო გლეხის ყმის ოჯახი, სახელდობრ ივანიკა იესეს ძე სიხარულიძე. ეს ნაყიდი ყმის ოჯახი მისყიდა თავ. დიმიტრი ვახტანგის ძე ერისთავს, რომელიც ამავე მებატონის სოფელში სცხოვრებდა. ამ გლეხის სიხარულიძის ყიდვა- გაყიდვაზე დავა ასტეხა. ბატონს, გაყიდვის პირობა და ცნობა მოჰკითხეს, კანონი იყო, რომ გასყიდვებს წინ მებატონეს თავის ყმისთვის უნდა უკითხა: „მე შენ გყიდი ამ ფასად და იქნება თვით შენ დაისხნა თავი“-ო.

*) დაწა - ჩარჩა.

სიკო ერისთავმა ეს არა ქნა და ყმა გლეხი, ყოვლის დაუკითხავად გაჰყიდა. ნაყიდ ყმის სყიდვის და გაყიდვის შესახებ თ. ნიკო ერისთავმა სთქვა: სიხარულიძე გლეხი, საკუთარი ჩემი ყმა იყო და ვისაც მინდოდა იმას მიგყიდდი მასაო. მიზეზი გაყიდვის კი ის გახლდათ, რომ ეგ მე არ მემარჩილებოდა და მეორე არც შორს ქვეყანაში გავყიდე, ოჯახის წევრთ რიცხვი არ დაგაპნიე, უველა ერთად დავყიდეო, სიხარულიძენი ამიტომ მაღლობელნიც უნდა იყვნენ და თუ თავისს დახსნა სურთ, ახლა დაიხსნან თავიო.

49.

1848 წ. თუ რა გვარად აგირავებდნენ მებატონენი თავიანთ ქმებს და მით როგორ სტანჯავდნენ, ამას ცხადათ ამტკიცებს შემ დეგი ცნობა, რომელიც მოვიპოვე დიდის შრომით და დამპალი ქალალდებიდან პირდაპირ გადმოვსწერე:

„გუ რის უზრდის ლანჩხუთის უჩს-ტკის სოფელ აცანის საბატონო ყმის ოთარა თევდორაძის
თხოვნა.

„მებატონე ჩემი სოფელსა აკეთის მცხოვრები, აზნაური ვახტანგს ჯაყელი, მავიწრეობდა მე ყოველთავე მებატონებრივის შევ წროებით, ძალდატანებითა და დაგირავებით სხვათა პირთათანა; გარნა არა მაკავებელ მამა მის ყოვლისა მათ ხსენებულმან მებატონე ბან, ჩემმან დამაკირავა წარსულის *) ჩყმზ-ს მარტის 10-სა დღესა, სოფელსა ჯუმათს მცხოვრებს, მლვდლის ძეს ოქროპირ დარჩიას, ოცდა-ექვს მანეთს ვერცხლის ფულში, ორის შეილებითურთ, ჩემით: იოთამა და სვიმონით, ხოლო ხსენებული ძე ჩემი იოთამა, ნახევარი ნაწილი; დაუგირავა, რადგან ნახევარი, ძმის მისის მებატონის ჩემისა იოვა გმისახურობდით ჩენ, ორი სული ნახევარნი მამა შეილნი, ხსენებულისა დროისა ვიდრე ამ ჩყმზ-ს წლის დეკემბრის თვეეწლე, და ამათვეში არა მიმხედულმან კანონისა და სამართლისამან, მებატონე-მან ჩემმან, ჩამოართო თავი ჩემი დარჩიას და დამაგირავა კნიაზ ალექსანდრე მაჭუტაძესთან, რომელიც იმა დღიდგან მავიწრეობებს მე ყოველითა ვიწროებითა და ძალ დატანებითა, რომლისა აღრიცხვაცა არა ძალობის, და ესრეთსა შემხუთვასა შინა, ხსენებული მოჭუტა-ძე ვითარცა ცნობილ ვიქმნენ, მაცადიანობს საუკუნოდ მოსყიდვასა ჩემსა ხსენებულის ჯაყელისაგან, და მე ამა უუკიდურესსა მდგომა-რეობისა შინა მყოფი, მოაწევინებ რა ცოდნამდე თქვენისა მრწყინ-

*) 1846 წელი.

ვალებისა, და ყოვლად უმორჩილესად ვთხოვ ნაჩალნიკობრივს*) თქვენსა განკარგულებასა, დაფარვისათვის ჩემისა ესრეთის პირბა-სადმი მისყიდვისა და დავირავებისაგან, რომლისათანა თითქმის ერთსა დღესა არა ძალ მის განკრძობა სამსახური ესრეთსა შემთხვევაში.

უკეთუ მებატონე ჩემი გამსყიდის მე, უკეთუ შესაძლო არის, მიშვამდგომლოთ სადაცა ჯერ რყოს, რათა მიეცეს ჩემში სახაზინო ფულები, ამა პატივის დებისათვის, ორმელ მე ვახლი სახაზინოთ წე-ლიწალში სულზე ნახევარ მანეთს, ვარ სახაზინო ყმა, და ვარ სხვა-და სხვა სამსახურსა შინა ქუმდებარე, და უკეთუ ესეცა არა შესაძლო იქმნეს, მაშინ მომეცეს მე მთავრობისაგან შემწევობა, რათა დავიხ-სხა მე თავი თვისი, სახაზინო უწყებისათვის, იმოდენად რამოდენიცა რუსულის კანონით ისყიდება და ანუ დაიხსნება ტეს და უკეთუ კე-თილ ინების ეს თქუნმა ბრწყინვალებამ, მაშინ ებოძოს ხსენებულსა მებატონესა ჩემსა, რამოდენიმეს ფულსა რიცხვში ნივთი ანუ საქონელი, რასა ზედა მოველი კეთილ განკარგულებასა და შებრალებასა თქვე-ნისა ბრწყინვალებისა. სიტყვითა მთხოვნელისათა, თხოვნა ესე შევთ-ხუზე და თეთრადაც გადავსწერე ივანე სვიმონიშვილმან, და რადგან ხსენებულმა ოთარა თევდორაძემ წერა არ იკოდა, მისის პირდაპირ თხოვნით და ხელის მოცემით ხელს ვაწერ ივანე სვიმონიშვილი.

ჩყმმ, **), მაისი კ-ზ დღესა.

50

...ასეთი მაგალითები, ძველს დროებაში ერთობ ხშირად მოხ-დებოდა; ბევრს ალაგას დაგირავდებოდა ყმა, ხან მთელ ფასად და ხან ნახევარ ფასათ, ასე ყოფილა, ვსოდებათ ყმა წელიწალში ღირს 50 მან. ეს არის მისი სრული ფასი, ბატონმა-კი ეს 25 მანეთად დააგი-რავა, ზაშინ 25 მან. სარგებელი ვალად ალებულ თავნის გარდასახალს აკლდებოდა. ასე, რომ ხშირად დამჭირავებელს წლის გასულს მხო-ლოდ 10 მან. ღა გადახდებოდა 25 მან. მაგიერ, დანარჩენი ყმის შრომიდან გამოირიცხებოდა

ასეც იყო ხშირად, რომ ერთი ყმა, ორი ან სამი ძმის საკუთრე-ბა იყო, ამიტომ ყმის ფულს სამნი ვიყოუდნენ. ხან მოხდებოდა, რომ სამი წლითაც აგირავებდნენ, მაგრამ ეს იშვიათი იყო, რადგანაც დამგირავებელი ამას თავის საზარალოთ ხედავდა, მისთვის ყიდვა უფრო იაფი და ადვილი იყო, ვიდრე ასე დაგირავება. უნდა მო-გახსენოთ, რომ მებატონეთაგან, ყმის დაგირავება ნიშტავება იმას,

*) ნაჩალნიკობრივსა — ნაჩალნიკი — უფროსი.

**) 1844 წ. მაისის 26 დღესა.

რომ კაცს, თავის ყმის ჯამაგირი წინეთ აეღო და ამის ბარათი მიეცა მებატონესთვის, რომ მან თავის ყმა, სხვას დაუგირავა სამსახურათ და ამისთვის ფულიც მიიღო. ხდებოდა ისიც, რომ მოჯამაგირე, ხშირად თავისს მებატონეს ვალის სარგებელში მსახურებლა და ვიღრე მისი მებატონე თავნს არ გადიხდიდა, მინამ ამას არავინ გაანთავისუფლებდა. ამის მაგალითები ძრიელ ხშირათ მომხდარა.

51

1848 წელს, სოფელ ბასილეთის მცხოვრებმა, აზნაურიმა ჭ. ჯაშმა, თავისს ყმის ერთი ოჯახიდან, მოახლედ გაიყვანა ყმა გლეხის გოგო თამარა ანდოლუაძისა... ეს ყმის ოჯახი ბატონს ვალდებული ჰყოლია, მოახლეების ხარჯით. თამარი ბატონის სახლში კარგად მსახურებდა. აზ.აურმა ჯაშმა ეს თამარი მალე მიჰყიდა თ. ერისოვას. ერისთავის სახლში თამარი კარგი მოახლე იყო, 1836 წელს, თ. ერისთავმა თავისს ქალი სოფიო, თ. თავდეგირიძეს მიათხოვა და თამარიც თან გააყოლა მზითევში. თამარი, კნეინა სოფიოს კარგად ემსახურებოდა, ხოლო კნეინა-კი ვერ ეპყრობოდა მას კარგად და სტან-ჯავდა.

ქალი მომწიფდა, მასთან ლამაზიც ყოფილა... ბატონის ოჯახში ვინცალა ბატონის შვილმა ნამუსი აყარა... თამარი დაორჩულდა და ყმაწვილი მიეცა. ყმაწვილი საცალა მიაგდეს. ამ გარემოებამ კნეინას აღაშფოთა. ის კნეინასთან რვა წელს დარჩენილა, შემდგომ ამის, კნეინა სოფიო მაინც არ დასცხრა და საწყალ თამარს სასტიკათ მტრობდა, რამდენ გზისმექ*) თამროს ნათესავებმაც-კი მიმართეს და სილბო**) სთხოვეს, მაგრამ კნეინა მაინც არ თანხმდებოდა... ყველას იმას ეუბნებოდა, რომ მე მას მრუშებისათვის ვსდევნიო.

კნეინას მეტად ხარბი კბილები ჰქონდა. ეს კბილები მალე გალესა და თამარას გაყიდვა დაუპირა. ეს უძლური ქალი, მან მიჰყიდა სამეგრელოს მცხოვრებ აზნაურს გიგო ანჯაფარიძეს, ნახევარი ფული წინეთ გამოართო და ნახევარი ფული შემდგომ უნდა მიეღო... სამეგრელოში გაყიდული თამარის ამბავი, შეუწყვია თავადს ჩიჩუას ქვრივ, ერისთავის ასულს, კნეინა სოფიოს დას კესარიას და უკანას კნელ, ახლა ამას უყიდნია თავისს დისაგან. გაყიდული ქალი თავისს სახლში გადაუყვანია. ეს ამბავი კნეინა სოფიოს რომ შეუტყვია, იგი ძლიერ აღელვებულა და გიორგის უფლების მინიჭების შესახებ, ძრიელ გაკაპასებულა.

*) რამდენ გზისმე რამდენჯერმე

**) სილბო—სიბრალული, ნაკლები სიმკაცრე.

1848 წ ძიმითელ აზნაურ ალმასხან პატუნეიშვილმა, თავის-საკუთნებელი ყმა ბავშვი, 6 წლის, დავითელა ბუშა, დაუგირავა აზნაურ-ლევან თაყაიშვილს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მყიდავი თაყაიშვილი-გარდაცვალა. ძველმა ბატონმა თაყაიშვილის მემკვიდრეებს თავის-გან გაყიდული ყმის განთავისუფლება სთხოვა. ეს თხოვნა მებატო-ნეს შვილებმა არ შეიწყნარეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ყმაც მოკვდა, მას დაშთა*) ცოლი-და შვილები, ვაჟი მიხეილ ბუში და სხვანი. ძველმა ბატონმა მთავ-რობის წინაშე დავა ასტეხა და მიზეილ ბუშის საკუთრებას იძიებდა:

„მე მხოლოდ მამა მისი დავაგირავე და არა შვილები“-ო.. მო-დავეს ვერც ეს თხოვნა შეუსრულდა, მის ყმის შვალები, ბეჟან მემბა-რიშვილის საშუალებით, ქალები დათხოვნილ იქმნენ და მიხეილ ბუშ-საც ცოლი შერთეს, თვით ამ მოდავე ბატონის ყმის ქალი, რამაც უფრო აღაშვილთა მოდავე მებატონე.

ბატონს ყმის მიღება მით უფრო გაუძნელდა, რადგან მემბარი-შვილის დახმარებით, იგინი ერთის მაზრის ადგილიდან მუორე მაზ-რისკენ გადასახლდენ საცხოვრებლათ და ამ გადასცვლისთვის, ახალ მებატონის შვილებსაც შეუწყიათ ხელი.. ორგორც სჩანს, ეს დაგი-რავებული ყმა, ახალ მებატონეს, გასყიდულივით დაწოენია ხელში: საკუთრებათ.

1848 წელს, როკორც მალაქია გურიელი და ქარცივაძე, ისევე-თაყაიშვილიც არის ცნობილი ყმის გაყიდვით. თაყაიშვილს ბევრი სა-ძაგელი ბოროტება ჩაუდენია, თავისს ყმებზედ და ერთი ამ ბორო-ტებათაგანია შემდეგი ცნობა: რომელიც მოგვყავს აქვე უცვლელად. ეს საჩივარი ეკუთვნის სულაქველიძის ქვრივს, რომელიც დაწვრილე-ბით გვაცნობებს ბევრს რამ საყურადღებო ცნობებს:

„მე მყავდა მაზლი, სახელწოდებით გოგიტელა სალუქვაძე, რომელთაცა არა ჰქონია ჩემთან მდგომარეობა: ცოლი და მული, არამედ იგი სცხოვრებდა სხვა და სხვა ადგილთა, ხოლო მან, მაზლ-შან ჩემმან და მაშინ ლიხაურსა მცხოვრებმა ბაგრატა ივანეს ძემ და მაქსიმელა გიორგის ძემ სალუქვაძეებმა, რომელთანაც მე უკ-მაყოფილოთ ვიყავი, თვით მებატონე, ჩენი აზნაური გიორგი-თაყაის ძე თაყაიშვილი დაიჭირეს და წაიყვანეს საზღვარს გარეთ, ქობულეთს, ხოლო შემდგომ რამოდენისა დროისა, თაყაიშვილი-

*) დაშთა—დარჩა.

იგი ამოიყვანა ყოფილმა სასამართლომ, რამოდენისამე დახარჯულებითა და მისვლისავე, ამა თაყაიშვილმა, თვით მეულე ჩემი და მაზლი, აგრეთვე ძე, და ჩემი ასულები შემიპყრეს განდრეკილის მაზლის მიზეზითა, მეულლე ჩემი ივანე სალუქვაძე, მისყიდა თავადს მიზარბეგ თავდგირიძესა, მაზლი ჩემი სიმონა სალუქვაძე, საჩინოს მცხოვრებ გლახუკა ლორთქიფანიძესა:

ძე ჩემი ესიკა სალუქვაძე, ჩოჩათს მცხოვრებ აზნაურ ხატელა-შვილს და ასულები ჩემი: ერთი დიმიტრი ერისთავს მისყიდული და მეორე, ბახვის მცხოვრებს მღვდელს ეგნატე თენიერშვილს, დავირივებული თუ მისყიდული ორმოც მანეთათ. ესრეთი სხვადასხვა ადგილ-თა გასყიდვა მოხთა ჩემზედ უკნობლათ მთავრობისა უჟანაშაულოთ, როგორც მემოწმებიან მცხოვრები ლიხაურის, არა ყოფილა დამნაშავე ქმარი და შვილი ჩემი.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ არა უნთებელი*) ვარ, თუმცა რომელს ადგილთა მიულლე ჩემი გარდიცვალა ჩივილის მიზეზითა, ხოლო ძე ჩემი დაახსნევინა ყოფილმან სასამართლომ, აზნაურს გიორგი თაყაიშვილსა, მაზლი და ასულები ჩემი არის გასყიდული ზემოთ განცხადებისამებრ ჩემისა, რომელ აქამდისინ არ ძალიძს დახსნად, ვინაიდგან ერთი ასული ჩემი, მღვდლის თენიერშვილისადმი არ იყო გასყიდული მძიმე საფასითა, ამისთვის ვაპირებდი დახსნასა იმა ერთი ასულისასა, მაგრამ მე ის მღვდელი არ მეთანხმა თხოვასა ზედა ჩემსა და ასული იგი ჩემი მისყიდა იქაურსა მღვდელს დიმიტრი ქიქოძეს უმძიმესის საფასითა, რაზედაც მარტის 10 ამა მდგომარეწელსა, ვსთხოვე არძითა ყოფილ უეზდის ნაჩალნიკს კნიაზ ანდრონიკოვსა და განუცხადე გარემოება საქმისა.

ხოლო მან, უბრძანა მღვდელს თენიერშვილისა, დრო განუტარებლათ დაბრუნება ჩემის ასულის ნასყიდის, ფულის მიღებითა და მინდობილება აქენდა კნიაზ მალაქია გურიელისა, მაგრამ დროზედ მოხდა ცვლილება ანდრონიკოვის და გურიელისა და მე დავრჩი უმოწყალოთ.

ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, თქვენ მაღალ-კეთილშობილებას, რათა უკეთუ მარგებს კანონი სახასოთ ასულთა ჩემთა, ჰყავით განკარგულებაი ყოფილის ნაჩალნიკისა მაშინ, რადგანაც უყიდია მღვდელს თენიერშვილს, თაყაიშვილისაგან ასული ჩემი იმა ფულის მიღებითა, მომეცეს ასული ჩემი, მღვდლის თენიერშვილისა, გიორგი მეპატრონისა ჩემისა, გიორგი თაყაიშვილისაგან თქვენის განკარგულებითა.

საწყალი ბარამიძის ქალი მარიამი, მათი მთხოვნელი:

*) უნთებელი—დამნაშავე.

54.

1848 წელს, საჩივარი ასტეხა მაყვანეთელ ყმა გლეხმა ეფრემ ინგროყვამ, მას გარდასცვლია საბატონო ყმა, მმა გაბრიელი, რომელსაც დარჩენია ცოლი და ერთი ასული. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ გლეხის გარდაცვალებისა, მათ მებატონე თ. გიგო და გიგულ ნაკაშიძებმა, გარდაცვალებულის ყმის ცოლს, მცირე წლოვანი ასული წართვეს და თავისს სახლისკენ გადიყვანეს, ეს არ იქმარეს და მალე ქვრივს საკუთარი საწილადო მამულიც კი წართვეს.

ქვრივმა და მაზლმა სამართალს მიმართეს. სამართალმა გამოძიება თ. თავდგირიძეს მიანდო, რომელმაც გამოძიების დროს ნაკაშიძის მხარე დაიჭირა, რადგანაც იგინი ურთიერთ შორის მონათესავები იყვნენ და ამას გარდა საქმე ისე სასარგებლოვა დატრიალდა ბატონისთვის, რომ ბატონმა მცირე წლოვანი ინგოროყვავას ქალიც—კი გაყიდა, ამაზედ ყმა ეფრემ ინგოროყვამ კვალად ასტეხა დავა და გამოძიების თხოვნა.

55.

1847 წელს. მაქსიმეიშვილებში, ხშირად ყოფილან ისეთი მებატონები, რომელთაც თავიანთი ყმა გლეხები სასტიკათ უწვალებიათ, ამიტომ გლეხები ბშირად ბატონის საბძანებლოდან საქართველოს სხვა კუთხებში გარდახვეწილან. ბატონის საქმიელმა გლეხებს ისე გაუჭირა საქმე, რომ გლეხებს ერთად ერთი, მარტო თავისს დახსნალა მიაჩნდათ საშველათ. 1846 წ. თ. ნიკო მაქსიმეიშვილისაგან 300 მან. თავი დაიხსნა სოფ. ბალდალში მცხოვრებ გლეხმა გიორგი ბორჩხაძემ, ამისთვის ბატონმა მას მოწმობაც მისცა. წლის თავზედ ბატონი მოკვდა. მეორე წელს, ამ თავისუფალ გლეხს დავა აუტეხა ბატონის ცოლმა, ქვრივმა, რომ გიორგი ბორჩხაძე ჩემი ყმა არისო, მას ფული არა აქვს გადახილიო და ამიტომ ვითხოვ, რომ მას ებრძანოს ჩემი ყმობა და იმ ხარჯის გარდახდაც, რაც მე დამაკლო მან ამ განდრეკილების*) დროშიო. ეს ქალი გლეხს განდრეკას სწამებდა და ქალალდებაც მოჭორებულს. გლეხი დაკმაყოფილებულ იქმნა. მთავრობისაგან და განთავისუფლებული, კნეინას ებრძანა, რომ მას ასეთიც საქმებისათვის თავი დაენებებინა.

56

1848 წელს, ცნობილს ყმების მდევნელ, მტაცებელს და მათს გამყიდავს მალაქია გურიელს, უჩივლა ანტონ დუმბაძემ, რომ ჩემი ყმის ერთი ვაჟიშვილი წამართვა, თვით მიითვისა და მერმეთ გაპყი—

*) განდრეკილების—გადგომის.

და კიდეცაო, ვითხოვ მისს დაბრუნებასაო. მალაქია გურიელმა პასუხი აგო და უარი ჰყო ანტონ დუმბაძის საჩივარი და ძიება ასე:

„საღავო ყმა, ჩემი საკუთრება არის და მასთან დავა არავის აქვს, საღაც მინდა და ვისაც მინდა იმის მივსცემ, ანუ მივყიდი. ესა ყმა მე ადრე, ანტონ დუმბაძეს თხოვნით, მივეცი დროებით და არა მიყიდვით და მან კი დროებით მიცემული ყმის მითვისება დაიწყო“.

57.

1849 წელს, როსაპისშვილის ასულმა ნინომ, თავისს ყმის შვილი ესიკა გოგვაძე, მიყიდა აზნაურს არჯევან ჭყონიას. უკანასკნელს გაყიდულის თამასუქის ვალი არ მისცა მსყიდველმა და ამიტომ მათ შორის დავა ატყდა. გამსყიდავმა მსყიდველისაგან თამასუქის დახსნა ითხოვა, ამ ქალს ეს ყმა უყიდნია თ. მაშუკა გუგუნავასაგან.

58.

1849 წელს, ალექსანდრე მაჭუტაძე თავისს ყმებს ისე აწუხებდა, რაისა გამო, ამ მებატონეს მრავალი გლეხები. განცვლტოდნენ. ერთი ასეთ გლეხთაგანია ესიკა ხანთაძე, რომელიც ბატონს გაექცა თავისს ცოლშვილით, საეკკლესიო გლეხი ჩხარტიშვილის სახლში დასტოვა სახლობა და თვით აქეთ იქით იარებოდა. უკანასკნელ ეს გლეხი დაჭერილ იქმნა თვით მისს მებატონისაგან, მალაქია გურიელის მამულში.

დაიჭირა რა ეს ყმა, ცნობილის „ყმა ყიდია“ მალაქია გურულის საბრძანებელში, თავისს მამულში წაიყვანა და აქ ეს გლეხი რამდენსამე ხანს შებოჭვილი ჰყვანდა. უკანასკნელ თ. მაქსიმეიშვილის თავდებობით გლეხს ხელფეხი გაუხსნეს, ბატონსა და ყმის შორის მორიგება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ეს გლეხმა ველარ აიტანა, ბატონის დესპოტიზმი შეუფერებლათ სცნა და მორიგებამდე ისევ გაიქცა.

შემდეგ იგი ბატონმა ველარ იპოვნა, რადგანაც ყმა. ქართლში გარდიხვეშა, ცოლ შვილსაც იქ უპირებდა გადაყვანას, მაგრამ ეს ამა ბავი ბატონმა შეუტყო თუ არა, მან მაშინათვე მთავრობას მიმართა და დავა დაუწყო მღვდელს იესე ჩხარტიშვილს, რადგანაც ამ მღვდელთან ჰყვანდა ცოლშვილი დატოვებული. მღვდელს უჩივლა მასზედ, რომ შენ ჩემი ყმის ოჯახი, შენს ოჯახში რათ მიიკედლეო. ამ ოჯახის შესახებ აი რა საჩივარს აძლევს თვით ეს მებატონე ოზურგეთის მაზრის უფროსს მირიან ჭყონიას: „ხოლო ცოლშვილი ყმის მოვითხოვე მღვდლის იესე ჩხარტიშვილისაგან იმა 1846 წელს, დეკემ-

ბრისა დღესა, რომელმანცა მომცა ხელთ წერილი, რათა იგი მომიუვანს შე ჩემის ყმის ცოლშვილს კუთვნილობის მებრ, გარნა მრავალის ჩემ მიერ. მოთხოვნილობის გამო, მისივე შლვდლისაგან ვერ მივიღე ვერა-ვითარი კმაყოფილება და ვარ მოკლებულ ესრედ ვითარ, ჩემის ყმის ცოლშვილს ზედა, აგრეთვე ამოდენის ხნის სამსახურისაგანაც, რომე-ლისათვის შევსთხოვე თქვენს მაღალ-კეთილშობილებას, ინებოთ კე-თილი განკარგულება კანონისამებრ ამა ორთა ჩემთა ზედა თხოვნა-ზედა, რათა არ მოვაკლდე, ვითარ აქამომდე, ჩემს საკუთრებას და დამიბრუნდეს ვითარ ყმა იგი ჩემი ისე ხანთაძე, ეგრეთვე ცოლშვი-ლიცა მისი კუთვნილობისამებრ, დანაკლისის სამსახურით მოზღვევი-თა ძალისამებრ, მათ მიერ მოცემულის ხელის წერილისათა.

პოდპორუჩიკი კნიაზ ალექსანდრე მაჭუტაძე.

1849 წელს, სოფელ ძიმითის მცხოვრებ, აზნაურის ალ. პატეი-შვილის ერთი ყმა გარდაიცვალა, რომელ ყმასაც ცოლი და ერთი ობოლი დარჩა, ეს ქვრივი შეაულლა თავისს ყმას, აზნაურმა მექმარია-შვილმა. ამ ქალის შეულლება პირველ ბატონს არა ეპიტნავა, რა-დგანაც, როგორც ვსთქვით, ქალს 9 წლის ობოლი გერიც ჰყავდა, რომელიც თან წაიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ბიჭის გასყიდვა ირივე მებატონებ ისურვეს, ვაჭრობა გამართეს ცნობილ ყმა „პარია და მყიდავ“ მალაქია გურიელთან. გასყიდვის დროს, ერთმანეთში ცი-ლაობაც მოუვიდათ, ერთი მეორეს არ უთმობდა ვაყიდვას; ყმას ერ-თი ბატონის მაგიერ ორი ბატონი გაუჩნდა და იმათაც დავაც ასტე-ნეს ერთმანეთში. პირველი ბატონი ითხოვდა არა მარტო ყმის შვილს, არამედ ზარალის აღდგენასაც.

1849 წელს. აზნაურმა ივლიანე გიგინეიშვილმა, თავისს ყმას შახარობელ გუჯაბიძეს, ორი ასული წაართვა, რაზედაც ბატონს ყმამ დავა აუტეხა, მცირე წლოვანის შვილების გათვისუფლებას სთხოვდა. ამ აზნაურმა, ხსნებულ გლეხს შვილებს გარდა, სახლის ავეჯიც წაარ-თვა, თითქმის სულ გაქუცა.

1849 წელს, თავად ვახუშტი შალიკაშვილმა, ქალი მიათხოვა აზნაურ ნიკო კობალაძეს. ამ ქალს მზითვებში გაატანა, თავის ყმის ერთი შვილი ივანე გუნთაისშვილი. მზითვებში მიცემულ ყმის მამამ

ასეთი საქუიელი მებატონის, უკანონოდ დაინახა და ბატონს სთხოვა, შვილს ნუ მართმევო.

ამ დავალებას გლეხი მით უურო სთხოვდა ბატონს, რადგანაც მებატონეს ყმისთვის, ერთი შვილიც წინეთ წაერთობა და ასევე თავის ქალისთვის მზითევში მიეცა, რომელიც მის სიძის სეიმონ ბოლქვაძის ყმათ ირიცებოდა. ერთის სიტყვით, თავადს თითქმით სრულიად მოსპობა სურდა ამ გლეხის. გლეხმა ამაზედ მთავრობას მიმართა და დახმარება სთხოვა. თავადს პასუხი მოსთხოვეს, მან უმთავრეს კითხვას გზა აუქცია და შემდეგი პასუხი მისცა:

„დასტურ, ყმა ჩემი საკუთარი, გუნთაშვილს მე მივეცი მზითევში ასულისა ჩემსა და სიძესა ჩემსა, რომელიც ღმერთმა მოახმაროთ მათ და ამისთვის კანონიერი ქალალდიც მივეცი. მათი ნება არის, როგორც ინებენ ამ გლეხის ფლობას, მასზედ გლეხსა ხმა და ძალა არა აქვს, გინდ გაყიდონ, გინდ გააჩუქონ, დააგირავონ ანუ სხვა გვარ იქმნეს, ყოველივე ასულისა და სიძისა ჩემისა ნება არის, ყმასა ჩემსა ხმა არა აქვს ამაზედ“.

62.

1849 წელს, ოთარ სალუქვაძემ, თ. ვახტანგ ერისთავისაგან ისყიდა მცირე წლოვანი გოგო. რომელშიაც ფასად 63 მანეთი მისცა. რამდენიმე წლის შემდეგ, ეს გოგო მოიტაცეს აზნაურმა მაქსიმე ლოლობერიძემ და მისმა ყმამა სხვაზედ გაყიდეს, რაჭედაც დავა ატყდა და კნენინა გოგოს დაბრუნებას ითხოვდა, თორემ უამისოდ შე ხელმწიფოს ხარჯს ვერ გადავიხდიო.

63.

1849 წელს, ლევნილი ყმანი და მათ მონათესავენი მათ ბატონის წინაშე ყველა ზომებს ხმარობდნენ, რომ ეგები რამე ნაირათ თავი ეხსნათ. მაგალითებრ, რომელი ბატონიც-კი სასტიკათ აწუხებდა ყმა გლეხებს, ამ ბატონისაგან ყმა გლეხები აქეთ-იქით მირბოდნენ და თავს იფარავდნენ. როგორც ყველამ ვიცით კარგათ, ერთობ ზშირი მისელა-მოსელა იყო ქართლსა და კახეთში. გამოქცეულის ყმის მონათესავენი კი, ბატონის წინაშე დააგდებდენ ხმას, რომ თქვენი ყმა ბატონო თათარში გაიქცა. ბატონიც დაიჯერებდა და რამდენიმე ხნის შემდეგ, ხელში დაიჭერდა თოფსა და ხანჯალსდა გაუდგებოდა ოსმლეთის გზას, მივიღოდა აქა-იქ და დაიწყებდა თავისს ყმის ძებნას, მაგრამ ხშირად და თითქმის საყოველთავოდ, ვერას ჰპოვებდა. სწორეთ ამის მაგალითს წარმოადგენს თავნიკო მაქსიშეიშვილის საქმე.

ამ თავადს, მეტად ცუდი წესები ჰქონდა გლეხებზედ მიღებულა, ამიტომ გლეხნიც მისგან აქეთ იქით მირბოდნენ. ერთხელ მას გაექცა გლეხი ესიკა ხანთაძე. ხმა გაავრცელეს, რომ ესიკა თათარში გდადავარდაო. ბატონმა არ დასთმო და ესეც წავიდა თათარში. იარა, იარა, ფული დახარჯა, მაგრამ ყმა ვერსად ჰპოვნა და ბოლოს დაბრუნდა შინ ხელ ცარიელი.

1849 წელს, ამან შეიტყო, რომ მისი ყმა ოსმალეთში-კი არ წასულა, არამედ ქართლში გადმოსულა, სადაც საქმისთვის მოუკიდნია ხელი. სარწმუნო ცნობების შეკრების შემდეგ, მებატონემ დაგადაიწყო და მთავრობას სთხოვდა, ყმის სახლში დაბრუნებას და ოსმალოს დახარჯულს ფულის გადახდასაც, რადგანაც ეს ფული, მეჩემი ყმის უკნ დევნაში დაგხარჯეო.

ამ გარემოებამ საქმარისი აყალ-მაყალი ასტეხა ბატონსა და ყმის ნათესავთ შორის, რადგანაც ბატონი ხარჯის გადახდას ყმის ნათესავებსაც სთხოვდა.

64.

1850 წელს, აზნაურმა ზაალ ასათიანმა, თავისს ძმის უჩუმრათ, საერთო საკუთნებული ყმა გლეხის მახარობელი დოლიძის ოჯახი გაყიდა. იგი მიჰყიდა ცნობილს „გოთაულს“ პარუჩის, აწ კავალერს, თავ. მალაქია გურიელს 500 მან.

ყმა გლეხის ოჯახი შესდგებოდა რეა სულისაგან, ცოლ-ქმარი და ექვსი შვილი: სამი ვაჟი და სამი ქალი. ამათვე თან გაჰყვა საკუთნებელი მამულიც, რის ქალალდიც მთავრობისგანაც იქმნა შემოწმებული, დამტკიცებული ქუთაისის სამაზრო გამგეობაში. გლეხთა გასყიდვის დროს, თავადმან გამსყიდავ აზნაურ მხოლოდ 200 ზანეთი მისცა, 60 მან. შემოქმედელ აზნაურს იესე იორიშვილს შეაპირა და 240 მანეთის-კი ვექსილი უბოძა. ასე და ამ გვარათ, მალაქიამ იყიდა ყმა გლეხის ოჯახი 500 მანეთად, ხოლო ფულად-კი გადაიხადა 200 მან. უნდა მოგახსენოთ, რომ თავადმან 500 მან. მეტად კი ფასი მისცა, მაგრამ მას რა წაუხდა, 500 მანეთში, მხოლოდ 200 მანეთით გადიხადა. 60 მან. ვალი გაასალა და იმედია, რომ 6 სულიდან სამი სული მაინც ექმნებოდა შერჩეული ოსმალში გადასაყვანათ. და გასაყიდათ, სადაც სამს სულში 1500 მან. მაინც აილებდა, მაგრამ, როგორც სამართლებრივი თავადს საქმე, ასე არ მოუხდა. აზნაურს გამსყიდავს ძმა შეაშალა და ძმას დავა დაუწყო:

უჩემოთ გლეხის ოჯახი რათ გაყიდეო, მეორე თუ გაყიდე, რატომ მე ჩემი წილი ფული არ ჩამაბარეო.

საქმემ, გამოძიების სახე მიიღო, მალე გამოირკვა მებთა შორის, რომ მალაქიას ჯერეთ 240 მანეთი არ გადაუხდიაო. მალაქიას ალარ დააცალა ახალ მოდავე აზნაურმა და საჩივარი ასტეხა, ძმას ზაალს გლეხი ყმა გაუყიდნია თავისს მამულებით 500 მან. და ეს ცოტა არისო.

კავალერმა იწყინა ასეთი სამდურავი აზნაურ თავან. ამან მალე დააშოშმიხა მოდავენი, შეატკბო კარგად და მოურიგდა ასე: 240 მან. ვექსილი დაიბრუნა და მისს სანაცვლოდ გლეხის დოლიძის მამულები ისევ მებატონეს დაუბრუნა; რომელზელაც კმაყოფილი დარჩა აზნაური და ასე და ამ გვარათ 260 მანათში. მას დარჩა რვა სული, რაც უურო რასაცვირველია, ხელმისაცემი უნდა იყოს თავადისათვის ამ საქმის გათავების დროს, კავალეტმან თავად გურიელმან, შემდეგი პირობის წერილი მისცა გამსყიდავ აზნაურის შვილებს, რითაც დაუამა გული. პირველმა ძმამ ზაალმა, მეორე ძმა მცირეთ რამით დაატკბო და 200 მან. ცოტაოდენი რაღაცები მისცა. აი ესეც პირობის წერილი:

„ჩყ ნ-სა წელსა ოკტომბრის პირ. 1 დღესა.

მე ქვემეორე ამისა ხელის მომწერელი პორუჩიკი კნიაზ მალარ ჭია ქაიხოსროს ძე გურიელოვი, ამ ხელის წერილს გაძლევთ თქვენ ბახვის უჩასტკის სოფელსა ასკანას მცხოვრებს, აზნაურს ზაალ ასათიანს მას შინა, რომელ მე ვისყიდე თქვენგან თქვენი ყმა მახარობელა დოლიძე, თავის ცოლშვილით და საცხოვრებლის ადგილ მამულით ერთ, რომელიც დამტკიცებულ არის ღუბერსკის სუდში, ხოლო ამა ნასყიდობაში მქონდა ვალად მოსაცემი თქვენზედ ორას ორმოცი მანეთი ვერცხლისა, რომელშიდაც გქონდა ვექსილი და იმ ორას ორმოც მანეთშიდ, დაგიბრუნე ისევე მახარობელ დოლიძის ნამოსახლი ადგილ-მამული, ჭური და ზვარი.

ერთის სიტყით, გარდა კაცის სულისა, ყოველივე საცხოვრებელი და ის ვექსილი დაგიბრუნე, რომელიც ის განცხადებელი ქონება გეკუთვნის, შენ მოგახმეროს ღმერთმან, ყოველივე. პირის უდევრათ და უკეთუ მე ანუ ჩემმა შემდგომმა დავა განვაცხადოთ, მაშინ ჩემმა ზელ წერილმა პირი დამიყოს და შეუწყნარებელი იქმნეს ამაზედ საჩივარი ყოველს სასამართლოშიდ, რასა ზედა დაქმაყოფილებულ ვარ და მაქვს მითვისებული. ორას ორმოცი მანეთი, მას შინა ჩემის წრფელის სეინიდისით. ჩემს საკუთარ ხელ ვაწერ პორუჩიკი და კვარლერი კნიაზ მალაქია გურიელოვი.

დავსწერე წერილი ესე თხოვნითა პორუჩიკის მალაქია გური-

*) „ღმერთმა“ მოახმაროს თავად აზნაურობას ასეთი სინიდისი.

ელისათა პრაპორშჩიკმა კნიაზმა ყარამან თავდგირიძემ და მოწამეცა ვარ ამისი.

პოდპორუჩიკი კნიაზ გიორგი ნაკაშიძე
 პოდპორუჩიკი კნიაზ მაზუტა ნაკაშიძე
 პოდპორუჩიკი გიორგი ჯაყელი
 პრაპორშჩიკი თაზია ნაკაშიძე
 პრაპორშჩიკი იესე მდიგანი
 კნიაზ ალექსანდრე ნაკაშიძე
 კნიაზ გიორგი თავდგერიძე
 მოწამე ვარ ამა წერილისა პრაპორშჩიკი გიგო ჯაყელი.
 აზნაური მაქსიმე კვამალი
 მოწამე ვარ ამისი მე აზნაური ქაიხოსრო კვაშალი
 აზნაური სიმონ ქარცივაძე
 „ნამდვილისაგან სწორედ გაღმოლებულ არის“. აზნაური ზაალ ასათიანი“.

ბატონიშვილის დროს გურიის ამპლებნი.

თავადნი მალაქია გურიელი, — ყარამან თავდგირიძე, — ალექსანდრე მაჭუტაძე და სხვანი.

ცხადია, ქართველ თავად-აზნაურებში ზოგი ბოროტი იყო, ზოგი კეთილი; ასე მარტო ჩვენში არ გახლდათ, არამედ რუსეთშიაც ასე იყო და ამიტომ ჩვენს ბატონყმობას ზედმეტი დაბლვერილის თვალით ნუ შეხედავთ. მებატონებთა შხამს და ნალველს მარტო აქ, ჩვენში, ნუ დაინახავს ვინმე... ჩვენ არავის დაფარვა არ გვინდა და არც კარგს დავივიწყებთ, სადაც ავი იყო, იქ კარკიც გახლდათ.*). ეს სხვებშიაც ასევე იყო, ჩვენს ცუდს და მის განფენას, ყოველთვის ჰყანენ წამქეზებელი მეფები მებატონენი. ასეთი მძლავრი პირებით სავსე იყო ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და სხვა კუთხები. სამცხეში, ქართველ მუსულმანთ შორის, ასეთ „დიდებულთა“ რიცხვი ისლამის წყალობით მოისპო.

აქ, ჩვენ გვინდა დავასახელოთ გურული მებატონენი: მალაქია გურიელი, ყარამან თავდგერიძე და ალექსანდრე მაჭუტაძე. ასეთ პირებით 1830 წ. სავსე იყო მთელი საქართველო. ამათის მეოხებით, იმერეთის მებატონეთა ყმებიც იღევნებოდენ, მათ მებატონებიაგან სასტიკათ, ამატომ ესენი მირბოზნენ კავკავისკენ, რუსების მაზლოპლად სახლდებოდენ და ძველიდგანვე გადაგვარდენ... ზემოხსენებულ

*.) ვსტოვებთ უცვლელათ. ცხადია ბატონყმობის სიკარგეზე ლაპარაკი ზედ-მეტია.

კუთხეში, აქა-იქ გადაგვარებულ ქართველთა შთამომავალნი კი-
დევ სცხოვრობენ. ქართლიდან მრავლად მირბოდნენ შეწუხე-
ბულნი ყმანი: მოზღვის, ყაზლიარი, კავკავს და სხვაგან, სადაც
კი სადგურებია, ყველგან ქართლიდან წასული ყმანი არიან, ბატო-
ნისგან ძველადვე გაქცეულნი იქითკენ... იქ, ქართველი მებატონენი,
ადვილათ ვერა სძენიდნენ თავიანთ ყმებს: რუსეთისკენ ყმების ძებ-
ნა მათთვის საძნელო იყო.

რაჭიდან და საწერეთლოს იმერნი, ხშირად მორბოდნენ ქართლს;
უფრო თბილისს, უმეტესად კახეთში კი სახლდებოდნენ, იქ მუშაობით
ირჩენდნენ თავს. ზოგნი ახალციხისკენაც გადადიოდენ, ოსმალოს
მფლობელობის ქვეშ ეძლეოდნენ ცხოვრებას. აქეთკენვე ხშირად გად-
მოდიოდნენ მეგრელები და გურულები. გურულებს თსმალეთში გა-
დასვლა და ცხოვრება უფრო ეადვილებოდათ. აქ მებატონეთავან-
ჰქონდათ გაჭირება, რადგან მათი მებატონენი, ოსმალთა მეზობ-
ლობას ბოროტად ხმარობდნენ და თავიანთ ყმებს გარდა, ძველიდგან-
ვე თვით საგურიელო ყმებსაც კი იტაცებდნენ და არბევდნენ, ზოგს
ჰქიდდენ თსმალეთში, ზოგს, ვინ იცის, როგორ სტანჯავდენ. ასეთ
შეუბრალებელ და მტანჯველ მებატონეებათ, რუსთა კანონმდებლობის
დროს, ირიცხებიან ზემო-ხსნებული მებატონენი. ასეთი მებატონენი
არბევდნენ არა მარტო თავიანთ ყმებს, მათ ცოლშვილს, არამედ
სხვათა მებატონის ყმათაც, ქურდულად იტაცებდნენ საეკლესიო
ყმებს, სახელმწიფო ყმებს და არბევდნენ, შვილებს სტაცებდნენ და
უყიდდნენ, მაზულებს ართმევდნენ, საქონელს სტაცებდნენ, ამის შე-
სახებ, ამათი ხმის გამცემი არავინ იყო. ვერავინ ვერ ეტყოდა რამეს,
ცრო სიტყვას, კრინტსაც ვერ დასძრავდა. ასეთი იყო მათი ძლიე-
რება რუსის მთავრობის ძალით.

ყოველივე მათ ფეხ-ქვეშ იმხობოდა. მათ არც კანონის შიში
ჰქონდათ და მორიდება. სადაც კი შედიოდნენ ეს პირები, მათ ყველ-
გან შეჰქონდათ მტრობა და გლეხთა ჩაგვრის წესები. ესენი გლეხთა
და ყმათა დასაჩაგრავათ აქეზებდნენ თვით სასულიერო პირთაც,
ამათი წყალობით, ყმების საჩივრები ყველგან დავიწყებული იყო და
კუნცულში. მიგდებული.

ყდათა და გლეხთა მღურვა და საჩივარი ყველგან გაისმოდა.
მთავრობასთან უმეტესად, ქალალდი-ქალალდზე იგზავნებოდა საჩივლე-
ლად, მაგრამ ხშირად ყოველივე დავიწყებას ეძლეოდა. ასეთი უსა-
მართლობა საქართველოს ყოველ კიდეზე იყო მოფენილი. მებატონე-
ნი, ყველგან სჩაგრავდნენ გლეხებს და მეტადრე ყმებს, ზოგი ერთი
მებატონენი წრეს იქით იყვნენ გადასულნი. მე ძალიან ბევრი საბუ-

თები და ცნობები მინახავს, სადაც ყმათაგან საჩივარი ყოფილა შებატონებები, რომ ამდენი ვიჩივლეთ, ვჩივით და სამართალი კი არსაღ არის, ჩეენი თხოვნები სულ იკარგებათ. ასეთი იყო, მავალითებრ, 1840 წ. ლანჩხუთის უფროსი გიორგი ბერიძე, რომელიც სამართალს ფულზე ჰქიდდა: დღეს ერთს მიემხრობოდა, ხვალ მეორეს... ასეთნი იყვნენ ზემო-ხესნებული თავადნი ჯურიაში, ქართლში—სუმბუთიშვილები, რომელნიც ამოწყვეტილ იქმნენ მათ ყმათაგან, ერისთავიანი, ამილახვარნი, თავეოს გურამიშვილი, თადია ჩოლოყაშვილი, კიკო და ვინ იცის კიდევ რამდენი სხვანი, ენით საგმობელნი და საკიცხნი-უცხო მებატონე, უცხო ყმას, რასაც მოისურვებდა იმას უზამდა. ამიტომ მომყავს შემდეგი ცნობები:

თავ. ალექსანდრე მაჭუტაძემ, საეკლესიო გლეხ, აწ გარდაცვა-ლებულ გიორგი იმნაიშვილს, წაართვა ცოლ-შვილი და გაყიდა სხვა და სხვა პირებზე.

აგრეთვე საეკლესიო ყმას, გომელია იმზაიშვილს, წაართვა ერთი ქალიშვილი და ერთ აქროს მჭედელს მიჰყიდა 1843 წ.

საეკლესიო ყმას მახარება ორაგველიძეს წაართვა ერთი ქა-ლიშვილი და გაყიდა.

აქ ეს სამი ცნობა მოვიყვაშე ერთი სვავის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მაჭუტაძე, ასეთ ბოროტებას ყოველ დღე ახდენდა და ამიტომ მისგან ასეთი საქმენი, ასობით დაითვლება და არა თითო-ობით.

საჭიროდ ვსთვლი, მოვიყვანო აქ ერთი საჩივრის წერილი, რო-მელიც, ჯუმათის გლეხებს დაუწერიათ და, საქართველოს ექვივის-თვის მიუცია 1843 წ. ეს საჩივარი, კარგა ხატავს, იმ ზოგიერთ მებატონეთა უსამართლობას, თუ ისინი რა და რა საქმეში არ ერე-ონდენ, და როგორ სჩაგრავდენ, არა მარტო თვის ყმებს, არამედ სხვათაც... ამ საჩივრიდან ჯარკად სჩანს, რომ მებატონე რასაც გა-ნიზრახვდა, იმას ჩაიდენდა, აისრულებდა კიდეც. ამ საჩივარზედ ხელს აწერს 80 კაცი საეკლესიო ყმა როგორც ვიცი და ცნობები-დანაც სჩანს, იმ დროის „უწმინდესი სინოდი“ ვერ მოიქცა ყმათა სასარგებლოდ... ყმათა საჩივარი მათ ქუთაისის გუბერნატორს გაუგ-ზანეს, იქიდამ ოზურგეთის უფროსს. მერე გამოძიება მოხდა, მაჭუტა-ძეს ყველგან მეგობრები და ნათესავები ჰყებანდა. საჩივარი გაამტკუ-ნა, გააუქმა, ყოველივეზე უარი ჰყო და თავი გაიმართლა. გლეხები ამას კი არ მოელოდნენ „უწმინდესის სინოდისაგან“... საქმე ისე და-ტრიალდა, რომ ყმების წინააღმდეგ გახდა თვით ჯუმათის წინამძღვა-რიც, ნათესავი და მეგობარი თავ. ალ. მაჭუტაძისა. საჩივრის ქა-

ლილდები დაიმალა და სულის მამამ ასეთი ცნობა მისცა: — „ყმები სტუიანო“.

თავადი და აზნაურები ყოველთვის მონასტერს მამულებს სწირულდნენ. შენაწირავს, რასაკვირველია, თავიანთ გლეხებს სტაცივდენ, მათ არაური ეკარგებოდათ, გლეხების ანაუცვენს. ბერებს და ეპისკოპოსებს აძლევდნენ. ეს სულის მამებიც ბრძავდებოდნენ ამითი, საწყალ ხალხს ღალატობდნენ, არასდროს მათ მაგრე თავად-აზნაურთა წინააღმდეგ, ერთი კრინტიც არსად დაძრულა. ერთად ერთი მაგალითია, სამი საუკუნის განმავლობაში, რომ XVII საუკუნის წახევარს, აფხაზ იმერთ კათალიკოზმა ევდეოსმა, იქადაგა მებატონებთა-გან ყმათა თათრებზედ დაყიდვის გამო და შეაჩვენა ის მებატონენი, რომელნიც ქრისტეს ბატკანს (ქრისტიანს) თათრებზედ გაჰყიდისო.

ქადაგებას ვინა სჩივის, სამღვჯელოება ყოველთვის მტერი იყო და მცარცვავი. სამღვდელოება სკარცვავდა ხალხს, გლეხების შრომით სკეოვრობდენ, საქმით კი თავად აზნაურებს ემსახურებოდნენ. მათ ემხრობოდნენ... მთელი ჩვენი საყდრები გლეხთა ხელით კეთდებოდა და შიგ საყდარში კი, მათი მებეტონენი იმარხებოდენ, მათი მურატიალი სხეულის სულით ყრილდებოდა, გლეხთაგან ნაშენი საყდრის შენობანი. გლეხები ერთ დროს, ეკლესიის ყმობას დიდათ ელტოდნენ, რადგანაც მათ ეკლესია დიდათ მუარცველობდა, ძველადან ვიღრე საშუალო საუკუნემდე, მერე კი დავარდა ეკლესიის მფარველობა ყმებზედ და უკანასკნელად ისე შეიცვალა, რომ ყმათა მდევნელათ და მცარცველად თვით სამღვდელო პირნიც გამოღიღნენ, ებრძოდნენ მათ გაუგებრად და შეუმცნებლად. XIX საუკუნის შემდეგ „სულის მამები“ გაისყიდნ წირვა ლოცვით თავადებსა და აზნაურებზედ. მერე ამას მთავრობაც თაერთვა ზედ. ერთი სიტყვით XIX საუკუნიდან, ქართლის ეკლესია და საიღვილოებაც ხალხის მტრად გადაიჭირა. ყმები მათ სახრავ საგნათ გაიხადეს. წინანდურ გზას თავი გაანებეს, და სულის მამებიც თავად-აზნაურებს მოუსხდნენ გვერდით და ყმათა ცხოვრებასაც ერთი ათად სტვირთამდენ. კეთილშობილთ მეგობარნი ერთად და ერთაირად აძრობდნენ ყმებს ტყავს. უკანასკნელად ყმებმა საყდარსა და ბერებშიაც იგივე მტრობა და მტრები ნახეს, რაც თავად აზნაურებში, იგივე სვავები, იგივე მყველეფავები და სხვანი, ამიტომაც გახლდათ, რომ ყოველი თავადი და აზნაურის შვილი სცდილობდა, რომ მის ოჯახიდან თითო ბერი, არქიმანდრიტი და ეპისკოპოზი ყოლოდა, რათა ხალხი შეერთებულს ქალით ეყვლეთად და ეფუძნებად. იშვიათად, რომ გლეხის

შეილთაგან არქიმანდრიტობამდეს ან ეპისკოპოზობამდე ვინმეს მიეღწიათ. ამის სულ ორი მაგალითი ვიცით, მთელი ჩვენი წარსულიდან და ისტორიიდან.

გინდ რომ გლეხს მიეღწია ასეთ ხარისხამდე, იმას მაინც თავად აზნაურები გადაიბირებდა და უკანასკნელს ხალხის მტრად გამოიყვანდნენ, ყმების მტანჯველ-მცარუცავად და თავად აზნაურების მომხრე და მეგობრად, ასე იყო მოწყობილი საქმი, ასეთი პირობები არსებობდა მაშინ მათ შორის, ამიტომ ბერებიც უსამართლოებით იყვნენ დარაზმულნი, ყმებსა და გლეხების შრომით ცხოვრობდენ, სამსახურით კი უსამართლოების მეუფებს ემსახურებოდნენ... ყოველივეს მათ სასარგებლოდ ასრულებდნენ. ეს შესძლვნა მათ, მათმა სინოდმა და გაფუჭებულმა რუსეთის მთავრობამ.

ჩვენი მონასტრის ბერები, თუ სადამდის იყვნენ წამხდარნი და გაფუჭებულნი, სადამდის იყვნენ დაბრმავებულნი და გასუიშულნი ყმათა მჟარველობისაგან, ესა სჩანს თვით ქვემო მოყვანილი საეკლესიო საჩივრიდგანაც, სადაც საჩივარია თავ. ალ. მაჭუტაძეზედ... წინამძღვარმა დამალა და ყოველივე დაიუარა, ამიტომ უნდა ითქვას, რომ ყმების მტრობას და მებატონეთა მომხრეობას, თითქვის ყოველი მონასტრის ძმები ადგანან, ესენი გლეხებს და ყმებს უქადაგებდენ ბატონიშვილების მორჩილებას, ხმის არ ამოღებას ყოველი ხარჯის გადახდასა, ბატონის სასარგებლოდ.

რადგანაც ბატონი, მათი უმაღლესი სისხლის მექონი იყო, ამიტომ მებატონეც ბერებს, არქიმანდრიტებს და ეპისკოპოზებს ყოველთვის პატივს სცემდნენ, საზილებზედ პირველ ალაგას წამოსჭიმავდენ, შესაწირავსაც აძლევდენ და მჩო უბრმავებდენ თვალებს. მათი კავშირი და ერთობა იყო ყმათა საწინაღმდევო მეცნიერი ძალა, რაის საშუალებითაც, ყმასა და გლეხებს სიცოცხლის დღეს უმწარებდენ, ყოველთვის შეერთებული ძალით სცარცვავდნენ და სტაცივდენ ნამუშავარს, თავად აზნაურთა და ბერების კავშირი, ტაცვის გარდა აბნელებდა და აყალბებდა თვით მართმისაჯულობას და შეწუხებულ ყმათა საჩივარს, ბატონებზედ და გოდებას, რასაც ცხადათ ასაბუთებს. შემდეგი საჩივარის ზოგი ერთი ადგილები:

„მის მაღალ უსამღვდელოებას უწმინდესისი და უმართებულესის სანოდის, სრულიად საქართველოს, კახეთის არხიეპისკოპოს და კავალერს ე ვ გ უ ნ ი ს.

უმდაბლესი თხოვნა:

იმავე პირველიდგანვე, რა შევსულვართ ჩვენ ჯუმათი სობოროს უწყებასა ქვეშ, არა გვყოლია რა მოურავი, და იყვნენ მმართველად

ჩვენდა სასულიერო ნაწილთაგანნი, რომელნიმე პირნი და ვერაუკა-
ლრისობდენ*) უმართლოთ შევიწროვებასა ჩვენსა, ხოლო რა გაღმო-
სახლებულა უსამართლოებისა ჩვენისა, კნიაზ პრაპორჩიკის ალექსან-
დრეს დავითი, ძის მაჭუტაძისა სახლი ოზურგეთის უჩასტკის სო-
ფლის ასკანიდგან, დასახლებულან ჩვენვე უჩასტკასა შინა, სოფელსა
ნიგოითს, ჩვენს მახლობლად, მაშინ იწყო ჩვენზედა ძალადობა, და
მიუთვისებივართ სამოურავოთ და ხმარულობს ჩვენზედა, იმე პირ-
ველდგანვე, ვიდრე აქამომდე, თვით უფლებასა მაცემობლითა, და-
ტუსალებითა, ცემითა და აკლებითა და ყოვლის უსამართლებითა,
რომელსაც ქვემორე მუხლითა განვაცხადებთ. ა. წყლვ—წელსა შინა,
ვიჩივლეთ არზიებითა უმეტეს ოცდა ათ ფურცლამდის, არსებულსა.
გურიის დროებითი სასამართლოსა, განვაცხადეთ შეს შინა, რომელ
გვიშლის იგი მამა პაპობით კუთვნილს ლყეთა და წყალსა, და სახ-
ნავ სათეს მიწასა, და გვემართლება იგი ყოვლის ძალადობით. ხოლო
იმეცადინა მან თვისის, ბოროტი მოქმედებითა, და ჩვილი ჩვენი
მიაცემინა დავიწყებასა ქვეშ; რომელიც დღეს იმყოფება აჯამეთის
სობოროსა შინა.

ბ. თავადმა იმავ მაჭუტაძემა, აწ გარდაცვალებულსა საეკლე-
სიო ყმასა გიორგი იმნაიშვილს ცოლ-შვილი გაუყიდა სხვათა პირ-
თადმი.

გ. კვალადაც საეკლესიო ყმას, ცომელია იმნაიშვილს წართ-
ვა ერთი ქალის შვილი, ტუფალა და მიყიდა ერთს ოქრო მჭედელს.

დ. კვალადაც საეკლესიო ყმას მახარბელა ორაგველიძეს ერთი
ქალი შვილი, გასყიდა სხვათა პირთადმი.

ე. ერთი კომლი საეკლესიო ყმა, გოგია იმნაიშვილი თავის
ცოლ შვილით, აიკლო და გაყიდა იმერეთს სხვათა და სხვათა პირ-
თადმი.

ვ. ადგილ-მამული წაგვართვა და მისცა თავის ყმებს.

ზ. გვართმევს ყოველისა განუზომელად საზრდოსა, სიმინდსა და
ღომსა, და რაოდენიც შეუძლიათ ძათი ყმებით და გვასამართლებუნ.

კ. როდესაც მოხდება მათ ყმებთა, და ჩვენ გვთხოვს ადგი-
ლსა მდებარესა, ანუ ვენახსა და შეადგენენ ჩივილსამებრ ჩვენისა
მართ-მსაჯულებისა განჩინებისა, და დარჩება მხარე ჩვენი სი-
მართლით, მაშინ. მაჭუტაძე იგი არა ინებებს იმა განჩინებისა, ქვეშ
მოყვანასა.

თ. საეკლესიო ყმა, აწ გარდაცვალებულ ოთარიქა იმნაიშვილი,
ხატზედ დააფიცა ერთგულად სამსახურისათვის.

*) უკადრისობდნენ—თაკილობდნენ.

ი. წელიწადში, სამას დღეს გვამუშავებს ყოვლად უქირაოდ:
ია. გვართმევს ცხენსა და ხარებსა და გზაგნის სხვათა და სხვა-
თა ადგილებში, სასარგებლოს მოხდით, ყოვლისა უქირაოდ.

იბ. ვინაიდგან ვართ ჩვენ სილარიბესა და ვიწროებასა ქვეშე
შეკვეთი, მთავარი არსებობისა, საეკლესიო ხორავთაგან მცირე რამ
გვინდა გარდასახადი, ახლა იმა ხორავთაგან, საფასოისა ერთი ათად
გვათდევინებენ.

იგ. ჩვეულებისამებრ ამა ქვეყნისა, ოდესაც მაიწილადებდა მამა-
შვილი, განა ძმანი მესამე ცდამდის გარდასახადსა ერთ გარდახდები-
ნებდენ. და. ახალ. ჩელიდამ, ოდესაცა აღსწერა გურიის უეზდი
უფალმა სარაჯოვმა, გის შემდგომ ვინც გავწილადდით და ცალკ
ცალკე დავდგომიარებთ, არა და იცოდეს მეორე კამელარიის აღწე-
რასა იასაულის ფულსა, კომლის თავზედ იყო და გვართმევენ,
საეკლესიო ყმათა, მცირე რიცხვებით საყარაულოზედ გვაგზავნიან და
უძეტეს, მაჭოტაე თავის სასარგებლოდ იტოვებს.

იდ. საეკლესიო ყმასა იობა იმნაიშვილს, ერთი ძროხა წაართვა
ათ მანეთად და იმა რიცხვებიდან მისცა მცირე რიგი.

იე. მაქსიმელა ორაგველიძეს, ერთი ძროხა ლირებული ხუთ მა-
ნათად, იმა რიცხვებიდან მისცა მცირე რიგი.

ივ. იქენ, საშაია დათაია და პეტრია ორაგველიძებმა, სპირი-
ზონ და ლაზერე იმნაიშვილებმა, ძმათ თვითეულთა კომლობით გარ-
დაახდევინა ორ ორი მანეთი და რჩ ორი აბაზი.

იზ. გვართმევს ნამუშავარსა რკინის იარალებსა და ცოლ-შვი-
ლის სახრდოს სახარშავათ, ქვაბსა და შეშაცა.

იც. ცხრა ლორი წაართვა შაქსიმელა იმნაიშვილს და სამი ოქ-
როპირ იმნაიშვილს, ლირებული თითო-თითო ოთხ ოთხ მანეთად.

იმა ჩვენმან მეუსამართლებან. მაჭუტაძემ, განგვიწესა ჩვენდა მე-
უსამართლეთ, საეკლესიო ყმა მახარობელა, და იობა იმნაიშვილი მა-
ნასახლისათ... მათა დაგვიწყო მტაცებლობა, ვიჩეცლეთ და
გურიის სასამართლომ გამოჰყარა ივინი, და სასამართლომ აღირ-
ჩია საეკლესიო ყმანი მაქსიმელა და დათუა იმნაიშვილები. მან მაჭუ-
ტაძემან, მოსოხვა მათ თვითეულს ორმოც ორმოც მანეთი, და ვი-
ნაიდგან, სილარიბისა მათისა გამო, ვერ შეძლეს გადახთა, ამიტომ
ტსთევე გარდააყენეს ისინი და მისცა მამასახლისობა საეკლესიო ყმას.
გოგია იმნაიშვილსა და გარდაახდევინა სამი თუმანი.

ით. წაართვა ჩვენთაგანს, მაქსიმელა იმნაიშვილსა, ერთი ხარი
ლირებული ექვს მანეთად.

ვ. ჩვენთაგანნი ამა სოულისა, მცხოვრებნი სამი ძმანი გიორგი,

სუტია, კახვინატი დააშეარისშეიღები, ესე იგი იმნაიშეიღუბი იყვნენ, რა საბატონო ყმაი და შემდგომ სურვილისამებრ მათისა, დაიხსნეს თავი თვისი მებატონისაგან, საეკლესიო უწყებისათვის, და განიწეს მათ, წლითი წლით ეკლესისათვის შესაწირავად წმინდა სამთელი, და სხვა არავითარი ბეგარა სდებია რა და დღეს ახდევინებენ მათ, ვითარცა სხვათა საეკლესიო ყმათა; აგრეთვე იასაულის ფულსაც.

ვა. მათი საეკლესიო უწყების შეყვანისათვის, აიღო ქრისტიანული მოურავმა ალექსანდრე მაჭუტაძემ, სამი მანეთი და აგრეთვე სხვათა პირთაცა, რომლისა საბუთის პირთაცა, რომლისა საბუთის პირსა ამასთანავე წარმოვიდგენთ. კეთილ განსახილველად, და ვინაიდგან არის ყმა იგი სიღარიბეს ქვეშე, ვითხოვთ არა გარდაზღეთ მათ თანასწორ სხვათა ბეგარა.

ვგ. კვალადაც დავსძანებთ ამ სოფლისა მცხოვრებნი, ჰყავს მას მაჭუტაძეს, სასტიკ ადგილის ქვეშე ესრედ, რომელ უკეთუ არა იქმნა იგი, გარდა გარდაყენებულ მოურავის ლირსებისგან. – არა იცნობებს მისა უსამართლოებანი დამტაცებლითგან, და ამით ინებეთ თქვენ მაღალ უდიდებულესობავ გარდაყენება, და ფეხს ქვეშე ძიება დავა და აპელაცია, ჩვენ მიერ დამატების მიღება, და მათგან ცნობების ყოველივე ზემო განცხადებულნი. უკიდურესნი ჩვენი ვიწროება, ორ გზით განუცხადეთ სასულიეროსა და სახორციელოსა ერდგულებრივ ნაჩალნიკს, გარნა ვერა დაგვითარა მათის უსამართლოებისაგან, გვაიძულებს მაჭუტაძე იგი, რომელ მის დაწერილს არძაშედ მოაწეროთ ხელი, რომელ მითომცა არს იგი სამართლიანი და კეთილ-მოქმედი რომელთა მეცა კიდევაც გააბრიყვა, არს ჩვენზედა მეუსამართლეთ მის მაჭუტაძისაგან დადგენილი ნაცვალი, მისი იოვანე ხალვაში და სამამახლისო, ვინაიდგან არს ჩყმ წლიდგან გამოცემული უმაღლესად, ახალი. სოფლური განკარგულება, ესე იგი სოფლებსა შინაუჩასტყას ზასედატელი და პომოშნიკი, რალასთვის უნდა იყოს ჩვენზედა მეუსამართლეთ მოურავი მაჭუტაძე და ნაცვალი იოვანე ხალვაში, და სამი მამასახლისი ვსასოებით, რომელ დაგვიფარვიდა იგი ახალი კანონი, გარნა გართ ჩვენ ფრიადსა იწროებსა ქვეშე, ვერ შემძლევთ ესე ვითარის დიდის გარდასახადისა, და გამოზრდა თვისის ცოლშეიღილის და სახლობის, რაისათვისაც უმდაბლესად ვთხოვთ თქვენს მაღალი უდიდებულესობისაგან, რათა მოგვხედოთ ჩვენ თვისის კაცთ მოყვარეობით და მოგვაშოროთ აგრეთი ის მაჭუტაძისა და ხალვაშისა მმართველობასა და მოგვცე სარჩევება აღრჩევისა ერთი კეთილი საიმედო ნაცვლისა, და ერთისა მამასახლისისა, და რა-

ოდენიცა შეძლება იყოს აღგვისუმბუქდეს, რამდენიმე ჩვენისა გარდა-
სახადის, რათა ჩვენ ჩვენი სამარადისოდ მაქებელ და მაღიდებელ,
სახელისა თქვენისა მაღალ უდიდებულესობისა, ზემოქსენებულ ყმების
თხოვნა და ხელის მოწერით ხელს ვაწერ საეკლესიო ყმა ლაპტარე
იგნათიევი.



V.

ପ୍ରମାଣିତ କାନ୍ତିକାଳୀଙ୍କ ପଦାର୍ଥକାଳୀଙ୍କ.

ଶାସନାଳୀଙ୍କ.

თავადი ბერძნ ჩხეიძე.

1850—60 წლებში, ყოფილა ერთი ცნობილი მებატონე თავადი ბერძნ ჩხეიძე... ნამდვილი სახე სასტიკ ბატონისა, რომელსაც გლეხთა შევიწროვება და დევნა საცხონებელ ხელობათ მიაჩნდა. მისი ყმანიც აქეთ-იქით ხშირად შირბლდნენ. ბატონი ამაზე ყოველთვის რისხდებოდა, ყმებს დასჭერად დასდევდა: ქართლს, კახეთს და სხვა კუთხებშიაც. ესაყველურაბოდა, რათ მირბიხართ ჩემგან თქვენ მამაძალ-ლებოვო?! როცა ეტყოდენ: ბატონო, უწყალოდ გვდევნი და მიტომ მივრბივართ თქვენგანო, იგი ამაზე უფრო რისხდებოდა.

ხშირად მთავრობასაც ავალებდა, რომ ესა და ეს ყმა გამექცა, მიშველეთ რამე, იგი, ვვონებ, ამა და ამ ალაგას უნდა იყოს, დამებ-მარეთ და მისწერეთ იქაურ მთავრობას, რომ ის ჩემი ყმა დაიჭირონ და აქ გამოგზავნონ. მთავრობაც ვალდებული იყო, ბატონის ასეთი საჩივარი მოესმინა და მასთან ზომებიც მიეღო. ყმა რომ საღმე აღ-მოჩენილიყო, უნდა დაჭირად და აღგილობრივ სამაზრო გამგეობა-შიც გამოეზავნათ, ბატონის ჩასაბარებლათ.

ხშირად, მთავრობის მიწერ-მოწერით, გაქცეული ყმა ვლეხი და-უჭერიათ და უკან დაუპრუნებიათ. ამის მაგალითია, ზემო ხსენებულ თავად ბერძნ ჩხეიძის ერთის ყბის დაჭერა და იმერეთში დაბრუნება.

ყმა-ვლეხი დაიჭირეს თფილისში. იგი კარგად შეკრეს და იმე-რეთის გზას გაუყენეს. ჩხეიძის ყმა, კარგი ხელოსანი ყოფილა, მას-თან კარგი ვაჟკაცი, ტანალი, სუფთად ჩატულ-დახურული.

ბევრი მგზავრობის შემდეგ, ეს დაჭერილი ყმა ჩაიყვანეს ქუ-თაისს და გადასცეს სამაზრო გამგეობას. გამგეობამ ბატონს აცნობა, რომ შენი ყმა მოიყვანეს და მოლი ჩაიბარეო. ბატონი გამოცხადებულა. ამავ დღეს, პატიმარი ყმა შეკრული თოკით გამგეობაში წარ-მოადგინა უჩასტების პრისტავმა, პეტრე იოსელიანმა.

ყმის წარმოდგენის დროს, მზრუნველის თანაშემწემ აცნობა მე-ბატონეს, რომ თქვენი ყმა დაჭერილი აი აქა დგას; თოკით შეკრუ-ლი და უნდა ჩაიბაროთ:

შებატონემ შეხედა ამ თოკით შეკრულ კაცს და თავისი ყმა ვე-ლარ იცნა, მას ისე ლამაზად ეცვა ტანთსაცმელი, რომ ყმა ბევრად სჯობდა ბატონს... ბატონმა უყურა-უყურა თავის ყმას, მერე იცნა... ყმის კარგმა მორთულობამის აალელვა...

...მებატონე, ეცა თოკით შებოჭვილ კაცს და დაუწყო ცემა, სცემა ისე რომ სულ კბილებიდან სისხლი აღინა. ასეთი სასტიკი ცემა ვეღარ აიტანა ყმამა და დაიწყო ლრიალი. ბატონი ამაზედ გაჯავრდა და მიუ-ზშირა ცემა-ტყეპა. ამ დროს, მაზრის გამებელი მაღლა სართულში იყო, ლრიალს ის შეეწუხებია და ჩამოსულა ძირის სართულში, ეს უფ-როსი პირი გახლდათ პოეტი რაფ. ერისთავი. ამან რა ნახა ბატონი-საგან, თოკით დაშარტული ყმის ისე ულმერთოდ ცემა, დაუყვირა:

— ქნიაზო, როგორ გეკადრებათ ეგ?! რას შერებით თქვენ, არა გრუხვენიანთ თქვენი თავის მაინც, იძახით კეთილშობილებას?!

ბეჟან ჩხეიძე უფრო გაცეცხლდა ამაზედ და დაიწყო მრისხანებით ყვირილი:

— თქვენ გლეხებს ემხრობით, თქვენ თავადისშვილი არა ხართ, თქვენ გლეხებს გვიგიებთ, როგორ გეკადრებათ თქვენ ეს, თქვენ ვის აჩერებთ, რომ ყმის წინაშე მიყვირი გაჩერდით, რასა გავს ეს, განა ყმების წინ ასე უნდა დაგვამციროთ?!

— თქვენ თვით იმცირებთ თქვენ თავს, რომ ასე სცემთ დაპა-ტიმრებულ კაცს... მიუგო პოეტმა.

— ვაიმე დედავ, ბარემ მოვკვდე რაღა, ეს რას მოვესწარი, ყმის წინ ასე დამიყვირონ, სიკვდილი არ მირჩევნია ამას, ნახედ რა ამბავია, რას მოვესწარ! მოვკვდე რაღა ეს მიჯობს ეხლავ!..

— თუ მოკვდები და მოკვდი, — დაუყვირა რაუ. ერისთავმა, — შენი ყმა, ჩენს წინაშე, დაჭერილი და თოკით დაშარტული წარმო-ადგინეს, შენ ცემის უფლება აღარ გაქვს, ჩენ უნდა დაგვაცალო, კანონს უნდა მოუცადო, ასეა საქმე. მიუგო პოეტმა.

— კანონი თქვენ გლეხებისაკენ გაქვსთ დაყენებული და იმათ ემხრობით.

— სულაც არა, კანონისთვის ორივ ერთია. ბატონი და გლეხი, ეს რით ვერ გაიგეთ?!*) — მიუგო პოეტმა.

— მაშ, თუ ასეა და კანონი სიმართლისა არის, მე მართალი ვარ, მასთან კანონსაც უცდი და ამიტომ ვითხოვ, რომ ჩემს ყმას 150 როზგი დაარტყათ, მისი ჯავრი ამომყაროთ, თორებ ეხლა წიხლებით გადაუხდი... მიუგო ბატონმა გაცეცხლებით.

— ეგ არ შეიძლება, ვერც შენი სიტყვით 150 როზგს დაგარ-ტყამთ და ვერც წიხლებით შესღები, გაიგეთ და შეიტყე ქნიაზო, რომ ასეთი მუქარება კანონს გარეშეა, არც თქვენ შეგფერისა...

*) „ნეტარ იყვნენ მორწმუნენ“... პროლეტარიატს ეს არ სწამდა, და რომ მისი შეხედულება საღი იყო, ამას ნათლად დაღადებს ეს გამოცემაც... რედ.

ქნიაზი ცოტა დაწყნარდა, რადგანაც პოეტი კარგათ ექცეოდა, მერე თავადმა პოეტს სთხოვა:

— ბატონო ქნიაზო, რაკი როზგი არ იქნება, მაშინ მიყავისთ ჟიკეთე და ეგ მამაძალლი, სამი თვით ციხეში მაინც გამიგზავნეთ. რომ იქ მაგ ვირ-მამაძალლმა ჭკუა და ზრდილობა ისწავლოს.

— ეგ არ შეიძლება, მაგას ჩვენ ვერ ვიზამთ...

მებატონე ამაზედ უფრო გაცეცხლდა, დაიწყო ყვირილი, გოდება, თავის აქეთ-იქით ქანება და მოემზადა კიდევ ყმის საცემათ. რაფ. ერისთავმა ბიჭებს დაუყვირა:

— გახსენით ეხლავ ეს კაცი, აქ უყურეთ რომ ბატონმა ცემა არ დაუშეს!

ეს უთხრა და თვითონ მალლა ავიდა. მალე ჩამოვიდა ისევ უკანვე, თან ჩამოიყვანა უფროსი რუსი იეზუმსკი. ამათ დააშოშმინეს ბატონი და ყმასაც გამოპკითხეს საქმის ვითარება. ყმამ უამბო შემდეგი:

— მართალია ბატონი, მე დამნაშავე ვარ, ჩვენ მშიერ-მწყურვალნი ვიყავით, გავბედე გაქცევა, წაველ, კაცად ვიქეც, ხელობა ვისწავლე, ეხლა საქმეზედ ვარ, დამიკირეს, თოვით შეკრული აქ მომიყვანეს და ასე შეკრულ კაცს ჩემმა ბატონმა ცემა დამიწყო. ალარა-ფერი მჯითხა, იქნება პატივი მეცა და ჩემი სამაგიერო გადამეხადნა, ეს ალარ მაცალა და აი სულ კბილები ჩამამტვრია.

ბატონი ყვიროდა თურმე, რომ კაი მიქნიაო, ასე უნდა შენის-თანა ბრიყვებსაო.

უფროს რუსმა ბატონს დარიგება მისცა, რომ ასეთი საქციელი არ გეყადრებათ. თქვენა, ასეთი ცემისთვის თქვენ დაისჯებითო. პოეტს უთხრა თურმე, რომ ეს ყმა მოაშორე ამ ბატონს, მოარიგე, პასპორტი მიეცი და გაუშვი იქით საიდამაც მოვიდაო.

რაფიელ ერისთავს ჭოქამს:

— ქნიაზო, თავი გაანებეთ, თუ ღმერთი გწამს... ხელიაიღეთ... აი, ბატონყმბის გადავარდნის გამო, ქადებამდის, სულ ორი თველა არის დარჩენილი,*) თქვენ ამ ყმაში ფულს აიღებთ ამას დაანებეთ თავი, ისევ თავის საქმეზედ წავიდეს და იმუშაოს. ეს თქვენთვისაც სასახელო იქნება, რომ თქვენი ყმა ასეთი კაცი გამოსულა.

ბატონი უქმაყოფილო იყო და გაგულისკბული ყვიროდა:

— მართალია ქნიაზო, რომ ორი თვის შემდეგ ყმობა არ იქნება, მაგრამ მე დღეს ვითხოვ მის დასჯას, როცა მე ჯერ კიდევ ბატონი ვარ და შემიძლიან მისი დასჯა. დაპატიმრება თუ არა, 150 როზგი მაინც დაარტყით...

*) უეპველათ ეს იყო მიზეზი, რაფ. ერისთავის ლმობიერების.

ბატონი ყმას უყურებდა და მის ტანზედ რა ხედავდა მშვენიერს. სუფთა ტანთსაცმელს და შერე თავის ტანზედ შეიხედავდა ხოლმე, ამაზედ უფრო მოღიოდა ბრაზზი თავისთვის ჯავრობდა და ბუტბუტებდა.*) პოეტმა რაფ. ერისთავმა იმეცადინა ბეჟან ჩხეიძე და აწყნარა, დარიგება მისცა ყმა გლეხიც გაანთავისუფლა, „პასპორტი“ უბოძა და უთხრა:

— წადი ბიკო, წადი იქით, წაიღე ეს პასპორტი და იმუშავე ისე როგორც აქამდის გიმუშავნია.

ყმამ პასპორტი გამოართვა, პოეტს მაღლობა უთხრა და ისევ თფილისისაკენ გამოეშურა. სახლში თურმე აღარც კი მივიდა... ბატონმა ბევრი იჯავრა, მაგრამ ვერაფერი გააწყო პოეტს ეთქვა ბატონისათვის, რომ თქვენ აქ ჩვენს წინაშე ასეთის საქციელისთვის; უსათუოდ კანონის ძალით დაისჯებითო. აქ ჩვენს წინაშე, ჩვენს გამგეობაში, ჩვენა ვართ კანონ-მდებელი და არა კერძო ვინმე პირიო. თქვენ უფლება არ გქონდათ, რომ აქ ჩვენს სასამართლოში მისთვის ცემა და გერიცების გამო, დაანება ბატონმა ყმას თავი და გაჩუმდა.

ვიღრე ეს მოხდებოდა, მანამდის ყმის წინაშე რაფ. ერისთავმა ბევრი ჰყიცხა თავ. ჩხეიძე და აფრთხილა, რომ ასეთ საქშეს თავი გაანებე, გლეხებს ნუ გადაეკიდები, თორემ შენი მტრობა გაზვიად-დება მათს გულში და ბოლოს ვინ იცის რას არ გიზამენო.

უიქეამ მცნობთ, რომ პოეტ რაფ. ერისთავს, ასეთ სასტიკ მებატონეთა წინაშე, ყმათა სასარგებლოდ, ბევრი სიკეთე აქვს დახარჯული... ბევრი ამაგიო. თავის მაზრის უფროსობის დროს, ბევრი ბატონი დაუწყნარებია, ბევრისთვის დიდი სიკეთეც აქვს დათესილიო.

პოეტი რომ ასეთის თვისების იქმნებოდა ამას პასპუთებს თვით მისი ლექსი: „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, სადაც მახეწარი ყმის დედმამა ჰყავს გამოყვანილი, რომელიც ევიდრებიან ბატონს შეილის გათავისუფლებას, უეჭველია ეს ლექსიც მაშინ იქნება დაწერალი, როცა პოეტი ბატონსა და ყმათა შორის ასეთს გამწვა-ვებულს ვაი-ვაგლახს ხედავდა.**)

*) საუცხოვო დახასიათებაა თავად-აზნაურობის.

რედ.

**) არ შეგვიძლია ამ ამბავს ცოტაოდენი კომენტარიები არ გაუკეთოთ. ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო გვაქეს, რომ რაფ. ერისთავი გლეხკაცების დამცველთა როლში იყოს, თუ გინდ ამ ამბვის ფარგლებში მაინც, მაგრამ გამოგსთქვამთ გაკვირვებას, რომ თვით რაფილ ერისთავს, მებატონეს, თავის ყმებისთვის კარგი არა რა გაუკეთებია.

ალექსანდრე წერეთელი.

ალექსანდრე წერეთელს, გლეხის ყმებს გარდა, აზნაურიშვილებიც ჰყვანდა ყმებად. ერთხელ ალექსანდრე წერეთელმა ერთ თავისს ყმა აზნაურს ქალი მოსტაცა, ეს ქალი შინ მოახლეო დაისო. ამ ქალმა ჭრა-კერვა და ლეჩაქ-დასახურავ-კოპების კეთება და კერვა-ქარგვა კარგად იცოდა. ბატონის სახლში კარგა ხანს დაშთა. 40 წელში მიხწეულა ქალი, ბატონმა ქუთაისში მცხოვრებ აზნაურს ლორთქიფანიძეს აჩუქა, თუ მიჰყიდა. მათს ხელში ეს ქალი დიდათ იტანჯებოდა, თავის ხელ-საქმით ანალებ ფულებს ბატონებს აძლევდა და თვით-კიუსახსროდ შთებოდა... სასტიკად და მეტად ულვთოთ აწვალებდნენ ბატონის სახლში.

ამის ტანჯვა წვალებას, ერთმა პატიოსანმა კაცმა ყურადღება მიაქცია, ქალს თხოვნა დაუწერა და იმ დროის ქუთაისის გუბერნატორ კულობკინს მიართვა. საქმე გამოძიებულ იქმნა და უკანასკნელ, ეს საწყალი დატანჯული აზნაურის მონა ქალიც, განთავისუფლებულ იქმნა უზომმ მონობისაგან.

...იყვნენ მებატონებში ისეთი თავადიშვილები, რომელთაც ყმებად აზნაურიშვილებიც ჰყვანდენ, ასეთ პირთშორის მოიპოვებოდნენ ისეთნიც, რომელნიც თვით აზნაურის შვილებს და ქალებსაც კი ისე სჯიდნენ, როგორც გლეხისას.. ამავე პირის სიტყვით, ეს თავადი ალექსანდრე წერეთელი იყო, დიდი მეხი გლეხებისა, დამბრბევი მათი, მათი შვილების დაწყიდავი, შეუბრალებელი... მის წინაშე არათერს კანონს, სამართალს და სიმართლეს ძალა არ აქვნდა, იგი ქალებსაც სჯიდა ისე, როგორც კაცებს. აზნაურს ყმებს ისე აწვალებდა, როგორც გლეხებს: აზნაური რომელიაო, თუ ყმა არის, მაშინ იგი ჩემი ყმა უნდა იყოს და არა აზნაურიო!..*)



*) ამაზედ კი პრ. ითქმის, რომ „ძალლი ძალლის ტყავს არ დახევს“-ო.

V.I.

გატლენებობა სამეგრელოში.

გასალები.

თავ. დადიანი

(აკაკი წერეთლის მამის ყმა, ლაბაძის, ნააშბობი).

სამეგრელოში, დადიანები, მევრელთა გლეხებს სასტიკათ სტან-ჯავდნენ. თქვენ ვერ წარმოიღენთ იმ ტანჯეას, თუ როგორ იგი-ნი გლეხებს აწვალებდნენ. ერთ დადიანთაგანს ჩვეულებად ჰქონდა პი-რველი ლამის ურიგო წესიც. მის საყმოში, ისე ყმა გლეხი ვერ შეი-რთავდა ცოლს, რომ საცოლო ქორწილის პირველ ლამეს, ბატონისა-თვის არ დაეთმო. საზოგადოთ, ეს დადიანი მეტის მეტი სასტიკი კაცი იყო, სისასტიკესთან დიდი უს მართლოც. იგი თავის ყმებს სი-კვდილითავ სჭიდა, ზოგს ახრჩობდა კიდეც. ერთი უბრალო სი-ტანის შებრუნებისათვის საჯაროთ სტანჯავდა და აწვალებდა, ამის გარდა, ხშირად თოვით ვარჯიშობა უყვარდა.. ის ყმებს ხეზე დ შესამდა, თითონ ქვეშიდან ჩამოუდგებოდა და გულს უკმირავდა. წართმევა და ყოველივეს დაბბევ-გაგლეჯაც აღვილად იცოდა.

ერთი უბრალო რამ დანაშაული მას აალელვებდა... სრულიად აურთნებოდა, ზოგს დამნაშავეს თავში ლურსმებს უჭენდა, ზოგს თავს კვეთამდა და ზოგს ვინ იცის რას არ უშვერებოდა. ერთხელ რალაც უარალო საქმის გამო, თავის სახლის შინა ყმა მოსამსახურეს გადა-ეჭიდა და მას შემდეგ, მან მასზედ გული ვეღარ დაიდინჯა, ყოველ-თვის სტანჯავდა, სცემდა, აწვალებდა და აგინებდა, ამას გარდა მას აუნიავა მთელი ოჯახი და დედ-მამავ, დაუსაჯა, გაულახა... მიბეზრე-ბულმა ყვა გლეხმა, ერთხელ უკანონოდ გაჯავრებულს ბატონს სიტ-ყვა შეუბრუნა ასე:

— ბატონო, რაზედ გვაწვალებთ; რასა ჰგავს ეს, თქვენ ქრის-ტიანი ხართ, თუ სხეა ვინმე? ასე თათარიც არ გვაწვალებს, როგორც თქვენ გვტანჯავთ... მთელი ქვეყანა თქვენ გემდურით... მთელი თქვენი მოყმენი თქვენს. სახელს და ხსენებას სწყევლიან, და მრავალნი გემუ-ქრებიან, გითვლიან: პირველ ლამეს თავი გაანებე და მეგრელ გლე-ხებსაც ნუ ჰყიდი ისმალეთში, მოიშალე ყველა ესენი, თორემ უსა-თუოდ მალე აგუშტავთო. ჩემსას თუ არ დაიჯერებთ, მაშინ თქვენ თვით დააკვირდით ბატონო... თქვენ თვით დარწმუნდებით მასზე, რომ ქვეყანა გემდურით. ეს ბატონო არ ეკადრება დადიანის სა-ხელსა და გვაჩს. მე ბატონო, ამაზედ შეიძლება თავიც მომჭრათ,

მაგრამ მაინც მოგახესებთ, რადგანაც თქვენ ბატონი ბძანდებით ამიტომ უფრო გეტყვით...

ამაზედ დადიანი სასტიკათ გახელდა, ეცა ბიჭს და თავი იქვე უნდა მოეჭრა, მაგრამ ბიჭი მეორე ოთახში გავარდა, ბატონი გაჩერდა, იფიქრა: ხომ ამის აქ მოკვლა, ჩემგან უბრალო იქნება?! ისევ ხვალ კეირა დღეს, ხეზედ მივაკრავ, და მოკვლავო. და ამ მოკლულს უყრონ ჩემმა იმ გლეხებმაც, რომელნიც მე მემტერებიან და ამის სიტყვით, ჩემი სისხლის დალევა უნდათო.

ამ დადიან ბატონმა, გლეხების წამება ასე იცოდა: ყმა გლეხს-ერთს ბოძედ მიაკრევინებდა მაგრად თოკით, თავში ხუთს ხუთს ღიღს ლურსმებს ჩაურჩობდა და ზევიდამ მძიმე ჩაქუჩის ცუმით, თავს ისე დაუჩეჩქვამდა, რომ გლეხი ერთი ჩაქუჩის დაკარის უმალვე კვდებოდა, და ხმას ვეღარ იღებდა.

ასე დაესაჯა მას არა მარტო ერთი, და ორი მეგრელის ყმა კაცი და ქალი, არამედ რამდენიმე ოცი და ვეღონებ ამიც.

მეც ვნახე ამ ბატონ დადიანის სახლის შეილი, თუმც მისი სახელის მოგონება კი არ შემიძლიან; აღარ მახსოვს, რადგანაც როგორც იმერეთიდან გაქცეული, სამეგრელოში ვსცხოვრობდი დროებით და, მის სახელს მე არ ვაქცევდი ყურადღებას, ბოროტის აღსანიშნავად და მოსაგონათ მარტო გვარიც კმაროდა. მე ძრიელ ბევრი კაცი და ქალი ვნახე მისგან ანიავებულ-დასჯილი, ოსმალში და აფხაზეთში თათრებზედ გაყიდული...

ამ გაჯავრებულმა ბატონმა, დაწყნარების შემდეგ, ხსენებული ყმა გლეხი მიიხმო თავისკენ და უბრძანა:

— წადი ეხლავ და ჩემს მჟედელს უთხარი, რომ ხუთი ლურსმანი გააკეთოს და გამოგზავნოს, რათა მით ხვალ შენ აგისრულო შენიდანაშაული, შე მამა-ძალლო შენა! :

ყმა გლეხის ბიჭმა, ამის გაგონებაზე ტირილი მორთო, ბატონს ფეხ ჭემ ჩაუვარდა, დაუწყო პირჯვრის წერა და ფეხებზედ კოცნა ბატონი უფრო გააფრთდა ყმა გლეხს, რამდენიმე წიხლი ჩაარტყა და დაუყვირა:

— ადე, წაშავდი ეხლა და ლურსმები მოიტა. თორემ ამ წუთაში მარტო შენ-კი არა, არამედ შენს დედ მამასა და ძმებსაც ამოვწყვიტავ, შე მამაძალლო შენა, ადე, გაეთრიე კარში! ..

ბიჭი წამოდგა, ტირილს თავი დაანება და გაემგზავრა მჟედ-ლისკენ. გზაში მას შემოხვდა მეგრელების ერთი ძველი ეპისკოპოზი, რომელიც ამ დადიან ბატონის კარგი მეგობარი იყო და ვგონებ ნა-დესავიც, ხოლო მათ ერა მანეთი დიდხანს არ ენახათ... ამ ეპისკოპოზ-

მა, თავის მეგობაზე დადიანის ბიჭი იცნა, ამიტომ გზაში შეაჩერა და ჰქითხა:

— ბიჭი, შენი ბატონი ოოგორ ბრძანდება?!

— კარგად ბატონო, რა უშავს, კარგად გახლავთ...

— მაშ, აბა გამაცილე ბატონის სახლამდის, რომ იქ ძალლებმა არ მავნონ.

— ვერა ბატონო, მე ვერ ვიზამ, რადგანაც მე სხვაგან მივალ ბატონის ბრძანებით, მიუგო გამწარებულმა გლეხში.

— სად მიხვალ, რა საქმე გაქვსთ აგეთი? ჰეთხ ეპისკოპოზმა.

— ჩვენი ღმერთი მოკვდა ბატონო და ახლა წყედელთან მივდივარ საქმე მაქვს, მისი კუბისთვის ლურსმები უნდა გავაკეთებინო.

— ეპისკოპოსი გაოცდა, ვერა გაიგორა და ბიჭს ჰქითხა გაკვირვებულმა.

— რას ამბობ შენა, რომელი თქვენი ღმერთი მოკვაა?

— რომელი და გამჩენი ღმერთი, რომელმაც ჩვენ გაგვაჩინა და თქვენც გაგაჩინათ, ის ღმერთი მოკვდა! მიუგო ყმა გლეხის იქმა

— ღმერთის სიკვდილი არ შეიძლება... მიუგო ეპისკოპოსმა და თან გლეხს დარიგება დაუშეკო, რომ შემდეგ ალარ სთქვა ეგაო. გლეხმა მიუგო:

— ბატონო, როგორ არ ვიტყვი, ას, ჩვენი ღმერთი მკვდარი რომ არ იყოს, მაშ ჩვენ ასე ვიქნებით დარბეულნი?. წელანაც გითხარით და ეხლაც გეტყვით, რომ ჩვენი ღმერთი მკვდარია, მკუდარი! ..

რამდენიმე წუთის შემდეგ, ესენი ერთმანეთს დაშორდა, ბიჭი მშედლისკენ წავიდა და ეპისკოპოსი და ყიან ბატონის სახლისაკენ. ეს მალე მივიდა თავისს მეგობარ დადიანთან და უოველივე უამბო ამბავს შემდეგ დასძინა:

— ჩვენი ღმერთი მოკვდაო, მე ვერა გავიგე რა და წამოველ ასე გაკვირვებული, თუ რა მითხრა იმ ბიჭმა!

დადიანი მალე ჭიხვდა საქმის გარემოებას და ეპისკოპოზს მიუგო.

— მართალია, მათი ღმერთი დიდი ხანია მოცდა და რომ ეს მართალია, ამიტომ იმასაც მაგისტვის დასჯა უნდა, თქ. უნ ცოტა მოითმინეთ, ამალამ აქ იყავით და ხვალ მე გაჩვენებათ მაგათ ღმერთის სიკვდილს.

შემდგომ ამისა, ეპისკოპოსი და დადიანი ლაპარაკს გაჰყინენ მალე მათ თავშესაქცევად ღვინო და ხილიც მისროცეს, ამას ვახშამიც მოჰყვა. ვახშამის სიამოვნებამ და ეპისკოპოსთან საუბარმა ბატონს სულ გადაავიწყა გლეხის ჯავრი ისე, რომ ამ ლამეს ის ბიჭი ალარც.

კი იკითხა, ხელზედ სხვები ემსახურებოდნენ და თან ამ მოსამსახურებსაც უხაროდათ, რომ ეგები ამ ეპისკოპოზის წყალობით, ბიჭი გადავიწყდეს და ხვალ იგი სიკვდილით არ დასაჯოსო. ამიტომ ამათ ვახშამზედ სულ საუკეთესო და ფერად ფერადი ხილეულობა და საჭმელები მიაროვეს. ვახშის გათავების შემდეგ ბატონს გაახსენდა ბიჭი და ხელზედ მოსამსახურეს ჰკითხა:

— რა იქმნა ბიჭი, ლურსმები მოიტანა?

— ღიახ ბატონო, ზოვიდა, კარში გდია და სძინავს.

— იძინოს, იძინოს, ეს უკანასკნელი ძილი არის მისთვის, ხვალ ნახავს ეგ თავის სიცოკლის და ძილის დასასრულს...

საქმე გათავდა, ეპისკოპოსი წაიყვანეს ცალკე ოთახში შოსა-სვენებლათ, ბატონიც წავიდა თავისს ოთახისკენ მწარე ხენეშით და ჯავრით. ეს გააჯავრა უფრო იმ გარემოებამ, რომ ყმამ ბატონს „პი-რელი ღამის“ გახსენება შეჰქადრა. ბიჭებმაც მოისვენეს თავიანთ ოთახებში.

...ამგენმა ბატონი მოატყუეს თურმე, რომ ბიჭი შინ არისო, ის შინ არ მოსულიყო. ეს ბიჭებმა ბატონს მიტომ უთხრეს, რომ ეგები არ აღელდეს იგი და დაწყნარდესო, მაინც იგი დროებით დაწყნარდა!.. ახლა ამ ბიჭზედ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

ეს ბიჭი, ბატონის სახლიდამ ნაცემ ნატყეპი მჭედელთან წავიდა, გზაში ვიღაცები ნახა და გამოელაპარაკა. შემდეგ მჭედელთან მივიღა და მოახსენა შემდეგი:

— ბატონმა შემოგითვალათ, რომ ხუთი ლურსმანი გააკეთეთ და გამომიგზავნეთო.

მჭედელი მიხვდა საქმე რაშიაც იყო, რადგანაც შას არა ერთ-ხელ გაუკეთებია ასეთი ლურსმები. ამაზედ მას ჯავრი შოუვიდა და სთქვა:

— ეს რა უბედურება არის, რას ჩადის მაგას ეგ ულმერთო. და უსვინდისო. ვის სჯის ხვალ?, ჰკითხა გლეხ ბიჭს...

— მე, მე მემუქრება ხვალ აღსასრულს.

— დღეს შაფათი სალამოა, კვირა ძალია, მე ილარ ვაკეთებ ლურსმებს, ჩაქრის ვერ დავრავ... სოქეა მრისხანებით მჭედელმა. ამ დროს მჭედლის ჯალაბიც სამჭედლოში მოვიდა და ქმარს უთხრა:

— წამოდი, ვახშამი შზათ არის,

მჭედელმა ცოლს უამბო, ბატონ დადიანის ამზავი და ლურსმის გაკეთების ბრძანებაც.

მჭედლის ცოლს ჯავრი მოუვიდა და გაჯავრებულმა დაიყვირა:

— დაიკარგოს ეგ წყეულ შეჩვენებული, ეგ, ურჯულო, ეგ თათა-

რი ეგა. წამოდი შინ, კვირა ძალია, წამოიყვა ეგ ბიჭიც სახლში, შეალ გაუკეთე ლურსმები წირვის შემდეგ, ხვალაც მოასწრობ.

ბიურ არ მისდევდა, მაგრამ ძალით წაიყვანეს. სახლში მივიდ-ლნენ, ბიჭს კარგი ვახშამი აჭამეს და იმ ლამესაც ბატონის სახლში ალარ გაუშევს. მეორე დღეს, ბიჭი ადგა შიშით და ცახცახით ბატო-ნის სახლისაკენ წავიდა, ამას გზაში სასახლის ბიჭი შეხვდა და ყვირი-ლით ჰქითხა:

— სად ჯანაბას იყავი წუხელის შენა, რატომ არ მოხველი, შუა ლამისას ბატონი ვიღაცებს ლოგინში აუკუწიად ისე, რომ ჩვენ ვერა შევიტყეთ რა...

ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი ასტეხა სოფელში, დიდი დავიდა-რაბა, მაგრამ მეტელები ვერსად იპოვნენ, კალსაც ვერ მიაგნეს.

მჭედელმაც შეიტყო ამბავი, მაგრამ მან ამას ყურადღება არ მიაქცია გაჯავრებულმა, წირვის შემდეგ, ხუთი ლურსმანი გააკეთა და ბატონს წაულო სახლში მისართმევათ, რასაკვირველია ეს ზიზით და მტრობით ქმნა, რომ ბოროტი ბატონი მასხარად აელო და დაეგ-მო მისი ბოროტება. ლურსმება მიუტანა სახლში და სახლის ბიჭს გადასცა. ბიჭმა დაუყვეირა:

— რა დროს ლურსმანია, რომ მოგიტანია შე ბრიყვო...

— მე ბრძანება შევასრულე და თუ ეს ლურსმები საქმეს ალარ მოხსარდება, სულ ერთია, სხვა საქმისთვის გამოდგება, აი ეხლა ბა-ტონის კუბოს გასაკეთებლათ დაგჭირდებათ კაი ლურსმებია და მის-თვის შეინახეთ.

მართლაც მსახურთ შეინახეს ლურსმები და მესამე დღეს ბა-ტონის კუბოს მოანდომეს.

ლევან ქავთარაძის ნაამბობი.

ყმობა და მონობა საქართველოში ყველგან იყო. მას, რასაკვირ-ველია ყველგან ყმათა შემმუსვრელი აგებულება ჰქონდა. ყველგან სწყვევლიდნენ. ამ წესებს და თან ამბობდენ, თუ ნეტა ვინ შემოიღო ეს მონება გლეხთათვისო. სამწუხაროდ, ჩვენ ქართველთ, ასეთ საქმეთა შესახებ, ერთობ ცოტა ცნობები გვაქვს.

კიცით ქარგად რომ საქართველოში იყვნენ ყმანი გლეხნი, მთაში იყო: „ბოგანო“, „ბეითალი“, „ნასყიდი“, „მონა“, „გლახა“, „მათხოვარი“ და სხვანი. იყვნენ: ბატონი, „პატრონი“, თავადი, აზ-ნაური, გამყიდავი და მსყიდველი, მდევნელი და მჩაგვრელი. თუ ასე-თი სახელები იყო, მაშინ ამ ვითარების მექონი პირნიც იქნებოდენ, ამას ეჭვი არ უნდა, ამის უარს ვერავინ იტყვის.

ეს ხომ ასეა და ცხადი ჭეშმარიტებაა, ამას ასაბუთებს თვით ჩვენი ქვეყნის ისტორია. აწინდელ ქართველ ტომის შემცირების ვითარება. აბა მოვიკითხოთ, თუ დღეს საქართველოს ასპარესზედ რა-მოდელა აღგიღებია ცარიელები, სადაც ძველთ ქართველთ სოფლები იყო და ქართველი ერი ესახლა, დღეს იქ ქართველთ ხსენებაც აღარ არის. ყოველივე გაქრა და მოისპო. თვინიერ ძველი ნაშთების, ციხე-კოშკ საყდრების, იქ სხვა აღარაფერია დაშთენილი.

რა იქმნა ხალხი? საით გაიქცნენ, სად წავიდნენ, სად გაქრნენ, მიწაში ჩაძრნენ თუ ზეცას გაფრინდნენა?! ამისი არა ვიცით რა, ხოლო ის კი ითქმის, რომ ნახევარი მეტი ომებში გაწყდა და უმეტესი ნაწილიც მებატონებთა მახვილის წყალობით, აქეთ იქით დაიტან ნენ. ბატონის დევნას მოშორდენ, მის მეობებით, ოსმალ-სპარსეთში: რსეთს და რუსეთისაკენაც გადიხვეწნენ.

ჩვენებურ ბატონყმობის შესახებ, საქმარის ცნობებს იძლევიან კათოლიკები ბერები. საქმარისია ამისთვის გაეიხსენოდ თუნდ მარტოდ მ. თამარაშვილის და ლამბერტის წიგნები სამეგრელოს შესახებ. მარტოდ ამათის ცნობებით სჩანს კარგად, რომ სამეგრელოში ბატონყმობა, მეტად უკიდურესის წესებით ყოფილა გარემოცული. მეგრელი მებატონენი, თავიანთ ყმებს ასობით და ათასობით ჰყიდდენ ოსმალ-სპარსეთში, ნამეტურ სტამბოლს, სადაც ჭართველი შვილების გასაყიდი ბაზარიც არსებობდა.

ასეთ გარემოების წინააღმდეგნი იყვნენ ყოველთვის გლეხები, იგინი მტრობით უმშერდნენ მებატონეს. მისი მძულვარება აქვნდათ და რა გინდ კაი მებატონე ყოფილიყო, მაინც ყმას ეჯავრებოდა იგი და აშეარად თუ საიდუმლოდ მის სიკვდილს ნატრობდა. ნამეტურ სამეგრელოში, ყმებს სასტიკად სძულდათ თვისი მებატონენი. მიზეზი შეძულების, იყო მრავალ ნაირი და უმთავრესად კი შემდეგი:

როგორც შავი ზღვის ახლოს მდებარე მხარე, აქ ზღვით ძრიელ ადვილათ შემოდიოდნენ ოსმალები და ფისაც კი ჩვენში ლამაზ ჭმა-ზვილებს ნახავდენ, ყველა ისინს ყიდულობდენ და თავის ქვეყნებისა-კენ მიჰყვანდათ. ამ გარემოებამ საქმე ისე მოაწყო, რომ უკანასკნელ თვით ოსმალოს მთავრობასაც გაესნა მადა და როცა კი სამეგრელოსთან ომი, ან გალაშქრება მოუხდებოდა, ხარჯის გადახდას სამეგრელოს მთავარს, ფულის ნაცვლათ ყმაწვილების მიცემით აკისრებდა. ამის მაგალითები, ჩვენს ისტორიაშიც არის მოხსენებული.

ასე იყო თუ ისე, ქართველთ შვილებს ბევრი ბრძანებელი და მტერი ჰყვანდა. ბიზანტიაში ოსმალთა ტომის სულ ქართველ, მეგრულ, გურულ და ლაზთა შვილებისაგან შესდგა, ზოგნი ნაყიდნი

კუვნენ, ზოგნი მოტაცებულნი, ტყვედ ჩავარდნილნი ომის დროს, ზოგნი შონბის გამო, თავის ნებით გადახვეწილნი ოსმალებს...

შორს მირბოლნენ, რადგან საქართველოს კუთხეში რომ გაქცეულიყვნენ, მაშინ იმას ბატონი მალე იპოვიდა, სახლში დაშარტულს მიიყვანდა. ოსმალ სპარსეთიდან კი მას უერავინ დაბრუნებდა, იქ ვერც ბატონი წავიდოდა საძებნელად და გინდა რომ წასულიყო და თავის ყმაც ეპოვნა, მაინც დაბრუნებით ვეღარ დაიბრუნებდა, რადგან ყმა ისლამთან დაკავშირების წყალობით, ბატონყმურის მონბისაგან თავისუფლდებოდა.

...ხოლო, სამეგრელოდან რაჭას, გურიას, სვანეთს, პუხაზეთს, იმერეთს, ქართლს, კახეთს და სხვა ასეთ საქართველოს საკუთარ კუთხებში რომ გადავარდნილიყო, ბატონი მალე პოულობდა და მოჰყავდა შინ. დევნაც მეტი ადგებოდა, ხან კი ცემა-ტყეპა და ვინ იცის რამდენი რა დავიდარაბა. თუ გაქცეულ ყმას რამე ფული, ტანთსაცმელი და ნივთები აღმოაჩნდებოდა, იმასაც ბატონი ართმევდა: „შენც ჩემი ყმა ხარ და შენი ქონებაც ჩემია“ -ო.

სამეგრელოს ყმებს, თავისუფალ ბრხად ჰქონდათ ქართლი და კახეთი 1810 წ. ვიდრე იმერეთი რუსეთს დაუკავშირდებოდა, მაშინ იმერეთიდან მოსულ, ანუ გამოქცეულ ყმებს მებატონენი აქედან ვერ იბრუნებდენ. იმერეთინ შეერთების შემდეგ კი, დევნილ ყმებს, ქართლსა და კახეთში თავისუფლად მოსვლის და ყოფნის ნება წაერთვათ. ამიტომ ასეთ ყმათა ბინად სამცხე-საათაბაგო გახდა, სადაც ოსმალთა წესები არსებობდა. იქ იწყეს გადასვლა და თავის შეფარება. ზოგი იქ კათოლიკობას უერთდებოდა, ზოგი ისლამს და მით იხსილნენ თავს.

საქართველოს აღმოსავლეთ კუთხებიდან კი, 1810 წ. ქართველთ მებატონებს, ხელში სახრე ექვათ და თავიანთ ყმებს ყოველთვის ცხმრებივით მიერკებოდენ. ასეთი უფლება მათ, სამცხე საათა-შულ ცხმრებივით მიერკებოდენ. ასეთი უფლება მათ, სამცხე საათა-შეგოზედაც მიეცათ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოს შემოუერთა ოსმალეთის საქართველოს ნაწილი, მესხეთ-ჯავახეთის და სხვანი რაც ერთობ ხშირად ხდებოდა.

1840 წ. სამეგრელოს თავად დგებუაძემ, საჩივარი ასტეხა, რომ მე ჩემი ყმები აქეთ-იქით გიმირბიანო. თვითონ ეს მებატონე, ძრიელ სასტიკა ბატონი ყოფილა. მდევნელი და მჩაგვრელი. ბოროტებით ისე განუთქვავს სახელი, რომ ყველა სწყევლიდა და მოკვლას ემუქრების არ გამიგრა. სახელი ამ დგებუაძესი არ გამიგრა.

ერთ დროს, დგებუაძის ყმა დაუჭრავთ თოკით და მიუყვანიათ ზუგდილის სამაზრო გამგეობაში. თვით ეს გლეხი სოფ. ოჩხუმური ყოფილა. სამაზრო გამგეობაში მიყვანის შეორულ დღეს, ყმა სამაზრო უფროსის წინაშე წარუდგენიათ და გამოკითხვა დაუწყვიათ, გაპარების შესახებ.

— მუში კოჩი რექ?

გლეხს მიუგია მოურიდებლივ და თამამიდ:

— პატონი ჯოლორი დგებუაძის კოჩი რექ!.. ესე იგი: მე ვარ ყმა ძალი-დგებუაძისაო.

უფროს შეუხედნია დაბასტული*) ყმისთვის. მას მართლაც კარგად სცოდნია დგებუაძის „სიძალლე“ — „სიმამარლლე“ და ყმის-თვის უთქვამს:

— მართალს ამბობ, ის კაცი ბატონი კი არ არის, არამედ სწორ რედ ძალია და თქვენც რაკი ეს სწორე სახელი „ჯოლორი“ ვიწოდებიათ, ამიტომ მე შენ განთავისუფლებ...

ყმა გახსნეს, და გაანთავისუფლეს ისე, რომ მისი მოუყვანა და განთავისუფლება დგებუაძეს არც კი შეუტყვია.

ახ, უამთა ვითარებავ და ასეთ ამბების არ წერავ და დაკარგვავ, თორემ ეს რომ ასე არ ყოფილიყოს და ჩვენს ძველებს ასეთი ამბები ენუსხათ, მაშინ ჩვენ ნათლად გვეცოდინებოდა, მიზეზები თუ საქართველო რათ დაცარიელდა ასე ხალხით, საით წავიდნენ, ვინ შეკამა იგი და ან რა იყო ამის მიზეზები. აწინდელს ჩვენს უბედურების მიზეზებს წარსულში აქცს კვანძი, იქიდამ იწყება, ყოველივე ჩვენი დღევანდელი განწყობილების, უმთავრესი მიზეზები.**))



* 1 ზეკრული.

**) წერილი დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის შეორულ ნახევარში.

VII.

ପ୍ରତିବେଶକ ନାମକଣ୍ଠ (ଲୋକପଦି)
ନାମକଣ୍ଠପଦି.

ଗାସାଲ୍‌ଗାଳୀ.

მეგატონი ბარათაანთ ამბავი:

ზაალ პირველი, ბარათაშვილი, ზაალ მეორე, ზაალ მესამე—არსენას ბატონი, მელიტონ ბარათაშვილი (მამა პოეტისა) და სხვა ბარათაშვილები.

თანამედროვე კაცთა შოთხრობილი.

ბარათაშვილის საკუთრებას შეადგენდა თითქმის მთელი სამხრეთი სამეფო. ამათი მამულების რიცხვი სამხრეთ საქართველოდან განჯის გუბერნიაში გადაითია და ოსმალეთის საზღვრებს უახლოვ-დებოდა. ერთი სიტყვით, მათ აქვნდათ დიდი უშველებელი სივრცის აღილები. ზოგთ იმდენიც აქვნდათ, რომ მათ ზომაც არ იკოდნენ მასი. ყველა ამ ვაჟულ აღგილებზე, რასაკვირველია, ესახლნენ მათი ყმანი, მათი მონები. ამათ ყმათა შორის ჰყვანდათ ყმებათ მრავლად აზნაურის შვილებიც.

ამ მებატონეთა ოჯახთა რიცხვი, ძველად გამრავლული იყო დიდათ, თითო ოჯახში ეხლანდელად ორი და სამი პირი-კი არ მოიპოვებოდა, არამედ ოცი, ორმოცი და ზოგ ალაგას მეტიც. ყველა ესენი იყვნენ ცუდათ მოსიარულენი და არაფრის მკეთველნი, მხოლოდ თუ ომი დაიწყებოდა საღმე, მაშინ მეფეს ეახლებოდნენ მემარჯვენეთ და ისიც ვინ იცის- რას იქმნიდენ, ან იქით გადავიდოდენ, საითაც მეტს ძალას შეამჩნევდენ.

ბარათაანთ ვარში უდიერად მოქმედება ყმებზედ კარვად სჩანს თვით XVIII საუკუნის ნახევრიდან, მათი უდიერობა იყო განუსაზღვრელის მონებით შემოსილი, ვინაიდან მათ ნათესავობა აქვნდათ ქართველ მეფე და ბატონიშვილებთან და ეს გარემოება კიდევ მათ მოსავლა დიდის ძლიერებით, ისე, რომ მათ წინაშე ყმანი ისე ვერ დასძრავდენ ხმას, როგორც თვით მეტის წინაშე.

ამიტომ, ბარათაანი, ძველათგანვე ისე უჭირებდნენ თავიანთ ყმებს ცხოვრების საქმეს, რომ იგინი სამხრეთ საქართველოში (სომხეთი) ველარ რჩებოდენ, აქეთ იქით ბერათ მირბოდნენ, სხვა რჯულს იღებდნენ, გვარსა და სახელებს იცვლიდნენ და მით ამათის მონებიდან თავისუფლდებოდნენ. მეორე გარემოება, რომელიც ყმებს აქეთ იქით წასასვლელად არ ბორკავდა, გახლდათ ამ კუთხის ოქმალ-სარსელის ხშირი დაცემა, იგინი ქართლში ყოველთვის ამ

კუთხის გზით შემოდიოდნენ და პირველი მახვილი ამ სოფლებს ხვდებოდა. ამიტომ ეს ყმანი გლეხნი, რათ უნდა დაშთენილი იყვნენ აქ. ბატონისაგან არ აქვნდათ მოსვენება, ხშირად ამათვან სპარ-სეთ-ოსმალებშიაც ისყიდვებოდნენ ხოლმე და ახლა რა უცხო მტრის მახვილიც აეტანად და იქ დაშთენილ იყვნენ, ამას ისევ გაქცევას ამჯობინებლნენ, ამიტომ დღე და ღამე ამ კუთხიდან სულ გარბოდნენ... აქაური ყმანი მირბიოდნენ თავის ნებით მით უფრო, რაღაც თათრებში, თავის ნებით მისულს ღარიბს და ყარიბს გათათრებულს უფრო მეტი ხმა და ლიჩება აქვნდა, ვინემც ბატონისაგან ჩარეკილებს და ფულზედ დაყიდულებს, ფულით ნასყიდზედ თათრები იტყოდნენ, რომ ძალა უნებურათ თათრდება და თავის ნებით მისულს, შეკედლებულს და გათათრებულზედ კი სულ სხვას ამბობდენ და მეტს საჩუქარს და ქონებასაც აძლევდენ. ამიტომ ამ კუთხის გლეხები დღე და ღამე მორბიოდნენ და მირბიოდნენ აქეთ იქით. ისე, რომ თვით XVII საუკ. შემდეგ, აქაურ მებატონებს წა- ტოთვათ ხელიდან უფლება თავისი ყმის შეიღები, ჩარდაშიანის ურ- მებით სპარსეთში ერენათ და იქ გაეყიდნათ ძალლებივით.

უნდა ითქვას ისიც, რომ ამ კუთხიდან ქართველ გლეხნი, სა- ქართველოს კუთხებშიც ხშირად მირბოდნენ და აქ იცვლიდნენ გვარს, სახელს სომხის რჯულს მიიღებდენ და რომელიმე ბატონს ეყობოდნენ. ეგენი მათი მორჩენილი იყვნენ, ამ კუთხის მებატონეთა მონების გარეშე, მტერთა ოხრების და აკლებას ჩამოშორებულნი. ამითი ყმობის პირობაც ბატონთან ისე იქნებოდა, რომ ბატონს იგინი არ უნდა გაეცა, არსად უნდა ემზადებინა. ამ გვარად, ქართლსა და კა- ხეთის მხრიდან, ყველაზე მეტი ქართველი გლეხობა, ამ კუთხიდან არის გასული სპარს, ოსმალეთს, სომხეთს, ქალდიას და სხვაგანაც. სა- დაც მათვანი ზოგი ისლამს უკავშირდებოდა, ზოგი სომხებს. ზოგი აისორებს. ფრანგობას და სხვათა.

უმთავრესად ამ გარემონებამ მოსპონ ამ კუთხეში სადღეისოთ ქართველთ რიცხვი. დღეს იყი საქართველოს ნაწილზედ, წარმოად- გენს ცარიელს ჩონჩხს. ოდისმე: აქეთ იყო სამი ქართველი საეპისკო- პოზო კეთედრა, აქ სახლობდა მრავალი ქართველობა, დღეს კი მთელი ამ კუთხის ქართველობა, შესდგება ორი საბრალო ჩინოსაგან. ასეა ეს სოფელი... ეს ჩვენ მოგვივიდა ჩვენის მებატონეებისაგან, რა- საკვირველია ამას უცხო მტრის მოსვლა და მოსვლის გზა და კვა- ლიც ერთობოდა ზედ, ხოლო უმთავრესად კი შინაური უსია- მოვნება. იყო გამხდარი და მებატონეთა მახვილი და ბოროტება, რა- რის წარმომადგენიც იყენებ; თითქმის ყოველთვის ბარათაშვილები-

სწორედ ასეთნი იყვნენ, ზემოდ სათაურში მოხსენებული ბარა-თაშვილები და მასთან ვინ იცის რამდენი კიდევ სხვანი, დიდი, პა-ტარა, ქალი, კაცი, ყმაწვილი და თვით მოხუცებიც უველა ამათზედ ქართველ გლეხების იმდენი ცოდვები სწეს, იმდენი რისხვა და ბო-როტება, რასაც იგინი უვაჭელია. შვილით შვილამდე იწნებიან პა-სუხის მგებელნი. ამაზედ ლაპარაკით თავს არავის შევაწყენთ და იმ გვარის წევრთა ლირსების და აღამიანობის სამახსოვროდ, დავასახე-ლებთ ოთხს პირს, ოთხს გმირს, ოთხს მოციქულებს, ბარათაშვილე-ბის გვარის წევრთა და დანარჩენის თქვენ იქონიეთ წარმოდგენა და განსჭვრეტა, თუ ეს შვილები რა ქვეყნის მალამო და ყმების პატრონ მამები უნდა ყოფილიყვნენ.

ვიტაჟით იმასაც, რომ მათში იყენენ თიბო ოროლა კარგნიც, მაგრამ მათი რიცხვი იყო მცირე, ისე რომ ავთა საქმენი მათს სი-კარგეს და აღამიანობას სულ ზედ ჰარავდა და არად აჩინდა. რაკი ერთი და ერთი ქართველ მებატონებში, ყმათა დევნა წავიდა წინ და მათი დაჩაგვრა, დაბრიყვება, მასხარად აღება, მერე ესეთი საქ-მეთა ზნე და ხასიათი, თითქმის მათ ხელობათ გადაიქცა და უველა მებატონე სცდილობდა; რომ იგი ბოროტებით და ყმების დევ-ნით თავის სახლის კაცებზედ უფრო წინ მდგარიყო და სახელოვანი ყოფილიყო. ამისთანა ბატონზედ იტყოდნენ:

„ამა და ამ თავადმა, თავის გლეხს ისეთი დღე დააყენა, ისე გა-უხადა საქმე, რომ კბილებიდან სულ სისხლი აღინა, ხმა-კრინტი ვე-ლარ დასძრა, გაწყვიტა ხმა და ჩაიკმინდა, მოიბუზა ძალლევით. ისე უყო მაგ მამაძალლებს, ვენაცვალე იმის მარჯვენას, ასე უნდა მაგ ვი-რებს, მაგ ძალლს და მამაძალლებს, ნახეთ როგორ ენა ამოიღეს!؟ ნა-ხეთ როგორ გვიყურებენ?! თითქოს მაგათი ყმები ვიყვნეთ! მე ვიცა ეხლა, თუ როგორ მოვექცე მაგ ძალლებს, დღეის შემდეგ ვაჩვენებთ მაგათ კაცსაც, ქალსაც ყმაწვილსაც და ბებერ ქოფაკებსაც, თუ ბა-ტონი რა არის და ან ყმა ... სწორედ ასეთი მძლავრი ყოფილა ზაალ ბარათაშვილი, დიდი ყმა და მამულის მეპატრონე, თითქმის მეფე მთელის კუთხისა. მეფე გიორგის მდივანბეგი, დაახლოვებული მეფეს თან და მფლობელი მთელი სამხრეთ საქართველოს (სომხეთი) აღგი-ლების, რომელიც აუზულ იქმნა თავის ყმისაგან აბატისაკენ 1810 წ. მაშ კათელი ცნობები ამ პირველ „ანგელოზზედ“, რომელიც ანა-თებდა ბარათაანთ გვარს 1800 წლიდან.

ქართველი გლეხის თვისება იყო, რომ იგი სისხლს არ დაღვრი-და უბრალოდ, ის თავის ბატონს არ მოკლავდა ადვილად, რომ ბა-ტონს მის წინაშე დიდი რამ დანაშაული არა ჰქონოდა, ლალისა.

ანუ ხარჯის და ბეგარის გამო, ყმას სულ არ ექნებოდა „შემთხვევა მოკვლის“. მაშინ მოკვლას იწვევდა უფრო დიდი რამ უდიერობა, ისეთი დანაშაული, რომელსაც ყმა ვეღარ იტანდა, საწყაულს გადა-სული იყო და მიტომ ბედავდა მის მოკვლას. ეს ასე იყო და მიტო-მაც იქმნა მოკლული ზაალ ბარათაშვილი 1810 წ. უნდა ვსოდეთ, რომ ეს ხან, ერთობ შორი ხანა არის და გლეხთა სრული მონობის და მორჩილების, როცა იგინი ბატონს სულ „შენ გეთაყვას, შენ გე-ნაცვას, შენი ჭირიმეს“ ეუბნებოდენ და პატარა ბატონებს თავზედ და კისერზედ ისომდენ. მაშინ ქართლ-კახეთიც ანლად იქვნდა რუ-სეთს ჩაბარებული და მაშინ ესეთი საქმე არ უნდა მომხდარიყოს, მაგრამ აი რათ მოხდა, ბატონი რას უშვრებოდა თავის ყმებს...

ყმებს, ბატონი ჰყიდდა თრიალეთის. გზით, აქედან, მას თავის ყრმა გოგო-ბიჭები ხშირად გადაჭყვანდა ახალციხეს და იქ ჰყიდდა ოსმალებზედ ოხერ ფასად.

ქართველ გლეხებს იგი ჰყიდდა სპარსეპზედ... მდივანბეგი დაჩვეული იყო, თვით მეფეთა დროდან. სპარსეთში მას თავის ყმის შვილები ჩარდახიანი ურმებით მიერეკებოდა და ჰყიდდა.

ქართველ გლეხებს იგი ჰყიდდა სომხებზედ და თვით საპყარს აისორებსაც კი უცვლიდა ნივთებზე ურუმიაში. ყმების დაყიდვის გამო, ეს მგზავრობდა ერევნის მიდამოებში, განჯის, ბაქოს, სპარსე-თის და სხვა ადგილებშიც. საღმე საყმო ოჯახში რომ ლამაზი, ან სა-ხური ქალი ან ვაჟი ენახა, იმ ოჯახს ამათ არ გარჩენდა, აშკარად რომ ვერა ექნარა და არ მოეტაცნა გასაჟიდად, მაშინ ჩუმად გაატაცვი-ნებდა თავის ბრძოს, რომელსაც ასეთი ბრძოლა ჰყავდა შედგენილი თვით თავის ყმებიდგან, რომელთა ხელობაც ყმათა შვილების მოტა-ცა იყო გამხდარი. იგინი მარტოდ ამით ემსახურებოდენ ბატონს.

შოველივე ამ სივერაგესთან, მან იცოდა პირველი ღამეც და ვგონებთ სწორედ ამისთვისაც აქუშეს. ამაებს გარდა იყო უმათა დამრბევი, წამართმევი, წამგლეჭი, ვისაც რამეს უნახავდა ტანზედ, ან სახლში რამე ნივთს, არავის არაფერს შეარჩენდა, ყველას წაართ-მევდა და თან მრისხანეს ხმით ეტყოდა: „ეს ჩემს ოჯახს და სახლს გამოადგება, წაიღეთ იქ“. ყმასაც უსათუოდ უნდა წაეღო. ასე ყმებს თვით მამულებსაც სტაცივდა. საქართველოში ბატონებმა ყმის გა-როზვა არ იცოდნენ, მათ ცემა იცოდნენ. ამან ვაროზვაც შემო-ილო, გაატიტვლებდა, კაცს, თვით დედაქაცსაც და ისე სცემდა მათრახით.

ეს გარემოება ყმებს დიდათ აბრაზებდა და იგინი ეუბნებოდენ: „ბატონო ჩოგვალ და ნიფხავს ნუ გვხვდი და ტიტველას ნუ გვცის“

მათრახით და ნუ გვარცხვენ, თავს ნუ გვჭრით ... ეს უარს იყო და უფრო უარესაც უშვრებოდა. ასეთ სასჯელს იგი სხვა თავის სახლი-კაცებსაც ასწავლიდა. მაშინ ვინ იყო ბარათაანთა ერთი ისეთი მე-ბატონე, რომ მას თვისი ყმების მახვილი არა სჭეროდა ხელში და არ ეტანჯათ ივინი. ბარათაანთ დაარბიეს მთელი ამ კუთხის გლე-ხები. ბარათაანთ გააღატა კეს ივინი, გაცარცვეს, თვით ეს ყრმებიც სულ აქეთ-იქით დაფანტეს და მათი მამულები სულ თვით დაისა-კუთრეს, თვით მიიჩემეს. ამ გარემოებას დიდი ისტორია აქვს.

ამ კუთხეში, რაც ქართველი გლეხობა შაპ-აბას გადარჩა და ვერ აჰყარა აქედან და სხვაგან ვერ გადაასახლა, რაც მის შემდეგ დროის, სპარსთა ყეინების შემოსევას გადარჩნენ, რაც აღა მაპმა-ნის მახვილსაც ასცდენ და არ მოისპენ, ისინი ამ მებატონეთა დევ-ნისაგან აღიგავნენ ამ კუთხიდან. სწორედ ამათის აგვის წყალობით შეიძინეს იმდელა, აუარებელი, თვალუწვდენელი მამულები. მთელ-ში ქვეყანამ იცის, რომ ამ კუთხიდამ ქართველი გლეხები სულ აქეთ-იქით მირბოდენ საცხოვრებლად და მათი ყოფითავე კი, მათ მება-ტონეებს რჩებოდათ. ასე და ამგვარად მოისპო ამ კუთხეში ქართვე-ლი გლეხთა კვალი და ყოველივე ამათი ქონება, მათ ბატონებს და-რჩათ. ბოლოს ვერც ამათ შეინარჩუნეს ყოველივე დაპკარგეს და შეჭამეს უსარგებლოდ. ნათქვამია: „ქარის მოტანილი ქარივე წა-ილებსო“ ასე მოუვიდათ ამათაც. მთელმა ქვეყანამ იცის დღეს ისიც, თუ ბარათაშვილების შთამომავლობა, ამ ბოლოს დროს რა ოხერ ფა-სებში დაყიდეს თვისი მამულები უცხოელებზედ, დაყიდეს ეს იმ დროს, როცა ქართველ გლეხებს მტკაველი მიწა ენატრებოდათ და მათ კი ამათ ზედაც არ ასუნებინეს, მარტოდ ქართველის მწერლის ვანო ბარათაშვილის მამულების დასყიდვა, მის ძმისწულისაგან, არის. დიდი საერო დანაშაული ქართველ გლეხთა წინაშე. ეს ვანო ის მწე-რალი გახლავთ, რომელიც „ცისკარში“-ც სწერდა, ამან დასწერა-ლექსი „დაიძინეთ ქართველებო“ და სხვაც ასეთნი სადაც ჰგოდება ქართველთ დაცემულებზედ და თვით კი, მთელი სამეფო დაუტოვა თავის ძმა დათიკოს. დაუტოვა იმოდელა მამულები, რომ მთელს ამ კუთხეში კაცი ფეხს ვერსად გადადგამდა, რომ იქ დავითის მამული არ ყოფილიყო. დღეს კი უსარგებლო ქართველ უმიწაწყლო გლეხ-თათვის და იგი სხვისი საკუთრება. არის რაც ამ გვარის წევრთა ქმნებს ესეც მთელმა ქართველობამ იცის.

ამათზედაც ითქმის „ქარის მოტანილი ქარმავე წაილოვო“, ამათი მაშა გახლდათ, მეორე ვარდისკონა ზაალ ბარათაშვილი, ისიც პირველ ზოალივით არბევდა გლეხებს, სკამდა და ლრლნიდა მათს.

ცხოვრებას და მამულებს, მანაც მიტომ დაუტოვა ქართველ მწერალ ვანოს და დათიკოს მთელი სამეფო, მთელი საუნჯე სულ ქართველის გლეხების სისხლით მორწყული და მათის ძვლებით საესენი. მიტომ ანიავებდა იგიც პირველ ზაალივით ყმებს, რომ ბოლოს შვილებისათვის ამოდოლა ქონება დაეგდო და მიტომაც ეს ნაარამევი არც მათ შვილებს დარჩ თ და ყოველივე დიკარგა, როგორც მათის ოჯახისათვის, ისევე მათისავე ქართველ ყმა გლეხებისათვის.

ასეა ეს წუთისოფელი, რომ წამოაყენოთ ახლა იმ ტაცია მებატონეთა გმირნი და აჩვენეთ თვისი წანატაცი მამულები, თუ ვის ხელში არიან დღენ, გონი ისევ ჩაწვენ შიგ ჯავრით, ვიტყვით, რომ ამათ მემარჯვენე მებატონენი გახლავან ორბელიანი, რომელთაც არა ნაკლები ისტორია აქვსთ, ასეთ ტაციობის და ყმათა დარბევისა. ჩვენ აქ ასე მოკლედ დავასრულედ ზაალ მეორის ამბავი, ესეც კმარა მათის ბოროტების მოსაგონრად, გადავალთახლა მესამე გმირს ზაალ ბარათაშეიღწედ, რომელიც ვგონებთ ცნობილია ჩვენში არსენას ბაბატონობით და თვისის დროის მახვილ-მრისხანებით, ვგონებთ ამაზედ დაეს არავინ დაიწყებს, რომ ეს ამბები სულ თანამედროვე გლეხ მტერ პირთაგან არის მოჭორებულიო, არა, ეს ასე არ არის და ყოველივეს რასაც ვსწერთ; სულ მართალია და სწორი, ამას უცხადესათ დაასაბუთებენ შემდეგი გმირნი, ამგვარის ვაუბატონებია:

ზაალ ბარათაშვერლი მესამე, ეს ბატონიც ისეთივე დესპოტი ყოფილა, როგორც სხვა მის წინამორბედ ბარათაშვერლები და თანამედროვენი. თვით მის თანამედროვეთაგან მოთხრობილია და აქ ამაზედ ვრცლად არ ვილაპარაკებ, რადგანაც იგი არსენას ამბავშიც მაქეს მოხენებული, აქ მხოლოდ მოვიყვან სვა ცნობებს, რაც კარგად დაროტავს ამ ტირანს თვის დესპოტობით.

მას ბევრი ბოროტება აქვს ნაქნარი თვის ყმებზედ: ვოგოების მოტაცვა, პირველი ლამე, საჩექმის თხოვნა, ვინც ლამაზი იყო, იმას თვითონ ან მისი ნათესავები უსუნებდენ, ვინც არა ლამაზი და მისი გათხოვება უსაჩექმოდ არ მოხდებოდა. ამის გარდა იცოდა გლეხთა ანიავება, ცემა, ტყება, გინება, ლანძლვა და ათასიც სხვა ბოროტებანი, რაც იმ დროის ქართველ ყმებთა ოჯახებს მიწაზედ ასწორებდა. მას ბევრი არსენასთან ბიჭი დაულუპავს, ბევრი გაუფუჭებია მისის ბოროტების გამო, ბევრი არსენასავით თავ-მომწონო ბიჭის თვის უკალებია მისი ლანძლვა, გინება, საკოლოს წართმევა, ანიავება, დარბევა და სხვანი, ამიტომ იგი თვის სოფელს, მოშორებია, ნათესავებს და გავარდნილა სამალ-სპარსეთში, ახალციხისაკენ, ზოგი იქ გათარებულა, ზოგი გასომხებულა, გაფრანგებულა და შით მორჩენია

მურტალ ბატონის მახვილი. ბევრს ოჯახის შვილს დაურჩა სახლში, მწვავედ მომტირალნი დედ-მამა და ნათესავები, მაგრამ ისინი-მშობლებს უკან აღარ მობრუნებიან და ბატონის მახვილისაგან მოსპობილან, როგორც ოჯახისა და დედმამისათვის, ისევე თვით ბატონის და სახელმწიფოსათვისაც.

აქეთი დაჩაგვრა და პიროვნების შეპილშვა, ვერ აიტანა არსენა მძელაშვილმა, მისი ბუნება ისეთი იყო, რომ იგი ამას ვერც აიტანდა, იგი განსაკუთრებული გმირობი თამაშობი ზესხმული იყო, მიტომაც დაუდგა ბატონს წინ და უთხრა: „ბატონო, თქვენ მე მიმსახურეთ, ჩემს საკოლოსთან თქვენ რა საჭმე გაქვთო“. ბატონმა მიუკო თურმე:

— შენც ჩემი მონა ხარ და შენი ცოლიც. რასაც მინდა იმას გიზამ.

— არ მოგცემ მაგის ნებას, სისხლი დაიღურება და ნუ იზამ აშას ბატონო! მიუკო არსენამ.

— მე თუ ბატონი ვარ, ბატონი უნდა ვიყოვო. შენ ვინ ოხერი ჭარ, რომ ჩემს ყმა გოგოზედ ასე მელაპარაკები და მელუერი...*)

ეს ვეღარ მაითმინა არსენამ და გავარდა, ყაჩალათაო. ასე მიამდეს 1882 წ. სოფელს ბოლოს და არაშენდას, როგორც „ცისქრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ, ისევე სოფ. ბოგვის ძველმა მოქალაქემა ქვლივიძემ.. მღვდელმა სთქვა, რომ არსენას მე ვაზიარებდი თვით ყაჩალობის ღროსაცაო. იგი მღვთის მოავი იყო, ყაჩალათ არ გავარდებოდა, მაგრამ ბატონმა მიიყვანა იქამდისო. მაინც ის ბატონი უდიერი კაცი იყო, ყმებს სტანჯავდა, არბევდა, მამულებს სტაცივდა და ვინ იცის, რას არ უშერებოდათ. ყველა დამონებული ჰყავდა. ყველას რუსის მათრახით და როზგით აშინებდათ. სულ მისი ბრალია, რომ არსენა გაყაჩალდაო, მაგრავ იმას არავისთვის არაუცრი უვნია ამ ღროსაცაო.

როგორც ამ ოჩის პირის ნაამბობი, ისევე თვით ბარაშვალის ნაყმევთაც, მიამპეს ამ ბატონის შესახებ და სთქვეს, რომ ღმერთმა ამოაგდომი იმისი ხსენება, ამოვარდეს მისი ვასაგისი**) ისე, როგორც ის თავის ყმებს არბევდათ. რაც ამ ბატონზედ ამათ ბოროტება ილაპარაკებს, აბა ყველა მათი მოთვლა აქ განმეორება იქნება, მოკლედ რომ ითქვას, იგი ყოფილა განუსაზღვრელის ბოროტებით სავსე, თვისი ყმები ურბევია და უწიოკებია საკოლეგად და საბრალოდ, იცოდა ყმების ისე ცემა, რომ მეტის სიმუშვავისაგან მწაველ აბლავლებდათ. სცემ-

*) მელფერი—მედავები.

**) ვასაგისი—ვასაგონებელი, სახსენებელი.

და, ასე დედაკაცებსაცაო. ყმების გამზითვა, გასყიდვა, დაგირავება და გაჩუქებაც ხომ ადვილი იყოვო. იგი თავის ყმის გოგო-ბიჭებს თვით თფილისის ვაჭრებსაც კი გაუცვლიდა ხოლმე სხვა და სხვა ნივთებშიც. მამულების ტაცვით და წართმევით ხომ ყმები მობეზ-რებული ჰყვანდა.

ყველა ეს ბოროტება, ყველა ეს უდიერობა ყოჩალს, მარდს, ცეკიტს და ვაუკაცს არსენა ოძელაშვილს სასტიკად სძულდა და სწორედ ამ უდიერი ბატონის ბოროტებისაგან დაიღუპა და გავარდა იგი ყაჩალათამ. ასეთი „გმირი“ გახლდათ თურმე მესამე ზაალ ბატონიც. ამის ბოროტების შესახებ დღესაც მრავლათ იციან საუბარი და ცნობების მოყვანა. სამი გმირის ამბავი დასრულდა. ნეტა ამ კუთხის ველურ ქართველ ყმებმა, როგორ გაუძლეს ამ პირებს?! აკი ვერც გაუძლეს და მთელს სამხრეთ (სომხეთი) საქართველოში მოისპონ ქართველობა... მაშ ახლა აქ მოვიყვანთ მეოთხე გმირის ამ-ბავს, რომელიც უფრო უკეთ შეავსებს და დააგვირგვინებს ამ მოცი-ქულთ გმირთა აბბებს. ეს მეოთხე მოციქული გახლავსთ მელიტონ ბარათაშვილი, მამა პოეტის ნ. ბარათაშვილისა. ჯერედ ესეც რომ ასეთი იყო, მაშინ სხვანი რაღა ღვთის რისხვა უნდა ყოველიყვნენ.

ეს ამბები მოთხრობილია თვით ამ პირის ნაყმევთაგან, მწიგნობარ მოხუცთაგან, რომელთაც მე კარგად ვიცნობ და რომელ-ნიც მეც კარგად მიცნობდნენ და უამბნიათ ამის ამბები. ზოგი რამ ამის შესახებ ივ. კერესელიძის ცნობებშიც არის მოყვანილი და ამიტომ აქ მოვიყვანთ სხვა ცნობებს, ის აქ საჭირო არ არის. ასე და ამ გვარად, უნდა ვსთქვათ, რომ რაც ზაალ ბარათაშვილები იყვნენ, ამათ ბოროტებით და უმათა დაჩაგვრით არც შელიტონი უვარ-დებოდა ძირს, ეს მათზედ ნაკლები ბოროტი, არ ყოფილა და ასე დაბაზებიდან სიკვდილამდის ბოროტებაშიაც ამოსვლია სული. აქ სხენებულებს გარდა, აი რა მიამბო მოხუც ქართველ გრიგორეევმა.*). რომელიც 1880 წ. გარდაიცვალა, ამ გრიგორეევთან პოეტი ნ. ბარა-თაშვილი კაზიონი პალატაში პირველ ხანებში „პისმოვადიტლათ“ ჟოფილა და ამიტომ ამ გრიგორეევს პოეტიც, მისი მამა და ოჯახიც კარგად სცნობია. მაშ ახლა ამის ცნობებს მოვიყვან ამ გმირ სვავის შესახებ:

„მელიტონი, იყო დიდი ყმა და მამულის პატრონი. იგი იყო თავის დროს დიდათ სახელოვანი, მასთან დიდი პურ-მარილის მოყვარე, მის სახლში ლხინები ხშირი იყო. მისი საღილები ყო-ველთვის ქებული და ძეირფასი, საჭმელები სულ პირველი ხარის-

*.) გრიგორაშვილი.

შისა იცოდა. მარტოდ, ერთი ყმა, ერთთავად ორთაჭალისაკენ, თევზს იჰერდა, ისევე სხვა მდინარეებში. მის სახლში თევზი მუდამ დღეს ანალი იყო სადილად, ასევე ჰყვანდა დანიშნული რამდენიმე ყმა მონადირეებათ ომლებიც ყოველთვინ ტყის ნადირს და ფრინველებს ხოცილენ ბატონისთვის.

მისმა მეპურმარილობამ, იგი ჩააგდო დიდს ვალებში, ყველაფერი ხელიდან წაუვიდა. ვალების გამო, იგი თავის ყმებსაც ხშირად არმბედა, დიდს გარდასახადებს ართმევდა, ბევრს მოსამსამსახურებს, მოსახლეებს და ბიჭებს, მარტოდ პირის დასაბანად სამი ბიჭი ჲავდა: ერთს პირსახოცი ეჭირა, მეორეს სარკე სავარცხელი; მესამეს ტაშტი და წყალი.

სხვების ნათქვამი: ყმებს არბევდა, ბევრს ხარჯს აწერდა, თფილისში ბევრი ყმა და მამული ჰქონდა, მისი ყმის ვერც ქალი გათხოვდებოდა და ვერც ვაჟი შეირთავდა ცოლს, ვიდრე მას საჩექმეს არ მისცემდენ. პირველი ლაშისთანა საქმეები არ იცოდა, მართალია იყო მეპურმარილე, მაგრამ იყო დიდი მოჩხუბარი, ყმებს ხშირად ეჩუბებოდა, ჩხუბში ისეთი ანჩხლი იყო, რომ შენი მტერი ვისაც გადაეკიდებოდა, ყველას დასძრავდა, ყველას ახტუნებდა.

ჩხუბის ისეთი სიყვარულია აქვნდა, რომ ხშირად თავის მეულლე ეფემიას, ეჩხუბებოდა. ჩხუბით იგი ყველას მობეზრებული ჰყოლია. ჩხუბს გარდა ცემაც იცოდა, ამიტომ მის სახლში ეფემიას ნათესავება, სულ არ დადიოდნენ და იგი ეცოდებოდათ, რომ ისეთი ქმარი ჰყვანდა. საკვირველი თვისების იყო... მეპურმარილეც იყო და ავი ასპიტიც. ერთის სიტყვით ორივე გამოდიოდა მისის ხელიდან. მასთან არ აქვნდა კაიგანწყობა, მის ცოლის ძმა პოეტს გრიგორ ორბელიანთან, დის დაჩაგვრის გამო, ორბელიანი დიდათ ემდუროდა, არცარა თვით ნ. ბარათაშვილი იყო ამის მაღლობელი და ესეც ემდუროდა. მამას ზმას სულ არა სცემდა... სულ შორს იყო მისგან. პოეტს არ წოსწონდა მამის საქციელი.

მელიტონ ბარათაშვილს, ყმები მრავლად ჰყვანდა თფილისში, ზოგნი მათში ვაჭრებიც იყვნენ, ზოგი სომხის სჯულისანიც, რაკი გაჭირვაში ჩავარდა, მერე ყმებსაც დაუწყო ფულით განთავსუფლება. მისგან თავიანთ ნებით, ბევრმა ყმამ დაიხსნა თავი, რაშიც კაი ფასიც აულია მას. ყველა ამ ინალებს სულ ხარჯავდა, სკამდა და დროს ატარებდა. იტყოდა თურმე: „რაც ვჭამე ის შემჩნია, რაც არა ოხრად დამრჩაო“ ახალგაზრდობაში უფრო ბოროტი იყო, გლეხების დამრბევი და შემწუხებელი, ამ დროს მას ბევრი ყმა აუწიოკებია სოფლად... ბევრისთვის წაურთმევია სარ-

ჩო-საბადადებელი, ხმას აბა ვინ გასცემდა, იგი ცნობილი იყო როგორც ლვთის რისხვა კაცი. საცა უნდა ეხსენებინათ ამის სახელი, მელიტონი, იქ ყველა სწყელიდა მას: აი ღმერთმა დასწყელოს მელიტონი... ომ; მელიტონი... მელიტონი, სასტიკი და უდიერი იყო, რა საკვარველია, მხოლოდ თავის ყმებთან, თორემ სხვებთან რა ესაქმებოდა. ვისაც ერეოდა, ის მასთან იყო ბოროტი. და ვის ერეოდა ივი? რასაკვირველია, მარტო თავის ყმა-გლეხებს!..

მერე და შერე კი, რამდენიც ხანში შეიციდა, ასეთი ბოროტებით მოიტეხა, მაგრამ თავის ჩვეულებას არც ისე ადვილად სომობდა. ყმა მის ხელში კვლავ იტანჯებოდა. ყმა ფულს შოტლობდა და მის მონობისაგან ითავისუფლებდა თავს. ერთი მისი ყმის გოგო, ერთ მარტავლებელს მოეწონა. ბოლოს ამ კაცმა ეს ქალი ცოლათ შეირთო. მელიტონს ამ გოგოს გასათავისუფლებელი 500 მან. მისცა. მელიტონი ისეთი შძლავრი მებატონე და სასტიკი იყო, რომ მას 1820—30 წ. მოელი თფილისის მცხოვრები იცნობდნენ როგორც სასტიკ მებატონეს. იგი რომ გაივლიდა სირაჯხანის, ხარასხანის, ჭონხანის და სხვა ასეთ სავაჭროებისაკენ, ყველა მედუქნე მას ფეხში უნდა ასდგომოდა და სალამი მიეცათ. ამასთანავე მას ჰქონია შემდეგი ჩვეულება: შევიდოდა თავის ნაყმევის დუქანში, რაც მოეწონებოდა, აიღებდა და წაიღებდა. ამის შესახებ ხმის ამოღება არ შეეძლო ნაყმევ.


ასე და ამ გვარად, უნდა ითქვას, რომ მელიტონ ბარათაშვილი, მამა პოეტისა—მეტად კერპი, გაუტეხავი და ყმათა სასტიკი ბატონი განლდათ. მეგობრებში, ამხანავებში და ნაცნობებში პურმარილიანი იყო. მისი შემოსავალი—გასავალს ვერა ფარავდა. ამიტომ ის თავის ყმებს მეტად ავიწროებდა. ნუ დაივიწყებთ, რომ მელიტონის ოჯახი თფილისში, ყოველ შემთხვევაში, ქველ ოჯახათ ითვლებოდა, თვით მელიტონი—პურმარილიანად. ჯერედ ეს კარგი, მეტურმარილე რომ ასეთი ყოფილა, ავები რაღა იქნებოდნენ.. ილია ჭავჭავაძე ამბობს: „თავადის შეილი კარგი რა არის და ავი რაღა უნდა იყოს“—ო. სწორედ ამაზე ითქმის ეს ბრძნული თქმულება. სულ მელიტონის წყალობა იყო, რომ ბოლოს მელიტონის ოჯახი ისე გათასირდა, რომ თფილისში მოისპო, თუმცა თავის საკუთარი სახლი ანჩხატის პირდაპირ ბოლომდის შერჩა.

ყმებს ხშირად იაფათაც ჰყიდდა, რაზედაც ბევრი ემდურებოდებოდა, მაგრამ რაეს უჭირდა მიტომ ჰყიდდა იაფათ... კნეინასთან მუდაშ დღე აქვნდა ჩხუბი, სახლში უსიამოვნება დაუსრულებელი იყო. ამას ერიდებოდა ნ. ბარათაშვილი და მიტომ მამასთან არ აქვნდა კარგაშირი-განწყობა.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ბარათაშვილების ყოველივე ასეთის სივერავის და ყმათა დევნის და დიდი ავობის სრული ნიშან წყალია ის გარემოება, რომ ერთ ღროს სამხრეთ (სომხეთი) საქართველოს დიდ მებატონე ბარათაშვილის კვარას წევრნი, რომელთა რაცხვიც თფალისში თუ საქართველოს კუთხეებში ორმოც ოჯახობათ დაითვლებოდენ, დღეს იგინი ნატამალობენ და თოთო-ოროლალა სჩანან. მოისპო მათი დიდი ძველი ოჯახები და მათ ოჯახთა წევრთა რიცხვიც. ყიველთვე ეს კიდევ თავდებია მის, რამდენადაც იგინი ავიწროებდენ ქართველ ყმათა ოჯახებს და ავკაციონდენ, იმდენადვე ეს ავკაცია და უდიერობა თვით მათს ოჯახებშიც ტრიალებდა და ამიტომ სამერმისოდ ეს მათი ავკაცია და უდიერობა მათაც ვნებდა და ასწორებდა მიწაზედ.

ასე საქმე... „ნუ იქ აქს და ნუ გეშინიან აეისა“... იგინი მარტო გლეხ-ყმებისათვის ხომ არ იყვნენ ავნრ, ეს სიავე მათს ცხოვრება-შიც იხატებოდა და მათ რაკი სიავის შეგნება აღარ აქვნდათ, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, ეს კარგი არ არას და ამიტი შეიძლება თვით ჩენ გვეცნოსო... არ აქვნდათ ამის შეგნება, და მიტომაც მთელს კუთხეში მოისპო დიდი ძალი ქართველ ყმათა რიცხვი. ასე და ამ გვარად არც თვით დარჩენენ და სადლეისოდ... ჩუ-მაღ მოისპენ, უჩინრად აღვავენ დედამიწის პირიდან. ყოველივე ეს მათში მოახდინა შემდეგ გარემოებამ: 1. ყმების დევნამ და დარბევამ, 2. ზნისა და ხასიათის გაუუჭებამ, 3. უზომო ქეიფებმა, ლოტობამ, გარემონილებამ, ცოლშვილობის არ მოჟიდებამ და ის გამო სხვა და სხვა ჭირში ჩავარდნამ, 4. მამულების დასყიდვამ, კარტას და კომრის თამაშობამ, 5. უსწავლელობამ და უმეტრობაში ჩამორჩენამ და სხვაც ვინ იცის რამდენი კიდევ რა გინდა ასეთებში.

ამიტომ, ადრე თფილისში თუ ბარათაანთ ოჯახების 50 კომლი დყო და თითო კომლში 50 სული, დღეს თფილისში 3 კომლია და ისიც თითო კომლში 5 სული და სჩანს. სხვა დანარჩენი სულ აღიგვავნ და მოისპენ. ასეთს სენში სხვა მებატონენიც გახლდნენ გარეულნი, მათზედაც მოგახსენებთ ქვემოთ...



VIII.

ପ୍ରାତିବନ୍ଦିମାତ୍ରାକୁ ପାଇଲାମଣି

ଗାସାଲ୍‌ଗାସ୍.

ბატონიშვილი ჭავების ნაშთები

დაწერილია 1898 წელში.

ამბობდნენ, რომ მუსულმანობაში ბატონიშვილი არ აჩავტობსთ, იმასაც იტყოდენ ხოლმე: სწორეთ ეს გარემოება ხდებოდა მიზეზათ: ქართლიდან, კახეთიდან და ნამეტურ გურიიდან რომ მირბოდენ ქართველი ქრისტიანები ოსმალოს საქართველოში და იქ ისლამს უკრთდებოდენ. ამ ისლამის მიღების შემდეგ, თავისუფლდებოდნენ ყმობისაგანა.

თვით მეც ასე მევონა, ასე ვფიქრობდი, რომ ისლამის მაღიარებელ ქართველ თათრებს, ისეთი სჯულის წესები აქვნდათ; რითაც იგინი თვისკენ იზიდავდენ ქართველ ქრისტიანებს და მის მერე, ეს ქართველნი, მათს სჯულზედაც გადადიოდენ დიდის სიამოვნებით, რომ ისლამის დახმარებით ყმობისაგან თავი ეხსნათ. მაგრამ საქმე ასე აღმოსჩნდა: მათში არამც თუ ბატონიშვილის წესები არ ყოფილა, არამედ მათში ბატონიშვილის უარესი, გაცილებით უფრო დიდი, მწვავე და მართლაც მძლავრი, ვინემც საქართველოს ხალხის ბატონიშვილა.

ეს რომ ნამდვილი გახლავთ და მართალი, ამის შესახებ მე გადავშლი აქ ცნობებს და იმედია, მკითხველი მიხვდება თუ მუსულმან ქართველებში რა ყმობა ყოფილა და ბოროტი წესები...

5

ქართველები ოსმალეთმა დაიპყრა. ამ ქართველებში იყვნენ როგორც გლეხები, ისევე აზნაურები და თავადები ერთი სიტყვით ყველა ესენი ჩაბარდენ ასეთი თავიანთ ცხოვრების წეს-ჩვეულებით. ოსმალებს ჩაბარდა ქართველი ერის ბატონიშვილა მისი წეს-ჩვეულება და ყოველივე პირობები, როგორც კარგი, ისევე ავიც, მაგრამ ბატონიშვილის ბოროტება ისლამთან დაკავშირების ხანაში, ქრისტიანურის დროის ბატონიშვილის სიავით არ გინისაზღვრა, მას დაემატა, ნაყოფი ისლამისაჭან ახლათ გაველურებულ გათათრებულ ქართველ თავად-აზნაურთა, ე. ი. რაც ახლათ გადაკეთებული ქართველ ბეგების და აღების მეოხებით იქმნა. შეძენილ და მიმატებული.

რაკი ქართველი კაცი ლრათ გაიყო, მას თან დაერთვა ყოველნაირი სიავე და სიერაგეც. ქრისტიანობის და ისლამის მქონებელნი ქართველნი ერთმანერთს გადაეციდნენ და დაუწყეს შეუგნებლათ მტრობა, რომ ჩვენი სჯული კარგიაო. მეორენი ეტყოდენ: არა, ჩვენი სჯული უკეთესიაო; ჩვენი სჯული ცხონების მომცემი არის და თქვენი სჯული კი წაწყმედის მომცემიაო. ასე ტუტუცურათ ებრძოდნენ ერთმანეთს და ამ სჯულის გულისათვის ხშირათ ერთმანეთსაც ხოცავდენ.

ბეგები (თავადები) და ოლებიც (აზნაურები) ვერ მოიქცნენ კარგათ. მათ ხელთ იგდეს დრო, იპოვნეს მიზეზები და ოსმალოს მთავრობას თავი საჭირო, მეომარ გმარ წოდებათ მიაღებინეს, რის საშუალებითაც მათ მიენიჭათ განუსაზღვრელი უფლება გლეხვაცობაზედ. თავიანთ თავ-აწყვეტილის უფლებით, ქრისტიანულ ბატონებმობას სასტიკათ გადააჭარბეს, ისლაში გადასული და ისლამის მქონე ბეგები გახდნენ უფრო ბოროტნი და აენი. წინაპრები რასაც ქრისტიანობაში სხადიოდნენ, იმაზედ უარესათ, ამ ახლათ გათაორუბულ ბეგებმა დაიწყეს გლეხების დევნა და ნამეტურ თავიანთი ყმების დაჩაგვრია.

ის რაც ქართველ ქრისტიან მებატონეებს რუსეთმა მიანიჭა 1881 წ. დამდეგს, იმაზედ უარესი და შხამიანი უფლება მიანიჭა ოსმალოს მთავრობამ ქართველ ბეგებს და ოლებს ჯერ კიდევ 1635 წლიდან. მიზეზი ამისი ის იყო, რომ როვორც რუსეთის მონარქიამ დაუწყო ქართველ თავაღ-აზნაურებს დალოლიება 1801 წლიდან, სწორეთ ისევე მოხდა ოსმალოს საქართველოშიაც და იქაც ისმალეთის მთავრობისაგანაც იგივე ოსტატობა იქმნა მიღებული. ქართველ ბეგებმა ეშმაკურის ისტატობით გადააჭარბეს ქრისტიანულ ჩანის თავიანთ წინაპრებს. ბეგებმა გლეხებს აუწყეს თვისი უფლებათა ხელშეუხებლობა გლეხების ქალებზედ. გლეხის ქალი გათხოვების წინ, პირველ ლამეს, ბეგისა არისო... ამის ნებას ჩვენ ჩვენი ახალი სჯული გვაძლევსო... გლეხებმა იფიქრეს და თავიანთ აღებს პასუხი მისცეს:

— ბეგებო, რაღვანაც თქვენა ბრძანებთ, რომ ეს საქმეები ჩვენი სჯულის წესებით არის, ჩვენ თანახმანი ვართ... ოლონდ ჩვენს ქალებს გათხოვებამდე ხელს ნუ ახლებთ, ნუ წაიყვანთ და როცა გათხოვდება, მაშინ თქვენი ნება იქნეს, პირველ ლამეს თქვენთან იყოს, თუნდ მთელი კვირაც, ამით არა დაშავდება რა რაღვანაც ჩვენი სჯულის წესი ასეთი ყოფილა, რომ ჩვენი გოგოები ბეგებმა წაიყვანო... ნება თქვენია, მხოლოდ გათხოვებამდის ნუ იზამთ ამას და

გათხოვების დროს კი წაიყვანეთ და რამდედენი ხანიც თქვენ გი-
სურვილებათ, იმდენი ხანი შეინახეთ თქვენს ოჯახში.

ასეთი პასუხი, გ. კაიკაციშვილის ლიტერატურით, გლეხებმა ბეგებს 1670 წ. მისცეს. ბეგებიც ამის თანახმანი გახდენ, მათ ეს წინადა-
დება გლეხებისაგან ქება-დიდებით მიიღეს. ბეგების და გლეხების
ასეთი პირობა ახალციხის ვალი ფუშამ დაამტკიცა და გლეხებსაც
აუწყეს, პირობის შესრულების ვალდებულება. იმ დღიდან დამკარგა
სამუშაველმანო საქართველოში: მათი ქალი ქორწინების წინ, პირველ
ლამეს, ბეგს უნდა ხლებოდა და მირთმევოდა მას. ეს ვერაგობა ისე
წინ წავიდა, რომ 1680 წ. ქართველ მაჰმადიანებში საერთო ჩეულე-
ბას შეაღენდა.

ასე და ამ გვერათ, ბეგებმა გოვოების მოტაცებს თავი გაანე-
ბეს, შაგიერ მათ სხვა დაიწყეს. იწყეს ქალების წაყვანა მათ აღარც
შიში აქვნდათ, არც სირცხვილი და არცა-რა სხვა რამ ასეთი.

ოვით გლეხნიც ისე მოდუნდნენ, რომ იტყოდნენ: ჩენი ქალი
უათხოვდა, რა უყოთ მერე. ბეგები ჩენი ბატონები არიან, რა არის,
რომ გათხოვილი ქალი ერთ ღამეს კი არა, ერთ კვირასაც ბეგის
სახლში იყოს და მერე ქმართან მოვიდეს, ამითი აბა რა დაშავდება.
მხოლოდ ქმარი ქალს ნამუსიანთ სახავდეს და მის მერე რაც მოხ-
დება მოხდეს. ამისი დავა არ გამოდგება და არც რიგი არის, რომ
ამაზედ ვინმემ, ან ქმარმა დავა ისტეოს... ასე იყო მაშინ ქართველი
გლეხ-კაცობა შებოჭვილ და დამხოპილი, მათ ძრახვის უნარიც აღარ
აქვნდათ.

იმ დროს, ჯერეთ ქობულეთში ხალხი არ იყო გათათრებული,
იგინი ქრისტიანები იყვნენ, ამათ მისვლა-მოსვლა აქვნდათ აჭარაში,
მაჭანელში, ლოგანის ხევში, არტაანის თემში და ბეკრს სხვა აღგა-
ლებში, საღაც აქვნდათ ნათესავობა ახლათ გათათრებულ ქართვე-
ლებთან. ქობულეთელი ქართველი სასტიკად სძრახავდენ თავიანთ
რაოდსავ ქართველ თათრებს:

ეს რა ეშმაქობა არის?! ბეგი ვინ ბრძანდება, რომ ქალი გა-
თხოვების შემდევ, პირველ კვირას მის სახლში უნდა დარჩეს?! ქალი
რომ გათხოვდება იგი უსათუოდ ქმარს. უნდა გაჰყენეს და არა სხვა
უცხო პირებს: გათხოვების შემდევ, ქალის ამხანაგი და პატრიო-
ქმარი გახლავთ და არა უცხო ვინმე, ვინც არ უნდა იყოს გინდ
ბეგი და ვინდ სხვა. გაუთხოველ ქალს, თუ წაიყვანენ, ეს კიდევ რა-
შეს ჰგავს, და გათხოვილი ქალის წაყვანა ეს მოტაცება არის ქმრის
საგანის უურო სირცხვილია, (ქალი ქმარს მოსტაციან და წაიყვანონ)
თვით ქალისათვისაც... ბეგს როცა მოტაცებით მიჰყავს, მას იგი ჩუ-

შათ მიჰყავს, მას არავინ უყურებს, არავინ არაფერი იცის და ორკა გათხოვილი ქალი ქმარისაგან პირველათ ბეგს უნდა მოიუვიდეს. სახლში, ამას ყველა ხელავს, ყველა უყურებს და აბა ეს როგორ შეიძლება!.. არა, არა, ეს არ უნდა იყოს, ეს არ არის კარგი!.. ეს არის უსვინდისობა და უნამუსობა.

თქვენ ქურთები ხომ არ ხართ, ან თურქები?!.. თქვენ ქართვები ზართ და ეს არ უნდა იყოს თქვენში... ეს არ შეიძლება თქვენში!.. ამგვარათ ქართველებმა, იყოლეს აჭარელი ქართველი მაჰმადიანები. უსენი თავიანთ ბეგების წინააღმდეგ დაირაზმნენ და 1690 წელს მათში ბრძოლაც მოხდა. ბრძოლამ კარგა ხანს გასტანა. ბოლოს საქმე ჩააქრეს და დაამშვიდეს. ქართველ ბეგებმა იშორნეს სახელი და ძალა... ამის მიზეზი ის იყო, რომ ოსმალოს მთავრობა მათგან ელოდა. ფეხის გამაგრებას საქართველოში და მიტომაც მათ აძლევდენ დიდს უფლებას და დახმარებას. ქართულათ ნათქვამია: — „ქურდს რა უნდა და ბნელი ლამერ“ ანუ „უბედური და წყალ წალებული ხავს ეჭიდებაო“... სწორეთ ასე მოუვიდათ წყალ წალებულ ბეგებსაც... მათ დაკარგეს სჯული, ენა, ქართული კულტურა, ქართული მაღალი ცივილიზაცის*) მიმდევრობის ნაყოფი და ყაელა ამის მაგიერ, მათ ოსმალოს სახელმწიფოსაგან რა მიიღეს?!.. „შავი ქვა და ნაცარ ცხელი“.

ოსმალთაგან მათ მიიღეს გაბოროტება და დაბალ გლეხ ჭაცებზედ ნავარდობა...**) რაკი მათ ასეთი უფლება მიენიჭათ ოსმალოს სახელმწიფოსაგან, იგინი გახდნენ თავიანთ გლეხების ბატონ-პატრონებიც. მთავრობასაც იგინი წარმოადგენდენ. და ხელმწიფესაც... მათ რაც სურდათ, იმას შვრებოდენ...

მათში თურმე ის სივერაგეც მოხდა, რომ 1680 წელში შემოლებულ იქმნა ყმა გლეხის გოგოების გატაცება... ამისი მოხერხება და მოწყობას ხელს. უწყობდა ის გარემოებაც, რომ ისლამის ძალით ნება აქვნდათ ორი, სამი და მეტის ცოლების შერთვის... ამის ნები ყველას აქვნდა. ვინც გაუმაძლარი იყო მათში, იმას ერთი ცოლი აღარ ჰყოფნიდა... მეორე და მესამე ცოლს კი ვერ ირთამდა... ეს ჩვეულება პირველათ მათში ადგილათ ვერ იქმნა მიღებული, რაღაც მართალია ქართველები ისლამს აღიარებდნენ, მაგრამ იმათთვის ორი და სამი ცოლის შერთვა ძნელი საქმე გახლდათ.

პირველათ მიტომ, რომ მათში ქართველური ჩვეულების ხსოვნა

*) იმ დროის ქართულ კულტურაზე და ცივილიზაციაზე ლაპარაკი ამ წიგნში მოთხრობილ ამბების შემდეგ ერთობ უხერხულად მიმაჩნია..

**) როგორც საბუთებიდან ვხედავთ, ასეთ „ბეგნიერებას“, არც ქართველი თავად-აზნაურები იყვნენ „ჩამოშორებულნი“... რედ.

კიდევ იყო დაცული და მეორე, არც ქართველი მაჭალიანელი ქალი შისძეები მეორე ცოლათ... მესამე ცოლის გაგონება, ხომ მათში ზიზღს გვრიდა ყველას მიტომაც იყო, რომ იგინი ცოლების შერთვის სიმრავლეს ერიდებოდენ... ეს მათვის მძიმე და ძნელი საქმე იყო. უპირველესად ყოვლის ამ გარემოებას სრულ ეწინააღმდეგებოდა ქართველი მაჭალიანი ქალი... მაშინ ისე იყო საქმე მოწყობილი, რომ მთელს სამუსულმანო საქართველოში ერთ კაცსაც არ ჰყვანდა ორი ცოლი... ამის ხსენებუც არ იყო მათში. მესამე იყო კიდევ ის, რომ თუმცა ქართველი ქალიც გამუსულმანებული იყო, მიუხედავათ ამისა დიდათ სძაგლათ მეორე ცოლათ გაყოლება... ბეგიები ერთი ცოლის გარდა ვერ მოელოდენ მეორე ცოლის შერთვას... ამ „მშეირებმა“ იმეცადინეს და თავიანთ ნდომისა და წადილის სხვა წამალი ჯშოვნეს... საჭიროა ესეც მოვიყვანოთ აქ, რადგანაც მასაც აუდის ბატონყმური ჩვეულების საზიზლარი სუნი.

3.

ქართველ ბეგებშა იმეცადინეს და თავის ახალი სჯულის კანონის ძალით, გლეხის გოგოების მოტაცება დაიწყეს, უფრო კი ისეთი გლეხების, რომელნიც ქრისტიანობაში მათი ყმები იყვნენ. იგინი ისლამის მიღების შემდეგაც კარგა ხან ჰყმობდენ მათ. ეს მოტაცება მათ ძრიელ ოსტატურათ მოქარგეს. ბეგის შვილი დღეს ერთ გოგოს მოიტაცებდა, ამ გოგოს შეინახავდა თავის სახლში ერთ კვირას, გააუპატიურებდა და მერე მას გაისტუმრებდა სახლში შესაფერის საჩუქრით. ამის მცირე ხნის გასაღლის შემდეგ, იგივე ბატონი ბეგია შეუდგება ახალ მოსატაც გოგოს ძებნას... ამასაც მალე მოახერხებდა... ნახავდა თავის შესაფერს ქალს ბოლოს ამასაც მოიტაცებდა, შეიყვანდა თავის ოჯახში. ახლათ მოყვანილ ქალსაც შეინახავდა ერთ კვიზრას, ან ცოტა მეტს დროს და შემდეგ, ამ ქალსაც გაისტუმრებდა თავის მშობლებთან, შესაფერის საჩუქრით. ასე და ამ გვარათ სჩალითდა ერთი ბეგის შვილი, მეორესი, მესამესი, მეოთხესი და თითქმის ყველანი, ვინც კი სცხოვრობდენ და მოქმედებდენ. ბეგებათ ოსმალეთის საქართველოში.

ეს ამბები მათმა ცოლებმაც იცოდნენ, მაგრამ ამაზედ ხმას არ სცემდენ, არასთერს ეუბნებოდენ, ამბობდნენ: სახლში ცოლად კი ნუ რავის მოიყვანს და ასე ამ გვარათ თუ მოიყვანს ვისმეს, ასე რაც უნდა ქნასო. ამიტომ ესენიც ზერელეთ უმშერდენ სახლში შეყვანილს დროებითი ქალს... მათ ხმასაც არა სცემდენ. ამ გვარად ბეგის შვილებმა გაიმარჯვეს. იგინი მეორე და მესამე ცოლის მაგიერ, ვინ იცის რამდენ. ქალს არ იცვლიდენ. იქნება 50, 60 და 100.

ამის მოღავენი მათ არავინ ჰყანდათ... ამ საქმეში მათ დიდი
ჭახმარებასაც უწევდენ მათი ხოჯიები და მოლებიც.

ხოჯიები და მოლები გლეხებს ეუბნებოდენ... რომ ბევისაგან
ქალის გატაცება არ არის ცოდვა და საჭრაპისი საქმე... ბევის შემ-
დეგ, მხოლოდ ის ქალი სხვას აღარ უნდა გაჰყეს და მალე გათხოვ-
დეს. ამიტომაც იყო, რომ ბევისაგან გატაცებული ქალი არც და-
იძრახებოდა და მასზეც სიტყვასაც ვერავინ იტყოდა. ერთი სიტყვით,
ამ-ხოჯებით და მოლებისაგან საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ბე-
ვის ასეთ საქციელს არავინ სძრახავდა, ყველა მას უშერდა როგორც
კანონიერ მოვლენას. ეს პირობები ისე მოეწყო და მოიქარგა, რომ
მას დამწუნებელი და გამკიცხავი არსაიდან არავინ უჩნდებოდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხანდისხან ამ გარემოებით მუსულმან-
თა სულის მამებიც სარგებლობდენ, როგორც ხოჯიები, ისევე მოლე-
ბი და სხვანიც... ყველაზეც უფრო ადვილათ, სულის მამები სუნავდენ
ხოლმე ბეგებთან ნამყოფ ქალებს. ასე და ამ გვარათ, მთელს სამუ-
სულმანო საქართველოში არ დარჩა არც ერთი ოჯახი, რომ იქიდამ
ერთი, ან რაი და იქნება სამიც და მეტი ქალებიც არ აღმოჩენი-
ლიყვნენ წაყვანილი და იმ გვარათ დაღუპულები:

ბეგებს, თავიანთ სოფელებში აღარ გადარჩათ არც ერთი ოჯა-
ხი... სადაც კი ოჯახში მათ ეგულებოდათ ვინმე ქალი, ის ოჯახი
იმათ უკე გაცნობილი ჰყანდათ...

სამუსულმანო საქართველოში, ასე მოაწყეს მათ საქმე, რომ
არსად აღარავინ დარჩათ გაუცნობი რაკი იქ უცნობი აღარავინ ეგუ-
ლებოდათ, ამიტომ ბეგებმა იწყეს მონა-ყმებიდან ცოტათი შორს
წასვლა, ანუ ისეთი ქვეყნებში გადასვლა, რაც იმათ ქვეყანასთანაც
ახლო იყო. ასეთი ქვეყანა გახლდათ ქობულეთის თემი, სადაც მა-
შინ იყო 200 სოფელი. ქობულეთის შემდეგ, ასეთ ადვილ ალაგათ,
მათ გურია დაინახეს, იქ მიეცნენ მოქმედებას და გოგოების სყიდ-
ვას... ეს ნასყიდი გოგოები მიჰყანდათ სამუსულმანო საქართველოში,
იქ ჯერეთ თავის სახლში გააუპატიურებდნენ და მერე მათ წაიყვან-
დენ ოსმალეთში და იქ გაჰყიდდენ მოგებით. ა'ეთის ხელობით ბე-
გებმა სრულ ოსტატობით იწყეს მოქმედება და ამ საქმეებში მათ
მალე თავიანთი ზოგიერთი გლეხებიც ჩარიეს და აიყოლიეს. გლეხე-
ბიც მათსავით გადადიოდენ გურიაში და იქ ყიდულობდენ გოგოებს,
ბიჭებს, ერთი სიტყვით ყველას და მერე ეს მყიდველი, თავიანთ ნა-
ჟიდებს ოსმალებზე ჰყიდდენ მოგებით.

ქართველ ბეგებს, პირველათ უჭირდათ ქრისტიან ქართველებ-
ში სიარული და ხალხის შესყიდვა, მაგრამ ნელა-ნელა ყველგან

აშენბლენ და ახერხებდენ თავიანთ საქმეებს... არის იმისი ცნობაც, რომ უველაზედ ადვილათ გურიაში ყიდულობდენ იგინი ქალებს და, ბიჭებსაც, სხვა ადგილებში კი ამას ვერ ახერხებდენ, რადგანაც სხვა- გან ქართველები მათ მაგრა უხვდებოდენ და ხშირათ ქართველი შეი- ლების შესყიდვისთვის, მათ სდევნიდენ კიდეც ამიტომ სხვა მხრიდან იგინი სულ ცარიელი ბრუნდებოლენ დიდის ზარალით.

მეორე ვარიანტი.

...ბევებისთვის ძნელი იყო ქალების შოვნა ამისთვის მათ დაიწ- ყეს თავიანთ გლეხებში ლაპარაკი:

— ძია კაცებო, თქენი უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ მუსულმანები- ვართ, ანუ თათრები... ჩვენი ფალიშახი ამისთვის დიდს პატივსა- გვცემს და მასთან ჩვენი წმინდა სჯულიც ნებას გვაძლევს, ორ ორი ცოლი ვიყოლიოთ, ხან მეტიც, მაგრამ ჩვენი ცოლები ამის ნებას არ გვაძლევენ, რადგანაც იგინი ჯერაც კიდევ წმინდა თათრები არ არიან, ჩვენს წადილსაც ვერ ეთვისებიან, თქვენც წინააღმდევები ხართ, რომ ჩვენ თქვენი ქალები წავიყვანოთ. ამისთვის უსიამოვნებაც მოგვდის... ჩვენ თავი უნდა დავანებოთ საძრახის საქმეს და მის ნაცვლათ საქმე ასე მოგაწყოთ:

— ჩვენ თქვენი გასათხოვარი ქალების წაყვანას თავს დავანე- ბებთ, ეს ჩვენგან აღარ იქმნება, მხოლოთ გათხოვების დროს, პირ- ველ ლამეს ჩვენთან უნდა მოვიდეს და ჩვენთან დარჩეს, ჩვენთან და- რჩება ერთ კვირას და მერე ისევ თავის ქმარს დაუბრუნდება ს ხლში, კრების საჩუქრებით და პატივისცემით. ეს არც საწყენი იქმნება თქვენთვის და არც საძრახისი.

ამ გვარათ 1690 წ. ატყდა ამის შესახებ კამათი და ბრძოლა. ამ ბრძოლაში არც დაბრმავეაული ოსმალოს მთავრობა ერევოლა. იგინიც ნებას აძლევდენ ბეგებს, ესენი როგორც ისურვებდნენ, საქმეც ისე უნდა გათავებულიყო. ბევრი ყაყანისა და კამათის შემდეგ, ქარ- თველ მუსულმანებში 1700 წ. დამყარდა იმისი წესები, რომ ქალი გათხოვების დროს, უსათუოდ პირველ ლამეს, უნდა ბეგთან წავიდეს და იქ გაათიოს... ეს ყოფილი იმ გვარათ, რომ გლეხი ვისი ყმაც იყო, იმისი ყმის ქალი თავის ბატონს უნდა მისვლიყო სახლში. ეს ვერაგი წესი ოსმალოს მაღალ მთავრობამაც დააკანონა.

ეს უზდელი საქციელი, საშინელი მეზი იყო და თავზე დამიცემი უბედურება გლეხ-კაცობისათვის, მაგრამ ვინ რას იზავდა. ოსმალოს მთავრობაც ბეგებს ულოლიებდა რადგან, როგორც განვაცხადე მა- თის დახმარებით ფიქრობდა, საქართველოში ფეხის გამაგრებას... მათ

დიდს პატივს სცემდა და აბა გლეხ-კაცობა რაღას იზავდა!.. გლეხები ბერს უნდა დამორჩილებოდენ და ეს წესი კი მათ უნდა მიეღოთ უსა-თუოთ, რომლის სათავეშიაც იდგა ოსმალოს მთავრობა.

მოგახსენებთ, რომ იმ დროს ქობულეთი არ იყო გათათრებული და ამიტომ მათში ეს წესებიც ჯერ არ არსებობდა. ეს სივერაგე, არც სხვაგან იყო საქართველოში, რადგანაც ქრისტიან ქართველებში სასტიკათ იყო აკრძალული, ოფიციალურათ,* დაუქორწინებელი ქალის სახლში შეყვანა... ამ წესებს თვით ქართველი მეფენიც სასტიკათ ემორჩილებოდენ. ამიტომაც მაშინდელი ქართველებიც, როგორც ოსმალთაგან არ დამორჩილნი, სასტიკათ იცავდენ თავიანთ წესჩვეულებას და წინააღმდეგნი იყვნენ ქართველ მაჰმადიანების და ნაშეტურ მათი ბეგების. ქართველებს სძულდათ და ეზიზლებოდათ თავიან მეზობელი და მოძმე ქართველი მაჰმადიანები, რომლებშიაც ეს უგვანო წესები მიღებული იყო.

* *

ქართველ მაჰმადიან ბეგებმა შეიტყეს, რომ ქართველები ყველაც ასწავლიდენ, თქვენ ამ საძაგლობის წინააღმდეგი გახდით და ბეგებს ასეთ უხრდელ წესების ნებას ნუ აძლევთო. ამ ამბების შეტყობის შემდეგ, ბეგებში მოხდა კრებები და თათბირი... მათ აუწყეს ოსმალოს მთავრობას ქობულეთელების შესახებ... ამ ამბავმა ოსმალო დიდათ შეაშინა... მთავრობამ გადასწყვიტა ქობულეთი უსათუოდ აელო ისლამისთვის დაეკავშირებინა და ამით მათი წინააღმდეგობა მოესპო.

ოსმალოს მთავრობამ იმეცადინა და 1710 წლამდის ქობულეთი უკვე დაიმორჩილა. შემდეგ მათი გათათრებაც იქმნა გამოცხადებული. ოსმალოს მთავრობამ ქობულეთში ისე გაიმაგრა ფეხი, რომ მათი ისლამთან დაკავშირებაც მალე მოხდა... ქობულეთელი ბეგებიც მიიმზრეს. ოსმალებმა... ამ ბეგებმაც გახდენ ოსმალოს მთავრობის ყურ მოჭრილი ყმანი და მასთან მათაც იწმებს და მიიღეს ყველა ის საძრებისი წესები, რასაც წინეთ თვით ქობულეთელები სასტიკათ სძრახავდენ.

საქმე ისე მოწყო რომ ქობულეთელებმაც მიიღეს, გათათრების დღიდანვე, პირველ ღამების წესები ქორწილის შემდეგ ქალი ბატონს უნდა ხლებოდა .. ქობულეთელები ამით ისე გაველურდენ და გათახსირდენ, რომ თვით ესენივე გახდნენ მისი მიმდევარნი და მფარველნი, თვით მათ დაუწეს იმ საძაგლობის მფარველობა, რასაც წინეთ იგინი ზიზლით უმშერდენ და სძრახავდენ. ის მერე მათი სულისა და გულის მალამი გახდა და კარგი წაშალი.

*) მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს წესები ქართველებში, ოფიციალურათ არ იყო მიღებული, ისე/კო. რედ.

არის ცნობები დარჩენილი, როცა ქობულეთელები სსმალოს დაეშორჩილნენ, მცირე ხნის შემდეგ ქობულეთელებმაც დაიწყეს თავიანთი ყმებით ნავარდობა და ვაჭრობა... იგინი ჰყილნენ თავიანთ ნაოესავებს, ყმებს, ერთი სიტყვით ყველასფერს და ყველას.

ჩვენდა სამშუხაროთ, ქობულეთელებმა ავკაციონით გადააჭარბეს სხვებს... ამათ ოჯი ფეხი შედგეს ისლამში, შემდევ, იმავე ისლამის წყალობით გაანადგურეს არე-მარე. ქობულეთის მფარველი ბატონ-პატრონი თავდგირიძეებიც გახდენ ყველა ავობის მიმღევარნი და მოტრფიალენი. ამ გვარის წინაპარი მაქსიმე თავდგირიძეც იცავდა ამ ავობის მიმღევრობას და შემდევ იგი ყველასუკრს ბოროტ ავობას სჩადიოდა, მან ერთობ აღრე მიიღო ოსმალოს მთავრობისუგან ფაშობა.

ეს მაქსიმე, ისეთი თვისების და მოურიდებელი კაცი იყო; რომ
შისა გაფაშების დღიდან, იკი გადაეკიდა გურულებს, მათში შეიტანა
დღიდი განხეთქილება და მტრობა... ეს ბოროტება არ აქმარა და უფ-
რო შორს წავიდა თავის ავობით... მან ჩუმაა გაიჩინა აჭარელ ბეგ-
ზისაგან შემდგარი გუნდი. ამ გუნდში ერივნენ მძლავრი და ლონიერი
ბეგების შვილები, ამათ შეიძინეს კარგი იარაღიც, რაც მათ ოსმალოს
შთავრობამ მისცა და შემდეგ დაიწყეს გურიაზედ დაცემა და იქიდან
გურულების გატაცება, როგორც ქალების, ისევე ვაჟების, ერთის
სიტყვით ყველასი.

ამ კელურ მგლებს; ისტოლოს მთავრობაც დიდ ქომაგობას და
დახმარებას უწევდა... ეს გმირები გურულ გოგოებს ჯერეთ თავის
სახლში ასაღვურებდნენ, თვითონ რაც უნდოდათ იმას სჩალიოდენ და
შეის მერე ამ წანატაც გურულ გოგოებს და ბიჭებს აღარეკავდენ ბა
თუმს, ბათუმილან ტრაპიზონს და იქ ამათ ჰყიდნენ კარგ ფასებში
ასავე გზას მაქსიმეზე აღრე, მისი მაბა მამუკა დავდგირიძე ადგა,
მაგრამ იგი ამას ჩუმათ, ქურულათ და არა აშკარათ სჩალიოდა
რაკი მაქსიმე ფაშა გახდა, ამან თავის მამის გზას და კვალს საიდუმ
ლო, ანუ ქურდული ხასიათი მოაცილა და პირდაპირ აშკარა გზას
დაადგა. ამის შესანებ ერთი ცნობა მე დავბეჭდე გაზეთ დივერიაშიც
1893 წ. მოვიყვან ეხლა იმ ცნობას ისე, რაგორც მაშინ დავსწერა
და იმ ცნობას იმასც დაუმატებ, რაც კი იმ ცნობების დაბეჭდვის
შემდეგ ეიპოვნე ქობულეთსა და გურიაში. აი ძველი ცნობა 1893
წლისა:

„ჩაქსიმე თავდგირიბემ თავის ნაყმევი გლეხეაცობა ქობულეთი-
დან სულ თსმალეთში, გადარეკა და იქ დაყიდა კარგს ფასებში... მის
შერწყმა ამ დანაყიდის ფულით, თანხა გაიჩინა და გურიიაზედ დაუყავა

ქურდული სახე მთაცილა და იგი პირდაპირ ვაჭრულის ჩასიათით ესტუმრებოდა ხოლმე გურულებს... ეს გარემოება მასში იწვევდა ცოტათი ზრდილობიანს მოპყრობას, გურულების დაყოლიებას და მისა მყრე მათში ძებნას და სყიდვას გურული ქალების, ბიჭების და ერთი სიტყვით ყველასი.

გურულები მოსურნენი არ იყვნენ და ეტყოდნენ მათ, რომ ჩვენ უსჯულო თათრებზედ ჩვენს ხალხს არ დავსყიდითო, შაგრამ მერე კი თანახმა გაუხდენ, რადგანც ამ დანაყიდთა შაგიერ მათ დაინახეს ოსმალოს ოქროს ფულები... ამ ოქროს ფულებმა გურულები სულ მოშალეს და დააბრმავეს... იგინი სულ გამოიცვალნენ და მცირე ხანს შემდეგ საქმე ისე მოეწყო, რომ გურულ შვილების სასყიდლათ არამც თუ ქობულეთელი და აჭარელი ბეგები გადმოდიოდენ გურიაში და ყიდულობდენ, არამედ თვით გურულებმა შეიძინეს პმ ავობის ხელობა და დაიწყის ტაციობა თავიანთ შვილების, ნათესავების, მეზობლების და სხვათა, ჩაჰყავანდათ ქობულეთში და ბეგებშე ჰყიდნენ.

ამ გარემოებამ გურიაში დიდი განხეთქილება ჩამოაგდო და ბოროტება. ამ უბედურებას გურულები როგორმე შეურიგდებოდენ. და ქობულეთელების თავხედობას ალაგმავდენ, შაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ მაქსიმეს და აჭარელ ბეგების ხელში ოსმალური ოქროს ფულები ჩხრიალებდა ეს ფულები აბრმავებდა გურულ მებატონებს... ეს იყო გურულების დიდი უბედურება... მათში ძრიელ მალე ალორძინდა მოურიდებლივ და დაუზარებლივ თავიანთი ყმების დასყიდვის მიმდევრობა.

ასე და ამ გვარათ, აჭარელ და ქობულეთელ ბეგების წყალობით, საბრალო გურია და გურულები დიდს უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნენ. მალე საქმე იქამდის მივიდა, რომ გურულთა შვილებს ზემო ხსენებული ბეგები ცხერის ფასად ყიდულობდენ... ამ გვარათ გურიაში დამყარდა და დაწესდა ქალისა და კაცის გასყიდვას ოსტატობა.. ვინც გურიაში ყოჩალი იყო, მარდი და მას შეეძლო ხალხის გატაცება, ხალხის მოპარევა, მიჰყვეს ხელი ამ ხელობას. იგი გადავით დოდა ქობულეთში, თავის ნაშოვარს ჩაიყვანდა, ცოცხალ გასაყიდ საქონელს მყიდველებს ზედ კარებზედ მიუჟვანდა და იქ რასაკვირველია, ესენი კარგ ფასს და მაღლობასაც იღებდენ, ქობულეთელ და აჭარელ ბეგებისაგან.

მაქსიმე თავდავირიძე იქამდის წავიდა წინ, რომ მან ისურვა გურიის დაპყრობა, მერე მთელი გურულების სულ ოსმალეთში გადარეკვა და იქ კარგს ფასებში დასყიდვა, რის გამო მისი დიდი მაღლობელი იქმნებოდა თვით ოსმალოს მთავრობაც... იგინი ადვილათ

იშოვნიდენ გურულ ლამაზ ქალებს, მეორე მათ ხელში უვარდებოდათ კარგი მეომარი ყმაწვილ კაცობა და მესამე ამ ოსტატობით ისლამიც ძლიერდებოდა და ქართველებში აღვილად იღვამდა ფეხს.

ეს მაქსიმე ისეთი ბოროტი აღმოჩნდა, თავის გაფაშების დღიდან, რომ მან ძრიელ დაუწყო მტრობა ქართველებს და ნამეტურ გურულებს. როცა ამ პირმა გურიის დაჭერა ისურეა, მაშინ დიდს ქომაგობას უწევდა ახალციხის ვალი ფაშაც, რომელი ფაშა იყო ათაბაგთა გვარის წევრი, ფანატიკი და მასთან სისხლის შექლი გურულებისა. გურიაში ქურდულათ ტაციობის დასაწყისი სწორეთ იმ დროდან იწყება... გავრცელებისათვის ახალციხის ვალი ფაშაც დიდს დახმარებას უწევდა ქობულეთელ თავდგირიძებს და აჭარელთა ბეგების შეილებსაც. მოეწყო საქმე ისე, რომ ქრისტიანების საზარალოთ და დასაღუპათ, ქობულეთელები აღარასფერს აღარ ერიდებოდენ და დღე და ღამ სულ იმის მეცადინეობაში იყვნენ, რომ მათ გურული ყმაწვილი ქალები და ვაჟები ეტაცნათ, ეყიდნათ და ოშალეთში გაერეკათ. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქობულეთელები, როგორც თვით იწრთნებოდენ კარგათ ქალების და კაცების ქურდობაში, იგინი იმავე ოსტატობაში დიდათ აწინაურებდენ თვით ქრისტიან გურულებსაც და ეს გურულებიც არ ჩამოუვარდებოდენ ქობულეთელებს: ხალხის გატაცება, მოპარევაში და ძერე მათს დასყიდვაში. გურიაში საქმე ისე მოეწყო, რომ ჩვენდა სამშუხაროთ, გურულების ყველა თავადის და აზნაურის ხელობათ გახდა, რომ მას თავის ყმის შეილები გაეტაცნა, მერე ქობულეთში გაერეკა, იქ დაუყიდნა კარგ ფასებში, აღებული ოქროებით იქვე ეყიდნა ოსმალური ფართალი და ჩამოეტანა შინ თავის სახლობის მოსართავად.

იყო ისეთი წესებიც, რომ ქობულეთში, ოსმალოს ვაჭრები ამ გურულ გოგო-ბიჭებს ნივთებში უცვლიდენ ხოლმე და შინ ეს ფართალი მოპერობათ და მთელი მათი ოჯახი ამ გლეხებში გაცვლილ ფართალით იმოსებოდა. გურულებისაგან თავიანთ ყმების ფართალში გაცვლა-გამოცვლის საქმემ, ერთობ დიდი გავლენა იქონია ქობულეთელებზედ და ამათში გაჩნდენ მრავალი ისეთი მსყიდავი და გამყიდვა კაცები, რომელთა ხელობას და საქმეს მხოლოდ ეს გურულ შეილების სყიდვა-გასყიდვა შეაღგენდა, ასეთ საქმეებით. ჯნობილნი იყვნენ, მეთერამეტე საუკუნეში და მეცხრამეტე საუკუნის შემდეგიდან, დახელოვნებული და ქებული ქობულეთელი ვაჭარი თამაზეი შეილები. ერთი ამათგანი გადადიოდა გურიაში, თან მიჰენდა ფართალი და იქ ამ ფართალს გურულებს უცვლიდა ქალებსა და ვაჟებში. ერთ სოფელში ერთმა ბატონმა ორ ცხვირსახოცში, თუ ხელკახოცში,

(ანუ „პლატონში“) ერთი გოგო. და ერთი ბიჭი მისცა თავის ყმის შვილი, მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ, გურულები ისე წახდენ, რომ მათ ალარა სრცხვენოდათ, ისე აშარათა ჰყიდდენ თავიანთ ყმათა შვილებს.

ამ თამაზეიშვილის შესახებ, უნდა მოვიყვანოთ შემდევი ამპა-
ვიც: იგინი ყოფილან ქართველი აზნაურის შვილები. ამათაც ახლ-
დათ თავის საკუთარი ყმები და ამათ წინათვე დაუწყვიათ თავიანთ
ყმების გადარეკა ოსმალეთში და იქ დასყიდვა, ზოგის ფულზე და
ზოგის ფართალზედ... ესენი თავისი ყმების დასყიდვაში ისე დახე-
ლოვნებულან, რომ თვისი ყმები სულ დაუსყიდნიათ ოსმალებზედ.
მერე იგინი მგზავრობდენ გურიაში და იქ გურულებისაგან ყიჯუ-
ლობდენ მათ შვილებს... ეს ვაჭრები გურულის გოგო-ბიჭებით გავ-
სილან... ეს თამაზაიშვილები ოსტატი მსყიდველი ყოფილან ყმათა
შვილების... ისინი კარგათ ასწავლიდნენ გურულ მებატონებს, რო-
გორ უნდა გაეტყუილებინათ თვისი ყმის წვილი და როგორ უნდა
გაეყიდნა, რომ ყმის შვილს გასყიდვის ამბავიც კი არ შეეტყო.

ეს გვარი ცნობილია კაცთაშესყიდვის ოსტატობით და ეშმაკო-
ბით... ესენი ყიდულობდენ ყმათა შვილებს, მერე ეს ნაყიდები მიჰ-
ყვანდათ ქობულეთში და იქ ამ ნაყიდებს ისე ოსტატურათ ჰყიდენ,
რომ ამის შეტყობა გაყიდულებმა არც კი იცოდენ... ასე და ამ ოსტა-
ტურის სახით, ერთ დროს მთელი ქობულეთის ხალხი სულ ქალებისა
და კაცების ქურდებათ გარდაიქცნენ. მათში სხვა ქურდები აღარა-
ვინ იყო, ყველას საქმე ხელობით ყოფილა: ქალებისა, კაცების ქურ-
დულათ ან საიდუმლოთ გატაცება. აშკარათ ამისა მოხდესა ალარავინ
აქვნდა და ვინც ასეთ ქურდობას ადვილათ მოახერხებდა, ის დიდათ
ქებული და დაფარულიც იყო. მეცხრამეტე საუკუნეში; ქობულეთსა
და აჭარაში დროს იყვნენ გამოჩენილი ყაჩალები, რომელნიც ტყეებში
იფარავდენ თავს და მათი ხელობა იყო ხალხის ცარცვა-გლეჯა, ბო-
ლოს დროს, თურმე ამათი საქმეც ისე მოეწყო, რომ კაცების გა-
ცარცვას თავი დაანებეს, და ხალხის შვილების ტაციობა დაიწყეს...
ეს ყაჩალები გახლავან შემდეგი პირნი, რომელთა სახელებს აქ მოკ-
ლეთ მაინც მოვიყვან:

1. ყაჩალი ყოზით აღა შამშამ-ოლლი, სოფ. საღორცელი, გვა-
რათ დვალი.

2. ყაჩალი ჩახალ ოლლი ზენზადელი, სოფ. ზენდადელი.

3. ყაჩალი ახმედ-აღა კოკონ ოლლი, სოფელ კაბელი, ყველა ეს
ყაჩალები იყვნენ სხვა და სხვა ადვილებში 1800—1850 წლებში.
ესენი იყვნენ გამოჩენილი მცარცვავნი ხალხისა, ბოლოს დროს იგინი

გახდნენ გურულ გოგოების და ბიჭების მცარცვავნი და მტაცავნი ქურდულათ... ეს ყაჩალები ბოლოს დროს, იყვნენ სასტიკი მტრები გურიის, მეგრელიის და ჯავახეთის... ერთი სიტყვით ყველა ქართველ ჭრისტიანების.

ოსმალოს მთავრობა, ამათ არასუერს შემთხვევაში არ დასტოვებდა დაუჭერელს, ყველა მათ დაიჭერდა, მაგრამ რაკი მათ ქართველი შვილის ტაცვა დაიწყეს, ამ დანატაცის ოსმალოში გადარეკა და იქ დასყიდვა მათი, ამ ყაჩალებს თავიანთ ბეგებისაგან მიენიჭათ უფლება, რაის ძალითაც მათ არავინ იჭერდა და ხმასაც ვერავინ სცემდა: რაღანაც იგინი გადადიოდენ გურიაში და იქ ყიდულობდენ გურულ ყმათა შვილებს, მერე მიჰყვანდათ აჭარაში, იქიდან სხვაგან და ჰყიდდენ მოგებით.

1820 წელს, სოფ. სურებელმა მებატონემ, თავის ყმის, სანიკიძეს შვილი მოიტაცა 11 წლისა, ხსენებულ ყაჩალებთან მივადა და სთხოვა მათ, რომ ეს ჩემი ბიჭი იყიდეთო. ყაჩალებმა არ იყიდეს. ბიჭი პატარაობის გამო დაიწუნეს: ყიდვაზე უარი უთხრეს, მასთან რამდენიმე ფული კი აჩუქეს სამგზავროთ და უთხრეს, რომ ამ ბიჭს პატარაობის გამო ვერ ვიყიდით, ხოლო პატივს კი გცემთ, რომ თქვენ ჩვენ არ დაგვივიწყოთ და შემდეგში, თუ კიდევ გყავდეს გასაკიდი ვინმე, აქ ჩვენ მოგვიყვანეთო..

მებატონემ საჩუქარი გამოართვა, მადლობა უთხრა და მის შემდეგ გაუდგა თავის გზას. ექ ბიჭი მან სხვაგან მიიყვანა და გაჰყიდა 10 მანეთ ოსმალურ ოქროზედ.

ეს ყაჩალები გურიაშიც გადმოდიოდენ, გადმოჰქონდათ ოსმალური ლირები და ხიბლავდენ გურულ მებატონებს... ამ მებატონებს აქლევდენ დახმარებას და ასწავლიდენ ბეგრს ცნობებს, შემდეგ გურული ბატონებიც გადადიოდენ გურიიდან ოსმალოს და იქ ჰყიდდენ გურულ შვილებს.

მებატონენი თავიანთ ყმებს ჰყიდდენ ოსმალოს ყველა ქალაქის ბაზრებზედ... ამ სავაჭრო ბაზრების შესახებ მოვიყვან შემდეგ ამბავს, რომელიც შეეფერება დასაყიდ ბაზრების ისტორიას:

1890 წელს მე ესცხოვრობდი სოფ. სალორეთში... იქ ვიყავ ჩამოშტარი ქართველ მაპმადიან უსეინ დევაძესთან. ამ უსეინმა მიამბო, რომ ჩვენს ქვეყანაში შვილების დასაყიდი ბაზრებიც არსებობდა და ქართველთ ერნიც იყიდებოდათ. ასეთი გასაყიდი ბაზ-რები ბეგრს ალაგას იყო. სხვათა შორის ასეთი ბაზარი ჩვენშიაც იყო. ერთ ჯუმა (პარასკევი) დღეს, აქ ყმები ჩამოეყვანათ და ჰყიდდენ... ლოცვი-შეტყეგ შე ერთს გურული აზნაურისაგან ვიყიდე გოგო-ბიჭი... სალაში

მოს მსყიდველი ჩვენსა იყო, ვახშამი მივართვით და მან ბოდიში მოახადა, რომ დღეს პარასკევია, მარხევა არის და ხორც არ ვჭამო. ჩვენ გავკვირდით ამაზედ და უთხარი გამყიდვას! „თქვენ კაცი და ქალი გაყიდეთ, ამისთვის არ იმარხვეთ და ხორცს არ სჭამთ... რა არის ეს საკვირველება?!“.

ამავე პირის ნაამბობი.

„ველათგან ჩვენში „გოთაული“ შემოულიათ... ეხლა საკითხავით თუ რა იყო ეს სახელწოდება?! ეს გახლავს („გოთაული“) სახელი იმ კაცისა, ვინც ძველათ ყმებს ყიდულობდა და ისევ მოგებით ჰყიდდა. ეს გოთაულები მრავლად გაღმოდიოდენ გურიაში და ყიდულობდენ ქართველ შვილებს.

ასეთი გოთაულები ყოფილა აჭარის და ქობულეთის ყველა სოფლებში... ამის საბუთს გვაძლევს ერთი ლექსიცა, რომელიც გამოთქმულია გოთაულობაზედ. ის ეს ლექსიცა:

„გოთაულები შეიყარა, ქობულეთელი და დაგვია,


ბეცუბნელი, ქასული, რომ ვსოდვათ ერთი არ გვაკლია“... და სხვაც. ასეთი სტრიქონები, სადაც მოთვლილი არის სახელნი გოთაულების. ამ ლექსიდან სჩანს, რომ გოთაულები ჰყიდდენ და ყიდულობდენ არამც თუ ყმათა შვილებს, არამედ სახელმწიფო, ანუ უცხო გლეხის შვილებსაც.

აჭარლების ბატონ-ყმობის ისტორიას რომ აქვს დიდი მნიშვნელოვანება, ამას ასაბუთებს შემდეგი გაღმოცემა:

ქართველები ოსმალეთმა დაამხო და მაგრათ დარჭირა 1625 წ. შემდეგ მოხდა ქართველთ გამუსულმანებაც. ქართველებში იყვნენ როგორც თავადები ისევე აზნაურები... თავიანთ ყმები ქრისტიანობაში რომელნიც ჰყვანდათ, მათ ჩაბარდათ და ეს ყმები მათ კარგახანს ემორჩილებოდენ...

პირველათ ამ გამუსულმანებულ ქართველ მებატონებმა და-უწყის თავიანთ ყმებს ოსმალებზედ დასყიდვა და გოთაულებიც გახდნენ.

საჭირო არის, რომ ეს გარემოება იღნუსხული იქმნეს აღწერის ისტორიაში, ვინაიდან აქედან ჩნდება თუ ბატონ-ყმობის ისტორიას რა დიდი კავშირი ჰქონია აჭარასთანაც... აქედან სჩანს რომ სამუსულმანო საქართველოში ყოფილა ბატონ-ყმობის განსაკუთრებული და თავისებური სახე... თავისებური ორიგინალობა.



I X.

ՆԵՐԱ ՔԱ ՆԵՐԱ ԹԱՆԱԼՈՒՑՈ.

საქართველოს ბატონიშვილის უსახებ.

დაიწერა—1894 წელს.

იაკობ საბაშვილი—ბაროხი.

იაკობ საბაშვილი არის უტყუარი მოწამე იმ დავის და უბე-დურების, რაშიაც ძრიელ უხვათ იყვნენ გახევულნი და ჩამხრჩალნი ჩვენი წინაპრები. ჩვენ გვიყუარს ჩვენი წარსული, მისი დიდებული *) შვილების და გმირთა ამავი და იმედი მაქვს, რომ ამ ამბების მოკამათეც არავინ იქმნება... ნუ თუ, საბა ორბელიანის ამბები ტყულია?! ეს ხომ შეუძლებელი და გონების მოუსვლელია!..

ისევ ისა სჯობს, რომ მე ჩვენი წარსულს წყევლას და ჩვენი გმობას თავი დავანებო და ამის შესახებ იაკობ საბაშვილი ვალა-ჰარაკოთ. ვალათ ვსთვლი, რომ ჯერ ორიოდ სიტყვით იაკობ საბა-შვილიც გავიცნათ და მერე შისგან დატოვებულს ცნობებსაც, უიჭველია, მიეცემა თავის შესაფერი ღირსება. იაკობ საბაშვილი დაიბადა 1693 წ. ახალციხეში. საბა ორბელიანის სიკვდილის ღრის იაკობ საბაშვილი იქნებოდა 32 წლის კაცი და მაშასადამე ამასაც ექმედოდა რამის შეცნობა.

იაკობ საბაშვილი სწავლობდა პირველათ, ახალციხეს ივანე ნა-თლისმცემლის ეკლესიის სამრევლო სკოლაში. მერე კონსტანტი-ნეპოლის... იქიდან იგი გადავიდა ვენეციის მხითარისტების სკოლაში და იქიდან რომ დაამთავრა პაპის „კონგრიგაცია“. ვენეციაში უწავლის დამთავრების შემდეგ, იგი მღვდლად იქმნა კურთხეული სომხურის ტიბიკონით და წოდებული „ტერ იაკობ საბუევათ“, მაგრამ ეს იმავე ღრის, მცოდნე იყო ქართული ენის, საქართველოს ისტორიის და ქართული მწერლობის... თავის ვინაობას არ ივიწყებდა და როგორც განათლებული მქადაგებელი, ყოველთვის თვალ-ხილული მდევარი იყო ქართველი ერისა და ამ ერის შვილთა ბედ-ილბლისა.

საბაშვილი რომში სწავლის დამთავრების შემდეგ, ერთ ღრის კონსტანტინეპოლის იყო სომებს ქათოლიკეთ მღვდლათ, მერე ტრაპი-ზონში, ბათუმს, ართვინს, ახალციხეს, გორს და ტფილისშიაც 1760 წლებში. საღაც კი ეს იაკობ საბაშვილი ყოფილა მღვდლათ, ყველ-

*) კომენტარიას არ უკეთებ.

გან მას ფხიზლათ უჯევნებია თვალ ყური ქართველთ შვილების დას-
ყიდვის საქმეებისათვის.

კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს, 1735 წლებში, ყოფილა
ქართველთა რიცხვი 100 ათას სულზედ მეტი. ამათში 40 ათასი სუ-
ლი კათოლიკენი ყოფილან და დანარჩენი კი ქართველი მახმადიანები...
მათში ბევრი გამოჩენილი კაცებიც, ოსმალოს სახელმწიფო ასპა-
რეზზედ. იმ დროს, კონსტანტინეპოლში, თურქებს ჩვეულებათ ჰქო-
ნიათ გახთილი, ქართველთა შვილების შესყიდვა. კონსტანტინეპოლის
ბაზრებზედ ქართველთ შვილები ძრიელ იაფათ და ადვილათ ისყი-
დებოდენ.

იაკობ საბაშვილს, კონსტანტინეპოლში დიდი მრევლი ჰყვანდა,
რამოდენიმე ათასი სული კათოლიკეები... ამათში რასაც იგი ფულებს
შოულობდა, იმ ფულებს სულ ქართველების დახსნას ანდომებდა და
ყველა მათ საქართველოში აბრუნებდა. იაკობ საბაშვილი სწერს თა-
ვის დღიურში: „აგრე ეკლესიაში ვწირავ, მაგრამ რაღაც ხმა
მესმის, რომ ჩემი ძმის შვილები, ჩემი მეზობლები, უკეთურ
ქართველებს აქ ჩამოურეკიათ და ჰყიდიან. ოსმალებზედ. ყურში
მესმის მათი ბლავილი, ტირილი და ვოდება, ვსცდილობ, რომ
ლოცვა მალე გათავდეს და წავიდე ჩემი ძმების დასახსნელათ“.

იაკობ, საბაშვილი მიღის, თან მიაქვს ფული და იხსნის
ბაზარზედ ქართველთ შვილებს და ყველა ამ ნაყიდებს აბრუნებს
საქართველოში.

ასე და ამ გვარად, იაკობ საბაშვილს დიდი ძალი ქართველები
დაუხსნია და დაუბრუნებია საქართველოში... მისი დახსნილებიდან
3000 კაცი ქართველი კონსტანტინეპოლს დარჩენილან და იქ იგინი
ბატოლიკეს სჯულს შეერთებიან *). კონსტანტინეპოლის შემდეგ ეს
იაკობ საბაშვილი მოდის ტრაპიზონში და იქ მღვდლობს. ტრაპიზონში
ყოფნის დროს, როგორც თვითონ სწერს თავის დღიურებში, ტრაპი-
ზონშიც ხელავს თავის: „გულის და სულის აღმაშფოთებელ ცნო-
ბებს“. ტრაპიზონში ძრიელ ხშირათ და მრავლათ ჩაჰყავთ თავიანთი
ჭმები ბატონებს და ჰყიდიან ოსმალებზედ. ოსმალთა ვაჭრებიც გაფა-
ციცებით ყიდულობენ ამ ქართველთ შვილებს, რაღაც იგინი იმათ
კარგი მოგებით ჰყილნენ ქართველის შვილებს დიდი მუშტარი
ჰყავდათ.

ტრაპიზონში ქართველებს ჩაჰყავდათ თავიანთ ძმები და ნათე-
სავები წარმოიდგინეთ, რომ იგინი იქ ბატონათ როდი აცხადებუნ-

*.) იქნება, სწორეთ ეს იყო მიზეზი იაკობ საბაშვილის ნამეტავი გულკე-
რების.

თავს, ყველა თავის გასაყიდს ვაუს; თუ ქალს სულ თავის შვილებათ აცხადებს, რომ სკიდვის ვინმე მეტოქე არ გამოჩნდესო.

1740 წ. საბაშვილს, ერთის მებატონისგან ექვსჯერ უყიდნია დასაყიდი ვაუები და ქალები, ყველა მათ იგი თურმე შვილებათ ალიარებდა და მისი არც სცხვენოდა არც ერიდებოდა. საბაშვილს ამ გვარათ ტრაპიზონშიაც მრავლათ უხსნია ქართველთ შვილები და დაუბრუნებია საქართველოში, ნამეტურ გურიაში... უმეტეს ნაწილათ ტრაპიზონში გურულებს ჩაჰვანდათ თავისი „შვილები“ დასაყიდათ.

საბაშვილი ამბობს: მე ყველა ამ დასაყიდებს „შვილებს“ უწოდებ, რადგანაც მათი დამსყიდავნიც ისე ამბობდენ ურცხვათ, რომ ეს გასაყიდი ჩემი „შვილები“ არისო. ამ საბაშვილს კოსტანტინეპოლს უჭირდლია 1733 წლიდან 7 წელიწადი... 1740 წ. მისულა ტრაპიზონს. აქაც მრავლათ დაუხსნია ქართველთ შვილები და 1749 წ. ბათუმში ჩამოსულა.

აქაც მას, მრავლათ უნახავს ქართველთაგან თავიანთი „შვილების“ დასყიდვა... რასაც მღვდლობით ფულებს შოულობდა, სულ ქართველთ შვილებს იხსნიდა და უკანვე აბრუნებდა მათ. გამსყიდავებში იყვნენ ისეთი ბოროტები, რომ თავისაგან ერთხელ გაყიდულს ყმას ორჯერ და სამჯერ ჰყიდდა. საბაშვილს ერთი ქალი გაენთავისუფლებია და გურიაში დაუბრუნებია, მაგრამ მას გზაში დასცემია მისი გამსყიდავი „მამა“, ეს ქალი დაუჭერია და მეორედ ჩაუყვანია ბათუმში გასასყიდათ... საბაშვილს უნახავს ის ქალი, გამსყიდავი უცვენია და უთქვამს მისთვის:

— „შენ რაც მთხოვე ფული მე მოგეცი, შენი ქალი დათის პატივის საცემლათ გავანთავისუფლე და შენ არ ბრცხვენიან, რომ ეს შენი „შვილი, აქ მეორეთ ჩამოგიყვანია და ჰყიდიო?“-

გამსყიდაგმა ურცხვათ ასეთი პასუხი მისცა:

— ეს არც ჩემი შვილია და არც გამიყიდნია აქა, პირველათ მომყავს ეს ქალი — ჩემი ყმის ქალია“.

საბაშვილმა ის კაცი იქვე სასტიკად დასწყევლა *), მაგრამ გამსყიდავი თავს იმით იმართლებდა, რომ ეს ჩემი შვილი არ არისო, მე შენი წუევლა არ მომივაო, მე სხვის შვილებს ვყიდი, ჩემს ყმებისას და არა ჩემს შვილებსაო.

იმ ბოროტ ქართველებს, რომელნიც დაჩვეულები იყვნენ თავის ყმების გასყიდვას, მათ ოსმალოს მთავრობაც ხელს უწეობდა და ამიტომ მათ წინაშე არავის აქვნდა ნება რომ ხმა ამოელო. 1754 წ-

*) დღეს ყველანმა იცის: თუ წყევლას რა ძალა ჰქონებია!..

ეს იაკობ საბაშვილი ბათუმიდამ ახალციხეში გადმოვიდა და მისი მოღვაწეობის ცორბიდაც, ამ ასპარეზზედ, აღარასფერი სჩანს.

იაკობ საბაშვილი გარდაიცვალა 1773 წ. ახალციხეს. ამისი ცხოვრების და მოღვაწეობის ცნობები დაცულია ახალციხის, ივანე ნათლისმცემლის, ეკკლესიის წიგნების „არხივში“.

მე აქ მოყვიყანე ცნობები ბატონიშვილის შესახებ და სხვადასხვა წვრილმანი ცნობებისათვის ყურალლება არ მიმიქცევია.

სულხან საბა ორბელიანის დამოუმება. — 1716 წ.

დაწერილია 1884 წ.

ქართველი ყმების დასყიდვის შესახებ.

სულხან საბა ორბელიანი, ევროპაში გაემგზავრა 18 ავგისტოს 1713 წ. საბა ორბელიანს ვახტანგ მეფემ წერილები გაატანა საფრანგეთის მეფე ლუდვიკ მეთოთხმეტესთან, რომის პაპასთან, იტალიის კოროლთან, ავსტრიის და სხვებთანაც. 1714 წ. მარტის რიცხვებში საბა ორბელიანი პარიზში ჩავიდა, იქ დარჩა ორ თვეს, მან ნახა ლუდვიკ მეთოთხმეტე და მის ფეხთა წინაშე ჩიქვით მივიდა და ცრემლით შესტირა საქართველოს ქომაგობის და დახმარების თხოვნები. პარიზიდან დაბრუნდა. 1715 წ. ის უკვე კონსტანტინეპოლის რყოფა და პასუხს ელოდა საფრანგეთის მეფე ლუდვიკი. მეთოთხმეტისაგან. 1716 წ. 13 მაის საბა, თავის თორმეტის თანამგზავრ მისიონერებით საქართველოში დაბრუნდა. ისლისის თვეში საბა ორბელიანი თავის ევროპიელთა მისიონერებით უკვე ბათუმში გახლდათ.

რაღვანაც საბა ორბელიანი და მისი თანამგზავრი კათოლიკის მისიონერები დალალულები იყენენ, ამიტომ მათ ისურვეს ბათუმში რამდენიმე დღით დარჩენა და დასვენება. ერთ დღეს, საბა ორბელიანი თავის თანამგზავრი მისიონერებით, ბათუმში ზღვის პირას სეირნობდა. იმ დროს ზღვაში ერთი გემი იდგა, რომელიც ხალხით იტევირთებოდა, ამ გემისაკენ გაიარეს საბა ორბელიანმა და მისიონერებმა, იმ დროს, ამათ გემიდან რაღაც ტირილის, ყვირილის და გოლების ხმა მოესმათ, მისიონერები გაჩერდენ, შავრამ ენის უცოდინარობის გამო ვერავის ვერაფერი ჰკითხეს; მერე მათ საბა ორბელიანს დაავალეს; რომ შენ წადი და შეიტყე ამ ტირილის და კვნესის მიზეზებით.

საბა ორბელიანი მაშინათვე წავიდა გემისაკენ და იქ შეიტყო ჰიზეზები ტირილის და ლრიანტელის. საბას უამბეს შემდეგი ამბავი: გემში სხედან ის ყმაწვილები, რომლებიც შათრა შებატონეებმა

ოსმალებზედ დაყიდეს, ეხლა ამ დაყიდულებს ნათესავები მოუვიდნენ, ნახეს ერთმანეთი, ერთმანეთს ეთხოვებიან და მის გამო იგინი დიდათ გოდებენ და სტირიან ველარ გნაბავთ ერთმანეთსო.

ეს ამბები შეიტყო საბა ორბელიანმა... თვითონაც სწერს ამის შესახებ თავის „მოგზაურობაში“, ას მინი სიტყვებიც: — „ეს ამბავი შევიტყო გემში მყოფ ხალხის შესახებ. ამ ამბავმა დიდათ დამალონა და დამადარდიანა, სირცხვილისაგან სიცოცხლე შემძაგლა, ეს რა რისხა არის ჩვენს თავს, ეს რა უბედურება და შეუგნებლობა, რომ ქარლველი ქართველს პყიდის, ღმერთმა დასწუევლის ასეთი ქართველი, ამის დარდსა და ფიქრებს მივეცი თავი და სულ მის ფიქრში ვიყავი თუ ევროპიელი მისიონერებისათვის რა მეოქვა და თავი როგორ მეხსნა სირცხვილისაგან.“

ბოლოს მიშველა ღმერთმა და ევროპიელთ წინაშე მოვახერხე თავის ლაფიდან ამოლება და დახსნა. მისიონერებს ტყვილო უთხარი ასე“: გემში მგზავრებს ნათესავები მოსვლია და ეხლა ერთმანეთს ესალმებიან და თან ტირიან მასზედ, რომ იგინი ერთმანეთს სკილდებიან და ვაი თუ მერე ველარ შეხვდენ ცოცხლებრ და ველარ ნახონ...“

ახე და ამ გვარათ დავარწმუნე ევროპიელები და თავი ვოსენი სირცხვილისაგან, მაგრამ მერე რა გამოვიდა ამითი, ჩვენ—თვის, არასფერი, მე ევროპიელი კი არ მოვატყვილე, ჩემი თავი ვისენი ლაფში თრევისაგანა და მე თვით ჩემი თავი მოვატყუილე, რომ ჩვენი ხენი, ჩვენი სამარცხვინო ხატკივარი დავფარე“.

ამ სამწუხარო ლაფისა და ქართველი ერის სენის შესახებ, საბა ორბელიანის სიტყვებს ალარ მოვიყვან, ესეც საქმარისია, რაც აქ მოვიყვანე და აქედამაც უკვე კარგათ სჩანს. თუ ჩვენის წარსულის დროის ცხონებულ მამებისაგან, ქართველთა შეილები როგორ იფანტებოდენ და როგორ იყიდებოდენ იგინი... მათი მყიდველნიც საით მიერეკებოდენ მათ და ეს ქართველი როგორ ეკარგებობოდენ თავის მშობელ ქვეყანას.

შეიძლება ზოგიერთებმა ჩვენ ცნობებს ცილი დასწამოს დასთევას, რომ ეს სულ ტყვილი არის და მოგონებულიო, მადლობა ღმერთს, ეს ხომ მოგონებული არ არის და ნამდვილი ამბავია დაწერილი საბა ორბელიანისაგან და ისიც 1716 წ. როგორ ჩემი ხსენებაც არ იყო, ამ ამბავს და ამ ამბის დროს კი, ვერც ერთი ქართველი ვერსად გაექცევა და ამიტომ კარგათ სჩანს ის გარემოება; თუ ჩვენი წინაპრები თავიანთ ქვეყნიდან როგორ იფანტებოდენ აქეთ-იქით.

„კაცმა ჭირი მალაო და ჭირმა თავი არ დამალაო“ ნათქვამია, მართალია, მაშინ, ანუ 1716 წ. საბა ორბელიანმა ეს სამარცხვინა ამზე დამალა, მაგრამ იგი ჩერებს წინ მაინც არ დაიმალა, დღეს მე ამას ვაცხალებ საქვეყნოთ და ვიტყვი იმასაც, რომ, როცა მე ვლაპარაკობ ამაზედ, მე მცხვენიან ჩემის თავის და ჩვენის ისტორიის და ნეტა საბა ორბელიანი, როგორიც უყურებდა იმ მღვთის წისხვა უბეურებას ქართველის ერისას, რაც კი თავიანთ თავის დასალუპათ და საქართველოს დასაქცევათ ხდებოდა?!“

ნააგობი ლევან დავითის ძე ჯავთარაძის მიერ.

ბატონიშვილის გადავირდნის დროს, ეს ლ. ქავთარაძე 25 წლისა იყო, მაშასალამე, მას ბევრი რამ ეხსომება ამ საქმეების. დღეს მისი დროის კაცები ჩვენში მრავლად სცხოვრობენ, მაგრამ სამწუხაროდ მათ ამ ბატონიშვილის შესახებ არაფერი იციან. ჩვენ კი თუ რამეს შევიტყობთ ამის შესახებ, ყოველივეს ვსწერთ და ამიტომ ეს წვრილი ამბებიც ავნუსხეთ, დაუკარგველობისათვის, რომელიც ამ აზნაურს ლევან ქავთარაძეს კარგად ახსოვს.

* *

არსენას დროის თფილისის ვაჭრებს, ჩვეულებათ ჰქონდათ, სხვა და სხვა მებატონეთაგან ყმათა გამოსყიდვის. არსენას დროს კი არა და მის მცირე ხანს შემდეგ. როგორც სხვაგანაც მოვიხსენებია ყოფილი ერთი ავლაბრელი მოქალაქე ადგ. ბერინის ძე ფორაქაშვილი, რომელიც ყოველთვის სხვა და სხვა მებატონეთგან ყმებს ანთავისულებდა.

ამ დროს, მებატონეთა შორის, ჩვეულებათ იყო ნადირობა. ნააღმიანისთვის ქორ-მეძებრების ყოლა. მეძებრები მაშინ ძრიელ ფასობდა. ზოგს მებატონეს მთელი ჯოვი ჰყვანდა ძალების: 60, 80 და 100-იც. ამას მევ მოვესწარ „თვით“ ჩვენს პოეტს გრიგოლ ორბელიას 60 მეძებარი ჰყვანდა სახლში. ამათ დღეში 6 მ. ულუფას აძლევდა და ორი კაცი ანუ მსახური, ჰყვანდა მიჩენილი, რომ მელნიც უკლიდნენ ამ ძალებს.

მაშინ, შეძებართ მოვლა ხელობასავებ ყოფილა და ამის ცოდნა აქნდათ საბატონო ყმათ, რომელთაც ნადირობაც იცოდნენ კარგად. ასეთ დროს, მეძებრებში ბატონიშვილები ხშირად თავიანთ ყმებსაც სცხლადნენ და ასე ამ გვარად ყმათა შვილებზედ, ამ გზითაც იყო გახურებული ვაჭრობა, აღებ-მიცემა და მათი გოგო-ბიჭები მეძებრებშიაც გადაცვა. მებატონეთაც კარგად იცოდნენ ამის აღებ-

უველაზედ კარგი გასავალი ძალლებს მაშინ, კახეთის მებატონება შორის აქვნდა. ოლბათ იმიტომ, რომ აქეთ მეძებრების გამრავლება-მოშენება არ იცოდნენ. ასეთი გარემოება იმერეთის მებატონეებს; კარგად აქვნდათ შეტყობილი. იმერეთის მებატონენი უფრო მოხერხებული იყვნენ მეძებარ ძალლების გამრავლებაში და ამიტომ მთელი იმერეთი სახსე იყო მეძებრებით. იმერეთში ყოველ თავადს და აზნაურს ჰყანდა მაძებართა ჯოგი. მათში ეს იმოდენი იყო, რომ იგინი ამ მეძებრებით ვაჭრობდენ კიდეც, ჰყიდენ ფულზედ სცვლილენ სხვა და სხვა ნივთებზედ და ყმებზედაც მებატონეთა წინაშე.

რაკი იმერთ მებატონეთ იცოდენ, რომ კახელი მებატონენი, მეძებრების კარგი მოტრფიალენი არიან და მათს ქვეყანაში კი მეძებრები არ მოსავლობენ. ამიტომ იმერეთიდან კახეთში ძრიელ ხშირად გადმოჰყანდათ მეძებრები და იქ ზოგს ყმებზე სცვლილენ და ზოგთაც ფულზედ ჰყიდდენ. ასე აღებ-მიცემა და ვაჭრობა გავრცელებულა 1810 წლიდან 1855 წლამდის. ქართლელი და კახელი კაცი ძრიელ ხშირად შეხვდებოდა ასეთ ძალლებით მოვაჭრე იმერელ მებატონეს, კახეთის გზისაკენ მიმავალს, თავის საგაჭრო ძალლებით.

თფილისში ყველამ კარგად იცოდა, რომ იმერელ მებატონეებს, კახელი მებატონეები ძალლებში ყმებს უცვლიდნენ. ესეთი გარემოება ბევრს, კაცის დამცირებათ მიაჩნდათ და ამიტომ ზოგნი თავიანთ სულის გულისთვის*), ასეთ ძალლებში გაცვლილ ყმებს თვისის ფულით იხსნიდენ, ახალ მსყიდველ იმერელ მებატონეთაგან. ერთი ასეთი კეთილ თვისების აღამიანი ყოფილა აღამ ბეჭანის ძე ფორა-კაშვილი.

ზოგი ამბები ამათის ქველმოქმედების და აღამიანობის გადამბულია არსენას ხანასთანაც... მეტად ბევრი კეთილი საქმენი უთესია ამას, ასეთი თვისების ყოფილა, როგორც მისი მამა ისე მთლად მისი საგვარეულოც, რომელნიც ხშირად იხსნიდენ დაყიდულ ყმებს და მათ უკანვე აბრუნებდენ. ისიც არის თქმული, რომ ზოგნი ამათგან განთავისუფლებული ყმანი, შინ მიბრუნებულნი, მათ მებატონეთ ძალით კვლავად დაუყმია და ამისთვის გლეხსაც ვერაფერი ქალა გამოუჩენია, რადგანაც სამართალი ყოველთვის მათკენ ყოფილა.

ამ კეთილ პირთა, ასეთ ცნობათა საქმეებს კაი ისტორია აქვს, მაგრამ ჩეენ მისი ცნობები არ გვაქვს, ორიოდ ცნობა არსენას ამბავშია მოყვანილი, რადგანაც მის ხანასა და მოქმედებასთან აქვს კვანძი და კავშირი და ეს კიდევ მეორე ფაქტიური ამბავია. ერთ-

* საყურადღებო და საღი დიაგნოზია ზოგიერთ პირთა გულკეთილობის ასახსნელად.

დღეს, აღამა, კახეთის, საზოგადო გზისკენ ჭაბულა, რაღვანაც სცოდნია, რომ ამ დღეს, კახეთიდან იმერელი მებატონენი თვის დაცვლილ ყმებს და მექებრებს ჩამოატარებენო. მართლაც ამ დღეს ჩამოუკლიად რამდენსამე მებატონებს. ზოგს მექებრები სულ დაუცვლია და ზოგს კი დაუცვლელნი დაშანია რამდენიმე, ეს მექებრები ყველა ვაჭრებს, ერთმანეთზედ გადაუბამთ და თავიანთის დაცვლილის ყმებით თვითისისაკენ წამოსულან.

ყოფილა სალამოს უამი... მომავალი ვაჭრები აღაშას გაუჩერებია და საქმის ვითარება უკითხავს. მებატონეთ ყოველივე დაწვრილებით უმბნიად, მერე ყმების შესახებ ვაჭრობაც დაწყებულა. რადგანაც ძალების ვაჭართ შორის, ერთი ყოფილა უფრო შეძლებული და ბევრი ნასყიდი ყმებიც ჰყოლია, აღამასაც ამასთან დაუწყვია ვაჭრობა:

— კნიაზო, რა მოგართო აგერ აი ამ კაცში? ჰეითხა ბატონს და თან ანიშნა ერთს გლეხზედ.

— იმას ბატონო, არ გავყიდი, იგი მაჯავრებს ძრიელ და იმერეთამდის ცემით უნდა ჩავიყვანო ეგ მამაძალლი...

მერე მეორეზედ მიუშეირა ხელი, მესახეზედ, მაგრამ ბატონი სულ უასრ ამბობდა: გზაში მაწვალეს მაგათ და სამაგიეროს გადახდას იმერეთში შევსძლებო... ამიწომ აქ არ გავყიდი მათაო. ბოლოს მსყიდველმა ხელი გაუშვირა ერთს ქერა ბეჭედ და ჰეითხა:

— აგერ, აი, ის ბიჭი მაიც მომყიდე?

— აგერ, აი, ის ქერა, ისიც მამაძალლი კაცია, მაგრამ მეჯავრება, მან უზრო ბევრი მაწყენინა და ჯანდაბას მისი თავი, მოვიზორებ, მოგყიდო.

აქ დაიწყეს ვაჭრობა. და მალე ფასში მორიგდნენ. ამ ფრთს დღეც მიიწურა, დაბნელდა. მერე თურმე, აღამ ფორაქაშვილმა ეს თავადები თავიანთ ძალებით და ნასყიდ ყმებით თავის სახლში შიიწვია: „დალამდა დღე მობრძანდით ჩვენსა მოისვენეო, ჩვენ კარგი ეზო გვაქეს ძალებისათვის და მასთან თავლებიც“.

მებატონენი თავიანთ ყმებით და ძალებით ეწვიენ ამ მოქალაქეს, მალე შევიღნენ ეზოში, ბატონის ბრძანებით ეზოს კარი დაკეტეს, ნასყიდი ყმები თავლაში დამწყედიეს, გარედან ბატონმა კლიტე დაადო და მექებრები კი სულ დასხნეს და ეზოში გაუშვეს თავისუფლად სასიარულოდ. მერე საჭმელიც მისცეს როგორც ძალებს, ისე ნაყიდ ყმებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, იმერთ მებატონებს ვახშამი მიარცვეს, რასაკვირველია ვახშამი და ლვინო კარგი იყო. ვახშამზედ ამ

მებატონეებს სულ ძალებზედ და ნასყიდ ყმებზედ აქვნდათ ლაპარაკი. მასპინძელი კი სულ იმას ავეღრებდა, რომ ის ნასყიდი ყმები მათ, თვისის სულის გულისათვის იაფად გაენთავისუფლებიათ.

მებატონენი ჯერეთ უარზედ იდგნენ და ვახშმის შემდგვ კი დარბილდნენ. ყველამ დაიძინეს. გათენდა დილა. მებატონენი წამოდგნენ, საუზე ჭამეს და ყმების იაუად განთავისუფლებაზე უარი სთქვეს: აგრე იაფად ვერ შევეწობით საქმესო. ამას-ობაში ძალებსაც მისცეს საჭმელი, მებატონენი ბალკონიდან უყურებდენ ძალების ჩატანას და ჭამას. ნაყიდი ყმები კი ამათ არ გაახსენდათ. წასვლის ღროს, როცა ძალები ერთი მეორეს გადააბეჭდა და დაამზადეს წასასვლელად, ნასყიდი ყმებიც მოაგონდათ. მივიღნენ თავლასთან გამოსაყვანას, გაალეს კარები, მაგრამ შიგ აღარვინ დახვდათ, იმ ღამეს სულ გაპარულიყვნენ.

ამაზედ დიდი დავიდარაბა ატყდა. ვერავინ რა გაარკვია, თუ პიოგორ და საიდან გაიპარნენ ის ნაყიდი ყმები. მებატონები მასპინძლის კაცებს აბრალებდნენ. შეიძლებოდა ასეც იყო. მათ იმ ღილითვე საჩივარი ასტეხეს, რაღგანაც ყმათა ნასყიდობის ბარათიც აქვნდათ, მაგრამ ვერა გააწყვეს რა, მერე ისევ მოურიგდენ მასპინძელს და ის ფული გამოართვეს, რასაც წინედ აძლევდა ყმებში. ქერაში 100 მ. მიუციათ და დანარჩენებში თითო თუმანი. ასე გათავებულა ეს ერთი პარტია ყმათა დახსნის საქმე.

უფროსი ბატონი ძრიელ დარღობდა იმას, რომ მე ზოგიერთ ნაყიდ ყმამ გამაჯავრა და მისი სამაგიეროს გადახდა ვერ მოვახერხეო. ბევრი მაწვალეს მათ და ამაზედ ვარ გაჯავრებული, იგრი ისე გამექუნენ რომ იმერეთში ვერ ჩავრეკე და იქ სამაგიერო ვერ გაღუხადეო.

იმარტის უმანის დამხსნელი.

ავ ამბებთა მცირე ხანს შემდეგ, ანუ 1860 წლებში, ქუთაისში ყოფილა ერთი სომეხი ვაჭარი ალექსი არტემიჩ ტერგუჯასოვი, რომელსაც ქუთაისში შენობები უკეთებია „ფოდრათით.“ ამისივე გაკეთებულია თურმე ქუთაისში მესამე ხიდი. ამასაც მრავლად უხსნია დაუავისუფლებია სხვადასხვა მებატონეთა ყმანი. ყოვილა შეტად გულკეთილი კაცი და ქომავი ყმა გლეხების.

ამისთანა კეთილ აღამიანის სამაგალითო საქმეებს, სხვებიც ბაძავდენ, მებატონეები კი მაინც თავიანთსაც არ იშლილნენ. მაგალითუდ, დავით ივანეს ძე ქავთარაძემ, აზნაურმა გაპყიდა თავისი ყმე-

ბი და გასყიდულებში ანალები ფული სულ გაფლანგა. იყო მეტად ბოროტი კაცი, ყმებს სცემდა, სტანჯავდა, აწვალებდა და სხვანი. ამის ყმებს უხაროდათ დიდათ, როცა მათ მებატონე ცხვრები ბივით ჰყიდდა ქუთაისში. ასეთ ღირსების არც სხვა მებატონენი იყვნენ მოკლებელნი და იგინიც სასტიკად მტრობდენ და სდევნიდენ თავის ყმებს... სცემდენ და ტყავს აძრობდენ, რაისა გრძო მათაც დიდათ უხაროდათ, როცა ჰყიდდენ, იმედი აქვნდათ, რომ იქნება ახალი მებატონე ასეთი მაინც არ იქნესო.

ბატონიშვილის და ვახტანგ მეფის კანონები ბატონიშვილ ურთიერთობის შესახებ.

ვახტანგ მეფე მსჯულდებლად არის ხმობილი, ე. ი. კანონების დამტერად. ამან საქართველოში შექრიბა სხვადასხვა ძველად დაწერილი სამართლის წიგხები, სომხური, თათრული, ზოგი რომაელთა, ბექა და აღმულასი. ყველა ამათ, თავის მიერ შერდგენილი კანონებიც მიუმატა და მით შეადგინა ვრცელი სამართლის წიგნი. ამ წიგნს მერე ქართველთაგან დაერქვა: „ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი“. ამ სამართლის წიგნში, სხვათა შორის, ყმათა შესახებ, ვახტანგ სჯულ-მდებელი სწერს: „ყმა სულს გარდა მებატონის საკუთრება აჩის“. ისეთი შეხედულება აქვს ქართველთ სჯულის მდებელთ ყმაზე. ასე უმზერდა იგი ყმებს მთელი თავისი კანონებით.

ყმის გასყიდვა: ვახტანგ მეფის კანონის 136 მუხლი რთავდა. ნებას ყმის გასყიდვაზედ.

ბატონიშვილის დროის რევოლუციონერები.

(ბატონიშვილის გადავარდნის, ამბების გლეხი მქადაგებელ-პროპაგანდის ფეხი)

დაწერილია 1874 წელს.

საიდან და რა დროიდან დაიწყო ქართველ გლეხებში პროპაგანდა, რომ ბატონიშვილი გადავარდებაო, არ ვიცით, ის კი გაგვიგრინია, რომ ყმობის გადავარდნის ამბავს საქართველოში აღრიდგანვე ლაპარაკობდენო, მაგალითებრ თვით 1830 წლებში იტყოლნენ აქეთ იქით, რომ ბატონიშვილი გადავარდებაო. ვისგან, როგორ, როდის დარითი, ამის ჩვენ არაფერი ვიცით.

ქართველ მეფეების დროს, ასეთი ცნობები არ იქნებოდა გლეხთა შორის გავრცელებული, ვინაიდან მაშინ ქვეყნის გარემოება ისე იყო, რომ თუმცა გლეხს ბატონის მონობისაგან ღაგომი ჰქონდა.

ამოდებული და პირში სული ეხუთებოდა, თუმცა თვით მეტის უშიშარნი და შეუპოვარი მებატონენი ხშირად ამ საბრალო გლეხთა შვილებს სპარს-ოსმალეთშიაც რეკავდენ და ჰყიდნენ, მაგრამ მაინც გლეხი მაშინ ისე იყო გონებით გათახსირებული, რომ ენიანს ენა არ ჰქონდა, არც აზრი, იგი იყო ჩვარი თავად-აზნაურებისა და როცა კი ამათ სურდათ, მაშინ მათ ხელზედაც იხევდენ.

მეფეთა დროს, გლეხი, თავადი და აზნაური მტრის წინაშე ერთ ჭავაზე იწოდენ. უმეტესად რასაკვირველია უფრო გლეხები წვალობდენ, ამ გაწვალებულთ აზრიც არ ჰქონიათ იმის რომ ყავა ბატონს მოსცილებოდა უბატონოდ. ეცხოვრა და ბატონსაც უყმოთ. ისე იყო გლეხის გონება გათახსირებული, ისე იყო იგი დაცემული, იგი ზვარაკი იყო სამეფოსი, თავადის, აზნაურის. ზვარაკი იყო მათის სივერაგის, მასთანვე იგი თავის დაცემულის პიროვნებით გმირი იყო ქვეყნის, მებრძოლი მტერის და მასთან მუშაკი და მარჩენალი როგორც თავის ოჯახის, ისევე მუქთა ხორა მებატონეების და ასეთის სვავების.

სწორედ ასეთი გარემოება გახლავსთ მის უმთავრეს მიზეზათ გამხდარი, რომ ქართლსა, კახეთსა და სამხრეთ (სომხეთი) საქართველოს სოფლებში, ქართველი გლეხობა ისე გაწყდა, ისე მოისპო, აღარ-სადაა ძველი სოფლები, აღარსად ქართველი გლეხობა და აღარც მათი რიცხ მრავალი ოჯახები. ყოველივე გაქრა, მოისპო, აღიგავა სა-ქართველოს სამეფოს მონური წესებით, მებატონეთა თავ-აწყვეტილი ხანგარდობით, გარეშე მტერთა მუდმივი ომით, დაულეტა, წყვეტა და მასთან ქართველის ყმის უენობა, პირუტყვის მსგავსი ცხოვრება და განუსაზღვრელის მონებით, ამათ ასეთ მონებას რაღა ფაქტი უნდა, თვით ქართველ მეფეთა კანონიც დესპოტიურად თართხამდა ამათ ადამიანურს გრძნობას, ბარბაროსობის კანონის მახვილით აბორგებდა მათს შიშიანობით მორჩილებას და ყოველივე ეს კიდევ მათ სისხლი-დამ აცლიდა მოსაზრებას, რომ კმა და ბატონი ერთნი არიან და ამი-ტომ ლვთის სამართალიც იქნება რომ ერთნი ვიყვნენთ და ბატონ-ყმობა არ იყოსო.

ამ გვარად, ქართველ ყმა გლეხებში, ჩვენ ბატონყმობის გადა-ვარდნის შესახებ ლაპარაკი ატყდა XVIII საუკ. შემდეგიდან როცა ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას შეუერთდა, მინამდის კი ქართლ-კახეთში და თუნდ იმერეთში ამ ხმის გაქანებაც არ იქნებოდა.

XVIII საუკუნის დამდეგიდამ, როცა მოისპო ქართლ-კახეთის სა-მეფო ტახტი, ამის ვითარება იკოდენ მხოლოდ ქართლ-კახეთის სა-მეფო მახლობელთა, ნათესავთა, სამღვდელოთა და ამათ გარეშე სხვა

არავინ, გლეხებს ამ გარემოების არაურის ცნობა აქვნდათ; მათთვის სულ ერთი იყო თუ მეფედ ვინ იქნებოდა, ერეკლე, გიორგი თუ სხვა ვინმე. ვიცით კარგად, რომ 1810 წლებში, გლეხთა შორის, გაჩენალან ისეთი პირი, რომელიც იტყოდნენ, რომ მეფობა გადავარდა, ის აღარ იქნება, ბატონ-ყმობაც გადავარდება, აღარც ეს იქნება, რა-კი მეფობა მოისპო, ესეც უნდა მოისპოს. მეფობა ინახამდა ყმობას და მონებას, რაკი ეს მოისპო, ამიტომ ყმობაც უნდა მოისპოს.

მათ ის კი არ იცოდნენ, რომ ყმობა სხვაგანაც იყო და თუნდ რუსეთშიაც. იგინი ამას ლაპარაკობდნენ თავიანთის აღლოთი, თავიანთის მოსაზრებით, რის მოსაზრების მუჯლუგუნსაც მათში აღვიძებდა თვით მათივე მებატონეთა სვავი მუცლიანობა, მათი დასვენებული ცხოვრება და XIX საუკუნიდგან მინიჭებული უფლება და ყმებზედ მონური გამგეობა. სულ ესეთი გარემოებათა პირობები იყო რომ 1810 წ. სამხრეთ საქართველოს (სომხეთი) მცხოვრებ ქართველ ყმა გლეხთა შორის გამოჩდენ მრავლად ისეთი ყმანი, რომელიც მებატონეთა მონებას ვეღარ სთმობდნენ და იგინი ხმა მაღლა ეწინააღმდეგებოდნენ მქაცრ დესპოტებს და უჯათობასაც უწევდნენ უწესო მონებისათვის. ერთმა ასეთ ყმა გლეხთაგანმა 1810 წ. ხანჯლით აკუწა თავის ბატონი, ზაალ ბარათაშვილი, პაპა არსენას ნაბატონარ ზაალ ბარათაშვილისა. ამ გარემოებამ მაშინ შეხი დასცა ქართველ მებატონეთა დესპოტთა რიცხვს.

ნაოქვამია ქართულად:— „ნუ ხარ ავი და ნუ გეშინაან ავისაო“— ასე და ამ გვარად, მებატონეთა მონების და ყმობის შესახებ ბასი და ლაპარაკი გლეხთაგან იყო გამოწვეული, პირველი მეფობის გადავარდნის ცნობებით და ამის გადავარდნის მიმბაძობითგან, მეორე მებატონეთა განუსახლვრელის ბარბაროსულის წესუბით, მესამე სამეფოთა დრო ცვლილებით და საქართველოში მრავლად ევროპიელთა შემოსელით, ამ უკანასკნელ გარემოებისაც უნდა დაეთმოს დიდი აღგილი. ნამეტურ ამას დაეხმარა 1817 წ. საქართველოში გილმოსახლებული პოლონელთა რიცხვი, ასევე 1832 წ. და შემდეგ წლებშიაც, როცა ასეთ პირთა გადმოსახლება საქართველოში არ მოსპობილა.

ამაების გარდა, იმასაც უნდა დაეთმოს ადგილი, რომ 1829 წლი დამ, სოლომონ დედოშვილი თავის გაზეთ, „თფილისის უწვებაში“, თუმც იშვიათად, მაგრამ მაინც ხანდისხან ბეჭდავდა ხოლმე საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის ცნობებს; როგორც მაგალითები მან დასტამპა“ თუ უწყებაში 1832 წ. პარიზში მომხდარ რედოლიუციონერთა ჯა კომუნელთა პატარა ამბავი. ჩვენ არ ვიტყვით, რო-

ამ ამბებს ყმა გლეხები კითხულობდენ და იქიდან ირაზმებოდენ ყმობის წინაღმდეგ, არა, ეს ასე არ არის, მაშინ გლეხებმა და ისიც ყმებმა კითხვა სულ არ იცოდნენ და აბა მათ ამისი რა უნდა შე-ეტყოდ, სრულიადაც არაფერი. ვიტყვით, რომ მათ თუ რაზმავდა და ამზადებდა, ეს იყო მათი ცხოვრების სიღუხჭირე, მონება და დაჩაგ-ვრა, რაც მათ გრძნობა გონების აფხიზლებდა და ყმობას წინაღმ-დევ. რაზმავდა, ეს იყო თვით მათი გონების ძალა და ცხოვრების მიხვედრა. მართლა სულ ხომ უვიცი და ხეპრები არ იყვნენ, რომ მათ სულ არაფრის მოსაზრება არ ჰქონიყოთ.

ყოველთვე ამათ, ასეთ მიხვედრას და უსამართლოების გმობას უნდა ზედ დაერთვას ის გარემოებაც, რომ საქართველოში ხშირად სწორდებოდენ სხვა და ქხვა უცხო პირი და მათ შორის რასაკვირვე-ლია, არც რუსეთის მწერლობა და მისი მისწრაფება დარჩა ჩვენთვის უმნიშვნელო, მის მეთაურთა და „ყმობის“ წინაღმდევ მწერალთა აზრებსაც უნდა დაეთმოს რამე ადგილი ჩვენს ცხოვრების კალაპოტ-ში და ნამეტურ გერცენის და ბაჯუნინის შრომას და 1857 წ. ლონდონ-ში „ქოლოკოლს“ „პოდ სუდს“ და „პალიარნი ზეეზდი-ს“ გამოცემას. ამით იყო, თუ სხვა რამ გარემოებით, საქართველოში 1850 წლებში შევე გააჩადებული ყოფილა ყმობის გადავარუნაზე ლაპარაკი, თვით. დედაქემისაგან გამიგონია, რომ „მზის დაბნელების დროს და მის წინათაც ყველგან ლაპარაკობდენ რომ საქართველოში ყმობა გადა-ფარდება, ბატონობა ყმისა მოისპობათ. ესეთი ამბები მაშინ ყველას დადათ უხაროდათ“.

თანამედროვე პირთაგან ვიცით კარგად, რომ ქართლი, ჭახეთი და იმერეთი სავსე ყოფილა ისეთის გლეხებით, რომელნიც თურმე აშკარად გმობდენ ბატონყმობის წესებს, ყმების მონების, ტან-ჯვის და მებატონეთაგან შევიწრებას, ასეთი გლეხ-ყმანი თითო და ოროლი კი არ ყოფილა, არამედ მრავლად, ათობით და მათ შორის ზოგნი ისეთ მეთატრინიც, ისეთ მოწინავე გმირნიც, როგორიც მაგა-ლიობრ აღმოსჩნდენ სუბათაშვილების ერთის მებატონის ოჯახის წევრთა მოსპობანი და ასევე სხვაც რომელთა ცნობებს ჩვენი ისტო-რია და მწერლობა არ იცნობს.

ასეთ გლეხებში, ყველა ხომ მახვილს არ მისდევდა, ზოგი ენიჭ-ლაპარაკობდა ყმების შესახებ, ზოგი სხვა და სხვა წაქეზებით, ზოგი უსამართლო მებატონეთა წინაშე თავის არ დახრით. კისრის არ მოდრექით, პირველი ლამის არ გაშვებით, მოახლეთ გოგო და ბიჭის. არ მიცემით და სხვაც ბევრი ასეთი საგნებით, რაც მებატონეთა და ჭმათა შორის დამოკიდებულებას ერთი. ათად უფრო ამწვავებდა და

აზეიადებდა, მტრობას, მტრობის გადახდით მოსავდა, უსამართლობას უსამართლობით და ყველგან და ყველაფერში ძალისა და მახვილის გამოჩენით, რაც გახდებოდა პიროვნების დაცვის და შემოფარგვლის საგნად.

ასეთის პირებით საქართველო გაიცო ნამეტურ 1856 წლიდან. იგინი თავ-გამოღებით იღვწოდენ მებატონეთა წინაღმდევ და თუ საქმე იქმნებოდა, მაშინ ესენი თავსაც არ დაზოგავდენ ყმითა მომხრეობით და უსამართლო მებატონეთა წინაშე, უჯათობით და უსამართლობის დაგმობით. ასეთ გლეხ ყმებთაგან ხშირად მებატონეთა შორის დიდი აყალ მაყალიც მომხდარა: ჩხუბი, ბრძოლა; ცემა-ტყება კეტებით, ქვებით, რკინებით და ხშირად ხანჯლით და თოფითაც, ვიცით კარგად, რომ ამ გამოსყლებში 1810 წლიდან, ძალიან ბევრი ყმა გლეხი მომკვდარა ბატონის ხმლით, ხანჯლით და თოფ-დამბაჩით, ბევრი ყმა ციმბირსაც წასულა ბატონის წინაღმდევობის გამო, ბევრი ყმა სპარსეთ ოსმალეთშიც გაქცეულა თავის თჯახით, იქ ზოგი ისლამს დაკავშირებია, ზოგი სომხობას, კათოლიკობას, აისორობას და მით გადურჩენიად თავი ბატონის დევნა მახვილისაგან, ასეთ შემთხვევებში ხშირად არც მებატონეებს დაწევიათ კაი დღეები, იგინიც ხშირად აკუწულან ყმების ხანჯალ-ხმაღ-თოფ-დამბაჩებით, როგორც მაგალითები აკუწეს ბარძიმ ამილახვარი, მამაშე ერისთავი, სუმბათაშვილები, რამდენი კიდევ სხვანი. ენით დაუთვლელნი; სამწუხაროდ ასეთ საქმეთა ცნობები ჩვენ ერთობ მცირე გვაქვს, თითქმის სულ არაუერი, ვინაიდგან როცა ყმასა და ბატონს შორის ასეთი საქმენი ხდებოდა, მაშინ მას შინაურულად ფარავდენ შინაურობა და მეზობელნი, თორემ ბოლოს ერთიც დაისჯებოდა და მეორეცა და ამათ გარდა შიგ სხვა და სხვა პირებსაც შერევდენო.

რომ ჩვენი საუბარი მართალია და საქართველო, თავის დროს სავსე ყოფილა ზემოთ ხსენებულ მოქადაგე თუ პროპაგანდისტი ყმა გლეხებით, ამას ფიქრი არ უნდა, ჩვენ ასეთ ყმა გლეხთა პროპაგანდის წესდებას არ შევეხებით, თუ იგინი რას ქადაგებდენ და რას ავრცელებდენ ყმა გლეხებში, ვიცით ის, რომ იგინი გმობდენ ბოროტ მებატონეთა უსამართლობას, მათს კანონს და დესპოტობას. ასეთი მოკამათე ყმა გლეხნი ყოფილან კველა კუთხეში, კველა სოფელში და ესენი ბოროტ მებატონეებს სულ დღეს უსწორებდენ და სისხლის უშრობდენ. უნდა ითქვას, რომ ასეთ პროპაგანდისტთ ყმა გლეხთა ბრძოლასაც მეტად საინტერესო ისტორია ჰქონდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ცნობები სად არის, არაუერი არის დარჩენილი, უამთა ვითარებას ჟოველივე გაუჭრია და შეუჭამია.

პარე კახეთიში, გლეხთა მეთაურები ყოვილან:

ნინიკა თეღუას ძე მესტვირეშვილი,

ივანე პაატას ძე ლრუმელაშვილი,

გოსტმან ლაზარეს ძე მესტვირეშვილი,

ლაზარე გულიას ძე ბლუავშვილი

ესენი ყოფილან წამქეჩებელნი ყმათა, მათის წყალობით, 1860
წლიდამ გლეხებს მებატონებზედ აუარებელი საჩივრები შეჰქონდათ
და სჩივოდნენ ბატონების მხეცურ მოქმედებაზე, ცემა ტყებაზედ,
წართმევა დარბევაზედ და სხვაც ასეთებზე. ამაობაში მოახლოვდა
1863 წ, ამ წელს საქართველოში მოვიდა დიდი მთავარი მიხეილ
ნიკოლოზისძე.

მას მერე ყმაბა მალე გადავარდა.

ქართლ-კახეთის ყმათა გათავისუფლება მოხდა 1864 წელს.

ზ. ჭ.



ნაზღვილზე დაწერილ-არს
«ვამტკიცებ».
ნაშესტნიკი კავკასიისა,
ლენინ-ალ-ფელდცეიხმეისტერი
„მიხაილ“.
ტფილისში.
4 ნოემბერს 1864 წელს.

ოქს-დეგა

დაბინავებისათვა, გლეხთა, რომელნიც გამოსულან ბატონ-ყმო-
ბილამ ტფილისის გუბერნიაში და არიან შინამსახურად მება-
ტონეებთან და იმათს მეურნეობაში, და ეგრეთუ რომელნიც
სახლობენ, სხუაგან ხიზნებად ანუ ჰსცოვრებენ ქალაქთა და სა-
გაჭრო სოფელთა შინა (*).

1. წესდებია აშით განისაზღურებიან უფლებანი და ვალ-
დებულებანი გლეხთა, რომელნიცა გამოსულან ბატონ-ყმობი-
ბამ თფილისის გუბერნიაში და რომელნიცა: პირველად — არი-
ან შინა-მსახურად მებატონეებთან და მათს მეურნეობაში, მე-
ორეო — სახლობენ ხიზნებად სხუა მებატონეთა ანუ ხაზინისა
და ეკლესიის მამულებზედ, და მესამედ — ჰსცოვრობენ ქალაქთა
და სავაჭრო სოფელთა შინა.

(*) წესდება ესე შედგენილ-არს საფუძვლის ფიაზედა, რომელ-
ნიც იტერნებიან უშადდესად დამტკიცებულთ 13 ოკტომბერს 1864
წელს დამტკიცთა კანონთა შინა გლეხთათვა, გამოსულთა ბატონ-
ებიდან ტფილისის გუბერნაში (შესლი 6, 7 და 8), და შედება-
დებით წეს-დება სთან დაბინავებისათვა შინა-მსახურთა რესეტში, რო-
მელნიცა გამოსულან ბატონ-ყმობიდამ 19 ოქტომბერს 1861 წელს.

შენიშვნა 1. კანონი, წესდებასა ამას შინა და-
დგინებული შესახებელად გლეხთა, მყოფთა შინა-მსა-
ხურობაში და მეუნეობაში მებატონებთან განევრცობიან
ამ გლეხთაგან მხოლოდ იმათზე, რომელნიც არიან შინა-
მსახურად მებატონებთან და მათს მეურნეობაში, და არა
უჭირავსთ არა რამე გადაჭრილი მიწა, ანუ აქტეთ მხო-
ლოდ სახლ-კარ-ბინადრობა და ამასთანავე ორსავეს ამა
შემთხვევაში, შეადგენენ ცალკეს კომლს. ცალკეს კომ-
ლად მიიღების ამ შემთხუელი ისრეთი კომლი, რომელ-
იც არის ანუ მარტო ხელი გლეხი, ანუ სახლობიანი,
როდესაც სახლობას შეადგენს: ცოლი, შვილები, ანუ
მცირე-წლოვანნი გლეხის ნათესავნი.

შენიშვნა 2. კანონი ესე არა განევრცობიან იმ
გლეხთა ზედა, მყოფთა შინა-მსახურად მებატონებთან და
მათს მეურნეობაში, რომელთაცა, გარდა სახლ-კარ-ბინა-
დრობისა, აქტეთ გადაჭრილი მინდურის მიწაცა, ანუ,
თუმცა არა აქტეთ გადაჭრილი მინდურის მიწა, მაგრამ
ეკუთხნიან იმ გლეხის კომლსა, რომელიც სახლობს მა-
მულში და, გარდა იმ კაცთა, შეიცავენ სხვათაცა მოზ-
დილთა მუშათა; გლეხნი ესე არიან მოვალენი, თანახმად
139 მუხლისა (შენიშვნა 1) უმაღლესად დამტკიცებუ-
ლისა 13 ოქტ. 1864 წ. ადგილობრითისა წეს-დებისა ტფი-
ლისის გუბერნიისათვის, აღასრულებდენ ახლანდელთა
თვისთა ვალდებულებათა ორი წლის განვრძობაში დღი-
დან ამა წესდების დამტკიცებისა.

1. გლეხთათვს, რომელნიცა არიან შინა-მსახურად მებატონე-
ბთან და ჩათს მეურნეობაში.

1. გლეხნი, რომელნიცა არიან შინა-მსახურად მე-
ბატონებთან.

2. ღლიდგან სახალხოდ-გამოცხადებისა უმაღლესად დამ-
ტკიცებულთა 13 ოქტომბერს 1864 წელსა წეს-დებათა გლეხ-
თათვს გამოსულთა ბატონ-ყმობიდამ ტფილისის გუბერნიისა,
ამ გლეხთაგანნი, რომელნიცა არიან შინა-მსახურად მებატო-

ნეებთან, მოიპოვებენ ყოველთა პირებთადთა, სახლობითა და ქონებითა უბლებათა, მინიჭებულთა საზოგადოდ გლეხთადში, გამოსულთა ბატონ-ცმობიდამ.

შენიშვნა. ამ უფლებაებით ისარგებლებენ გლეხნი შინა-მსახურად მყოფნი ზოგი-ერთის დროებითის მოკლებაებით, რომელნიც წარმოვსდგებიან მათის მოკალფობითის სამსახურიდგან მებატონეთა-დღი იმ დრომდინ, ვიდრე მოპსტყდებოდეს ეს სამსახური, ამ წეს-დებაში ნაჩვენების გზით, ანუ ვიდრე გარდავიდოდენ იგი გლეხნი აბროკზე (ფულის ხარჯზე).

3. ამა საფუძველით ორისავე სქესის გლეხთა, შინა-მსახურად მყოფთა, შეუძლიათ დაქორწინდნენ დაუკითხავად მებატონეთა; გარნა მებატონენი არ არიან მოვალენი მიჰსცენ ბინა და საცხოვრებელი ცოლსა და შვილსა იმ გლეხისას, რომელიც დაქორწინებული თვითი მათის თანხმობისა.

4. მოძრავნი ქონებანი, რომელნიც მოუპოვებიათ გლეხთა შინა-მსახურად მყოფთა, ვიდრე გამოცხადდებოდა სახალხოდ წეს-დება ესე, დაპშოებიან მათს საკუთრებად. ხოლო უძრავნი ქონებანი, მოპოვებულნი ამავ გლეხთა-მიერ აღრევე მებატონეთ სახელზე, შემოვლენ კანონთა ქულშე, რომელნიც არიან გამოხატულნი 32 მუხლსა შინა საზოგადოებს გლეხთა-თვს წეს-დებისა 19 თებერვლის 1861 წლისა და ზედნადებთა ამ მუხლზედ დაწესებათა შინა, რომლითაც დაემტკიცებათ გლეხთა უძრავნი მამულნი, მოპოვებულნი მათ მიერ უწინდელს დროში მებატონეების სახელზე.

5. გლეხნი, რომელნიც არიან შინა-მსახურად მებატონეებთან და აქტუალ სახლ-კარ-ბინადრობა (1 შენიშვნა 1-ს მუხლისადმი), არ დაპკარგავენ უფლებას სარგებლობდენ იმ სახლ-კარ-ბინადრობით, თანასწორ გლეხთან ან დროებით ვალდებულებაში მყოფთა. გარნა იმ გლეხთა, რომელთაც არა აქვს სახლ კარ-ბინადრობა, მებატონენი არას შემთხვევაში არ არიან მოვალენი მიჰსცენ ხელ-ახლად სახლ-კარ-ბინადრობისათვს მიწა.

შენიშვნა 1. მებატონის მხედველობაზე არის დამოკიდებული როგორც ამ წეს-დების გამოცხადების დროს, ეგრეთვე შემდეგშიაც, ძოახდინოს ყოველგვარი შინ-მოსამსახურეთ გლეხთა-თანა შეთანხმება მისაცემელად მათდა მიწისა არამც-თუ მხოლოდ სახლ-კარ-ბინად დრობისათვს, არამედ სახნავათაც და სათიპათაც.

შენიშვნა 2. შინ-მოსამსახურეთ გლეხთა, რომელნიცა, მებატონესთან მორიგებით, მიიღებენ თვის სარგებლობაში ნაწილთა საკუთარს მებატონის განმეობაში დაშოვნილის მიწებიდგან, მიეცემათ უფლება, რათა დაეხმაროს მმართებლობა მოსაპოვებელად ამ ნაწილთა, მებატონის თანხმობით, თვისდა საკუთრებად, იმავ საფუძულით, რომლითაც აღმოეჩინებათ ესრეთი დახმარება დროებით დამოკიდებულთ გლეხთა, გარნა არა სხურავად, თუ არ შემდეგ ადრითვე შედგენისა უსტავნის გრამოტათ სარგებლობისათვს მიცემულითა მათ შინ-მოსამსახურეთ გლეხთა-დმი მიწითა დამოწმებისა ადგილობრივის მიროვის პოსტერნიკის მიერ მას-ზედ, რომ გლეხთა ამათ დაუდგავთ აღნიშნულს მიწაზედ სახლები და როვნათ გაწყობილან.

შენიშვნა 3. დროსა დამტკიცებისა სიგელთა მიწათა ზედა, შინ-მოსამსახურეთ გლეხთა-მიერ მოპოვებულთა კეთილ-ნებობითის თანხმობითა მებატონესთან, — აღსრულდებიან კანონი, ნაჩულებნი 6-ს მუხლში იმ წესდებისა, რომელიც არის გამოცემული შესყიდვისათვს 19 თებერვალს 1861 წელს.

6- ის კონტრახტები, რომელნიც შეუკრავთ მებატონეთ, ამ წეს-დების გამოცხადებამდე, უცხოს პირთა-თანა მისაცაველად შინ-მოსამსახურეთა ბიჭთა ანუ გოგოთა სასწავლებლად სხურავათ ხელოსნობათა, მუქთად — დაიცუზნ ძალა თვისა გათავებამდე ვადისა, რომელიც არის დაწესებული 2206 და 2214 მუხლთა შინა სამოქალაქოთ კანონთა (სვოდში). ხოლო კონტრახტთა უამო მათ, რომლებითაც დაწესებული ყო-

ფრლა მიცემა ფასისა გასასწავლებლად ესრეთთა გლეხთა,— მიეჩემებათ გლეხთ, ხოლო მათის უასაკობისა გამო—იმათთ შშობელთ და აცეკუნთ, შევიღნენ შეთანხმებაში მათ პირთა-თანა, რომელთაცა ჰყავთ იგინი აყვანილნი გასასწავლებლად.

შენიშვნა. ესე კანონი განევრცობიან ერთობ იქ დროებით-დამოკიდებულთ გლეხთა-ზედაცა, რომელნიცა არიან მიცემულნი მებატონისაგან რამე ხელოსნობის სა-სწავლებლად.

7. დღიდგან დამტკიცებისა წეს-დებათა 13 ოქტომბრის 1864 წლისა, გლეხნი შინ-მსახურად მყოფნი მებატონეებთან ვალდებულ არიან, ორის წლის განმავლობაში ემსახურებო-რნენ მებატონეთა, ანუ აძლევედნ მათ აბროკს (ფულად ხარჯს), საფუძველსა ზედა კანონთა, შემდგომთ მუხლთა შინა დაწესე-ბულთა, დაჭმენით სრულს კანონიერს მოსჩილებაში მება-ტონეთადმი.

8. უკეთ გლეხნი, რომელნიც ირიცხებიან შინა-მსახუ-რად მებატონეებთან, დღესა წეს დებათა გამოცხადებისა აღ-მოჰქმდებიან აბროკზედ (ფულის ხარჯზედ), ანუ მყოფად გა-რეშე, ბაშფორტით,— მებატონეს არა შეუძლიან მოუწოდოს იგინს ვალდებულებითს მუშაობაზე ანუ სამსახურზედ, და ვერ-ცა მოსთხოვოს მათ აბროკი მას-ზედ ნამეტნავი, რაც კა უძლე-ვიათ მათ დამტკიცებად მდე წეს-დებათა 13 ოქტომბრის 1864 წლისა. ერთობ აბროკი, რომელსაც ართმევს მებატონე ამ გლეხთა, არა რომელს შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს სამს თუმანს წელიწადში მოზღიულს გამაკაცზედ და ერთ თუ-მანს დედაკაცზედ.

9. გლეხთა, რომელნიცა ირიცხებიან შინა-მსახურებად, გარნა-კი უოფილან აბროკზედ და პსკეოვრობენ გარეშე ბაშ-ფორთებით ანუ ბილეთებით, არ შეუძლიანო უარი პსთქვან აბროკის მიცერაზედ, ანუ მოსთხოვონ მეტატონეს დასადგომი ბინა, გინა ლონისძიება უხოვრებისა. უკეთუ ამ გლეხთ არ გარდიხადეს რიგიანი აბროკი, მა მინ იგინი მიეცემიან, მება-ტონის მოთხოვნილებით, სამუშაოდ,

10. იმ გლეხთ, რომელნიკა, ღროსა წესდებათ გამოცხადებისა, ყოფილან შინა-მსახურად მებატონესთან და უცხოვრიათ მისს მამულში ანუ სახლში, უკეთუ მოისურვეს აბროჯედ გარდასვლა და ბაშფორთის მიღება, ორი წლის განმავლობაში, შეუძლიათ ესე მხოლოდ მებატონის თანხმობით გლეხნი, ამ გვარად გასულნი, იმავ თრის წლის ვადის განმავლობაში მისცემენ აპროკს, რომელსაც შეპირდებიან მებატონესთან, გარნა არა მომეტებულ იმ ხარჯისა, რომელიც არის დაწესებული ამ წესდების 8-ს მუხლში.

11. მებატონეთ არ შეუძლიათ არა რომელისამეს ანგარიშით გადდაპიცენ სხუათ პირთა უფლებანი თვისნი ვალდებულებითისა სამსახურისა გამო გლეხთა, რომელნიც არიან მათთან შინა-მსახურად, თვისნიერ გლეხთავე თანხმობისა. უკეთუ მებატონემ დარღვეულ ჰყო ესე კანონი დამტკიცდა კიდეც ესე, მაშინ ესრეთნი გლეხნი, მათის თხოვნით, განთავისუფლდებიან ვალდებულებითის დამკაიდებულობისაგან მებატონეთა-დმი.

12. უფლება ვალდებულებითს სამსახურსა-ზედა გლეხთა, შინა-მსახურად მყოფთა, გარდავალს ერთის მებატონისაგან მეორისა-მდი მხოლოდ კანონიერის მემ ვიდრეობით, განყოფით დასახლებულის მამულისა, რომელიცა წიმყოფება საზოგადოს მფლობელიაში დამტკიცდა მებატონისაგან შვლთა-დმი უძრავის მამულის ნაწილებისა.

13. გლეხნი, რომელნიკა არიან შინა-მსახურად, ვალდებულებითის მათის სამსახურისა განგრძობაში (მუხლი 7). მიიღებენ მებატონისაგან მასვე საცხოვრებელსა, ესე იგი საზრდოსა, საცმელსა, ბინასა და შეშასა, რომლითაცა იგინი, გამოცხადებამდე წესდებათა, სარგებლობდნენ და ჯამაგირსაცა, როგორც დაინახავს თვთ მებატონე. მებატონის ხარჯზედ, იმავ ღროს განმავლობაში, დაჭმებიან ყოველნი იგი გლეხნიცა, შინა-მსახურად მყოფნი, რომელნიცა, მოხუცებულობისა, მცირეშლოვანობისა და სულისა და სხეულის სნეულებისა გამოვერა შეიძლებენ მუშაკობას.

14. გლეხნი, შინა-მსახურნი მებატონეებთან, სრულს დროში ვალდებულებითის მათის სამსახურისა, მცხოვრებნი მის სახლში ანუ მამულში, უკეთუ აღმოჩინეს გაჯვიფრება, ზარმაცობა, უჩჩაბა ანუ ცუდი ყოფა-ქცევა, წარიგზავნებიან მებატონისაგან, დასაჰსჯელად, ქალაქის ანუ სოფლის პოლიციაში, წერილით, რომელშიაც უნდა გამოცხადდეს ბრალი ამ გვარის კაცისა, პოლიცია გვარდახდევინებს მას დანაშაულობის მიხედვით და ძალითა მისდა კუთვნილითა.

15. უკეთუ გლეხთა შინა-მსახურთა, დრომდე გაუქმებისა მათის ვალდებულებითის სამსახურისა, დაინახეს მეტად შევიწროება-რამ მებატონეთაგან, მათ შეუძლიანთ იჩივლონ ადგილობითს მიროვის პოსტედნიკთან.

შენიშვნა. გლეხნი შინა-მსახურნი, უეზდნის გაუქმებულს ქალაქებში და აკრეთვე სავაჭრო სოფლებში, მიკმართვენ საჩივლელად იმ მიროვის პოსტედნიკებს, რომლის უწყებაშიაც იქმნებიან შერიცხულნი ივი ქალაქები და სავაჭრო სოფლები; ხოლო ტფილისში გლეხნი მიკმართვენ იმ გუბერნსკის პრისუტსტვიის ჩლენს, რომელსაც ექნება კავკასიის ნამესტნიკისაგან მინდობილი მიროვის პოსტედნიკის მოვალეობის აღსრულება ამ ქალაქში.

16. უკეთუ საჩივარი, შინა მსახურის გლეხისაგან შეტანილი აღმოჰსჩნდა ჭეშმარიტად, მაშინ მიროვის პოსტედნიკი მოასთხოეს მებატონეს, რათა მიჰსცეს მოჩივარს კმა-ყოფილება. უკეთუ ამ მოთხოვნილებამ არაფრათ ჩიარა, აგრეთვე უკეთუ გამოიძებამ აღმოაჩინა დიდი ბოროტ-მოქმედება მებატონის მოპყრობაში ამ გვარ მოსამსახურებთან, მაშინ ეს მოსამსახურნი, მიროვის პოსტედნიკის განჩინებით, დამტკიცებულით გუბერნსკის პრისუტსტვიისაგან, განთავისუფლდებიან, — თუ თვთონვე მოინდომეს, — ვალდებულებითის დამოკიდებულებისაგან მებატონისადმი, აღრევეც თრის წლის ვადისა, რომელიც არის დაწესებული 7-ს მუხლში.

17. გლეხნი შინა-მსახურნი სახელმწიფო ხარჯსა და სხრა გა-

დასახალსა მათდა შესახვედრსა, ვიღრე შეჰსწყვებოდეს მათი დროებითი მებატონეთაგან დამოკიდებულება, გარდიხდიან იმავ საფუძველზე, როგორც აქამომდე.

18. ორი წლის ვადის განმავლობაში, რომელიც არის გამოცხადებული 7 ს მუხლში, მებატონეს შეუძლიან, შინა-მსახურნი გლეხნი განთავისუფლებულპყოს თვისის მოვალეობითის დამოკიდებულობისაგან, როგორც ერთმან-ერთის მათ-თან მორიგებით, ეგრეთვე მათ-და დაუკითხავათაც; მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც განთავისუფლებულნი შინა-მსახურნი ვერა შეიძლებენ მუშაკობას, მებატონე ვალ-დებულ არის, განთავისუფლების წერილის მიცემის დროს, შეიტანოს მიროვის პოსტედნიკთან, სარჩენად ამ გვარ მოსამ-სახურეთა, რავდენიც დრო კიდევ რჩებოდეს ორის წლის ვა-დის გასვლამდინ, ფული, ნაანგირიშევი განთავისუფლებულთ სულთ რიცხვზე, იმდენი, რავდენიც ამ საგანზე დაწესდება გუბერნსკის პრისუტსტვიისაგან. შეტანილი, ამ მუხლის ძა-ლით, მებიტონის მიერ ფული მიეცემათ დათხოვნილთ კაცთა.

შენიშვნა. მცირებულოვანნი უდედ-მამონი თბო-ლნი შინ-მოსამსახურეთ გლეხთაგანნი დათხოვნილ იქნე-ბიან მებატონისაგან მხოლოდ სურვილისა მებრ მათ ნა-თესავთა, რომელნიცა მიიღებენ იმა თბოლთა თვის მზრუნველობას ქვეშ. ესრეთი მათი სურვილი უნდა და-მოწმებულ იყოს მიროვის პოსტედნიკის მიერ.

19. გლეხთა შინა-მსახურთა, დათხოვნილთა ძალითა 18-ს მუხლისათა არის წლის ვადის განვლამდე, მებატონენი მიჰს-ცემენ, უბრალოს ქალალზე, განთავისუფლების წერილსა, შეკოწმებულსა მიროვის პოსტედნიკის მიერ. ამასთანავე, რო-დესაც მებატონე ითხოვდეს გლეხსა, სამუშაკოთ ულონოსა, განთავისუფლების წერილი არა დამოწმდების ვიდრე მიროვის პოსტედნიკთან არა იქნების შეტანილი ფული, 18-ს მუხლში დაწესებული მისაცემელი საზრდოდ გამსვლელის გლეხისა-ზე; ყოველთ შემთხვევათა შინა, რომელნიც არიან მოხსენე-ბულნი 18-ს მუხლში, გამსვლელს გლეხს ჩამოერთმევა. ჩუქ-

ნება მას-ზედა, თუ რომელს სახელდობ საზოგადოებას, ქალაქისას თუ სოფლისას, ჰსურს მას მისწერდეს. ჩუპნებას ამას პირი იყო, ვისაც ჩამოურთმევია ჩუპნება, შეიტანს ვანთავისუფლების წერილში და გარდაპსკემს იმ საზოდადოებას, რომელშიაც დაოხოვნილს პირს ჰსურს ჩაეწეროს.

შენიშვნა. მებატონეთ არ შეუძლიათ იგი გლენი, რომელთაცა ჰსევსთ მოვალეობითი შინ-მსახურობა, მისცენ მმართებლობის განკარგულებაში; უკეთუ მებატონებ მოისურვა შევსწყვიტოს ვალდებულებითი მისგან დამოკიდებულება ესრულთა გლეხთა, მაშინ უნდა მოიჭცეს ისე, როგორც უჩვენებენ მუხლნი 18 და 19 ამა წესდებისა. ხოლო შემთხვევათა შინა მათ, როდესაც მებატონე უარ-ჰყოფს მიღებასა ამ გურართა გლეხთა, დაპსაზილთა ანუ დატევებულთა იქმუსა ქუპშე სამჰსჯავროსაგან, უნდა მინებდესთ ამ გლეხთ მისწერდნენ იმ უეზდის სამზღვარს გარეთ, სადაცა იგინი ირიცხუდენ, — საქალაქო ანუ სასოფლო საზოგადოებისადმი, რომელიც იქნება თანახმა მათის მიღებისა თავანთს შორის. მოსაპოვებლათ ესრულთისა საზოგადოებისა უნდა დაენიშნოსთ მათ ექვსი თვე ვადა, და ამისათვის მიეცესთ მათ ექვსი თვის ბილეთები, გუბერნიის მთავრობის განკარგულებრთა; უკეთუ ამ ვადის განმავლობაში ზემოხსენ ებულთ გლეხთ ვერ მოიპოვეს საზოგადოება, თანახმა მათის მიღებისა, მაშინ გუბერნიის მთავრობა ვალდებულია მოახდინოს განკარგულება, რათა წარიგზავნენ იგინი ციბირში, ძალითა ამ შემთხვევაში დაწესებულის კანონებისათა.

20. გლეხნი შინა-მსახურნი, რომელნიცა იქმნებიან განთავისუფლებულნი ამ წეს-დების 11 და 16 მუხლების ძალითა, მიიღებენ განთავისუფლების წერილთა მიროვის პოსტედნიკისაგან, დაცვითა, იმ პირობისა, რომელიც არის დაწესებული საზოგადოებაზედ მიწერისა-სკს ამის-წინა მუხლში.

21. უკეთუ გამსვლელთა, რომელ საფუძულზედაც უნდა იყოს, გლეხთა შინა-მსახურთა, ურ დაასახელეს საზოგადო-

ება, რომელშიაც უნდათ მათ შეირიცხნენ, მაშინ იგინი ჩაითვლებიან მიწერილია იმ სოფლებზედ, რომლებშიაც არიან ძგინი მოხსენებულნი უკანასკნელის კამერალნის აღწერით. ესრეთისა მიწერისა გამო უნდა იყოს ცნობილი ჯეროვანი ალაგი იმ პირის მიერ, რომლისაგანაც ჩამოერთმევათ გამსვლელთ გლეხთ ჩუბნება, ანუ მიეცემათ მათ თვე განთავისუფლების წერილი (მუხლები 19 და 20). გლეხთა, ამ საფუძვლით მიწერილთა სოფლებზედ, მიეცემათ ნება, განვალობაში ვადისა, მოხსენებულისა 25-ს მუხლში, აღირჩიონ ადგილი თვესდა დაბოლოებითის სადამე მიწერისა.

22. შემდგომ გასკლისა ორას წლის ვადისა დღიადან დამტკიცებისა წეს-დებათა 13 ოქტომბრის 1864 წლისა, გლეხნი შინა-მსახურნი განთავისუფლდებიან, სამუდამოდ, ყოველ ნიორთა ვალდებულებათაგან მებატონეთადმი. ამა დროგან ყოველი დამკიდებულება და საქმე მათ-შორის შეიძლება მოხდეს მხოლოდ კეთილნებითის ერთმან-ერთის პირობაებით.

23. როდესაც განთავისუფლდებიან სრულიად გლეხნი შინა მსახურნი, მაშინ მათგანნი, ვისაც ჰყავთ მცირეწლოვანნი შვილნი, ვალდებულ არიან მიიღონ ეს მცირეწლოვანნი თვს მზრუნველობას ქუბშ, ეგრეთვე ქმრები ვალდებულ არიან გაიყოლონ თან თავიანთი ცოლები, ხოლო სრულ ჰასაკოვანნი შვილნი ვალდებულ არიან მიიღონ თვსს მზრუნველობას ქუბშ მშობელნი თვისნი, უკეთუ ამ მშობელთ არა აქტუალურ მოპოვებად თვესდა საზრდოსი.

24. შედეგ განვლისა დაწესებულის ორი წლის ვადისა დღიდგან დამტკიცებისა წეს-დებათა 13 ოქტომბრისა 1864 წლისა, გლეხნი შინა-მსახურნი, რომელთაც იმ თრი წლის ვადის განმავალობაში არ მიუღიათ განთავისუფლება—ვალდებულებითა, რათა შერიცხულ იყვნენ საღმე,—მიითვლებიან ეგრეთვე, —როგორც აღნიშნ ულს 21 მუხლს შემთხვევაშიაც, — მიწერილია იმ სოფლებში, რომლებშიაც არიან ნაჩვენებნი უკანასკნელის კამერალნის აღწერით.

შენიშვნა. მიწერილთა, საფუძვლებლად ჭედა 21 დ.

24. მუხლებისა, გლეხთა მიეცემათ ბაშფორთები ჯეროვნის ადგილებიდგან, სადაც მიწერილ არიან. მიღებად-მდე მათგან ბაშფორთებისა, ადგილობითი პოლიცია მიჰ-სცემს მათ დროებითთა ბილეთთა ექვსის თვით, ასე რომ, თუ მეტად საჭიროდ აღმოჩენილია, ეს ვადა განეგრძობათ მათ კიდევ ექვს თვეს, მიხედვით იმ კანონთა, რომელ-ნიც არიან გამოცხადებულნი ბაშფორთების უსტავსა შინა (მუხლი 194—196).

25. გლეხთა შინა-მსახურთა, რომელნიც მიჰსწერდებიან, საფუძველსა ზედა მუხლთა 21 და 24 ამა წეს-დებისა, სოფ-ლებზედ, — მიეცემათ ორნი წელიწადი ვადა აღსარჩევლად თვესდა ადგილისა აბოლოებითის. მიწერისათვს, საფუძულოსაზედა მუხლთა 26 და 27.

26. გლეხთა, განთავისუფლებულთა ვალდებულებითის. შინა-მსახურობიდგან მებატონეებთან როგორათაც განმავლობაში, ეგრეთვე შემდეგ გათავებისა თრის წლის ვადისა, შე-უძლიანთ მიეწერნენ საქალაქოთ და სასოფლოთ ყოველ უწყებათ საზოგადოებათა, საფუძულოსა-ზედა დაწესებულთა ამა-ზედ კანონთა. საქმენი მიწერისათვს მათისა იწარმოებიან უბრალოს ქალალდზედ, თვინიერ გამოჩამევისა ღერბიანის ქა-ლალდის ფასისა.

27. ყველა ქალაქთა (გარდა სატახტოთა და სხეულრიც განსხუაებულთა ქალაქია), გლეხთა, ვალდებულებითის შინა-მსახურობიდგან განთავისუფლებულთა, შეუძლიანთ მიეწერნენ თვინიერ თანხმობისაცა ამ ქალაქების საზოგადოებათა; მაგრამ, ამ შემთხვევაში, იგინი შემოვლენ ამ საზოგადოებათა შინა იმ კანონების დაცვით, რომელნიც არიან დაწესებულნი პოდა-ტის ანუ ხარჯის უსტავსა შინა (მუხლი 637). გლეხთა, აქ მასენებულთა, ძალუძსთ ეგრეთვე მიეწერნენ სახელმწიფო გლეხთ საზოგადოებათადმი, ძალითა წოდებათ ჰსჯულისა (მუხლი 634, 635, 640 და 641).

28. გლეხთა შინა-მსახურად მყოფთა შეუძლიათ მიჰსწერ-ნენ საზოგადოებათადმი გლეხთა, ბატონ-ყმობიდგან გამო-

სულთა, იმ წესით, რომელიც არის ამ უკნაბკნელ გლეხთა-
თვეს დადგენილი.

29. გლეხნი, დათხოვნილნი ვალდებულებითის შინ-მსა-
ხურობიდგან, უწინარეს დაწესებულისა ორის წლის ვადისა
(მუხლი 7), განთავისუფლდებიან, განვლადმდე ამა ვადისა,
ყოველნაირთ საეკლესიურო ხარჯთა და მოქრეფათაგან, ეგრე-
თუც სასოფლოთ ფულის და ბეკრის გარდასახადთაგან. ხოლო
შეძლებები სენებულის ვადისა, ისარგებლებენ ამ პატიებათა იგ-
ინი, რომ ლნიც მიეწერებიან სასოფლო საზოგადოებათა ზედა,
კიდევ ექვსის წლის განმავლობაში, ხოლო რომელნიც მიეწე-
რებიან ქალაქის საზოგადოებათა — კიდევ ორი წლის განმავ-
ლობაში, იმ დღიდგან, როდესაც დაბოლოვდება ორის წლის
ვადა, დადგინდებული 7 მუხლში.

2) გლეხნი, რომელნიც არიან მებატონეთა სახლის
მეურნეობაში.

30. გლეხნი, გებატონეთა სახლის მეურნეობაში მგიებნი,
ესე იგი აღმასრულებელნი სხურა და სხურათა სახლკარიანობაში
თანამდებობათა, ყველაფერში — როგორათაც მოპოებაში პი-
რითაღთა, სახლობითთა და ქონებითთო უფლებათა და მასთანვე
მოვალეობითს ყოფნაში ამ თანამდებობათა შინა ორს წელი-
წადს დღიდგან დამტკიცებისა წეს-დებათა 13 ოქტომბერს
1864 წელსა, ევრეთვე განთავისუფლებისა გამო შემგომ ამ
ვადისა ანუ აღრევაც დამოკიდებულებათგან მებატონეთადმი,
შემოვლებ იშავე კანონებთა ქუცშე, რომელნიც დაწესებულ
არიან გლეხთათვეს შინა-მსახურთა, მუხლთა შინა 2—29 წეს-
დებისა ამის.

II. გლეხთათვეს, დასახლებულთა ხიზნებად მიწაზედ სხურათა
მებატონეთა ანუ უწყებათა (სახაზინოსი ანუ საეკლესიოსი), და
მცხოვრებთა ქალაქებში და სავაჭრო სოფლებში.

31. მოვალეობა გარდასახადის მიცემისა ფულად, რო-
მელსაც წეს-დებაა ესე ვალად პსლებს შინა-მსახურთა გლეხთა
განვრცელდება იმ გლეხებთ შორის მათზედაც. რომელნიცა

თუმცა არიან დასახლებულნი ხიზანთ უფლებითა, სხვისა მე-
ბატონისა ანუ უწყებისა (სახაზინოს თუ საეკლესიოს) მიწა-
ზედა, ან რომელნიცა სცხოვრებენ ქალაქებში და სავაჭრო
სოფლებში, მაგრამ აძლევენ დღეს ესრეთსა გარდასახადსა ფუ-
ლად. გარდასახადი ესე ფულად, რომელსაც აძლევენ დღეს
გლეხნი, არ შეიძლება გამოერთვასთ იმაზე მეტი, რომელიც
მათ უქავიათ დამტკიცებადმდე წეს-დებათა 13 ოკტომბრისა
1864 წლისა. ყოველს შემთხვევაში კი, ფულად გარდასახა-
დი ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს სამს თუმანს წელიწადში
თვითოეულს მოსწრობილს მამაკაცზედ.

32. ორის წლის ვადისა შემდგომ, ვითარცა ხიზანნი,
აგრეთუც გლეხნიცა, მცხოვრებნი ქალაქებში და სავაჭრო სო-
ფლებში, განთავისუფლდებიან ყოვლის მოვალეობისაგან უწ-
ინდელთ მებატონეთადმი; იმათგან ხიზანნი დარჩებიან ხიზნის
მდგომარეობაში, იმა საფუძვლთა-ზედა, რომელნიც არიან
განწესებულნი თავისუფალთ წოდების კაცო ხიზანთა-თვეს, ხო-
ლო გლეხნი, მცხოვრებნი ქალაქებში და სავაჭრო სოფლებ-
ში, განიგებიან კანონებითა, ამ წეს-დებაში დაღინ ებულითა.

მოწერილ არს: ნაჩალნიკი კავკასიის ნაზესტნიკის
გლავნის უპრავლენისა, სენატორი, სტატს-სეკრეტარი
ბარონი ა. ნიკოლაი *).



*). ამ წესდების გარჩევას მოვათავსებთ შემდეგ ტომში,

რედ.

ზოგიერთ უცხო სიტყვათა ახსნა:

1. პროტესტი—შეურიგებლობა, წინააღმდეგობა.
2. დესპოტიზმი—თვითმპურობელობა.
3. მხიტარისტი—მხითარის მიერ დაარსებულ „ძმობის“-ს მიმდევარი.
4. კონგრიგაცია—ლათინური სიტყვა—ნიშნავს ძმობას.
5. პაპა—ქათოლიკეთა სარწმუნოების უმაღლესი სასულიერო პირი.
6. ტორლი ანუ ტორგი—შეჯიბრება.
7. არხივი—ძველი ნაშთები, ისტორიული საბუთები.
8. კაროლი—მეფე.
9. მისიონერი—ქათოლიკეთა სარწმუნოების მქადაგებელი.
10. კნიაზი—თავადი.
11. პოდრათი—იჯარა.

ზოგიერთ ხალხურ სიტყვების ახსნა:

1. ყომარი—კოჭით თამაში.
2. ჟამპაპა—ძველი აზრების მიმდევარი.
3. დედეული—ცოლის ოჯახი.
4. კაფვა—ნაჭრებათ ქცევა.
5. დატუქსვა—გაჯავრება, გაკიცხვა.
6. ჩაჩრა—ძალით ჩადება.
7. ტაბაკი—ფიცრის ნატეხი.
8. დედიშობილა—ტიტვილი
9. გოთაული—ადამიანით მოვაჭრე.
10. ლრტვინვა—ოხვრა, ჯავრი.
11. ჭარბობა—ვაღამეტება.
12. აბეზარი—მოუსვენარი.
13. საკახბო—სამეძავო.
14. ბოზობა—სხეულის ყიდვა, მეძაობა,
15. დავა—საჩივარი.
16. გიუურ-ბრიყული—სულელური, არა ნორმალური.
17. ობტი—უინი.

18. ურჩი — დაუდეგარი.
19. ჯიბრი — ჟინით მეტოქეობა.
20. შაორი უდო — მოუგონა.
21. სახასო — სახაზინო.
22. ლიქვინით — ენა მელიობით.
23. პირქუში — ურცევი.
24. მრუში — ცრუ.
25. განდრეკილი — გადგომილი.
26. ასპიტი — ქაპასი.
27. სირაჯხანი — სირაჯების კუთხე, სირაჯების უპანი.
28. ხარასხანი — ხარაზების უბანი.
29. ნატამალი — ნაფუკვენი, ნამცეცი, იოტის ოდენა.
30. დალოლიება — გადაბირება, მიმხრობა.
31. მიღუნება — მიყუჩება, დაჩუმება.
32. ჭონხანი — მექუდეების უბანი.
33. ჭონი — ქუდების შემკერავი.



იგეზღება/და მოძლე დროში გამოვა
მირ. ხუხუნაი შვილის

მაია ჭყნეთელი


ისტორიული რომანი ქართლ-
კახეთის ცხოვრებიდან.

≡ უორდანია ≡

ისტორიული რომანი გურიის
ცხოვრებიდან

გლეღვარ ტალღეგში...
დრამა — თანამედროვე ცხოვრებიდან.

გათლის დეკორაციას უსთანაიღგან



მიურავებებიან...

შემჩნეულ უცდოშათა გასწორება


სტრდი			დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
11	ქვევიდან	მე- 4	პწკარზე	პირების
12	"	მე-11	"	მწერალი
13	ზევიდან	მე- 7	"	იმის
13	ქვევიდან	მე-15	"	ორბელიანის
15	ზევიდან	მე- 2	"	პოდაგოგობით
24	"	მე- 5	"	დიახ, მართალია
44	შენიშვნაში		ოდებაც	წოდებაც
51	ქვევიდან	მე-11	"	ციხეშიაც
53	"	მე-12	"	საჩივარი
58	ზევიდან	პირველ	"	შეუსწავლია
58	ქვევიდან	მე-12	"	ყოფილ
61	ზევიდან	მე- 6	"	მებატონის
61	"	მე- 9	"	მათვე
61	"	მე- 9	"	მათ
62	ქვევიდან	მე- 8	"	გააქციეს
64	ზევიდან	მე- 2	"	რომ ჩემი/ ყნა
64	"	მე-19	"	ჰქონდა
64	"	მე-23	"	არსებობდა
65	ქვევიდან	მე- 2	"	ელში
69	შენიშვნაში		„შასელატელი“	„შასელატელი“
70	ქვევიდან	მე- 2	"	კოგოში
71	ზევიდან	მე- 2	"	მასს დასჯას
80	ქვევიდან	მე- 3	"	წლოვანია
111	ზევიდან	მე-14	"	არჟონებოდა.
				აფრთდებოდა.

შენიშვნა I: შემჩნეულია შესასენებელ ნიშნების, ზოგადი არევ-დარევა, მაგრამ გფიქრობთ, რომ მყითხველი ადვილათ გაუგებს. მას გამოსაცნობ კვანძს.

შენიშვნა II: პირველ გვერდზე დაბეჭდილია: საქართველოს საგამომცემლო ს-ბა „მწიგნობარი“-ს გამოცემა. უნდა იყოს: უურნალ „კომპერაციის“ გამოცემა № 34.



၁၉၈၂ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငြန်၊ ရန်ကုန်မြို့၏ အနောက်ဆုတ္တရာန



ရန်ကုန်မြို့၊ မြန်မာနိုင်ငြန်

ახლო მომავალში

დაწყება მოქმედებას საგამომსეალო კოოპირატივი

„ერიგნობარი“

წესდება და წევრათ ჩაწერის პირობები

— 0 6 0 ლ ღ თ —

უნ. „კოოპერაციის“ № 1 და 2/3-ში, ან „კოოპერაციის რე-
დაქტირაში, უნივერსიტეტის ქ. № 4.


განცხადებები,

ამ ნომრისთვის გადმოცემული, წავა
შემდეგ ნომერში,

ცენტრალუ მიზანების გამო

ამ ნომერში ვერ მოთავსდა განზრასული მა-
სალების რაოდენობა და სურათების რიცხვი,
რომლებიც შევლენ შემდეგ ნომერში.

რედაქტირ.



კიბერნატი საარაული ქართველი იოსელიანი
კახ. ჩოჩიაშვილი. სპარსული სტუმრის მიერ
აჭარის დათვალიერების გამო.

ზაქარია გიგინაძე—ნაცრაბ-შეგობრები

ზაქარია გიგინაძე და მარ. ხუხუნაიშვილი,
ბატონიშვილის მასალებზე შუშაბის
არას.

ფასი 1 მან.

მთავრობი № 1362.

შეკვ. № 1827

პოლიგრაფიული განყოფილების მე-5 სტამბა.